

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ძველი მსოფლიოს ისტორია

ქეთევან დილმელაშვილი

ქრისტიანული სიმბოლიკა I-VIსს. საქართველოში

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოც. პროფესორი მარიკა მშვილდაძე



2010

შინაარსი

შესავალი	3
ადრექტისტიანული სიმბოლიკა	21
თავი I. ჯვრის სიმბოლო	23
თავი II. ქრისტეს მონოგრამა და ქრიზმა	39
თავი III. თევზის სიმბოლო	46
თავი IV. ორმის სიმბოლო	57
თავი V. ცხვრის სიმბოლო	74
თავი VI. ხარის სიმბოლო	86
თავი VII. ლომის სიმბოლო	99
თავი VIII. მტრედის სიმბოლო	107
თავი IX. ფარშევანგის სიმბოლო	115
თავი X. ხის სიმბოლო	122
თავი XI. ვაზის სიმბოლო	129
თავი XII. ბროჭეულის სიმბოლო	143
დასკვნა	153
განმარტებები	157
გამოყენებული ლიტერატურა	164
ტაბულების აღწერილობა	195
ტაბულები	200

შესავალი

რელიგია, ოდითგანვე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ადამიანთა ცხოვრებაში. პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის წარმოშობამ თან მოიტანა ახალი აზროვნების, განსხვავებული მსოფლმხედველობის გაჩენა. წარმოშვა სულიერების ახალი გაგება და მისი ახალი ხედვა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა იმ მსოფლმხედველობისგან, რაზეც დაფუძნებული გახდდათ ანტიკური კულტურა. ეს განსხვავებულობა განპირობებული იყო ცხოვრების ახალი წესის დანერგვით რომელიც მოსახლეობაში ეტაპობრივად და თანდათანობით შედიოდა და ცვლიდა ძველს.

სიმბოლო სხვადასხვა რელიგიებში, მათ შორის ქრისტიანობაშიც ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. ქრისტიანობის არსებობის პირველ ეტაპზე სიმბოლო საკუთარი რელიგიური მრწამსის გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ის ერთი მხრივ იმის გადმოცემა იყო, რაც სიტყვით არ გამოითქმოდა, ხოლო მეორე მხრივ, იმ ქრისტიანულ საიდუმლოთა დაცვა, რომლის გამხელა წარმართული სამყაროსათვის არ შედიოდა პირველ ქრისტიანთა ინტერესში. მონოთეისტური სიმბოლოები იუდაურ სამყაროში დაიბადა, მისი ამოსაგალი ბიბლია იყო, ამიტომ პირველი გამოსახულებები გაჯერებული გახლდათ ბიბლიური ამბებით. მოგვიანებით, ქრისტიანულ სინამდვილეში, წმინდა წერილები პირდაპირ წყაროდ იქცა სარკოფაგებისა და კატაკომბების რელიეფებისა და მხატვრობისათვის. მაგრამ, იმის გამო, რომ ქრისტიანების რიგებს სულ უფრო მეტი წარმართი ემატებოდა და სიმბოლოები ნაკლებ გასაგები ხდებოდა ახლადმოქცეულთათვის, ბევრი რამ (რაც ბუნებრივია არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული რელიგიის არს) აღებულ, მაგრამ შინაარსშეცვლილად შეთვისებულ იქნა ბერძნულ-რომაული რელიგიიდან და იმ ხალხის რწმენა-წარმოდგენებიდან, სადაც პირველ საუკუნეებში ქრისტიანობა გავრცელდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო უოფილა, მით უფრო, რომ ქრისტიანობას აქ მძლავრი ფესვების მქონე მსოფლმხედველობის ხასიათის რელიგიური წარმოდგენები დახვდა. საქართველოში დაფიქსირებული ადრექრისტიანული სიმბოლოები აღნიშნული პერიოდის ქვეყნის კულტურის ერთ-ერთ ელემენტად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სიმბოლოებისადმი ინტერესი დიდი ხანია არსებობს და მისი კვლევით, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, არაერთი

მეცნიერი დაინტერესებულია, საქართველოში დაფიქსირებული ადრექტისტიანული სიმბოლიკა მთლიანობაში შესწავლილი დღემდე არაა. უმეტესობა ამ სიმბოლოებისა ან მხოლოდ კატალოგის სახითაა გამოქვეყნებული, როგორც არქეოლოგიური ან საკულტო ძეგლი, ანდა აღწერილობითი შინაარსითაა მკვლევართა ნაშრომებში შესული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ზოგირეთი მათგანის სიღრმისეული კვლევაც.

ადრექტისტიანული სიმბოლოების აღმოჩენის არეალი მეტნაკლები სიმბლავრით დღეს უკვე თითქმის მთელი რომის იმპერიაა. საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე გამოვლენილ ქრისტიანულ სიმბოლოთა რიცხვი საგრძნობლად დიდია და მრავალფეროვანი, მაგრამ მათგან განსაკუთრებულად გავრცელებული რამდენიმეა. ისინი დაფიქსირებულია როგორც სამარხებზე და სამარხეულ ინვენტარზე (ბეჭდები, სამაჯურები, საკიდები, საყურები, ჭურჭელი), ისე სამშენებლო ტექნიკის ნიმუშებზე (კრამიტები, ანტეფიქსები) და საკულტო ძეგლებზე (ტაძრები, სტელები). ამ სიმბოლოთა (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმათ, რომელთა მიხნევა ქრისტიანულ სიმბოლოს გამოხატულებად ეჭვს არ იწვევს) ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი III საუკუნეზე გადის. უფრო ადრეული შემთხვევები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ შემდგომი აქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ კუთხით სიახლის შემომტანი იქნება.

ნაშრომში ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ როგორც სამარხეული მასალიდან მომდინარე, ისე სამშენებლო ტექნიკის ნიმუშებსა და საკულტო ნაგებობებზე ფიქსირებულ სიმბოლოებს. მიმოვიხილავთ უკვე რამდენიმესგზის, ზოგჯერ მხოლოდ კატალოგის სახით გამოქვეყნებულ ძეგლებს და რა თქმა უნდა, შემოვიტანთ ახალ მასალასაც, რომელთა ნაწილი დიდი ხნის გამოვლენილი, მაგრამ შეუსწავლელია, ხოლო მეორე ნაწილი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგია. თითოეულ მათგანზე ეპოქის კვალია დატოვილი და ამ თვალსაზრისით, სიმბოლოები ქვეყნის კულტურული მდგომარეობისა და გარესამყაროსთან ურთიერთობის ნიშნის მატარებელია.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში შევეცადეთ წყაროების, არქეოლოგიური კონტექსტისა და ტიპოლოგიური ნიუანსების გათვალისწინებით ფესვები მოგვეძენა სიმბოლური გამოსახულებებისა და სიუჟეტებისათვის. გამოგვეუო ისინი, რომლებიც ბიბლიით საზრდოობენ და ისინი, რომლებიც

ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების ქრისტიანობასთან შერწყმის შედეგად არის წარმოშობილი.

მიუხედავად ქრისტიანული სიმბოლოებისადმი დიდი ხნის ინტერესის არსებობისა, ნაშრომი პირველი ცდაა საქართველოში დაფიქსირებული ყველა მეტ-ნაკლებად გავრცელებული ძირითადი სიმბოლოს თავმოყრის, კომპლექსურად წარმოდგენისა და სისტემაში მოყვანისა.

ზოგადად ქრისტიანული სიმბოლოების შესწავლის პროცესში მთავარი წერილობითი წყარო, რა თქმა უნდა, ბიბლიაა. დიდი ხნის მანძილზე ბიბლია აღიქმებოდა როგორც მხოლოდ თეოლოგიური ნაშრომი, რომელში გადმოცემულ ისტორიას ბევრი მეცნიერი სკეპტიკურად უყურებდა. მაგრამ მას შემდეგ რაც არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ ბიბლია თეოლოგიურ ნაშრომთან ერთად ებრაელი ხალხის ისტორიის ამსახველი სხვადასხვა დროს დაწერილი წიგნების კრებული გახლდათ, სულ უფრო გაიზარდა მისი, როგორც ისტორიული წყაროს გამოყენების შემთხვევები. იგი უმნიშვნელოვანები წყაროა ქრისტიანული სიმბოლიკის შესწავლისთვისაც, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ქრისტიანული გამოსახულებები მთლიანად ბიბლიური ამბებით საზრდოობდა. ხშირად გადმოიცემოდა არა მხოლოდ ძველი ან ახალი ადთქმისეული ისტორიები და სიუჟეტები (მაგალითად, ადამისა და ევას ცხოვრების ამსახველი სცენები, აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვის სცენა, ნათლისდება, კეთილი სამარიტელი, მებადურთა თევზაობა გენესარეთის ტბასთან და სხვა), არამედ წინასწარმეტყველთა და რაც მთავარია იქსოს ქადაგების გამომხატველი სიმბოლოები, რომელთა შორის ყველზე გავრცელებული გახლდათ კეთილი მწყემსის სიმბოლო.

ბიბლიას შემდგომ დაემატა „მოციქულთა საქმეების“, წმინდა წერილებისა და ქადაგებათა ტექსტები, რომლებშიც გადმოცემული იყო ქრისტეს მოწაფეთა მიერ ქრისტიანობის გავრცელების დროს განმარტებული ქრისტეს იგავები, ქადაგებები, თავად ქრისტეს ცხოვრება. ხელოვნებაში განსაკუთრებით აისახა იოანე მახარებლის გამოცხადების სიტყვები (მაგალითად, განცხადება უფლის, როგორც საწყისისა და სასრულის – ანისა და ჰოეს შესახებ (გამოცხადება 1:8; 22:13), დაბეჭდილი წიგნისა და კრავის (გამოცხადება 5:1-14), სიონის მთაზე მდგომი კრავის (გამოცხადება 14:1-5), სიცოცხლის წყლის მდინარის (გამოცხადება 22:1-5) შესახებ). გარდა კანონიკური საეკლესიო წიგნებისა,

ადრექტისტიანულ ხელოვნებაში ზოგჯერ თავს იჩენდა აპოკრიფულ ნაშრომთა გავლენაც.

სიმბოლოთა არსის წელი მისამართის II-III საუკუნეთა მიჯნიდან უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცნენ სასულიერო პირთა ტრაქტატები თუ სხვა სახის ნაშრომები, რომელთა შორის გამოვყოფით ტერტულიანეს (155/165-220/240 წწ.). იგი კართაგენში დაიბადა და რომში განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული ქრისტიანად მოინათლა, მოგვიანებით ის პრესვიტერად იქნა ხელდასხმული, მაგრამ 10 წლის შემდეგ მონტანისტად მოევლინა საზოგადოებას. ამ სექტის დატოვების შემდეგ საკუთარი სექტა დააარსა, რომელმაც მისი სიკვდილიდან კიდევ ას წელს იარსება. ჩვენამდე მოვიდა მისი 31 ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი იქამდეა დაწერილი, ვიდრე სექტანტობას შეუდგებოდა. ყველა ეს ნაშრომი პრაქტიკული დანიშნულებისაა და ეძღვნება ქრისტიანთა წარმართობასთან მიმართებას, ქრისტიანული მორალის საკითხებსა და ერესების უარყოფას. მიმართავდა რა ხალხს და იცავდა რა რწმენას, თავის ნაშრომებში ტერტულიანე ხშირად იყენებდა ბიბლიურ სიუკეტებს, განმარტავდა მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს. გამოდიოდა რა წარმართობის წინააღმდეგ, ხშირად აკრიტიკებდა იმათ, ვინც წარმართული გამოსახულებებისა და სულისკვეთების ნივთებს ხმარობდა, მოუწოდებდა ისინი შეეცვალათ იმ გამოსახულებებით, რომლებიც ქრისტიანული იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის გამომხატველნი იყვნენ (Tertullien 1852a; Tertullien 1852b; Tertullien 1852c). აღნიშნულის გამო ტერტულიანე ერთ-ერთი წყაროა იმის გასაგებად თუ რას აღიქვამდნენ მაშინდელი ქრისტიანები „ქრისტიანულად“ და რას არა.

ამავე პერიოდის ეკლესიის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით დიდია კლიმენტი ალექსანდრიელის (150/155-215/220 წწ.) როლი. იგი უფრო მეტადაა საინტერესო ჩვენთვის, რამდენადაც ალექსანდრიიდან წასვლის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე მან ბინა დაიდო პალესტინაში, სადაც მისმა გაზრდილმა ალექსანდრე იერუსალიმელმა შეიფარა. ამდენად, მისი ქადაგებები განსაკუთრებულად უნდა ასახულიყო მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ სირია-პალესტინის ქრისტიანთა ცხოვრებაში. ხოლო ამ სკოლასთან ქართული ადრექტისტიანული კულტურის კავშირს არაერთი მეცნიერი აღნიშნავდა (მაგალითად, გ. ჩუბინაშვილი 1926). კლიმენტი ალექსანდრიელის ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომთაგან ერთი, „სტრომატი“, მიმართულია წარმართებისაკენ და მათთვის

ერთგვარი გზის ჩვენებაა ქრისტიანობისაკენ, ე.ი. სიმართლისაკენ. მეორე ნაშრომი, „პედაგოგიკა“, უკვე ქრისტიანებისთვისაა განკუთვნილი. მისი მიზანი ახლადმოქცეულის დახმარებაა, გაააზრებინოს სახარება, მიახვედროს, რომ ქრისტე სიტყვაა და უმთავრესია ქრისტიანულ სწავლებაში. იმავე დროს, იგი არ გაურბის აღიაროს სიცოცხლისა და ბუნების სილამაზე, დატკბეს აყვავებული მინდვრით და მშვენიერი გაზაფხულით (Clément d’Alexandrie 1846). კლიმენტი ალექსანდრიელის ასეთი დამოკიდებულება სიცოცხლისა და ბუნებისადმი მოგვიანებით არაერთ გამოძახილს პოვებს სირია-პალესტინის ტაძრების მოზაიკაში.

III საუკუნიდან ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს ემატება და ავსებს ეკლესიის მამების სწავლებები და ქადაგებები (კირილე იერუსალიმელი (315-386 წწ.), გრიგოლი ნაზიანზელი (329-289 წწ.), იოანე ოქროპირი (347-407 წწ.) და სხვ.).

აღნიშნული წყაროებიდან და წმინდა მამათა სწავლებიდან დღეს მხოლოდ ერთ მათგანზე შეგვიძლია დაზუსტებით ვთქვათ, რომ საქართველოში, ჩვენთვის საკვლევ პერიოდში, ცნობილი და გამოყენებული იყო: შუშანიკის წამების თანახმად დედოფალ შუშანიკს პქონდა „ევანგელე თვისი“ (იაკობ ხუცესი 1963: 16). მაგრამ ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრიდან მოყოლებული, წირვა-ლოცვის მიმდინარეობა და ქადაგება ტაძრებში, ვფიქრობთ მოიაზრებდა კიდეც წმინდა მამათა ტრაქტატების კითხვასაც. ამასთან, ისტორიულ წყაროებში მოიპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც მეტყველებს ქართველთა კავშირზე მახლობელი აღმოსავლეთის ფილოსოფიურ სკოლებთან. ერთი ასეთი წყარო ლიბანიოსია (314-394 წწ.), რომლის მოწაფე ყოფილა ქართველი უფლისწული ბაკური. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგივე ლიბანიოსის მოწაფეებს შორის იყვნენ ასევე ბასილი დიდი, გრიგოლი ნაზიანზელი, იოანე ორქოპირი და სხვანი (ნუცუბიძე 1983: 134-145), ალბათ დასაშვებია, რომ საქართველოში დაბრუნებულ ბაკურს დაგუკავშიროთ ამ მამების ნაშრომების ქართლში შემოტანა. მეორე წყარო და თავად პიროვნება პეტრე იბერია, რომელიც V ს. სათავეში ედგა ფილოსოფიის ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მოქმედ ამ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ სკოლას „ქრისტიანობა თავისი მიზნებისთვის იყენებდა“. პეტრე იბერის სისტემატური კაგშირი ქართველებთან (ნუცუბიძე 1983: 174-176), ალბათ, ფილოსოფიური აზრებისა და აპოლოგეტური ნააზრევის გავრცელებასაც გულისხმობდა საქართველოში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით უკვე ნახსენებ წყაროებს საქართველოს შემთხვევაში ემატება ქართული წერილობითი წყაროები „წმინდა ნინოს ცხოვრების“, „მოქცევად ქართლისავ“-სა და ლეონტი მროველის თხზულებების სახით. სამივე წყარო საინტერესო ცნობებს იძლევა არა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების პროცესზე, არამედ ქრისტიანული სიმბოლიკის „საფუძვლებზეც“ საქართველოში. მათგან უძველესის, „წმინდა ნინოს ცხოვრება“-ში, რომლის მცირე რედაქცია ჩართულია „მოქცევად ქართლისავ“-ს ტექსტში, ხოლო ვრცელი რედაქცია მას თან ერთვის (როგორც ჭელიშურ, ისე შატბერდულ ტექსტებში), მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადმოცემას დაჭრილი ირმებისა და მიუვალ ადგილას მდგარი ხის შესახებ, რომლის ფოთლები სიცოცხლის მბოძებელი ძალის მქონეა. ჩვენთვის ასეთივე საინტერესო ცნობებია ნინოს მიერ მცხეთაში მომხდარი სასწაულები, რომლებიც მეფის წალკოტში მდგარ ხეებს უკავშირდება. იგივე ამბებს მეტი ცხოველმყოფელობით გადმოგვცემს ლეონტი მროველი, რომლის ნაშრომშიც კიდევ უფრო გაშლილია ეს სასწაულები („მოქცევად ქართლისავ“ 1963: 122-123,134,159-160; ლეონტი მროველი 1955: 101,119-120).

პირველ საუკუნეებში გამომდინარე შექმნილი პოლიტიური ვითარებიდან, როდესაც ქრისტიანები ჯვართაყვანისმცემლებად აღიქმებოდნენ, რაც რომის იმპერიაში დამამცირებელ მდგომარეობად მიიჩნეოდა, და არც სახელმწიფოთა მეთაურებისგან იყვნენ დანდობილნი (ვგულისხმობთ სხვადასხვა დროს განხორციელდულ ქრისტიანთა დევნას. იხ: მ. მშვიდდაძის „რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს.“ თბ., 2005), ქრისტიანების ხელოვნება მოიცავდა მიწისქვეშა სივრცესა და კერძო საკუთრების ნივთებს, ხოლო მათი თავშეყრის ადგილებს კატაკომბები და პირთა სახლები წარმოადგენდა (ასეთი „კლესიები“ უკვე „მოციქულთა საქმეებში“ მოიხსენიება (8:1-4; 11:26; 12:12) და შესაბამისად, I საუკუნეში იბადება), ამიტომ პირველი საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების შესწავლის ერთადერთ საშუალებად რომის კატაკომბები გვევლინებოდა, ვიდრე მათ რიცხვს არ შეემატა დურა-ევროპოსი (ბაბილონი). თანდათან ქრისტიანული სიუკუტები და სიმბოლოები გაჩნდა როგორც სამკაულსა (ბეჭდებზე, სამაჯურებზე, საბეჭდავებზე, ბალოებზე, საკინძებზე) და სარიტუალო ჭურჭელზე, ისე სარკოფაგებზე, ტაძრების მხატვრობასა და მოზაიკაში. შესაბამისად, არქეოლოგიური არტეფაქტები უმნიშვნელოვანებს წყაროს წარმოადგენს სიმბოლოთა კვლევის თვალსაზრისით.

ადრექტისტიანულ სიმბოლოთა შესწავლისკენ პირველი ნაბიჯები ეგროპაში მაშინ გადაიღგა, როცა რომაული კატაკომბები „გაიხსნა“. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ანუ გ.ბ. დე როსის ატლასიდან დღემდე, არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი თუ სტატია მიეძღვნა აღნიშნულ თემას, რომელსაც XIX ს. ბოლოდან შეემატა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ადრექტისტიანული ბაზილიკების მოზაიკური თუ რელიეფური სიუჟეტების თემატიკა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (ქრისტიანული გამოსახულებები და მათი სიმბოლიკა) ფუნდამენტური ნაშრომები გამოაქვეყნეს ჯ. ვილპერტმა, უ.ბალტიმ, პ. დონსელ-ვოუტმა, ნ. დიუვალმა და სხვა არაერთმა მეცნიერმა, მაგრამ ამ კუთხით ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის ანდრე გრაბარს რამდენიმე წიგნითა და ათობით ცალკეული ნაშრომის სახით. აღნიშნული თვალსაზრისით ფრანგულენოვან სკოლას დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათ შორის გამოვყოფით მ-ტ. ოლზევსკის, რომელმაც 1995 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „L'image et sa fonction dans la mosaique byzantine des premières basiliques en Orient“ სირია-პალესტინის IV-VI სს. კვლესიათა მოზაიკის სემანტიკის ახსნა IV ს. საეკლესიო მოღვაწის კირილე იერუსალიმელის განმარტებებით სცადა. არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის ფ. ტრისტანს. 1996 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „Les premières images chrétiennes, Du symbole à l'icône: II-IV siecles“ პირველი ქრისტიანების გამოსახულებათა შესწავლისას მკვლევარი მთლიანად დაეყრდნო ბიბლიას, „მოციქულთა საქმეებსა“ და წერილებს.

მსგავსად სხვა ავტორებისა, ადრექტისტიანული გამოსახულებების შესწავლისას და სიმბოლოთა შინაარსის გარკვევისას გზამკვლევად ბიბლიას, ეკლესიის მამათა განმარტებებსა და ანტიკურ მითოლოგიას მიმართავდნენ გ. პიკირილო, მ. სტოუნი, ფ. ბისკონტი და სხვანი. ადრექტისტიანული გამოსახულებებისა და სიმბოლოთა კვლევის კუთხით საყურადღებო ნაშრომი გამოიცა 2000 წ. გ. კოხის მიერ. მის მონოგრაფიაში „Frühchristliche Sarkophage“ დაწვრილებითაა შესწავლილი ადრექტისტიანული პერიოდის (III-VIII სს.) როგორც წარმართებისა და იუდეველთა, ისე, რა თქმა უნდა, ქრისტიანთა სარკოფაგები. ცალ-ცალკე თავშია განხილული მასალა, დამზადების ტექნიკა, სიუჟეტი, პორტრეტები და სიმბოლოები. დირექტულია ისიც, რომ ნაშრომს თან ერთვის ამ სამარხების გამოცემათა ვრცელი ბიბლიოგრაფია და ილუსტრაციები (Koch 2000). გარდა ცალკეული მონოგრაფიებისა, დღემდე პერიოდულად

ქვეყნდება საფრანგეთის არქეოლოგიურ ჟურნალებში სხვადასხვა აგტორების ნაშრომები, რომლებიც რომისა და ბიზანტიის მთელს ტერიტორიაზე გაბნეულ ადრექტისტიანულ ძეგლებს ეხება.

რაც შეეხება საქართველოში აღმოჩენილ ადრექტისტიანულ სიმბოლოებს, მათით დაინტერესება დიდი ხნის წინ დაიწყო. ჩვენში არაერთი ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი თუ არქეოლოგი შეხებია ქრისტიანული სიმბოლიკის ცალკეულ გამოვლინებებს, იმისდა მიხედვით თუ რასთან მიმართებაში განიხილავდნენ მას. უმეტეს შემთხვევაში ეს „შეხება“ შემოიფარგლებოდა ამ სიმბოლოთა სტილისტური ანალიზითა და სავარაუდო ანალოგების ძიებით. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მკვლევარები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ამათუიმ სიმბოლოს რაობა წარმართულ და ქრისტიანულ სიმბოლიკაში.

საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურიდან უპირველესად მოვიხსენიებდით ნაშრომებს, რომლებიც არქიტექტურული ძეგლების შესწავლას მიეძღვნა და რომელბშიც ასეთუისე ყურადღება შეჩერდა სიმბოლოებზე. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში აღსანიშნავია გ. ჩუბინაშვილის ნაშრომები ბოლნისის სიონზე. ამ ძეგლის რელიეფების შესახებ მკვლევარმა პირველი შენიშვნები ჯერ კიდევ 1926 წ. ასახა გამოცემულ ნაშრომში „რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“. წერილობითი და საკულტო ძეგლების ანალიზისას, მკვლევარი შენიშნავდა, რომ ახალი რელიგია სალოცავების ასაშენებლად იყენებდა ძველ საკულტო ადგილებს, რის შედეგადაც „ძველი რწმენა ებმებოდა ახალი რწმენის სისტემაში“. IV-V სს. ძეგლებს შორის განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რა ბოლნისის სიონს, აღნიშნა, რომ სანათლავის პილასტრის კაპიტელის გამოსახულებები პარალელებს პოულობდნენ სასანურ ხელოვნებასთან, და რომ ეს მოტივი საქართველოში VII საუკუნიდან ადგილს უთმობდა სხვა მოტივებს (ჩუბინაშვილი 1926: 35,57-58). მას შემდეგ კი რაც ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიურ-გაწმენდითი სამუშაოები განხორციელდა და ახალი მასალით შეივსო ძეგლის ისტორია, 1940 წ. გამოიცა მკვლევარის მონოგრაფია „Болниеский Сион“, სადაც მეცნიერმა მთლიანად ძეგლის – არქიტექტურული ფორმებისა და რელიეფების მხატვრული ანალიზის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ბოლნისის სიონის რელიეფთაგან ის ნაწილი, რომლებიც ირმებს გამოსახავდნენ 41:2 ფსალმუნის სიტყვების გამოხატულება იყო, ხოლო ლომებისა და მათ შორის

გამოსახული ირმის რელიეფი ირანული კულტურის გამოძახილი. მხოლოდ, ამ გამოსახულებათა გადმოცემისას ოსტატს გააზრებულად შეურწყავს ერთმანეთთან ქართული და ირანული კულტურის ელემენტები (Чубинашвили 1940: 158,161).

ბოლნისის სიონის რელიეფების შესახებ საუბრობდა შ. ამირანაშვილიც 1961წ. გამოცემულ წიგნში „ქართული ხელოვნების ისტორია“. მკვლევარმა ტაძრის კაპიტელებზე გამოსახული ხარის, ფრთხების და ფარშევანგების რელიეფები ქრისტიანული რელიგიის მიერ წარმართულიდან ნასესხებ სიმბოლოებად მიიჩნია, რომელთაგან ნაწილი უცვლელი სახით გადმოვიდა ახალ რელიგიაში, ნაწილი კი ქრისტიანული სახით (ამირანაშვილი 1961: 109).

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლნისის სიონი გახდავთ უმნიშვნელოვანები საეტაპო ძეგლი, რომლის თარიღის გათვლიწინებით შემდეგ სხვა ძეგლების თარიღებიც განისაზღვრა, ხოლო ამის შედეგად ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოების ასაკიც გამოიკვეთა, ორიოდ სიტყვით შევეხებით ტაძრის დათარიღების პრობლემას.

ბოლნისის სიონის აშენების თარიღად გ. ჩუბინაშვილმა V ს. II ნახევარი მიიჩნია. ძირითადად ეს თარიღი დაფუძნებული იყო ტაძრის საამშენებლო წარწერის ა. შანიძისეულ წაკითხვაზე (Чубинашвили 1940: 69,78-83). მაგრამ შემდეგ, ეს თარიღი არაერთი მეცნიერის მიერ იქნა კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული და გადასინჯული. მაგალითად, ბ. მჭედლიშვილმა ისტორიული წაროების მოშველიებით ძეგლი IV-V სს. მიჯნაზე აგებულ ძეგლად მიიჩნია (მჭედლიშვილი 1984: 104-128), ასევე ეჭვის ქვეშ დააყენა ჩუბინაშვილისეული თარიღი გ. ყიფიანმაც (ყიფიანი 2000: 111-112). 2000 წლისთვის გამოქვეყნდა რ. პატარიძის სტატია, რომელშიც მკვლევარს მოცემული აქვს ბოლნისის სიონის წარწერების ახალი წაკითხვები, რომლის საფუძველზეც გამოყოფილია სამი პერიოდი: 357 წ. – პერიზ უფალთუფლის საამშენებლო წარწერა, 380-390 წწ. – ფარსმან ერისთავისა და აზარუხტის მიერ ტაძრის განახლების წარწერა და 532 წ. – დავით ეპისკოპოსის, ტაძრის მაშენებელ-მშრომელთა და თაყვანისმცემელთა მოსახსენიებელი წარწერა (პატარიძე 2000: 53-58). მომდევნო წელს არსებითად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა გ. აბრამიშვილმა, რომელმაც მართალია ძეგლის გადათარიღების პრობლემა გაიზიარა და იგი IV-V სს. მიჯნის ნაწარმოებად მიიჩნია, მაგრამ სხვა მკვლევართაგან განსხვავებით ტაძრის

მაშენებლად მიიჩნია არა მირიან მეფის სიძე ფეროზი, არამედ ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძე. მკვლევარის მოსაზრება დაფუძნებული გახლდათ ტაძრის რელიეფის სემანტიკის გააზრებაზე. ეს ხედვა ერთგვარ სიახლედ მოგვევლინა ამ საკითხით დაინტერესებულებს.

წლების მანძილზე ბოლნისის სიონის რელიეფების სემანტიკაზე მუშაობის შედეგად გ. აბრამიშვილმა საინტერესო გამოძახილი დაინახა ქართულ საისტორიო წყაროების მონათხოვბთა და ბოლნისის სიონის, აკაურთის, დამბლუტისწყლის, წოფისა და კაწარეხის რელიეფებს შორის. „მოქცევა ქართლისად“-სა და ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“-ში დაცული ლეგენდის საფუძველზე მკვლევარმა ქართლისა და კახეთის აღნიშნულ ადრექტისტიანულ ძეგლთა რელიეფები, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით გამოსახავენ ირმებს ხეებთან, ქართული ეროვნული იკონოგრაფიის დასაწყისად მიიჩნია (აბრამიშვილი 2001: 63-69). შესაბამისად, მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ იკონოგრაფიის შემოქმედი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც შესაბამისი ქრისტიანული განათლება ექნებოდა მიღებული. ბაკურ თრდატის-ძე კი სწორედ ასეთ პიროვნებად წარმოჩნდა, რომელსაც განათლება მიღებული ჰქონდა ჯერ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში, ხოლო შემდგე წარმართ ფილოსოფოს ლიბანიოსთან, იმ ფილოსოფიურ სკოლაში, სადაც განათლება მიღებს იოანე ოქროპირმა, ბასილი დიდმა, გრიგოლი ნაზიანზელმა და სხვებმა (აბრამიშვილი 2001: 68-69).

ბოლნისის სიონის დათარიღება იმდენადაა მნიშვნელოვანი, რომ, როგორც აღინიშნა, იგი საეტაპო ძეგლად იქნა მიჩნეული და მისი ასაკის შესაბამისად სხვა ტაძრების ასაკიც განისაზღვრა. ასე მაგალითად, აკაურთა, რომლის შესწავლისას (ნაშრომი, „ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი“, დაიბეჭდა 1948 წელს) ლ. რჩეულიშვილმა არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებითა და რელიეფების ბოლნისის სიონის რელიეფებთან მსგავსების საფუძველზე ძეგლი V-VI სს. დაათარიღა (რჩეულიშვილი 1948: 28-34). ბოლნისის სიონთანვე რელიეფების იდენტობის გამოისობით ბოლნისის სიონის თანადროულად მიიჩნია რ. რამიშვილმა ივრის სიონი, თუმცა უფრო მოგვიანებით ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით ძეგლის თარიღად უკვე IV ს. დაასახელა (რამიშვილი 1970: 35-40; რამიშვილი 2000: 70-74). რაც შეეხბა ტაძრის ირმებისა და სიცოცხლის ხის რელიეფის სემანტიკას, მკვლევარმა

გაიზიარა გ. ჩუბინაშვილისეული ხედვა და სცენა ევქარისტიის გამოხატულებად მიიჩნია (რამიშვილი 1970: 36).

ბოლნისის რაიონის ძეგლების კვლევისას, კერძოდ კი „ლამაზი გორის“ საკულტო ძეგლების შესწავლისას, საინტერესო დასკვნები გააკეთა ჯ. ამირანაშვილმა 1968 წ. გამოცემულ ნაშრომში „ადრეფეოფალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები (ბოლნისის არქეოლოგიური მასალის მიხედვით)“. ნაშრომში შესწავლილია ბოლნისის რაიონის „ლამაზი გორის“ საკულტო ძეგლის ტერიტორიაზე გამოვლენილი სტელა-რელიეფები, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა ვრცლად მიმოხილულ სტელაზე გამოსახული მამაკაცის პორტრეტი. მიიჩნია რა იგი სტილისტური, მოდისა და სხვა ნიშანთა გათვალისწინებით ვარსკენ პიტიახშად, მეცნიერმა აღნიშნული სტელა V ს. I ნახევრით დაათარიდა. ამან განსაზღვრა კიდეც ამავე სტელაზე გამოსახული ბოლნური მედალიონის ასაკიც, რაც მნიშვენლოვანი გამოდგა იმით, რომ სტელა ჩუბინაშვილი-შანიძისეული დათარიდების ბოლნისის სიონზე უფრო ადრეული აღმოჩნდა (ამირანაშვილი 1968: 31-34).

ქრისტიანულ სიმბოლოებს შეეხო ლ. მუსხელიშვილიც 1941 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „არქეოლოგიური ექსპრესიები მაშავერას ხეობაში“, რომელშიც მკვლევარს პირველად აქვს მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი ქვემო ქართლის რიგი არქეოლოგიური ძეგლებისა. ამ აღწერილობითი ხასიათის ნაშრომში ჩართულია ფარშევანგის სიმბოლოს სემანტიკური ძიებაც (მუსხელიშვილი 1941: 173-176; მუსხელიშვილი 1941).

1973 წ. დაიბეჭდა ნ. ურუშაძის სტატია „Зооморфные мотивы ранехристианских храмов Грузии (Болниесский Сион, Свети-Цховели (V в.)“, რომელშიც მეცნიერმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სვეტიცხოვლის ხარის რელიეფთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გამოსახულებები წარმართული კულტის გამოძახილს წარმოადგენს (Урушадзе 1973: 127-134).

1980 წ. გამოიცა ლ. ხრუშევას მონოგრაფია „Скульптура раннесредневековой Абхазии V-X вв.“, რომელშიც თავმოყრილი სახით შევიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ დროისთვის გამოვლენილი ყველა არქეოლოგიური საკულტო დანიშნულების ძეგლის რელიეფი თავისი ფოტოებით. წიგნში არა მხოლოდ ქრისტიანული სიუჟეტების, არამედ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე განხილულია რელიეფების სემანტიკა და ნაჩვენებია სტილისტური პარალელები (Хрущкова 1980).

ადრექტისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალის მომცემია V-IX სს. პერიოდში საქართველოს გარკვეულ რეგიონებში გავრცელებული სტელები, რომელთა კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1972 წ. გამოცემული 6. ჩუბინაშვილის მონოგრაფია „ხანდისი“, სადაც მკვლევარმა ხანდისის რელიეფების კვლევისას თავი მოუყარა მისი პერიოდისა და ტიპის გამოსახულებიან სტელა-რელიეფებს, რომელთა შორის ბევრი ქრისტიანული სიმბოლოს გამომხატველი ძეგლიც ერია. გარდა იმისა, რომ ნაშრომი დიდი მეცნიერული ღირებულებისაა, იგი დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ მასში აღწერილი და შესწავლილი რელიეფების ნაწილი დღეს უკვე ხელმიუწვდომელია (მაგალითად, წილკნის რელიეფების ნაწილი). მოგვიანებით, 1982 წ. გამოიცა ვ. ჯაფარიძის ნაშრომი „ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან“, რომელიც უშუალოდ დმანისის რაიონის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს გამოვლენილ და გაწმენდილ საკულტო ძეგლებისა და სტელა რელიეფების შესწავლის პირველი სრულყოფილი ცდა გახლდათ (ჯაფარიძე 1982).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. მაჩაბელის არაერთი საყურადღებო კვლევა, რომელიც ეხება საქართველოს გარკვეულ რეგიონში ლოკალიზებულ ქვაჯვარებისა და სტელების რელიეფებს. მკვლევარის ნაშრომებიდან გამოვყოფით 1991 წ. დაბეჭდილ სტატიას „ძველი ქრისტიანული სიმბოლიკა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე (ჯვარი მედალიონში)“, 1998 წ. გამოცემულ მონოგრაფიას „ქართული ქვაჯვარები“ (რუსულ-ქართულ ენაზე) და 2009 წ. სტატიას „საქართველო და ირანი – მხატვრულ-კულტურულ ურთიერთობათა ასპექტები“, რომლებშიც შესწავლილია ბოლნური მედალიონის ერთი ტიპი, სტელების სიუჟეტები და ადრექტისტიანული პერიოდის ირანის კულტურული გავლენის საკითხები ქართულ ხელოვნებაზე. ამ კვლევების საფუძველზე მეცნიერი ასკვნის, რომ ადრექტისტიანული ქართული სტელების რელიეფები იქმნებოდა თავისი დროის თეოლოგიურ აზროვნებასა და ლიტურგიასთან მჭიდრო კავშირში და ისინი ასახავდა საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს (მაჩაბელი 1998: 322-325). ამასთან, დრმად იყო გააზრებული ქრისტიანობის სიმბოლოს უმცირესი ნიუანსები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ რელიეფების შემქმნელები კარგად განსწავლული თეოლოგებიც იყვნენ. მეცნიერის მოსაზრებით, რომელიც არაერთ საყურადღებო კვლევაზე

დაყრდნობით კეთდება, სასანური ირანის კულტურის გავლენა ხელოვნების თითქმის ყველა დარგში აღინიშნა. თუმცა „ბევრი რამ თემატიკიდან, სტილიდან და იკონოგრაფიიდან, რაც შეიძლება ერთი შეხედვით მივიჩნიოთ ქართულ ხელოვნებაზე სასანური ირანის გავლენის შედეგად, სინამდვილეში ორიგინალურ ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებზეა დაფუძნებული“ (მაჩაბელი 2009: 6-11; მაჩაბელი 1991: 105).

სტელების კვლევის კუთხით ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ 1998 წ. გ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემული „ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები“, რომელიც საქართველოში ფიქსირებული ამ ტიპის ძეგლთა მეტნაკლებად სრული კატალოგი გახლავთ, აერთიანებს რა თავის თავში არა მხოლოდ ჩუბინაშვილისა და ჯაფარიძის მიერ გამოქვეყნებულ ძეგლებს, არამედ საქართველოს მუზეუმებსა თუ სხვადასხვა საკულტო ძეგლებში ჩადგმულ სტელებსაც (ჯავახიშვილი 1998).

სიმბოლოთა კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ვ. ბარდაველიძეს. გამოვყოფილით 1957 წ. გამოცემულ ნაშრომს: „Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен“, სადაც ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზებით საინტერესო დასკვნებია გაკეთებული ვაზის, ირმის და სხვა სიმბოლოთა თაობაზე. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კვლევები აქვს ი. სურგულაძეს, რომელიც ასევე ეთნოგრაფიული გადმოცემების საფუძველზე საინტერესოდ იკვლევდა დედაბოძის დეკორს და მის სემანტიკას (Бардавелидзе 1957; სურგულაძე 1986).

ცალკე უნდა გამოიყოს კვლევები, რომლებიც ბიჭვინთის ნაქალაქარს, წლების მანძილზე აქ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესწავლას მიეძღვნა. ამ ნაშრომებმა თავი მოიყარა წიგნის სერიებში „დიდი პიტიუნტი“, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბიჭვინთის ბაზილიკაში გამოვლენილი მოზაიკის შესწავლას (დიდი პიტიუნტი 1977, 1978). დღიდან მისი აღმოჩენისა, ინტერესი მისდამი არც განხლებულა. ბიჭვინთის მოზაიკაზე პირველი მეცნიერული კვლევა ლ. მაცულევის ეპუთვნის, რომელმაც რამდენიმე ნაშრომი მიუძღვანა ამ საკითხს. 1956 წ. მოზაიკის აღმოჩენის შემდეგ გამოცემულ პირველ სამეცნიერო სტატიაში „Открытие мозаичного пола в древнем Питиунте“, იატაკის დეკორი მკვლევარმა ორი პერიოდის ნაკეთობად მიიჩნია და სანათლავისა და მარტირიუმის მოზაიკა IV ს., ხოლო აბსიდის მოხატულობა V ს. დაათარიღა (Мацулевич 1956: 153). მისი სიუჟეტებისა და სიმბოლიკის

კვლევისას, აგტორმა სცადა არა მხოლოდ ანტიკური კულტურის არამედ ადგილობრივი წარმართული რწმენა-წარმოდგენების გათვალისწინებით განესაზღვრა მოზაიკის წარმომავლობა. ამ კვლევის საფუძველზე გარკვეული სიუჟეტები ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების გამოხატულებად და ადგილობრივი სკოლის არსებობის დასტურად მიიჩნია (Мацулевич 1978: 100-168). აღნიშნული საკითხი განიხილა ვ. ლექვინაძემაც, რომელმაც 1970 წ. დაბეჭდილ ნაშრომში „О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках“ ყურადღება გაამახვილა მასში დაცულ ბერძნულენოვან წარწერაზე და იგი დაუკავშირა მოწამე ორენტის სახელს. ლ. მაცულევიჩისგან განსხვავებით, მან მოზაიკა ერთი პერიოდის ნამუშევრად მიიჩნია და IV ს. I ნახევრით დაათარიდა (Леквинадзе 1970: 174-192). ლ. მაცულევიჩის მიერ გამოთქმული აზრი მოზაიკის დანაწევრების თაობაზე არ გაიზიარა ი. ციციშვილმაც, რომელმაც არა მხოლოდ მოზაიკის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის, არამედ სტატიგრაფიის გათვალისწინებითაც ბიჭვინთის მოზაიკა IV ს. ძეგლად მიიჩნია. ამასთან, მკვლევარმა ხაზი გაუსვა მოზაიკაში ანტიკური კულტურის ტრადიციებს, რომლის ელემენტთა ნაწილი ქრისტიანული სახით აისახა დეკორზე (ციციშვილი 1977: 83-101). მისგან განსხვავებით ლ. შერგაშიძემ ძეგლის მხატვრული და სტილისტური პარალელების გავლების საფუძველზე მოზაიკა V-VI სს. ნიმუშად მიიჩნია და ლ. მაცულევიჩისა და ვ. ლექვინაძის მსგავსად ხაზი გაუსვა ადგილობრივი და ბერძნულ-ანტიკური კულტურის თანაარსებობას (Шервашидзе 1978: 169-193). ტაძრის დათარიღებასთან დაკავშირებით რ. რამიშვილმა ჯერ კიდევ 1965 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც ისტორიული ფაქტებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე სცადა განესაზღვრა მოზაიკიანი ტაძრის თარიღი. მოგვიანებით, იგი ისევ დაუბრუნდა ამ პრობლემას და წმინდა სტატიგრაფიული მონაცემებისა და ისტორიულ წყაროთა საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დეკორი ლოგიკურად ეპისკოპოს სტრატოფილეს დროინდელ ტაძარს უნდა კუთვნებოდა, მოზაიკა IV ს. I მეოთხედით დაათარიდა (რამიშვილი 1999: 3-6; რამიშვილი 1965: 107-121).

1991 წ. გამოიცა გ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია „ბიჭვინთის ნაქალაქარი“, რომელშიც წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შესწავლილია ბიჭვინთის II-VI სს. ისტორია. სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად წიგნში განხილულია პიტიურის სამართვაზე აღმოჩნილი სტელა, რომელშიც ჩამალული იყო ჯვარი. მკვლევარი ჯვრის ფორმის ანალოგიების

მიხედვით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ჯვარი საგულდაგულოდ იყო დამალული სტელაში, მას ახ.წ. IV ს. ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1991: 155-156).

გარდა საკულტო ძეგლებისა, ქრისტიანული სიმბოლოების განსაკუთრებულ ნიმუშებს ქმნის სამარხეული მასალა, რომლის შესწავლის ისტორია განსაკუთრებით მრავალმხრივია. მოყოლებული XX ს. შუა ხანებიდან ამ საკითხების ირგვლივ ბევრი ნაშრომი დაიბეჭდა, რომელთაგან ნაწილში მხოლოდ კატალოგის სახით შევიდა ქრისტიანული სიმბოლოების გამოსახულებიანი ნივთები, ნაწილში კი მათი მხატვრულ-სტილისტური ანალიზიც გაკეთდა. მხოლოდ მცხეთის სამაროვნების შესახებ წლების მანძილზე გამოიცემოდა წიგნის სერიები სახელწოდებით „მცხეთა“, რომლებშიც თავს იყრიდა არქეოლოგიური გათხების ანგარიშები და სპეციალური კვლევებიც მცხეთაში აღმოჩენილ მასალასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დიდია ცალკეულ ნაშრომთა რიცხვი, რომლებიც დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების შესწავლას მიეძღვნა. მათგან მაგალითისათვის დავასახელებდით რამდენიმეს: 1981 წ. დაიბეჭდა თ. სურგულაძის, თ. ბიბილურისა და მ. ძნელაძის სტატია მცხეთაში აღმოჩენილი ორი თევზისა და დუზის გამოსახულებიან სანეკე ბეჭედზე, რომელშიც გარდა ბეჭდისა და ჭრილა ქვის თარიღის განსაზღვრისა შესწავლილია სიმბოლოს სემანტიკა და წარმოშობა (სურგულაძე. . . 1981: 741-744); 1982 წ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში დაიბეჭდა თ. ყაუხეჩიშვილის სტატია „წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა“, რომელშიც საკუთრივ აკლდამის კედელზე გაკეთებული წარწერის საკითხის კვლევასთან ერთად საუბარია ამ წარწერის თანმხლებ ქრიზმის გამოსახულებებზეც (ყაუხეჩიშვილი 1982: 134-148); 2005 წ. გამოიცა ქ. რამიშვილის ნაშრომი მცხეთაში აღმოჩენილი ორი ბულის შესახებ, რომლებიც მათი სემანტიკის შესწავლისა და ანალოგების განსაზღვრის საფუძველზე სასულიერო პირთა საბეჭდავების ანაბეჭდად არის მიჩნეული (რამიშვილი 2005: 186-191).

მცხეთის შემდეგ უინგალი ერთ-ერთი იმ ტერიტორიათაგანია, სადაც ყველაზე უფრო მრავალრიცხვანი სახითაა წარმოდგენილი ქრისტიანული სიმბოლიკა. აქ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და მისი შედეგების შესახებ პერიოდულად ქვეყნდებოდა შრომები რ. რამიშვილისა და ვ. ჩიხლაძის ავტორობით (იხ.: რამიშვილი 1983; ჩიხლაძე 1998ა; 1998ბ; 1998გ და სხვ.). 1999 წ. უინგალის სამაროვნის შესახებ დაცულ იქნა დისერტაციაც ვ. ჩიხლაძის მიერ (ჩიხლაძე 1999), რომელშიც შესწავლილია სამაროვნაზე დაფიქსირებული

სამარხის ტიპები, დაკრძალვის რიტუალი, სამარხეული ინვენტარი, მაგრამ იმის გამო რომ მასალა მრავალრიცხვითი იყო ამ დისერტაციაში არ შესულა სამარხების სრული კატალოგი, რამაც გამოუქვეყნებელი დატოვა ბევრი მნიშვნელოვანი მასალა, მათ შორის ქრისტიანული სიმბოლოების გამომსახველნიც.

ადრექტისტიანული სიმბოლოების აღმოჩენის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი პუნქტია ურბნისის ნაქალაქარი, რომლის ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციიდან, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ 1964 წ. გამოცემული ლ. ჭილაშვილის წიგნი: „ნაქალაქარი ურბნისი“, სადაც ავტორი სამარხეული მასალის შესწავლასთან ერთად განიხილავდა ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებიან ანტეფიქსაც (ჭილაშვილი 1964). ამ კუთხით ფრიად მნიშვნელოვანია 1965 წ. გამოცემული პ. ზაქარაიას ნაშრომი „ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება“, რომელშიც დაცულია საინტერესო ცნობა ურბნისში აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოების გამომსახველი ანტეფიქსების შესახებ. ისინი მკვლევარს მხოლოდ ფოტოზე უნახავს, რომლებიც მისთვის გ. ჩუბინაშვილს გადაუცია. სამწუხაროდ, ანტეფიქსები მის დროსგვე უკვე დაკარგულად ითვლებოდა, რადგან მკვლევარის თქმით მათთვის ვერსად მიუჟნია (ზაქარაია 1965: 67-68). დღეს მათზე მსჯელობა მხოლოდ მეცნიერის წიგნიდან „ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება“ შეგვიძლია.

არქეოლოგიური ძეგლებიდან გამოვყოფდით ასევე მოდინახეს სამაროვანს, სადაც აღმოჩენილია ყურძნის იმიტაციის საყურეები და ჯვრის გამოსახულებიანი საკიდები. აღნიშნული სამაროვნის სამარხების ნაწილის პირველი მეცნიერული პუბლიკაცია გამოხატებულია ჯ. ნადირაძემ 1975 წ. გამოაქვეყნა წიგნში „ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, ხოლო ამ სამაროვნის სრული კატალოგი ზ. ბრაგვაძემ და ქ. ჩიგოგიძემ გამოსცეს 2002 წ. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, გარკვეული სირთულეების წარმოშობის შესახებ, რადგან ჯ. ნადირაძისეული და ზ. ბრაგვაზექ-ქ. ჩიგოგიძისეული სამარხთა ინვენტარი ერთმანეთისადმი აცდენადია (ნადირაძე 1975; ბრაგვაძე . . 2002).

ადრექტისტიანული გამოსახულებების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული ნ. უგრელიძეს. ჯერ კიდევ 1951 წ. დაიბეჭდა მისი სტატია „ფარშევანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან“, 1967 წ. გამოიცა მისი მონოგრაფია „ადრეულ შეასაუგუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის“, რომელშიც მცხეთის

სამარხეული მასალის კომპლექსური კვლევის საფუძველზე შესწავლილია მინის წარმოების საკითხები მცხეთაში, ხოლო უფრო გვიან, 1981 წ. გამოვიდა მისი შემდგომი სტატია: „პალეოქრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის სასმისები ბიჭვინთის ნაქალაქარიდან“. კონტექსტში შეისწავლიდა რა მცხეთასა და ბიჭვინთაში აღმოჩენილ IV ს. მინის ჭურჭელს ფარშევანგის, კეთილი მწყემსისა და ჯვრის გამოსახულებებით, მეცნიერი მათ უკავშირებდა ანტიკურ წარმოდგენათა ქრისტიანულად ტრანსკრიფციას, ხოლო ჯვრის და ხის გამოსახულებების შემთხვევაში გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ იგი ახლად დამკვიდრებული სარწმუნოებრივი იდეოლოგიის განმტკიცებისადმი მიმართული აგიტაციის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა და მას შემდეგ რაც ქრისტიანობამ მტკიცედ გაიდგა ფესვები, ამგვარი ჭურჭელი გაქრა სამარხეული ინვენტარიდან (უგრელიძე 1967: 44-45; უგრელიძე 1951: 301-314; უგრელიძე: 1981: 100-110).

ქრისტიანულ სიმბოლოს შექმნა 6. აფხაზავაც 1979 წ. გამოცემულ წიგნში „ადრეულ შუასაუგუნების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა“, რომელშიც დაწვრილებითაა შესწავლილი აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ფიბულები, ბეჭდები, საყურებები, აბზინდები და საკინძები. ამ უკანასკნელზე საუბრისას შერჩეულია საკინძის ერთი სახეობა – ბროწეულის გამოსახულებიანი საკინძები, რომელთა ტიპოლოგიზაციის გვერდით მოცემულია მისი სიმბოლური ახსნაც. წერილობითი ცნობებისა და ინვენტარის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით (აღნიშნული ტიპის საკინძების გავრცელების პერიოდია VII-VIII სს.) მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მათში უნდა გვებულისხმა წარმართობის კონსპირატიული გამოვლინება, როგორც წარმართული ნაყოფიერების ღვთაების „შეფარება“ ღვთისმშობლის კულტში (აფხაზავა 1979: 112).

სრულიად განსაკუთრებულია და უმნიშვნელოვანესი საქართველოში აღმოჩენილი გლიპტიკის ნიმუშების შესახებ წლების მანძილზე გამოცემული მ. მაქსიმოვას, მ. ლორთქიფანიძის, ქ. ჯავახიშვილის, ქ. რამიშვილის არაერთი საყურადღებო ნაშრომი და მ. მშვილდაძის საკადნიდატო დისერტაცია. მათში თავმოყრილია საქართველოში მიკვლეული გლიპტიკის უმრავლესობა, რომელთა წარმომავლობა ახალი წელთაღრიცხვიდან უკავშირდება როგორც რომის ისე ირანის იმპერიებსა და ადგილობრივ საწარმოებს. ვინაიდან გლიპტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალის შემცველია ქრისტიანული სიმბოლიკის კუთხით,

მეცნიერთა მიერ განსაზღვრული გლიპტიკის ნიმუშების წარმომავლობა, სემანტიკა და ასაკი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მომცემია ქრისტიანული სიმბოლოების წარმოშობის და გავრცელების საკითხების შესწავლისათვის (იხ.: Максимова 1941; Максимова 1950; ლორთქიფანიძე 1954; ლორთქიფანიძე 1958; ლორთქიფანიძე 1967; ჯავახიშვილი 1972; რამიშვილი 1979ბ; მშვიდდაძე 1994).

2007 წ. გამოიცა ქ. რამიშვილის საყურადღებო ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები“. წიგნში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში გავრცელებული ცხოველსახოვანი შესაბნევები, მოცემულია მათი კატალოგი და სურათები. გაკეთებულია დასკვნა, რომ „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ძველი მითო-რიტუალური სისტემისათვის დამახასიათებელი სიმბოლოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაითავისა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ“ (რამიშვილი 2007: 48).

ქრისტიანული არტეფაქტების კვლევის კუთხით, და არა მარტო მათი, არამედ ზოგადად საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და გავრცელების შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნის დასასრულისთვის წამოწყებულ კონფერენციათა სერიას, რომელიც უშადოდ აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა. მაგალითად, ქრისტიანული არქეოლოგიის ყოველწლიურ, ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველ მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ „ქრისიტანული ცივილიზაცია და საქართველო“-ს კონფერენციებზე, ასევე საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქრისტიანობა – წარსული, აწყვო, მომავალი“ წაკითხულ იქნა, და შემდეგ გამოცემულიც, არაერთი ნაშრომი ადრექრისტიანული სიმბოლიკის შესახებ, რომელთაგან მაგალითისთვის დავასახელებდით ვ. ჩიხლაძის „უინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები“, ნ. უგრელიძის „ქრისტიანული სიმბოლიკა ადრეშუასაუკუნეთა ხანის მინის ნაკეთობაზე (მინის ჭურჭლის მაგალითზე)“, ვ. ჩიხლაძისა და გ. კავლელაშვილის „უინვალის ბეჭედი ქრისტეს შობის სცენით“, რ. რამიშვილის „ადრეშუ ქრისტიანობასთან დაკავშირებული მასალები მაგრანეთის სამაროვნიდან“, გ. ნიკოლაშვილისა და გ. მანჯგალაძის „სამარხეული ინვენტარი ქრისტიანული სიმბოლოებით დიდი მცხეთის სამაროვნიდან“ და სხვა სტატიებს (ჩიხლაძე 1994; უგრელიძე 1994; ჩიხლაძე . . 2001; რამიშვილი 2001; ნიკლაიშვილი. . . 2000).

ადრექტისტიანული სიმბოლიკა

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ქრისტეს შობიდან პირველივე საუკუნეში იწყება. ერთი შეხედვით ქრისტეს კვართის დაფვლა მცხეთაში ქრისტიანობის გავრცელების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისათვის“-ს თანახმად სხვაგვარად მოხდა – მოსახლეობაში ის ადგილიც კი იქნა დაგიწყებული, სადაც კვართი ეფლო, იქამდე, ვიდრე ნინო არ მოვიდა ქართლში და ქართველთა მოქცევა არ დაიწყო. ქართველთა პირველი გაქრისტიანების ამბავი კი მოციქულთა სახელს დაუკავშირდა. სწორედ ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის ქადაგების შემდგომ ხდება პირველ ქართველთა მოქცევა ქრისტეს სჯულზე. საფიქრებელია, რომ ამავე პერიოდიდან თანდათან ჩხდება ქრისტიანული თემებიც, რომელთაც ახალი ადოქტორის წიგნებიდან ეკლესია ეწოდებოდათ. მაგრამ, იმავე დროს, ამ სიტყვაში მოიაზრებოდა თავად ეკლესიაც, სადაც შეკრებილები ისმენდნენ ქადაგებებსა და სწავლებებს (მშვილდაძე 2005: 179). ამ თვალსაზრისს თუ გავყვებით, საქართველოში პირველივე საუკუნეებიდან უნდა ვიგარაუდოთ ქრისტიანული თემების არსებობა, განსაკუთრებით ეს ითქმის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონებზე, სადაც უკვე II-III სს. ქრისტიანობის გავრცელებას მცირე აზიოდან მოიაზრებენ. მაგალითად, ლუკიანეს ნაშრომიდან ჩანს რომ II საუკუნეში პონტოს პროვინცია, რომელშიც მაშინ შავიზღვისპირა კოლხეთიც შედიოდა, სავსე იყო ქრისტიანებით (მშვილდაძე 2003: 44-45). ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით (რომელსაც ავსებს არქეოლოგიური მონაკვარი) მ. მშვილდაძე ქრისტიანული თემების არსებობას ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან ვარაუდობს ქართლის დედაქალაქ მცხეთაშიც, სადაც ქრისტიანობის გავრცელების საყრდენად „ეგრეთწოდებული ქართველი ებრაელები. . გვევლინებიან“ (მშვილდაძე 2008გ: 57-61).

უცხოური თუ ქართული წერილობითი წყაროების მონათხრობთა კვალდაკვალ თანდათან დაგროვდა არქეოლოგიური მასალა, რომელმაც საისტორიო მონაყოლს სულ უფრო დაუახლოვა ქრისტიანობის გავრცელების პირველი გზები. ერთი მხრივ ამ მასალაში გახლავთ საკულტო ძეგლები, მათი რელიეფები, ანტეფიქსები, კრამიტები, წარწერები, ხოლო მეორე მხრივ სამარხეული კომპლექსები, რომელშიც ინფორმაციის მომცემია როგორც

სამარხთა აგებულება, ისე მიცვალებულის დაკრძალვის პოზა და სამარხეული ინვენტარი (ჭურჭელი, ბეჭდები, ამულეტები, საყურეები, ტანსაცმლის მოდასთან დაკავშირებული ნივთები). ახლი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით დათარიღებული ნივთებიდან მოყოლებული ბევრი რამ ამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ქრისტიანული სიმბოლიკის ნიშნითაა „დადგასმული“, რომელშიც, ვფიქრობთ, ნათლად აისახებოდა ახალი რელიგიის იდეოლოგია და მსოფლმხედველობა, ასევე დამოკიდებულება წარმართულ გარესამყაროსთან. საქართველოში დაფიქსირებული ქრისტიანული სიმბოლიკა მოიცავს როგორც ქრიზმასა და მონოგრამას, ჯვარს, თევზს, ცხვარს, ირემს, ხარს, ლომს, მტრედს, ფარშევანგს, ვაზს, პალმასა და ბროწეულს, ისე მამალს, კურდღელს, არწივს, და სხვ. მაგრამ მათგან განსაკუთრებულად გავრცელებული რამდენიმეა. ჩვენ სწორედ მათ შევისწავლით.

თავი I

ჯვრის სიმბოლო

ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო ჯვარი გახდავთ, მაგრამ ის როგორც სიმბოლო ერთოვად არ წარმოშობილა. მას ხანგრძლივი ისტორიული წინაპირობა გააჩნდა. ჯვარი, როგორც სხვადასხვა დატვირთვის მატარებელი სიმბოლო, ხალხისთვის ცნობილი ხდება უძველესი პერიოდიდან. იგი ზოგგან მაგიური ნიშანი იყო, ზოგგან ცხოვრების სიმბოლო, ზოგგან კი სიცოცხლის მიმნიჭებელი ძალის გამოხატულება, განსაკუთრებით მზისა. ძველ ეგვიპტელებთან ჯვარი – იეროგლიფი „anch“ – გაიგებოდა როგორც „ცხოვრება“. წინა აზიაში იგი უპირველესად ბედნიერების ნიშანი გახდდათ (Словарь . . . 1989: 291; Голубцов 1917: 213).

საქართველოში ჯვრების გამოსახვა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში – ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს, როცა იგი მზის სიმბოლოს განასახიერებდა (Куфтин 1941: 383, таб.LXXIV; ამირანაშვილი 1968: 29). კოლხურ კულტურაში ჯვარი ნაყოფიერების ძალასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რაზეც მიანიშნებს საკულტო დანიშნულების ძეგლებზე – კოლხურ ცულებზე „მალტური“ ჯვრის გამოსახულებები (ფანცხავა 1988: 51-52).

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ჯვარი ორი ხის ნაჭრის გადაჯვარედინება იყო, რომელსაც უველაზე უფრო მეტად დამამცირებელი სასჯელის შესასრულებლად იყენებდნენ – ჯვარზე აკრავდნენ ბოროტმოქმედებსა და მონებს. წარმართათვის ის წარმოადგენდა სირცხვილისა და დანაშაულის გამოხატულებას. ამიტომ, როცა ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ ახალი რელიგიის მიმდევრებმა ჯვრის თაყვანცემა დაიწყეს, წარმართები მათ ჯვართაყვანისმცემლებს უწოდებდნენ, დასცინოდნენ და წყევლიდნენ. და მიუხედავად იმისა, რომ ტერტულიანები მიხედვით, როგორც ჩანს, ქრისტიანები ცდილობდნენ წარმართათვის აეხსნათ მათვების უგუნური და საცდური საქციელი (I კორინთელთა 1:18,23)¹, თავისი ისტორიის საწყისზე ქრისტიანები მაინც იძულებულნი იყვნენ არათუ არ გამოესახათ ჯვარცმული ქრისტე, არამედ არც კი მიემართათ თვით ჯვრის გამოყენებისათვის (Фрикен 1877: 133; Голубцов 1917: 215). როცა მათ ჯვრის გამოხატვა უნდოდათ, ან დუზისა და თევზის კომბინაციას იყენებდნენ, ან კიდევ ორი თევზის ჯვარედინს. ცოტა მოგვიანებით ქრისტიანებმა დაიწყეს მონოგრამის შექმნა, რომელიც უცხო თვალისთვის

სიმბოლოთა კომბინაციას წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანებისთვის – იესოს გამოხატულებას.

6. პოკროვსკის თანახმად, დაახლოებით III საუკუნის ბოლოდან თანდათან ჩნდება ცხვრის თავთან ჯვრის გამოსახულება, რომელიც ჯვარცმულ იესოს მიანიშნებდა, ხოლო IV საუკუნიდან, როცა ახალი მონოთეისტური რელიგია უკვე ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს, იწყება ჯვრის გამოსახულებების გავრცელება (Покровский 2000: 38). Vს. დასაწყისში იოანე ოქროპირი აღნიშნავდა, რომ ჯვარს გამოსახავდნენ ყველგან, „სახლებზე, მოედნებზე, უდაბნოებში, გზებზე, მთებსა და გორებზე, გემებსა და კუნძულებზე, იარაღებზე, საქორწინო ბეჭდებზე, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელზე, კედლებზე“ (Голубцов 1917: 220).

თავიდანვე განარჩევდნენ ჯვრის რამდენიმე ტიპს. მათგან პირველი იყო ბერძნული ანბანის ასო „T“ – „ტაუს“ ფორმისა. იგი უკავშირდებოდა ეგვიპტეში მომხდარ სასწაულს, როცა უფლის ბრძანებით თითოეულმა ებრაელმა კარზე ცხვრის სისხლით ჯვარი გამოსახა, რათა დავთის სასჯელი არ შეხებოდათ და გადარჩენილიყვნენ. ასეთი ტიპის ჯვრები რომაულ სამყაროში გამოიყენებოდა ძირითადად ბოროტმოქმედთა დასასჯელად. მეორე ტიპად გამოყოფდნენ ეწ. ბერძნულ ჯვარს, რომელიც ტოლმქლავა ჯვარედინს წარმოადგენს, ხოლო მესამე ტიპად მიიჩნეოდა ეწ. ლათინური ჯვარი, როცა ჰორიზონტალური ხაზი ვერტიკალურზე მოკლეა. აქეთ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 6. პოკროვსკი ასეთ დაყოფას არასწორად თვლიდა, რადგან ერთიც და მეორეც ძველ სამყაროში თანაბრად გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში (Голубцов 1917: 220-221; Покровский 2000: 38; Gerard 1989: 234-235).

1. არქეოლოგიურ ინვენტარში დაფიქსირებული ჯვრის გამოსახულებები:

საქართველოში ჯვრის გამოსახვის ერთ-ერთ პირველ ნიშნად (ვაჟლისემობთ იმ შემთხვევას, როცა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქაოთ, რომ ჯვრის გამოსახულება ქრისტიანულ რელიგიას უკავშირდება) დღესდღეობით, უნდა მივიჩნიოთ ბიჭვინთის სამაროვნის ძირითადი თხრილის ცენტრალურ ნაწილში, წრიული ნაგებობის კედლის ნაშალში აღმოჩენილი მეორადი გამოყენების ადგილობრივი ქვიშაქვისგან დამზადებული სტელა (ტაბ.I). მასში ჩადგმული იყო რკინის ჯვარი, რომელიც დაფარული გახლდათ დარიანი კრამტის ნაჭრისგან გამოჭრილი სპეციალური სარქესელით (ლორთქიფანიძე 1991:

156). როგორც გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, შემპვევთიცა და შემსრულებელიც ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა მიზანს წარმართებისგან ჯვრის დაფარვა წარმოადგენდა. ადრეული ეპოქისთვის სახასიათო ჯვრის ფორმისა და იმ ეპოქაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით მკვლევარმა სტელა დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) ხანით დაათარიდა (ლორთქიფანიძე 1991: 156). თუმცა, არ გამოირიცხება მისი ადრეულობაც. მ. მშვილდაძის თვალსაზრისით, რომელიც სტელას III ს. II ნახევრით ათარიდებს, რომის იმპერიაში იყო სხვა პერიოდიც, რომელიც ახლოს იდგა დიოკლეტიანეს ხანასთან. ქრისტიანთა დევნის თვალსაზრისით – ესაა დეციუსისა (249-251 წწ.) და ვალერიანეს (253-260 წწ.) იმპერატორობის წლები. მკვლევარი ამ ფაქტს უმატებს იმასაც, რომ სამაროვანი ფუნქციონირებდა III საუკუნეში და რომ აქ აღმოჩენილი რკინის ჯვარი განსხვავდება პიტიუნტსა და აფხაზეთში ნაპოვნი სხვა ჯვრებისაგან (Мшвиლდაძე 2003: 42).

ზემოთ აღინიშნა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, IV საუკუნემდე ქრისტიანები ერიდებოდნენ ჯვრის პირდაპირი სახით გამოსახვას ნივთებზე, კატაკომბების მხატვრობასა თუ სარკოფაგებზე. აქ ისმის კითხვა: მაში, რამდენად მოდის შესაბამისობაში ბიჭვინთის შემთხვევა? პასუხი შეიძლება იყოს ის, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ჯვრის გამოსახვის ეს შემთხვევა საგულდაგულოდ იყო დაფარული, ისე, რომ გ. ლორთქიფანიძის შენიშვნით, მისი არსებობის ფაქტი უცნობი დარჩა სტელის მეორედ გამოყენების დროსაც კი (ლორთქიფანიძე 1991: 156).

IV საუკუნიდან ჯვრის გამოსახვის შემთხვევები მრავლდება სამარხეულ ინვენტარში. მათ შორის პირველ რიგში, აღბათ, საინტერესოა ვერცხლის ბეჭედი (ჟი-195-71) სარდიონის გემა-ინტალიოთი ახალი ჟინვალის „ზანდუკლიანთ ნავენახარის“ №5 სამარხიდან². საბეჭდავი გამოსახვას კვარცხლბეჭებზე აღმართულ ჯვარს, რომლის წინ ჩალმისებური ქუდით თავდახურული მამაკაცი დგას (ტაბ.I₂). სამაროვნის გამოხრელი და შემსწავლელი რ. რამიშვილი თვლის, რომ აღნიშნული სამარხი, რომელიც მასში აღმოჩენილი ინვენტარის გათვალსწინებით III ს. ბოლოსა და IV ს. დამდეგით თარიღდება, ერისთავის რანგის ოჯახის წევრის უნდა ყოფილიყო (რამიშვილი 1983: 93,121, ტაბ.XXXVII₅). ამას გარდა, გვაქვს IV ს. ჯვრის გამოსახულებიანი მინის ადგილობრივი ნაკეთობის საკულტო ჭურჭელი (საინგ.№ 4-52) მცხოვაში

1941 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან (ტაბ.I₃) (დავლიანიძე 1967: 94-101; უგრელიძე 1967: 28,44). აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობაში გავრცელებას იწყებს ჯვრის გამოსახულებიანი საკინძები (ტაბ.I₄) (ტყეშელაშვილი 1957: 149-162; აფხაზავა 1988: 69-70; ჭილაშვილი 1964: 88-90, ჩიხლაძე 1999: 29,122) და ჯვრისფორმის ფიბულები (მცხეთა, ქინვალი, ალევი, აფხაზეთი) (ტაბ.II₁), რომელთაც მეცნიერები მეტნაკლები სხვაობით IV-IX სს. ათარიდებენ (Гунба 1978: 15-20,49-51,89-94; აფხაზავა 1979: 13-17; უგრელიძე 1967: 51), ხოლო 6. აფხაზავა ამგვარ ფიბულებს მათი გავრცელების არეალის მიხედვით საერთოდ ქართულ მოვლენად მიიჩნევს „ამ სიტყვის ფართო ისტორიულ-კულტურული გაგებით“ (აფხაზავა 1979: 17,36).

აქ გვინდა შევჩერდეთ 2006 წელს წიწამურის ველზე, რესტორან „არაგვთან“ გამოვლენილ სამარხეულ ინვენტარზე, რომელიც აღმოჩნდა №101 ქვასამარხში³. სამარხი (გარეგანი ზომები: 120X80სმ) ნაგები იყო ოთხი ერთიანი ქვიშაქვის ფილით. სახურავიდან შემორჩენილი იყო აღმოსავლეთის ფილაქვა. სამარხში აღმოჩნდა სამი მიცვალებულის ძვლები – დაშლილი, რის გამოც ვერ მოხერხდა მათი სქესისა და ასაკის დადგენა. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ თავით დასავლეთისაკენ⁴. სამარხში აღმოჩნდა: 1. სანელსაცხებლე გამჭირვალე მინისა (ტაბ.II₂), სფერულტანიანი, მრგვალი, წაკვეთილი პირითა და ძაბრისებური, ტანისკენ შევიწროებული ყელით, სიმაღლე – 5,2სმ, პირის დმ – 1,2სმ, ყელის სიმაღლე – 2სმ, მუცლის დმ – 3,5სმ; 2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.II₃), ლურსმნისებურთავიანი, განივავეთში მრგვალი, წვეროსკენ თანაბრად შევიწროვებული, გატეხილია ორად, სიგრძე – 6,5სმ; 3. საკინძის თავი რკინისა (ტაბ.II₄), დაგვირგვინებულია მარჯნის ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებიანი მძივით, ღეროზე დასამაგრებლად შერჩენილი აქვს ბრინჯაოს ვარდული, სიგრძე – 2სმ; 4. ბეჭედი ვერცხლისა (ტაბ.II₅) პატინირებული, განივავეთში მრგვალი, ტანზე დარჩილული აქვს მალტური ტიპის ჯვარი (ჯვრის ერთი მხარე მოტეხილი იყო, ამჟამად აღდაგენილია), ბეჭდის გასწვრივ დარჩილული მკლავის სიგრძე – 6მმ, მკლავის სიგრძე – 3,5მმ.

ასეთი გამოსახულებიანი ბეჭდის აღმოჩენის ფაქტი ჩვენ უერსად მოვიძიეთ. საქართველოში აღმოჩენილია ბეჭდები, რომელთა ან ფარაქშია გამოსახული ჯვრები ან კიდევ თვლებზეა ამოკვეთილი (მაგალითად, სამთავროს ქვასამარხ №674-ში აღმოჩენილი IV ს. ბრინჯაოს ბეჭედი მინის თვლით (ინგ.№595) (ლორთქიფანიძე 1954: 56) და ალექს. №17 ქვასამარხიდან მომდინარე VII ს. I

ნახევრით დათარიღებული ბრინჯაოს ბეჭედი ასევე მინის თვლით (აფხაზავა 1988: 21-22), ამბოლაურში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან მომდინარე ბრინჯაოს ბეჭედი (VI ს. I ნახ.) (აფხაზავა 1979: 73), ალევის სამაროვნის №13 და №21 ქვასამარხებში აღმოჩენილი V-VI სს. ბრინჯაოს ბეჭდები (ტაბ. II₆) (აფხაზავა 1988: 18,23), ერწო-თიანეთის სოფ. იარაჯულების სამარხეულ კოლექციიდან ცნობილი ბრინჯაოს ბეჭედი (V-VI სს.) (ჯორბენაძე 1982: 62)), მაგრამ პირდაპირ ჯვრის გამოსახულება იყოს დარჩილული ბეჭდის ღეროზე, ასეთი შემთხვევა ჩვენთვის ცნობილ სამარხეულ მასალაში პირველია. ამიტომ, ბუნებრივია, ბეჭდის დასათარიღებლად განმსაზღვრელია ის ინვენტარი, რომელიც მასთან ერთად აღმოჩნდა სამარხში. 1. სანელსაცხებლები: ასეთი სფერულმუცლიანი, 6. უგრელიძის კლასიფიკაციით XV ტიპი გაერთიანებული, სანელსაცხებლები IV-V სს. სამთავროს სამარხებისთვისაა დამახასიათებელი და მომდევნო საუკუნეების საკრძალავებში აღიარ გვხვდება (უგრელიძე 1967: 34,46). მაგალითად, მსგავსი სანელსაცხებლე აღმოჩენილია სამთავროზე 1939 წ. გათხრილ IV ს. II ნახევრით დათარიღებულ №24 ქვასამარხში (Максимова 1950: 243; ნიკოლაიშვილი. . . 2000). 2. საკინძი: ამ ტიპის საკინძები ო. ტყეშელაშვილის კლასიფიკაციით I ჯგუფის I ტიპში შედიან, ისინი სამთავროზე I-III სს. სამარხებში უკვე ჩნდება, მაგრამ ფართოდ ვრცელდებიან IV-VI სს. ამის შემდეგ ისინი საგრძნობლად კლებულობს (ტყეშელაშვილი 1957: 149-151). ასეთი ლურსმნისთავიანი საკინძების უფრო კონკრეტულ თარიღს იძლევა 6. უგრელიძე, რომელიც მათ IV-V სს. სამარხთა (აღმოჩენილია №111 და №403 ქვასამარხებში) მახასიათებლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „შემდეგ საუკუნეებში ისინი სავსებით ქრება“ (უგრელიძე 1967: 50) 3. საკინძის თავი: ბროწეულის ნაყოფის ან ყვავილის გამომხატველი მარჯნის თვლიანი საკინძები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში თავსა და ბოლოში ბრინჯაოს გარდულები აქვთ დამაგრებული, საკინძების ფართოდ გავრცელებული ტიპია და მეცნიერთა ნაწილი მას VI-VIII სს. ათარიღებს (ტყეშელაშვილი 1957: 154; აფხაზავა 1979: 84-85; ჩიხლაძე 2005: 200-201), თუ საკინძის თავს VI ს. და შემდგომი ხანით დავათარიღებთ, მაშინ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკინძი და საკინძის თავი, ისევე, როგორც საკინძის თავი და სანელსაცხებლე, ვფიქრობთ, წინააღმდეგობაში მოვლენ ერთმანეთთან. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, განსახილველი სამარხი V ს. ვერ უნდა გადასცილდეს.

ცალკე უნდა გამოიყოს IV საუკუნიდან ჯვრის, როგორც რელიგიური მრწამსის უცილობელი ნიშნის გამოსახულებების გაჩენა და გავრცელება

სამარხებზე. მაგალითისთვის დაგასახელებდით IV-V სს. დათარიღებულ №15 ამფორა-სამარხს პეტრა-ციხისძირიდან (ტაბ.II), რომლის ყელსა და მხარზე გამოწვამდე ამოკაწრულია ჯვარი ბერძნული ასოებით შედგენილ მონოგრამასთან ერთად (ინაიშვილი 1993: 95-97); სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე 1940 წ. გათხრილ ქვასამარხ №474, რომლის იატაკზე მოფენილ კრამიტაგან ერთი ჯვრის გამოსახულებით იყო შემკული (ტყეშელაშვილი 1955: 11); 1979 წ. წილკანში აღმოჩენილ IV-V სს. დათარიღებულ აკლდამას, რომლის არქიტრავზე გამოსახულია წრეში ჩაწერილი ბერძნული ჯვარი (ტაბ.III₂), ხოლო საკრძალავი სენაკის დასავლეთ კედელზე ოთხი ბერძნული ტიპის ჯვარია წითელი და შავი სადებავით შესრულებული (ტაბ.III₃) (აფაქიძე . . 1982: 200-202; ნიკოლაიშვილი 1983: 35-41); წიწამურში აღმოჩენილ V ს. დათარიღებულ ქვაყუთს, რომლის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახულია ბოლნური ტიპის ჯვარი (ტაბ.III₄) (Николаишвили 2007: 168-169; აბუთიძე . . 1999: 27-28); 1981 წ. დმანისის რაიონის სოფ. იაყუბლოში აღმოჩენილ ქვის სარკოფაგს (V-VII სს.), რომლის დასავლეთ კედელს ამკობდა ბოლნური ჯვრის გამოსახულება (კოპალიანი 2001: 303-309); ურბნისში ეკლესიის დასავლეთის მონაკვეთში აღმოჩენილ სარკოფაგს სახურავის ფასადზე მოცემული ჯვრის გამოსახულებით (ტაბ.IV₁) (ზაქარაია 1965: ტაბ.XLIV₁). ამავე ხანიდან მისი გამოსახულებები ჩნდება ბრტყელ, გვერდებაკეცილ კრამიტებზე – სოლენებზე (სოლენებზე ჯვრის გამოსახვის შემთხვევები ცნობილია ბიჭვინთიდან (ტაბ.IV₂) (აფაქიძე 1977: 223-248, სურ.506,561,563)), რომელთა შორის ახალი მონაპოვარი გვაქვს პეტრა-ციხისძირიდანაც: 2008 წ. აქ შიდა ციხის ტერიტორიაზე, ტაძრის სიახლოეს აღმოჩნდა ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები, რომელთა შორის რამდენიმე ჯვრის გამოსახულებითაა ამოღარული (ცხადია გამოსახულება გამოწვამდე დაიტანებოდა კრამიტის ზედაპირზე) (კვიციანი 2008). როგორც მკვლევარები შენიშნავენ, აღრეშუასაუკუნეებში საქართველოში კრამიტით გადაიხურებოდა ძირითადად საკულტო და განსაკუთრებული დანიშნულების შენობები (ჯღამაია 1980: 18-20).

V საუკუნიდან საქართველოში ჩნდება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ჯვრებიც, რომელთა ნაწილი ქრისტეს გამოსახულებას შეიცავს (ასეთი ჯვრები აღმოჩენილია ლიძაგაში (ბერძენიშვილი 2006: 44,140), ფიჭვნარის „ნაპურვალას სამაროვანზე, რომელიც ჯვარცმას გამოსახავს (ჩხაიძე 1980: 39-54). მარმარილოს ჯვარი გვაქვს ბიჭვინთიდან (ციციშვილი 1977: 104-105)). 1989-1992

წწ. განდეგილის მდგიმეში (სამხ. საქართველო) აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯვარი ქრისტეს გამოსახულებით, რომელსაც წინასწარულად V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ (ტაბ.IV3) (გაბუნია 2004: 5).

არანაკლები მნიშვნელობის გამოდგა 2001წ. დასავლეთ საქართველოში, ნოქალაქევის არქეოლოგიური აღმოჩნა. აქ, შესასვლელთან მიკვლეულ იქნა ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით, რომელიც თ. ყაუხეჩიშვილმა III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისით დაათარიღა (წარწერა იკითხება, როგორც „. . . ავრელიუსმა მიანიჭა. . . მონა (?) დვთისა“). დასავლეთ საქართველოს დედაქალაქში აღმოჩნილი ჯვრის ეს ნატები – ერთგვარი ინსიგნია ოფიციალური წრისა – ქვეყნის იდეოლოგიური ორიენტაციის მაჩვენებელი უნდა იყოს (ზაქარაია. . . 2002: 50-54).

2. მონუმენტური ძეგლები:

როდესაც ჯვარზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უნდა განვიხილოთ ტაძრის რელიეფებად მოცემული მისი გამოსახულებებიც, რომლებიც სტილისტურად, შესაძლოა, რამდენიმე ჯგუფად გაერთიანდეს: ლათინური ტიპის, ტოლმკლავა, ტოლმკლავა წრეში ჩაწერილი ჯვრები. პირველი ეკლესიებიდან მოყოლებული თითოეული მათგანი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს და არც ერთ, კონკრეტულ ადგილას არ ლოკალიზდება.

საქართველოში რელიგიური სიუჟეტებისა და კომპოზიციების განსაკუთრებულ ნაწილად და „სამკაულად“ იქცა ეწ. „ბოლნური ჯვარი“, რომლის სახელი მისი თავდაპირველი აღმოჩნის ადგილს, ბოლნისს დაუკავშირდა (ამირანაშვილი 1968: 29). ამ ტიპის ჯვრის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს ისტორია კონსტანტინე დიდის იმპერატორობას, კერძოდ 312 წელს უკავშირდება: როცა მეფე მაქსიმენსიუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, სიზმარში იხილა ჯვარი წარწერით „ამ ნიშნით გაიმარჯვებ“. იმპერატორმა სიზმრად ნანახი რჩევა მიიღო და შედეგად ბრძოლა მოიგო. ამის შემდეგ ეს ჯვარი გამარჯვების სიმბოლოდ იქცა (Голубцов 1917: 218-219), რომელსაც სამონეტო წარწერები ხაზგასმით მოიხსენიებდნენ როგორც ტრიუმფის, ძლევის სიმბოლოს (მაჩაბელი 1991: 82). ბოლნური ტიპის ჯვრების გავრცელების ტერიტორია ბიზანტიური სამყაროს ყველა რეგიონში აღინიშნება. განსაკუთრებით ხშირია ისინი კაპადოკიაში (Lucas 2003: 34).

საქართველოში „ბოლნური ჯვრების“ ფართო გავრცელების არეალს სამცხე, შიდა და განსაკუთრებით ქვემო ქართლი წარმოადგენს (ჯაფარიძე 1982; ჯავახიშვილი 1998; მაჩაბელი 1998; რამიშვილი 2008; მუსხელიშვილი 1941ბ; ყუბინაშვილი 1972), თუმცა ცალკეული შემთხვევები საქართველოს სხვა ადგილებშიც ფიქსირდება. მაგალითად, მისი გამოსახულება აღმოჩნდა 1966 წელს ქობულეთში, ბობოვათის სამნავიანი ბაზილიკის გათხრის დროს (ტაბ.IV₄) (ინაიშვილი 1974: 147, ტაბ.V₂), ბოლნური ჯვარი აღმოჩენილია ნოქალაქევის ჭიშკრის წინ გალავანთან (ტაბ.IV₅) (ზაქარაია 1981: 114, ტაბ.XXXX,2). მისი რამდენიმე რელიეფური გამოსახულება ცნობილია აფხაზეთის ძეგლებიდანაც: მრამბიდან (ტაბ.V₁), წებელდიდან, სოხუმის გორიდან (Хрущкова 1980: თაბ.XIX,1,3,XX,2,XXIII,1) და გაგრის V-VI სს. სამნავიანი ბაზილიკიდან (დიდებულიძე 1977: 16-26). ბოლნური მედალიონები წარმოდგენილია როგორც სტელა-ჯვრებზე, ისე ტაძრების ფასადებისა და ინტერიერის შემკულობის სახით.

იმ მონაცემთა გაანალიზებით, რასაც გვაძლევს ტაძრებისა და ქაჯვართა რელიეფები, მეცნიერები ე.წ. „ბოლნური ჯვრები“-ს რამდენიმე ტიპს გამოყოფენ: ჯვრის ფორმა მეტნაკლებად უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მედალიონი. ერთ შემთხვევაში იგი შექმნილია ცერადკვეთილი სამკუთხედებით შედგენილი წრით, რომელიც ზოგჯერ ორმაგია (ტაბ.V₂), მეორე შემთხვევაში წრეში ირიბი ჩაჭრებით გრეხილი რელიეფური ლილვია ჩასმული (ტაბ.V₃), მესამე შემთხვევაში მედალიონი კონცენტრული წრებით შედგენილ სადა ჩარჩოს წარმოადგენს (ტაბ.V₄), ხოლო სხვა შემთხვევაში წრეხაზებში ფოთლოვანი ორნამენტია მოთავსებული (ტაბ.V₅) (მაჩაბელი 1991: 87).

იკვლევს რა აღნიშნულ საკითხებს, კ. მაჩაბელი აღნიშნავს, რომ მედალიონში ჩასმული ჯვრის უმცირესი დუტალიც კი საგანგებო აზრის შემცველია. მაგალითად, სამკუთხედებით შედგენილ ჩარჩოს ის ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ სინქრონულ (კაპადოკიურ) ძეგლებთან აკავშირებს და თვლის, რომ ის დაკავშირებული უნდა იყოს ტოლგვერდა სამკუთხედის სიმბოლურ გაგებასთან – ქრისტიანულ სამყაროში ის სამების გამოხატულებას წარმოადგენს. თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ „სამკუთხედების მწერივით შექმნილი წრიული მოჩარჩოება ჯვრისთვის შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ორ წრეხაზს შორის ჩაწერილი ტეხილი ხაზი, რომელიც თავისი თანაბარზომიერი ნახატით გვირგვინის თავისებურ პროექციას წარმოადგენს სიბრტყეზე“. ამ

ვარაუდის გამოთქმის დასტურად ასახელებს მედალიონის მეორე სახეს, ოოცა ჩარჩო გრეხილი რგოლითაა წარმოდგენილი, ან მასში დაფნის გვირგვინის სქემატური სახე შეიმჩნევა (მაჩაბელი 1991: 90). მკვლევარი ამ მედალიონების „უშუალო წინაპრად“ მიიჩნევს არაგვისპირის სამაროვანზე გათხრილ №13, დიდებულის განსასვენებლად მიჩნეულ სამარხში⁵ (III-IV სს.) აღმოჩენილ ძოწითა და მინანქრით შემცულ ოქროს მედალიონს (ტაბ.V₆) (Рамишвили . . . 1976: 73), რომლის კომპოზიციის შუაში მოთავსებულია ოთხფურცელა ვარდული, ხოლო მის გარშემო კონცენტრულად განლაგებულია დეკორაციული წრეები, მათგან ერთი კი თავშექცევით აკინძულ სამკუთხედთა მწკრივია (მაჩაბელი 1991: 92-94; ჯაფარიძე 1982: 62). იმის გათვალისწინებით, რომ ცერადკვეთილ სამკუთხედებიან ჩარჩოში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრები „განსაკუთრებით გავრცელებულია ქვემო ქართლის VI-VII სს. სტელებზე“, კ. მაჩაბელი მის გამოყენებას ადგილობრივ სახელოსნოთა დამახასიათებელ ნიშნად თვლის (მაჩაბელი 1991: 94-95). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ტიპის ბოლნური ჯვრების გამოყენება სტელებსა თუ ტაძრის შემცულობაში სულ მცირე ერთი საუკუნით ადრე უნდა იწყებოდეს, რადგან ასეთი ტიპის ჯვრის გამოსახულებებს ბოლნისის სიონზე გ. ჩუბინაშვილი ტაძრის თანადროულად თვლიდა (Чубинашвили 1940: 182-184).

ასევე შეიძლება დასახელდეს ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ე.წ. „ლამაზი გორის“ სამონასტრო ანსამბლი, რომლის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა მომწვანო ფერის ტუფის სტელა (ამირანაშვილი 1968: 26-27). მის ერთ წახნაგზე რელიეფურად გამოსახულია დიდებულის პორტრეტი, ხოლო ზურგზე ამოკვეთილია ცერადკვეთილი სამკუთხედებისგან შექმნილ ორმაგ ჩარჩოში ჩასმული ჯვრის გამოსახულება (ტაბ.VI₁). გარდა აღნიშნული მედალიონის ბოლნისის სიონის მედალიონებთან სიახლოვისა, ჯ. ამირანაშვილი სტელის დამათარილებელ ნიუანსებად მიიჩნევდა დიდგვაროვანის თმის ვარცხნილობას და ტანსაცმლის დატალებს, რომლებიც V ს. დასაწყისზე მიანიშნებდა, ხოლო წარჩინებულის გამოსახვა საზეიმო ვითარებაში და ხელში სატევრით (ინსიგნიით), ასევე მისი პოზა, ამ პიროვნებას ნახევრად დამოუკიდებელ მმართველად წარმოაჩენდა⁶. ამ ნიუანსების გათვალისწინებით მკვლევარი ფიქრობდა, რომ ეს პიროვნება გარსქენ პიტიასში უნდა ყოფილიყო და ვინაიდან, ზოგადად ასეთი სტელა-ჯვრები სალოცავად და პიროვნების სულის საოხად იდგმებოდა, იგი მაზდეანობის მიღებამდე უნდა გამოესახათ (V ს. I ნახევარი) (ამირანაშვილი

1968: 32-34). თუ ამ მოსაზრებას გავუკეთოთ, მაშინ გამოდის, რომ „ლამაზი გორის“ ეს სტელა ერთ-ერთი პირველია, რომელიც ბოლნური ჯვრის გამოსახულებას შეიცავს.

რაც შეეხება მეორე გავრცელებულ სახეს ჯვრიანი მედალიონისას, კ. მაჩაბლის ხედვით, ეს გრეხილი ლილვებით შედგენილი წრეხაზები „წინაქრისტიანული ხანის სატრიუმფო გრილანდების თავისებურ სქემატიზაციას უნდა წარმოადგენდეს“ (მაჩაბელი 1991: 95).

ბოლნური ჯვრების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა სტელები, რომლებიც, მეცნიერთა თვალსაზრისით საკულტო-მემორიალურ ძეგლებს წარმოადგენდა, მათ ეკლესიისგან დამოუკიდებლად დგამდნენ, ზოგჯერ მის სიახლოეს და პირველ ხანებში მათთან წარმოებდა ღვთისმსახურება (მაჩაბელი 1998: 318; ჯავახიშვილი 1998: 5; ჩუბინაშვილი 1972: 34-35). მეორე მხრივ, კ. მაჩაბელის მოსაზრებით, ეს ძეგლები აზნაურთა სოციალური და კულტურული აქტივობის ილუსტრაციაც უნდა ყოფილიყო (მაჩაბელი 1998: 325-326). სტელების, როგორც საკულტო-მემორიალური ძეგლების გამოყენება ცნობილი უნდა ყოფილიყო მახლობელი ადმოსავლეთის ხალხებში უკვე დიდი ხნით ადრე, რისი საინტერესო მითოება ბიბლიაშიც მოიპოვება. მაგალითად, საინტერესო იაკობთან დაკავშირებული ამბავი: ხარანში მიმავალ იაკობს გზად ჩაძინების დროს „ესიზმრა მიწაზე კიბე დგას და თავი ცას სწვდება. უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე. აჲა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, დმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და დმერთი ისააკისა. ეს მიწა, რომელზედაც წევხარ, შენოვისა და შენი შთამომავლობისთვის მომიცია. . . აჲა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ. . . გამოიფხიზლა იაკობმა ძილისაგან და ოქვა: ნამდვილად უფალი ყოფილა ამ ადგილას, მე კი არ ვიცოდი! შეშინდა და ოქვა: რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა უფლის სახლი; ეს ცათა კარიბჭეა! ადგა დილაადრიან იაკობი, აიღო ლოდი სასოფლად რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა. უწოდა სახელად იმ ადგილს ბეთელი (სახლი ღვთისა)“ (დაბადება 28:12-19).

საქართველოში სტელების გავრცელება V საუკუნიდან იწყება და დამახასიათებელია შიდა და ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთისათვის, თუმცადა ცალკეული სახით გვხვდება კახეთშიც (მაგალითად, სოფ. ჭერემის წვეროდაბალის ეკლესიიდან (VI ს.) (Чубинашвили 1972; ჯავახიშვილი 1998: 25, ტაბ.I,14) და დაგით-გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრიდან (VI-VII სს.)

(Чубинашвили 1972; 90, таб.64-67)). ისინი შედგებოდა ქვის ბაზისა და სვეტისაგან, რომელიც ჯვრის გამოსახულებით ბოლოვდებოდა. კ. მაჩაბელის შენიშვნით: „აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში ლოკალიზებული ეს მცირე არქიტექტურულ-სკულპტურული ფორმები წარმოადგენს რელიგიური ხელოვნების ძეგლთა დამახასიათებელ ჯგუფს, რომელშიც ნათლად აისახა ქრისტიანობის ადრეული ხანის რწმენის თავისებურებანი“. ქვასვეტების ოთხივე წახნაგი გაიაზრებოდა ერთიან კომპოზიციურ მთლიანობად, რომლის ყოველი ელემენტი მნიშვნელოვანი იყო რელიეფურ სახეთა ანსამბლში. ამ გააზრებული კომპოზიციის არც ერთი დეტალი არ იყო შემთხვევითი და თითოეული ემსახურებოდა რელიგიური მცნებების ასახვას (მაჩაბელი 1991: 86-87).

საქართველოში აღმოჩენილი სტელებისა და ქვაჯვარების უდიდესი ნაწილი, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, მკვლევართა მიერ შესწავლილია და კატალოგის სახით გამოქვეყნებულიც. ამიტომ, ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში, რომლებიც გამოქვეყნებულ ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოიხსენიება. სამივე მათგანი ჩადგმულია ქვეშის ციხის ეზოში აშენებულ ეკლესიის კედელში*.

ქვეშის ციხე მდებარეობს ბოლნისის რაიონში, მდინარე მაშავერას მარცხენა ნაპირზე სოფლის მახლობლად გაშლილ ველზე ბუნებრივად ამოზიდულ თითქმის მიუვალ მაღალ კლდეზე. იგი სამშვილდიდან ტაშირისა და ზურტაკეტ-ჯავახეთის მიმართულების გზასაყარზე იდგა. ქვეში ციხესიმაგრის არსებობა წინაფეოდალური ხანიდან უნდა მოიაზრებოდეს. იგი VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული ქვეშის ხევის ცენტრი უნდა ყოფილიყო, რომელმაც IX ს. დმანისის გაქალაქების შემდეგ დაკარგა ხევის ცენტრის სტატუსი და შესაბამისად ქვეშის ხევს დმანისის ხევი ეწოდა (ბერძენიშვილი 1979: 45-46). XII ს. ბოლოს ქვეში მსახურთუხუცესს ვარდან დადიანს უკუთვნოდა (ქართლის ცხოვრება II, 1959: 49), რომელსაც 1191 წ. თამარ მეფის საწინააღმდეგო აჯანყებაში მონაწილეობისთვის ჩამოერთვა და თორელთა საგვარეულოს გადაეცა. მოგვიანებით ქვეშის ციხე ჯავახიშვილთა მამული ხდება. დაუდხანის მეფობის პერიოდში ქვეში – საბარათიანოს (გახუშტი 1973: 409), XVI-VIII სს. კი უკვე საორბელიანოს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე გახლდათ, სადაც XVIII ს. 40-იან წლებში მსაჯულთუხუცესმა ქაიხოსრო

* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი სტატია (დილმელაშვილი 2009: 636-643).

ორბელიშვილმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა* (ბერძენიშვილი 1979: 98-100).

ლ. მუსხელიშვილი ამ ციხის მონახულების შემდგა წერდა: „საზოგადოდ ეტყობა, რომ ციხეს არაერთგზისი შეკეთება განუცდია და არა მგონია, რომ აქ უძველესი ხანიდან იყოს რაიმე გადარჩენილი, გარდა შესანიშნავი, 1,50 მ-ის სიგანის კიბისა“ (მუსხელიშვილი 1941ბ: 35). ამ „შეკეთებული“ ციხის ეზოში დგას დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც ნაგებია ზედ კლდეზე მოყვითალო ფერის კვადრების, რიყის ქვებისა და აგურების მონაცვლეობით. პირველი შეხედვითვე ცხადი ხდება, რომ ახლანდელი ეკლესია ადრინდელი ეკლესიის ნანგრევებზეა აშენებული. ტაძარს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს გაკეთებული, რომლის კარნიზის თავზე ჩაშენებულია ტუფის რელიეფიანი კვადრი (ტაბ.VI₂). კვადრის ქვედა შუა ნაწილში გაკეთებულია გამჭოლი კვადრატული ჭრილი, მის ზემოთ მთელ სიბრტყეზე ამოჭრილია ორი პარალელური ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ჩანს, სხვა გვერდებზეც გადადიოდა. დარებს ზემოდან დატოვებული სივრცე გამოყენებულია ბოლნური მედალიონისა და ვარდულებისათვის. გამოსახულების შუაში მოცემულია ტოლგვერდა ჯვრის გამოსახულება, რომელსაც პატარა ბუნი აქვს და ჩასმულია სადა, ერთი რგოლით წარმოდგენილ მედალიონში. მის მარჯვნივ და მარცხნივ ამოკვეთილია თითო ოთხფურცელა ვარდული, რომელთაც ზემოთ და ქვემოთ ფურცლებს შორის ჩართული აქვთ კოპები. რელიეფი მთლიანად ავსებს მისთვის გამოყოფილ სივრცეს, უფრო მეტიც, ჩანს, ოსტატს გამოკვეთა დაუწყია მარცხენა მხრიდან და ვერ აუდია ზუსტი წერტილი, იმისთვის, რომ სივრცე თანაბრად გაენაწილებინა. ამიტომ, მარცხენა ვარდული შედარებით გაშლილია ვიდრე მარჯვენა, რომელსაც სივრცის უკმარისობის გამო მარჯვენა ფურცლების კიდეები ჩამოჭრილი აქვს. კვადრის ზედა მარჯვენა ნაწილი ჩამოტეხილია.

გამოსახულების მსგავს ბოლნური მედალიონის ჯვრებს ვხვდებით ბოლნისის რაიონის სოფ. ხაჩინიდან მომდინარე VI-VII სს. სტელის სვეტზე (ჯავახიშვილი 1998: 15, ტაბ.XX₃), დმანისის რაიონის სოფ. კაკლიანის სტელის კაპიტელზე, რომელიც VI ს. თარიღდება (ჯავახიშვილი 1998: 22, ტაბ.XL₁), დმანისის რაიონის სოფ. დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიის VI-VII სს. სტელის სვეტზე (ჯავახიშვილი 1998: 28, ტაბ.LVII₄). ხოლო რაც შეეხება ვარდულებს,

* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხილეთ ჯ. კოპალიანის მითითებული ნაშრომი (კოპალიანი 1999).

ასეთი ვარდულებით შედგენილი „ხუთანებით“ შემკულია ბოლნისის სიონის სანათლავის სამხრეთ-დასავლეთის კაპიტელი (Чубинашвили 1940: 177-179), ივრის სიონის (IV ს.) სვეტისთავი და საკურთხევლის იატაკის კარნიზი (რამიშვილი 1970: 39-40), ანალოგიურ ოთხფურცელა ვარდულებს ვხვდებით სვეტიცხოვლის ვახტანგ გორგასლის დროინდელი ტაძრის სვეტებზე, VI-VII სს. წრომის სტელის სვეტზე (ჯავახიშვილი 1998: 36, ტაბ.LXXXIV₃), ბოლნისის რაიონის ძეგლებზე: აკვანების (VI ს.) აფსიდის იმპოსტზე (რჩეულიშვილი 1948: 35, ტაბ.22), ბუჩქრაშენის ეკლესიიდან მომდინარე V-VI სს. I ნახევრით დათარიღებულ სტელის კაპიტელზე (ჯაფარიძე 1982: 92, ტაბ. XVIII; ჯავახიშვილი 1998: 9, ტაბ.IV₃), ბალიჭის VI-VII სს. სტელის სვეტის ფრაგმენზე (ჯავახიშვილი 1998: 18, ტაბ.XXVII₁), ბოლნისის რაიონის ორსაყდრების ქვემო ეკლესიის ბაზაზე (V-VI სს.) (ჯაფარიძე 1982: 82, ტაბ.XL).

რ. რამიშვილმა ამ „ხუთანებში“ ჯვრის პროტოტიპები დაინახა და მიიჩნია, რომ „ეს მეტად ორიგინალური მოტივი წარმოშობილი უნდა იყოს წრეში ჩასმული ე.წ. „ბოლნური“ ჯვრების ურთიერთმიჯრით“, რომელშიც „თავისუფლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ბოლნური ჯვრები და, პირიქით, ყოველ ბოლნურ ჯვარში შეიძლება ურთიერთგადამკეთ სეგმენტთა დანახვა“ (რამიშვილი 1970: 40).

ტაძრის შესასვლელის თავზე შიდა მხრიდან ჩაუდგამთ მოსერო ფერის ქვის სტელის სვეტი⁷, რომლის შუა ნაწილი გაშავებულია ცეცხლის ძლიერი ზემოქმედების გამოისობით (ტაბ.VI₃). ტაძრის ინტერიერი კირითაა შელესილი და შესაბამისად სტელაც შემოლესილია. სვეტის ზედაპირი მთლიანად რელიეფითაა დაფარული. სიუჟეტურად სივრცე გაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში, სვეტის ძირში, მოცემულია სამკუთხედებით წარმოდგენილი ოთხსაფეხურიანი კვარცხლბეკი, რომელზეც მაღალი ფეხით აღმართულია ჯვარი. კვარცხლბეკადა და ჯვრის ფეხს შორის გამოსახულია ორი ხე, რომელთა ფოთლები ზემოთკენაა მიმართული. ჯვარი წარმოადგენს გულჩაჭრილი სამკუთხედებით შედგენილ ჯვარს, რომელიც ჩასმულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით შექმნილ ჩარჩოში. სტელის მეორე ნაწილი იმეორებს პირველს: გამოსახულია ანალოგიური ბოლნური მედალიონი, რომლის ფეხი პირველ მედალიონზეა ამოზრდილი. მედალიონის მარჯვნივ და მარცხნივ სივრცე შევსილია ასევე მსგავსი ხებით, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი უკუღმა – ქვემოთქენ არიან მიმართულნი. სვეტის მესამე ნაწილში წარმოდგენილი რელიეფი პირველის მსგავსია: შუაში

მოცემული მედალიონის თავზე გამოსახულია ოთხსაფეხურიანი სამკუთხედებით წარმოდგენილი კვარცხლბეჭი, რომელზეც დანარჩენი ორის მსგავსი ჯვარია აღმართული. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მესამე ჯვარს მკლავებზე დამატებული აქვს კოპები. ჯვრის ფეხი ამ შემთხვევაში სადაა, რაც შეეხება ხეებს, ჯვრის ფეხის მარჯვენა მხარეს ზემოთკენ მიმართული, დანარჩენების მსგავსი მცენარეა გამოსახული, ხოლო მარცხენა მხარეს ყურძნის საკმაოდ მოზრდილი მტევნია (ტაბ.VI₄).

სტელის სვეტის რელიეფის ბოლნური მედალიონები მსგავსებას ამჟღავნებენ ბოლნისის რაიონში აღმოჩენილ სტელებთან: ბუჩურაშენის ეკლესიიდან მომდინარე V-VI სს. სტელის კაპიტელებთან (ჯავახიშვილი 1998: 9, ტაბ.IV₁,V₁), სოფ. ბალიჭის სტელის სვეტის თავთან (ჯავახიშვილი 1998: 10, ტაბ.VII₁), სათხის სტელის კაპიტელთან, რომელიც V-VII სს. თარიღდება (ჯავახიშვილი 1998: 10, ტაბ.VIII₁), მედალიონები თავისი კვარცხლბეჭებით მსგავსია ბოლნისის რაიონში დაფიქსირებული სტელის რელიეფისა (დათარიღებულია VIII-IX სს.) (ჯავახიშვილი 1998: 13, ტაბ.XVI₂), სოფ. ხაჩინის VI-VII სს. სტელის სვეტისა (ჯავახიშვილი 1998: 15, ტაბ.XX₃), დმანისის რაიონის დამბლუტისწყლის ხეობის VI-VII სს. დათარიღებული სტელის რელიეფისა (ჯაფარიძე 1982: 100-101, ტაბ.XXV₂; ჯავახიშვილი 1998: 28, ტაბ. LVII). რაც შეეხება ხეებს, ისინი მსგავსებას ამჟღავნებენ დმანისის რაიონის VI ს. დათარიღებული (ჯავახიშვილი 1998: 24, ტაბ.XLVI₁) და სოფ. ბაშქიჩეთის VII ს. სტელების (ჯავახიშვილი 1998: 26, ტაბ. LIII₃), სოფ. უაანგორის V-VI სს. ბაზისის (ჯავახიშვილი 1998: 30, ტაბ. LXI₂) რელიეფებთან. სტელის დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია კვარცხლბეჭის დეტალიც. VI ს. II ნახევარში სპარსეთთან ომში ჩართულმა ბიზანტიის იმპერატორმა ტიბერიუს II (578-582 წწ.) მოჭრა ფული კვარცხლბეჭე აღმართული ჯვრის გამოსახულებით, როგორც მომავალი გამარჯვების სიმბოლო. ეს ჯვარი კონსტანტინე I დიდის მონოგრამის ერთგვარ მემკვიდრედ მოიაზრებოდა და დიდი იმპერატორის მიერ კონსტანტინოპოლიში აღმართული ჯვრის გამოხატულებას წარმოადგენდა. მოყოლებული ტიბერიუს II დროიდან ბიზანტიური მონეტის რევერსზე მკვიდრდება რამდენიმე საფეხურიან (ზოგჯერ სამ, ზოგჯერ ოთხ ან ექვს საფეხურიან) კვარცხლბეჭებ, როგორც გოლგოთაზე აღმართული ჯვრის გამოსახულებები (Grabar 1984: 34-35;48-50). როგორც მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, კვარცხლბეჭებ აღმართული ჯვრების გამოსახვა რელიეფებზე დაკავშირებული უნდა იყოს სწორედ ამ მოვლენასთან (მაჩაბელი

1991: 101-102). ოუმციდა, საერთო სიუქეტური გადაწყვეტით, იმ მასალებზე დაყრდნობით რაზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდებოდა, ქვეშის ამ სტელას ანალოგი არ მოეძებნება. სვეტის რელიეფის სემანტიკასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაგონდება „ნინოს ცხოვრების“, „მოქცევად ქართლისავ“-ს და ლეონტი მროველის მონათხობი სამეფო წალკოგში მდგარი ლიბანის ნაძვის შესახებ, რომელზეც აზრდილი იყო ბაბილო – მაღლნარი და რომლისგანაც „დაიბადა“ „სვეტი ცხოველი“ („მოქცევად ქართლისავ“ 1963: 134,138; ლეონტი მროველი 1955: 93-94).

სამხრეთი კედლისავე კუთვნილია კარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სარკმლის გასწვრივ ასევე გარდიგარდმო დატანებული კიდევ ერთი მოსერო ქვის სტელის სვეტის ფრაგმენტი (ტაბ.VII₁). მისი ზედაპირი ჩარჩოშია ჩაჭრილი, ამ სივრცეში კი მოცემულია ორსაფეხურიანი სამკუთხედებით შედგენილი კვარცხლბეკი, მასზე მაღალი ფეხით აღმართულია აყვავებული ბოლნური მედალიონი. ჯვარი წარმოდგენილია გულჩაჭრილი სამკუთხედებით, რომელთაც შემოუყვება წნული ორნამენტით გადმოცემული მედალიონი. ფოთლები წარმოდგენილია ორი მოკლე, ქვემოთ მიმართული და ორი გრძელი ჯვრისკენ აწეული რელიეფური გამოსახულებით.

აღნიშნული სტელის ფრაგმენტი მეტ-ნაკლებ მსგავსებას ამჟღავნებს ბოლნისის სიონის VI-VII სს. (ჯავახიშვილი 1998: 13, ტაბ.VI₂), ბოლნისის რაიონის სოფ. ბალიჭის VI-VII სს. (ჯაფარიძე 1982: 37, ტაბ. LI₂; სინაურიძე 1985: 52-53, ტაბ.XXVI; ჯავახიშვილი 1998: 18, ტაბ.XXVII₂), საოთხის ეკლესიის VI ს. (ჯავახიშვილი 1998: 20, ტაბ.XXXIV₃), დმანისის რაიონის თეკენების ქვემო ეკლესიის V-VI სს. (მუსხელიშვილი 1941ბ: 38, ტაბ.VIII, სურ.15,16), სოფ. დემირბულაღის VI-VII სს. (Чубинашвили 1972: 100, таб.74,1; ჯავახიშვილი 1998: 21, ტაბ.XXXVI₁) და ყიზილ-ქილისას VI-VII სს. (ჯაფარიძე 1982: 81, ტაბ.XXXIV₁; ჯავახიშვილი 1998: 30, ტაბ. LII₃) სტელების რელიეფებთან.

ჩვენს მიერ მოძიებული პარალელების საფუძველზე, ვფიქრობთ, ქვეშის ციხის ეკლესიაში ჩატანებული ორი სტელის სვეტი VI-VII სს. ძეგლებს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო რაც შეეხება ტაძრის ფასადში ჩაშენებულ კვადრს ვარდულებისა და ბოლნური ჯვრის გამოსახულებით, იგი V-VI სს. რელიეფთა ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ქრისტიანობის ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან მოყოლებული ჯვარი თუ ჯვრის ფორმა იქცა ყველაზე გავრცელებულ გამოხატულებად, რომელმაც მოიცვა

ადამიანის ოოგორც პირადი მოხმარების ნივთები, ისე საკულტო ძეგლები თუ საგნები. ასეთი მრავალფეროვნება ფიბულებზე, ბეჭდებზე, საკინძებზე, გულსაკიდებზე, საკულტო ძეგლებსა და საკრძალავებზე ერთი მხრივ მფლობელთა და მოსახლეობის ქრისტიანობის უცილობელი განცხადება იყო, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის იდეოლოგიური ორიენტაციის მაჩვენებელი.

თავი II

ქრისტეს მონოგრამა და ქრიზმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ საუკუნეებში გარემო სიტუაციის გათვალისწინებით ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ სიმბოლოებში დაემალათ თავისი დოგმატები. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიმბოლო იყო ქრისტეს მონოგრამა. 6. პოკროვსკი მისი შექმნის იდეის დაბადებას უძველესი დროიდან საბჭდავებზე, ბეჭდებსა და სხვა საგნებზე მონოგრამების გამოსახულებათა ტრადიციას უკავშირებს და მისი პირველი გამოსახულებების გაჩენას III ს. დასაწყისით ათარიღებს. თავდაპირველად „X“ ისახება, რაც განასახიერებდა როგორც ქრისტეს, ისე ჯვარცმის ჯვარს. III საუკუნეშივე „X“-ს შუაში ემატება ასო „I“ და მონოგრამა „იესო ქრისტეს“ შინაარსს იძენს. III-IV საუკუნეებში „X“-ს ზედ ედება „P“ და ამგვარად, მონოგრამა დასრულებულ სახეს იღებს – ✧. მხოლოდ ქრისტიანს შეეძლო ამ მონოგრამაში ამოეკითხა ქრისტეს სახელი და ის ჯვარი, რომელზეც უფალი აცვეს, სხვა დანარჩენთათვის ის უბრალოდ ინიციალებს წარმოადგენდა. ალბათ, სწორედ ამის გათვალისწინებით კლუკოვნიკოვა ფიქრობს, რომ შესაძლოა ამ მონოგრამის გაჩენა უკავშირდებოდეს აპოკალიფსის სიტყვებს: „გამარჯვებულს მივცემ მის თეთრ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ არ იცის, გარდა მიმღებისა“ (გამოცხადება 2:17) (Луковникова 2004: 3).

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ ასეთ მონოგრამას ხშირად გამოსახავდა მონეტებზე კონსტანტინე დიდი, ამიტომ მას მეორენაირად კონსტანტინეს მონოგრამასაც უწოდებენ. ამ მონოგრამის ყველაზე უფრო გავრცელებული სახე, ამასთან გართულებულიც სწორედ კონსტანტინე დიდის ეპოქას მიეკუთვნება – ✧ (Фрикен 1877: 137; Покровский 2000: 37-38; Луковникова 2004: 3). მას გამოსახავდნენ როგორც პირველი ეკლესიის მოზაიკებში, ასევე მხატვრობაშიც. განსაკუთრებით ხშირია მონოგრამის გამოსახვის შემთხვევები სარკოფაგებზე (როგორც მოზაიკის ისე რელიეფის სახით), რაც პირდაპირ უკავშირდებოდა გარდაცვლილის სულის ქრისტეში განსვენების იდეას (იხილეთ: Koch 2000; Duval. . . 1978).

IV საუკუნიდან ჩნდება მონოგრამის მესამე ფორმა – ♐, რომელიც ეგვიპტიდან უნდა გავრცელებულიყო რომის აღმოსავლეთ პროვინციებში. ამავე

საუკუნის შუა ხანებიდან კი მონოგრამის ეს ფორმა უკვე იმპერიის დასავლეთ ნაწილშიც ჩანს ფეხმოკიდებული. IV-V საუკუნეების მანძილზე იგი თანაარსებობს კონსტანტინეს მონოგრამასთან ერთად (Фрикен 1877: 140,148-151), რაზეც მიანიშნებს აღნიშნული პერიოდით დათარიღებული სარკოფაგები რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციიდან. მაგალითად, კონსტანტინეს მონოგრამა გამოსახულია IV-V საუკუნეების სარკოფაგებზე ბურგონიდან (ესპანეთი) და ტულუზის სამაროვნიდან, რომელიც მელეაგრის სარკოფაგის სახელითაა ცნობილი (Baratte 2005: 42-49), V ს. შუა ხანების წმინდა ბარბატიანუსის სარკოფაგზე და სხვა (Koch 2000).

საქართველოში ქრისტეს მონოგრამების არსებობის მხოლოდ სამი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი (ბიჭვინთის მოზაიკა, ბეჭდები ახალი ეინვალიდან და უინვალის კატაკომბიდან). აქედან, ორი ადრექრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული და კარგად ცნობილი ფორმაა, ხოლო მესამე პირიქით – საკმაოდ იშვიათი შემთხვევა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ოქროს სანეკე ბეჭდები ჩასმულ მუქი წითელი იასპის მრავალწახნაგა საბეჭდავს, რომელიც აღმოჩნდა ერწოს ველზე, ქუშანაანთ გორის სამაროვნის III ს. მიწურულით დათარიღებულ №1 სამარხში⁸. ინტალიოზე (ტაბ.VII) ამოკვეთილი მონოგრამა, რ. რამიშვილის მითითებით, იკითხება როგორც „Iesus Christos Palma Emeritta“. მ. ლორთქიფანიძის მითითებით მონოგრამა შემოტანილია, მაგრამ საიდან – ეს გაურკვეველია (რამიშვილი 1979ა: 36,95; რამიშვილი 2001: 98-99). ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი აღმოჩნდა უინვალში, ქრისტიანული პოზით – გულადმა გაშოტილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით დაკრძალული ადამიანის სამარხში, რომელსაც თან ახლდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარი. სწორედ ამის გამო, მკვლევარმა იგი ერისთავის რანგის დიდებულად მიიჩნია (რამიშვილი 1979ა: 30-38).

ადრექრისტიანულ პერიოდზე მომუშავე მეცნიერები არაერთგზის შენიშნავდენენ, რომ ქრისტიანული ხელოვნება პარალელურად და ერთნაირი ფორმითა და ფასეულობებით იბადებოდა ანტიკური სამყაროს ყველა რეგიონში (Bisconti 2002: 33). ხოლო რომის კატაკომბებში მკვეთრად გამორჩეულმა სამარხებმა, რომელთა მარმარილოს ქვებმა რელიეფური სიუჟეტებით დღემდე მოაღწია და მათგან მკვეთრად განსხვავებულმა ღარიბულმა საკრძალავებმა, რომლებიდანაც მხოლოდ მინის პატარა ჭურჭელი და თიხის ჭრაქები შემოგვრჩა (Bisconti 2002: 39), ცხადად აჩვენა, რომ ქრისტიანობა მეტნაკლები თანაფარდობით

ფეხს იკიდებდა როგორც საზოგადოების დარიბ ფენებში, ისე მდიდართა და შესაბამისად, წარჩინებულთა შორის. ვფიქრობთ, ამ ვითარების გამოხატულებასთან უნდა გვქონდეს საქმე საქართველოშიც. ამის დასტური არა მხოლოდ აღნიშნული სამარხი №1-ა, არამედ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ზანდუკლიანთ ნავენახარის ტერიტორიაზე გათხრილი III-IV საუკუნეთა მიჯნის №5 სამარხიც, რომელთაც მეცნიერი ერისთავის რანგის მიცვალებულთა საკრძალავად მიიჩნევს.

მიცვალებულთა დაკრძალვა ქრისტიანული პოზითა და ამასთან ამ სამარხებში ქრისტეს მონოგრამიანი და ჯვრის გამოსახულებიანი ბეჭდების, ე.ი. ქრისტიანულ სიმბოლოებიანი ნივთების აღმოჩენა იმის დასტური უნდა იყოს, რომ აღნიშნულ პერიოდში ქრისტიანობის გავრცელება საზოგადოების არა მხოლოდ დაბალ, არამედ მაღალ, მათ შორის სახელისუფლებო წრეებშიც მიმდინარეობდა. აღნიშნულმა სამარხებმა მეცნიერთა ნაწილს აფიქრებინა, რომ შესაძლოა, III საუკუნისათვის ქრისტიანობა ერთგვარი პრივილეგირების ნიშანიც კი ყოფილიყო (რამიშვილი 1979: 58,95).

გარდა სამარხებისა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე მისი გავრცელება საზოგადოების მაღალ ფენებში ფიქსირდება „მოქცევად ქართლისად“-სა და ლეონტი მროველთანაც. მაგალითისათვის დავასახელებდით ლეონტი მროველის ნაშრომში ჩანართის სახით მოცემულ ისტორიას აწყურის ქვრივი მთავრის შესახებ, რომელმაც მას შემდეგ რაც ანდრია პირველწოდებულმა შვილი მკვდრეთით აღუდგინა, „პრწმენა უფალი იესო ქრისტე, და ნათელს-იღო დედაკაცმან ძითურთ და ყოვლით სახლეულით თვისით“ (ლეონტი მროველი 1955: 39-40). ასეთივე დიდგვაროვანი გახლდათ „მოგვი მთავარი ხუარა“, რომელმაც სასწაულებრივი განკურნების შემდეგ მიიღო ქრისტიანობა („მოქცევად ქართლისად“ 1963: 131-134; ლეონტი მროველი 1955: 106-108).

რაც შეეხება მონოგრამის პირველ შემთხვევას (ე.წ. კონსტანტინეს მონოგრამას), იგი წარმოდგენილია ბიჭვინთის ტაძრიდან. იატაკის მოზაიკის ეს დეტალი შემორჩენილია საკურთხეველში (ტაბ.VII₂). იმის მიხედვით რაც შემორჩა, მოზაიკა წარმოადგენდა გეომეტრიულ ჩარჩოში ჩასმულ რთულ კომპოზიციას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა, მაგრამ ერთი მთლიანი არსის მატარებელი იყო: ამ გეომეტრიული ჩარჩოს შუაში ჩაწერილია კიდევ ერთი თეთრი კვადრატი, რომლის ორ კიდეზე შემორჩენილია მტრედისა

და ბროწეულის ყვავილოვანი რტოების გამოსახულებები (მათგან ერთ მტრედს რტო ნისკარტით უჭირავს). როგორც ჩანს, ასეთივე უნდა ყოფილიყო კვადრატის დანარჩენი უკვე წაშლილი ორი გეერდიც. კვადრატის ცენტრი უკავია გრეხილი ჩარჩოთი წარმოდგენილ დიდ მედალიონს, რომელშიც ჩასმულია ჯვრის უძველესი გამოსახულება – ქრისტეს მონოგრამა: ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ბერძნული ასოები „X“, „I“ და „P“. მონოგრამის ზედა ნაწილი წაშლილია, მაგრამ ასოების შემორჩენილი სამი კიდით თუ ვიმსჯელებთ იგი მონოგრამის დასრულებულ, გართულებულ ფორმას უნდა გამოსახავდეს. ქრიზმის მარჯვენა მხარეს ჩაწერილია ბერძნული ასო „ω“ (ომეგა). როგორც ჩანს, მარცხენა მხარეს უნდა ყოფილიყო ბერძნული ანბანის პირველი ასო „α“ (ალფა), რაც დვთის კიდევ ერთი გამოხატულებაა მომდინარე სიტყვებიდან: „მე ვარ ანი და ჰოე“ (გამოცხადება 1:8). გეომეტრიულ და მონოგრამიან კვადრატებს შორის სივრცეში წარმოდგენილია მცენარეული აკანთის ფოთლების ორნამენტი, რომელშიც მედალიონის ქვეშ სამხრეთ–დასავლეთ კიდეში მოცემულია ძროხისა და ხბოს გამოსახულება და ხუთ სტრიქონიანი ბერძნულენოვანი წარწერა. თ. ყაუხებიშვილი ამ წარწერას კითხულობს როგორც „ქ. სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლისა მისისათვის“ (ყაუხებიშვილი 1999: 59-60). მსგავსი ტიპის წარწერებსა და იმაზე დაყრდნობით, რომ მოზაიკის ქვეშ სამარხის გამართვის ფაქტი არ დაფიქსირდა მკვლევარი წარწერას საამშენებლოდ მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ორელი უნდა ყოფილიყო წარჩინებული პირი, რომელმაც თუ მთელი ძეგლი არა, მოზაიკური იატაკი მაინც გააკეთებინა. მკვლევარი წარწერას ათარიღებდა V-VII საუკუნეებით, თუმცა, არ გამორიცხავდა მოზაიკის თარიღის მხედველობაში მიღებით მის კიდევ უფრო ვიწრო პერიოდით განსაზღვრას (ყაუხებიშვილი 1955: 78; ყაუხებიშვილი 1978: 224-228; ყაუხებიშვილი 1999: 60).

ლ. მაცელევიჩი იმის გათვალიწინებით, რომ წარწერა ქრიზმასთან ერთად იყო მოცემული, რომელიც წამებულისადმი მიძღვნილი უნდა ყოფილიყო, მას მოსახსენიებელ დატვირთვას აძლევდა (Мацулевич 1956: 148). შ. ამირანაშვილი სამარხის წარწერად მიიჩნევდა (ამირანაშვილი 1961: 117), ი. ციციშვილი ერთი მხრივ ორელს ტაძრის ქმნიტორად მოიაზრებდა, ხოლო მეორე მხრივ ფიქრობდა, რომ შესაძლოა მარტირიუმთანაც გვქონდა საქმე (ციციშვილი 1977: 90), ხოლო ვ. ლექვინაძე, გამომდინარე წარწერის და მთლიანად სიუჟეტის მდებარეობიდან, თვლიდა, რომ მოზაიკა იმას ეძღვნებოდა, ვის საპატივცემოდაც აიგო თავად ბაზილიკა, ხოლო, ვინაიდან ქმნიტორი ასეთი პატივით არ სარგებლობდა, ამიტომ

ტაძარი და მოზაიკა მიძღვნილი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მოწამისადმი, რისი შემთხვევებიც ადრექრისტიანულ პერიოდში არსებობდა (Леквинадзе 1970: 189-190). ასეთ მოწამედ კი იგი მიიჩნევდა ორენტის – წარწერაში მოხსენიებულ პირს, რომლის სახელითაც მოწამე ცნობილია ბერძნულ სვინაქსარში (Леквинадзе 1970: 190-191).

ქრისტეს მონოგრამა, მის გარშემო გამოსახული მტრედები ბროწეულის რტოვებით და ბერძნული წარწერა ერთმანეთთან რომ უნდა იყოს დაკავშირებული, ამაზე რომაულ კატაკომბებში დაცული გამოსახულებები მეტყველებენ. მაგალითად, დავასახელებდით 379 წლით დათარიღებულ სამარხს, რომელზეც „ა“ და „ω“ -ს შორის გამოსახულია ქრისტეს მონოგრამა, მათ გვერდზე მტრედია ნისკარტში მცენარის რტოთი, ხოლო ქვემოთ მოცემულია წარწერა გარდაცვლილის შესახებ. მთლიანობაში ეს სიუჟეტი გაგებულ უნდა იქნეს როგორც გარდაცვლილის მოსახსენიებელი (ლვთით, მშვიდობით განისვენე) (Уваров 2001: 147).

რაც შეეხება თარიღს, როგორც ნაშრომის შესაგალში აღვნიშნეთ, მეცნიერები ბიჭვინთის მოზაიკასა და თავად ტაძარს სხვადასხვა პერიოდით ათარიღებენ (Мацулевич 1978: 100-168; Леквинадзе 1970: 192; ციციშვილი 1977: 99; რამიშვილი 1999: 3-6).

ქრისტეს მონოგრამის მესამე ეტაპის გამოხატულებას წარმოადგენს უნგვალის კატაკომბაში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი მარიამ დვთისმშობლისა და ჩვილი იქსოს გამოსახულებით (ტაბ.VII₄). ქრიზმა წარმოდგენილია დვთისმშობლის საბრძანებელი სკამის ფასადზე, მოცემულია „X“ და „P“, ამათან „X“-ის მომრგვალებული თავი გახსნილია. მთელი რიგი მსგავსებების და გარემოებების გათვალისწინებით მკვლევარები ამ საბეჭდავს V ს. II ნახევრით ათარიღებენ (კავლელაშვილი. . . 1997: 85-96).

მონოგრამასთან ერთად საქართველოში გვხვდება ქრიზმის მეორე სახეც, რომელიც სახარებისეულ სიტყვებს დაეფუძნა და ფართოდ გავრცელდა ქრისტიანულ სამყაროში: „მე ვარ ანი და ჰოე, ის ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოვლისმპყრობელი“ (გამოცხადება 1:8), „მე ვარ ანი და ჰოე, დასაბამი და დასასრული. მე მივცემ მწყურვალს უსასყიდლოდ სიცოცხლის წყლის წყაროდან“ (გამოცხადება 21:6). ჩვეულებრივ ამ სიტყვებს ქრისტანულ სიმბოლიკაში გამოსახავდნენ ბერძნული ანბანის პირველი და ბოლო ასოებით „ა“ და „ω“-თი. მისი გამოსახულებები რომის კატაკომბებში არაერთია

დაფიქსირებული, როგორც კედლის მხატვრობაში, ასევე სარკოფაგების რელიეფებში.

საქართველოში მისი ერთ-ერთი ადრეული გამოსახულება, რომელიც ბიჭვინთის ტაძარში მონოგრამასთან ერთადაა წარმოდგენილი, უკვე ვახსენეთ. გარდა ამისა, ქრიზმის გამოყენების ფაქტები დაფიქსირებულია კიდევ ორ ძეგლზე – წილკნის აკლდამასა და მცხეთის ანტიოქიის ტაძრის საამშენებლო წარწერაში.

1979 წ. წილკანში, აღმოჩნდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გამართული აკლდამა (IV-V სს.), რომელიც ოთხკუთხა საკრძალავია თავისი დრომოსით. აკლდამაში ქრისტიანული წესით დაკრძალული იყო 8 სუდარაში გახვეული მამაკაცი * (აფაქიძე, . . . 1982: 200-201; ნიკოლაიშვილი 1983: 35-41). აკლდამის დასავლეთ კედელზე წითელი და შავი საღებავებით შესრულებული ბერძნული წარწერის მიხედვით („მე, ტიკასმა და ბერმა, ჩემმა ამბა ფარანუსესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისგან ჩვენთვის. პაპირიუპასი (?), ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“ (ყაუხებიშვილი 1982: 137)) აკლდამა ვინმე ტიკასს (რომელიც, თ. ყაუხებიშვილის შენიშვნით, იმდენად ცნობილი პირი ყოფილა, რომ მისი ვინაობის მითითება საჭიროდ არ მიუჩნევიათ) და მონასტრის წინამდღვარ ფარანუსესს აუშენებიათ (გაბ. III₃). იგი განკუთვნილი ყოფილა ოთხი ადამიანისათვის, თუმცა მცირე ინტერვალის შემდეგ კიდევ ოთხი დაუკრძალავთ. ოთხ სტრიქონიანი წარწერა ერთგვარად ჩასმულია ოთხ ქრიზმაში: ერთი გამოსახულია წარწერის თავთან – შავი საღებავით მოცემული ჯვრის მკლავებს ქვეშ წითელი საღებავით მიწერილია „ა“ და „ო“. დანარჩენი სამი, წითელი საღებავებით შესრულებული ქრიზმები მოცემულია წარწერის ქვემოთ. მათგან შუალა პირველის მსგავსია, მარცხენას აკლია „ა“, ხოლო მარჯვენა ქრიზმიდან შემორჩენილია მხოლოდ ჯვარი. თ. ყაუხებიშვილი თვლის, რომ წარწერაში ქრიზმათა რაოდენობა რაიმეს განმსაზღვრელი არ არის და ისინი ქრისტიანული წარწერებისთვის დამახასიათებელ ატრიბუტ თრნამენტს წარმოადგენს (ყაუხებიშვილი 1982: 134-148; ყაუხებიშვილი 2000: 214).

წარწერის თავსა და ბოლოში გამოსახული ქრიზმები, ვფიქრობთ, სწორედ აკლდამის პატრონთა შესაბამისად უნდა იყოს მოცემული (აკლდამა თავიდან ხომ სწორედ ოთხი პიროვნების საკრძალვად იყო მოაზრებული), როგორც მათი

* აკლდამაში ერთადერთი ნივთი აღმოჩნდა: სამნაწილიანი სანათური (ყაუხებიშვილი 1982: 134).

მშვიდობით განსვენების ნიშანი, როგორც ეს ხშირად გვხვდება რომაულ კატაკომბებში. ამ თვალსაზრისით, ალბათ, შორს არ უნდა იდგეს ბიჭვინთის ჩვენს მიერ განხილული მონოგრამიანი სიუჟეტიც.

1997 წ. მცხეთის ანტიოქიის ტაძრის რესტავრაციის დროს ზღურბლზე აღმოჩნდა ქვიშაქვის ფილა რელიფურ ჩარჩოში მოთავსებული ბერძნული წარწერით (ტაბ.VII₃), რომლის მიხედვითაც ფილა ანტიოქიის ტაძრის I ეტაპის აღმნიშვნელი უნდა იყოს და VI საუკუნეში უკვე მეორადი გამოყენებით უნდა ჩაედგათ ზღურბლში (ყიფიანი 1999: 22-24). წარწერის თარგმანი ასეთია: „ΑΩΑΩ გააკეთა აქილევსმა ხუროთა (ჰუფროსი) რომ არის. ავრელიოს აქოლიოსი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი . . . ზღუდით გამაგრება (ან – კედლით შემოზღუდვა). . . საბოლოო (ან – საუკუნო) ხსოვნა. არსპაკორესი“. წარწერა, მასში მოხსენიებული სხვა წარწერებიდან უკვე ცნობილი ავრელიოს აქოლისის და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით IV-V სს. დათარიღდა (ყაუხეჩიშვილი 1998: 6-7; ყაუხეჩიშვილი 2000: 230). ვფიქრობთ, დანარჩენი შემთხვევებისგან განსხვავებით, წარწერის თავში გამოსახული ქრიზმა ერთგვარი წინამორბედი უნდა იყოს მომდევნო საუკუნეებში წარწერათა თავში გაჩენილი ქანწილისა.

როგორც ზემო განხილულმა მასალამ უჩვენა, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული მონოგრამები პატრონთა ქრისტიანად განცხადების მანიშნებელია, რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წინა და შემდგომ პერიოდში ქრისტიანობის გავრცელება ვიგულისხმოთ როგორც საზოგადოების დაბალ ისე მაღალ ფენებშიც. იმაგე დროს, ვფიქრობთ, რომ ქრიზმათა ნაწილი (ბიჭვინთა, წილკანი) წარწერებში მოხსენიებულ პირთა მშვიდობით განსვენების ან უფლისადმი შეწყალების (მცხეთის ანტიოქია) შესათხოვრად უნდა მოვიაზროთ.

თავი III

თევზის სიმბოლო

თევზი, როგორც ქრისტიანული სიმბოლო, ამ ახალი მონოთეისტური რელიგიის გაჩენისთანავე ფიქსირდება. მისი გამოსახულებები უკვე I-II სს. რომაულ სარკოფაგებსა და კატაკომბებში გვხვდება (ვია პიგნატელის, პრისცილას (II ს.), კალიქსტეს (I ს.) კატაკომბები).

მსოფლიო ისტორიის მანძილზე თევზს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული დატვირთვა ეძლეოდა. მაგალითად, ძველ პალესტინელებში იგი ატარებდა სიმტკიცისა და სიცოცხლის წყლის დატვირთვას. ბიბლიური ფილისტიმელები თაყვანს სცემდნენ ღმერთს, თევზ – დაგონს, რომლის სახელი სიტყვა „dag”-იდან მოდის, რაც ძველებრაულში თევზს აღნიშნავდა. ქალდეველები ეთაყვანებოდნენ ღმერთ-თევზს – ოანქეს, რომელიც ადამიანის პირველ მოძღვრად ითვლებოდა. ძველებრაელებისათვის იგი სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა* (Tristan 1996: 89-90).

გარდა იმისა, რომ თევზის პულტი კარგადაა ცნობილი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში (მაგალითად, იმერეთში თევზის ქალდვთაება ლარსას არსებობა, რომელიც დალის თანატოლი ღვთაება ჩანს, თრიალეთში თევზებისადმი შვილიერებისათვის ლოცვა-გედრება და სხვ. (ჩიტაია 1941: 318)), ის კარგადაა წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალითაც. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან თევზის გამოსახულებები გვხვდება როგორც სკულპტურული, ისე გრავირებული სახით. კოლხურ-იბერიულ კულტურაში მის არსებობაზე მეტყველებს კოლხური ცულების, სამთავროს ბრინჯაოს სარტყლის მორთულობები. აქ თევზების გამოსახვა ირმების, ხარისა და მგელ-ძაღლის კომპოზიციებში, ლ. ვანცხავას აღნიშვნით, ხაზს უნდა უსვამდეს ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტის, როგორც მიწიერ ისე წყლისმიერ ბუნებას. კოლხური ცულების კვლევის შედეგად მკაფევარი მივიდა იმ დასკვნამდვ, რომ თევზი, ისევე როგორც ირემი, „ბუნების დიდი დედის” უძველესი ზოომორფული სახეა (ფანცხავა 1988: 46).

* თევზის სიმბოლოს საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი სტატია (დილმელაშვილი 2001: 65-68).

გარდა კოლხური ცულების და სარტყლებისა თევზის კულტი დადასტურებულია საუკუნის მიწურულს შესწავლილი ნარეკვავის სამარხების ინვენტარშიც. საინტერესოა, რომ ოთხ სამარხში წარმოდგენილი თევზის გამოსახულებების რიცხვი ოცს შეადგენს. ესენია ბრინჯაოს თევზის საკიდები თავისი ყუნწით, რომლებიც საკმაოდ რეალისტური ნამუშევრებია. ისინი თევზის სხვადასხვა ჯიშის გამოსახულებებია, რომელშიც მაგალითად, განირჩევა ციმორი (მეთევზეთა აღნიშვნით, თევზის ეს სახეობა იცის არაგვსა და მტკვარში). ამას გარდა, სამარხ №53-ში, რომელიც ასეთ 9 საკიდს ინახავდა, მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ ასევე კოლხური ტიპის ცული, რომელზეც მგელ-ძაღლებთან ერთად ორი თევზიცად გამოსახული. აღნიშნული სამარხები ზოგადად ძვ.წ. XI-V სს. თარიღდება (აფაქიძე 1999: 13,90,113; აფაქიძე 2000: 32,40). ასეთივე ტიპის თევზის გამოსახულებიანი საკიდები აღმოჩენილია იმავე პერიოდის (ძვ.წ. VII-VI სს.) ნიგვზიანის სამარხესა და საკულტო მოედანზეც (მიქელაძე 1985: 85-92).

ვფიქრობთ, თევზის კულტის არსებობა არც შემდგომ პერიოდში უნდა დავაყენოთ ეჭვის ქვეშ. ამ პერიოდის (კერძოდ, ელინისტური ხანის) მონაპოვართაგან გამოვყოფდით 1980 წ. ნასტაკისში გათხრილ №31 სამარხში აღმოჩენილ საკმაოდ საინტერესო საკიდებს*. მათგან ერთი (ინგ.№4896) წარმოადგენს სამკუთხა ძვლის ფირფიტაზე ჩამოკიდებულ ძვლისგანვე გამოთლილ თევზის ოთხ გამოსახულებას (უნდა ყოფილიყო 5, ერთი აკლია), რომლებსაც თვალები ჩამოსაკიდ რგოლად აქვთ გაგეთებული, ხოლო სხვულზე თვალიდან კუდამდე სამ-სამი პატარა კონცენტრული წრეები დაუყვებათ (ტაბ.VIII₂). მეორე (ინგ.№4897) საკიდი ბრინჯაოს წნული ლეროსგან დამზადებულ სამკუთხა საკიდს წარმოადგენს, რომლის შუაში ასეთივე ლეროს მართობია დაშვებული. საკიდს ასევე ხუთი რგოლი აქვს მირჩილული. მათგან ოთხზე შემორჩენილია ბრინჯაოს ორი ზარაკი (აქედან ერთი დაფანჯრულია), ეჭვი, და ძვლისგან გამოთლილი თევზის გამოსახულება – დანარჩენი თევზის საკიდების მსგავსი (ტაბ.VIII₁). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამავე სამარხში აღმოჩნდა ასევე ძვლისგან დამზადებული ფრინველის 14 საკიდი (ინგ.№4891),

* ნივთები ინახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დიდი მცხვთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში.

ვფიქრობთ, საფუძველი ექნება მოსაზრებას აღნიშნული ნივთების ნაყოფიერების კულტთან დაკავშირების შესახებ.

მიუხედავად თევზის კულტის არსებობისა წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში, ვერ ვიტყვით, რომ მას რაიმე წინაპირობა შეუქმნას ახალ ეპოქაში თევზის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გაგრცელებისათვის. მართალია, თევზის, როგორც ნაყოფიერების წარმართული სიმბოლოს არსებობის ფაქტორმა სხვადასხვა ხალხებში ერთგვარად უბიძგა ამ სიმბოლოს ქრისტიანულ რელიგიაში დამკვიდრებისაკენ, მაგრამ, ამის უპირველესი მიზეზი მაინც მის ბერძნულ სახელწოდებას და სახარებას უნდა დაგუკავშიროთ.

იქსოს სასწაულებმა ხუთი პურისა და ორი თევზის, შვიდი პურისა და რამოდენიმე თევზის გამრავლების, თუ გენესარეთის ტბაში თევზაობის ისტორიამ საფუძველი შეუქმნეს თევზის სიმბოლოს წარმოშობას, ხოლო მისმა ბერძნულმა სახელწოდებამ – „IXΘΥΣ“ – ხელი შეუწყო მის ფართოდ დამკვიდრებას: „IXΘΥΣ“ – ეს სიტყვა ქრისტიანებმა ხუთი სიტყვის აბრევიატურად აქციეს: „Иησοῦς Χριστος Θεοս Υιος Σωτήρ“, რაც ნიშნავს: იქსო ქრისტე ძე ღვთისა, მაცხოვარი. ამ სიმბოლოს მაცხოვართან კავშირის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნათელი გამოსახულება წარმოდგენილია რაგენის წმინდა აპოლონიის ტაძრის VI ს. მოზაიკაზე, სადაც ქრისტეს თავთან გამოსახული ჯგრის გერტიკალურ მკლავზე მოცემულია სიტყვა IXΘΥΣ (Bovini 1974: 99). ამდენად, თევზი ქრისტიანებისათვის რწმენის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. მას გამოსახავდნენ სარკოფაგებზე, კედლის მხატვრობაში, აკეთებდნენ პატარა გამოსახულებებს, რომლებსაც მკერდით ატარებდნენ (Уваров 2001: 180; Успенский 1997: 62).

გარდა ქრისტეს სიმბოლური გამოხატულებისა, თევზს კიდევ რამდენიმე დატვირთვით გამოსახავდნენ და თითოეული ეს მნიშვნელობა ისევე სახარებისეულ სიტყვებს ეფუძნებოდა. ის იყო მორწმუნეთა სიმბოლო, რაზეც ტერტულიანეც მიუთითებდა: „ჩვენ თევზები ვართ, რომელთაც IXΘΥΣ მიგვიძლვის, წყალში ვიბადებით და მხოლოდ წყალში ყოფნით გადავრჩებით“ (Tertullien 1852c: §1). იმავე დროს, კალისტეს კატაკლმბებში წარმოდგენილი თევზები, რომელთაც ზურგზე პურით სავსე კალათა უდგათ (მათ შორის ერთი ხუთი პურითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ექვსით) ევქარისტიის სიმბოლოა და ქრისტეს სასწაულების გამომხატველი. სხვა მოსაზრება პქონდა ა. ფონ ფრიკენს, რომელიც თვლიდა, რომ ამ სიუჟეტში მსხვერპლად შეწირული ქრისტე უნდა

დაგვენახა, რაღაც თევზის ზურგზე გამოსახული ჭურჭელი იმ ჭურჭლის მსგავსი იყო, რომელშიც დვინოს ასხამდნენ, ხოლო პური მოგვაგონებდა ებრაელების მიერ სპეციალურად გამომცხვარ წმინდანებისადმი მირთმეულ პურებს (Фрикен 1877: 99).

სამარხებზე თევზის გამოსახულება აქ განსვენებულის ქრისტიანობაზე მიანიშნებდა (მაგრამ თუ კი თევზი სამარხი ქვის თავში იყო მოთავსებული, რომელსაც შემდგებ წარწერა მოხდევდა, იგი უკვე ქრისტეს გამოხატულებას წარმოადგენდა) (Уваров 2001: 146,178).

ადრექრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული გახლდათ თევზი ღუზასთან ერთად ისე წარმოდგენილი, რომ მათი კავშირი ჯვარს ქმნიდა. ოდიოთანვე ღუზა, თავისი დანიშნულების გამო, იმედის, რწმენისა და სიმტკიცის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ამიტომაც, ქრისტიანობაშიც იგივე მნიშვნელობით გადავიდა, მაგრამ, როცა მას თევზთან ერთად გამოსახავდნენ, ზოგადად ის ჯვარცმულ ქრისტეზე მიანიშნებდა (Tristan 1996: 88-89; Покровский 2000: 35). კონკრეტულად კი, იმისდა მიხედვით თუ რაზე გამოსახავდნენ ამ ორ სიმბოლოს, სხვადასხვა შინაარსს იძენდა. მაგალითად, ბეჭდებზე მათი გამოსახვა ქორწინებას ნიშნავდა, ხოლო სარკოფაგებზე აღიქმებოდა, როგორც ქრისტეში გადარჩენილი მორწმუნე (Уваров 2001: 183; Tinh 1995: 98-99). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ამ სიმბოლოსი იყო ღუზის თავისკენ პირშექცეული ფორმით მოცემული ორი თევზი. ბეჭდებზე წარმოდგენილი ეს სიუჟეტი რწმენის საფარქვეშ ქორწინების გამოხატულება იყო (Фрикен 1877: 102). აღნიშნული სიმბოლო, როგორც მეცნიერები მიუთითებენ ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა. თუ კლიმენტი ალექსანდრიელისა და ტერტულიანეს სიტყვებით ვიმსჯელებთ, ახ.წ. II ს. იგი უკვე ფართოდ გავრცელებული სიმბოლო გახლდათ. კონსტანტინე დიდის მეფობის შემდგომი პერიოდიდან ის თანდათან გაქრობას იწყებს, და IV ს. შემდგომ ადარ გვხვდება (Tinh 1995: 98-99; სურგულაძე. . . 1981: 741-744; ბიბილური 1983: 51-52).

ქრისტიანებისთვის ამ სიმბოლოს აუცილებლობა და მნიშვნელობა იმდენად დიდი გახლდათ, რომ ისინი ყველაზე უფრო დიდხანს მის შინაარსს მალავდნენ. იმდენად დიდხანს, რომ ქრისტიანული სწავლების არც ერთი ავტორი IV საუკუნემდე არ იძლევა მის მთლიან ახსნას (რა თქმა უნდა, იმ ნაშრომების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია) (Фрикен 1877: 101; Уваров 2001: 177; Успенский 1997: 62; Покровский 2000: 44-45).

არქეოლოგიური მასალის მიხედვით თევზი, როგორც ქრისტიანული სიმბოლო საქართველოში გამოჩენას იწყებს ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან. ძირითადად, ესაა სხვადასხვა სამაროვანზე მოპოვებული გემა-ინტალიოები, რომლებიც თავისი გამოსახულების ტიპის მიხედვით შეგვიძლია ასე დავაჯგუფოთ:

1. თევზი, წარმოდგენილი სარდიონის თვლებზე სამთავროს 1939 წ. S №83 ქვაყუთიდან (III ს. მიწურული) (Максимова 1950: 256), მცხეთის №15 ქვაყუთიდან (III ს.) (ნიკოლაიშვილი. . . 2000).

2. ორი თევზი ერთმანეთის პარალელურად მოცემული მინის თვალზე ციხისძირის №2 ორმოსამარხიდან (III-IV სს.) (ინაიშვილი 1993: 86-88).

3. ერთ მხარეს მიმართული ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება. ასეთი გემები გვაქვს სვეტიცხოვლის III ს. დათარიღებული №17 თიხის ფილასამარხიდან (ტაბ.VIII₃) (სურგულაძე. . . 1981: 741-744), ჟინვალის II-III სს. დათარიღებული №156 მიწაყრილიანი ორმოსამარხიდან (ჩიხლაძე 1999: 79-80).

თევზის გამოსახულებიანი ბეჭდები აღმოჩენილია არმაზისხევის 1943 წ. გათხრილ №2 კრამიტსამარხში (I-III ს.) (აფაქიძე. . . 1955: 129-130; ლორთქიფანიძე 1958: 47-48), სამთავროს 1938 წ. S №29 თიხის ფილასამარხში (Максимова 1950: 259-260; ბიბილური 1983: 165-166), 1939 წ. N №24 ქვაყუთსა (Максимова 1950: 243; ნიკოლაიშვილი. . . 2000) და №970 ქვაყუთში (აფაქიძე. . . 2001: 27). ასევე ყათლანიხევის №1 და №2 II-III სს. ორმოსამარხებში (ხახუტაიშვილი 1964: 90-91). აღნიშნულ სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვა წინაქრისტიანულია (არმაზისხევის საკრძალავში მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთისკენ, მარჯვენა გვერდზე მოკრუნებული, სამთავროს სამარხთა შემთხვევაში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ თავით აღმოსავლეთისკენ (№970 სამარხი კი სულაც N-S დერძზეა გამართული), ხოლო ყათლანიხევის სამარხებში დაკრძალვა საერთოდაც წარმართულია) და არც სამარხეული ინვენტარია ამ მხრივ გამონაკლისი, რის გამოც დაზუსტებით იმის თქმა, რომ ეს გემა-ინტალიოები ქრისტიანულ სიმბოლოებს წარმოადგენენ, როცელია. მით უფრო, რომ ისინი უბრალოდ თითო თევზის გამოსახულებითაა მოცემული, რომლის სიუჟეტი წინაქრისტიანული სამყაროსთვისაც მახლობელი გახლდათ (Фрикен 1877: 103). სრულიად განსხვავებული ვითარებაა სამთავროს სამაროვნის 1976 წ. N უბნის №71 ქვასამარხსა (IV ს. I ნახევარი) (მანჯგალაძე 1985: 45-46) და 1939 წ. N უბნის №533 ორმოსამარხში (III-IV სს.) (აფაქიძე. . . 1982: 191-192;

მანჯგალაძე 1985: 89-90) აღმოჩენილ ორ სარდიონის გემა-ინტალიოსთან დაკავშირებით, რომლებზეც გამოსახულია ჯვრის ფორმის დუზა და მისი პირისკენ მიმართული ორი თევზი (ტაბ.VIII4). მიუხედავად იმისა, რომ ორივე სამარხეში მიცვალებულები (სამარხები ინდივიდუალურია) დაკრძალულნი იყვნენ გულალმა გაშოტილნი, მაგრამ თავით აღმოსავლეთისკენ, აღნიშნული გემები იმდენად აშკარა ქრისტიანული სიმბოლოს გამომხატველებია, რომ მიცვალებულები ქრისტიანებად უნდა მივიჩნიოთ.

იმ სამარხებიდან, რომლებიც თევზის ქრისტიანულ სიმბოლოებს შეიცავენ ერთი წევილადი (№15 სამარხი) და ერთიც კოლექტიური იყო (№83 სამარხი) და როგორც უმეტეს შემთხვევაში, ერთის გარდა სხვა მიცვალებულები ან შევიწროვებული იყვნენ (№15 სამარხი), ან თავით აღმოსავლეთით დაკრძალულნი (№83 სამარხი). ამას გარდა, ჩამოთვლილ სამარხთაგან №83-ში აღმოჩნდა ათენასა და ეროტის გამოსახულებიანი ბეჭდები, ხოლო №15,71 სამარხებში დაფიქსირდა საკრძალავი სარიტუალო გვირგვინის – ქორის ფურცლები (მანჯგალაძე 1985: 45-46; ბიბილური 1983: 169-170; ნიკოლაიშვილი. . . 2000). ქრისტიანული სიმბოლოების გვერდით ბერძნულ-რომაული ან წარმართული რელიგიის სიმბოლოიანი ნივთების აღმოჩენა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. განსაკუთრებით ეს ითქმის გემა-ინტალიოებიან ბეჭდებზე. როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში გემებს რამდენიმე დანიშნულება ჰქონდათ. მათ ერთ ნაწილს, მიაწერდნენ რა აპოტროფულ ძალას, ატარებდნენ როგორც ამულეტებს ავთ თვალისა და ძალისაგან დასაცავად (Максимова 1950: 230). ხოლო მეორე ნაწილს, გამოსახავდნენ რა მასზე დვთაებებსა და მასთან დაკავშირებულ წმინდა არსებებს, ატარებდნენ ამ დვთაებათა თაყვანცემისა და მფარველობის ნიშნად. ინტალიოების შემთხვევაში კი საჭმე ეხებოდა პირველ რიგში საბეჭდავს ე.ი. ინსიგნიას და როგორც სამკაული მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობით იხმარებოდა. შესაბამისად, მასზე დატანილ გამოსახულებებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (Максимова 1950: 238).

ახ.წ. III ს. ქრისტიანი მოსახლეობა ბერძნულ-რომაულ, წარმართულ დვთაებათა და მათ იპოსტაზურ გამოვლინებებს რომ ისევ მიმართავდა, ამაზე კლემენტი ალექსანდრიელის შენიშვნა მიუთითებს. იგი წერდა, რომ ქრისტიანებს შეეძლოთ გამოეყენებინათ საბეჭდავები, მხოლოდ იმ გამოსახულებებით, რომლებიც შეესაბამებოდნენ ქრისტიანულ სწავლებებს (ასეთები იყო თევზი,

მტრედი, გაშლილი იალქნიანი ნავი, ღუზა, ზღვის ნაპირზე მდგარი მებადური და სხვა) (Clément d'Alexanrie 1846: III,11).

თევზის გამოსახულებიანი გემები მოგვეპოვება ურბნისის სამაროვნიდანაც (ტაბ.VIII 5-6). ქ. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილ მასალებში მათი დაფიქსირების სამი (№55,109,183 სამარხები) შემთხვევა არსებობს და ყველა II-III სს. თარიღდება (მათგან №55 სამარხში აღმოჩენილი გემა წარმოდგენილია სარდიონის თვალზე ერთი თევზის გამოსახულებით, №109 სამარხიდან მომდინარე სარდიონის გემა კი ერთმანეთის თავშექცევით მოცემული თევზების გამოსახულებაა (ჯავახიშვილი 1972: 51,61)). აღნიშნული გემების შესწავლისას ქ. ჯავახიშვილმა ურბნისის თევზის გამოსახულებიანი გემა-ინტალიორები ზოდიაქოს ნიშნის გამომხატველად მიიჩნია, რომელთა ტარება თანავარსკვლავედთაგან მფარველობად აღიქმებოდა (ჯავახიშვილი 1972: 8). ამ გემებიდან ცალკე უნდა გამოიყოს 1960 წ. გათხრილ №183 სამარხში აღმოჩენილი სარდიონის თვალი, რომელიც გამოსახავს საკურთხეველზე დადებულ თევზს (ტაბ.VIII 6) (ჯავახიშვილი 1972: 77), მსგავსი სიუჟატები ადრექრისტიანულ სიმბოლიკაში საკმაოდაა ცნობილი კატაკომბებიდან, რაც კატაკომბების სიმბოლოებზე მომუშავე მკვლევართაგან ახსნილია, როგორც ეპქარისტიის გამოხატულება (Фрикен 1877: 113-115). ამიტომ, ვფიქრობთ, ეს გემა შესაძლოა ქრისტიანული სიმბოლიკის გამომხატველი იყოს.

საქართველოში აღმოჩენილი თევზის გამოსახულებიანი გემების განხილვისას მხედველობაში მივიღეთ მეცნიერთა ორივე იმ მხარის მოსაზრება, რომელთაგან ერთი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული თევზის გამოსახულებიანი გემები ქრისტიანული სიმბოლოებია (ვ. ნიკოლაიშვილი), ხოლო მეორენი თვლიან, რომ მხოლოდ ქრისტიანული საკრძალავი წესის ფიქსაციის შემთხვევაში შეიძლება მათ მიენიჭოთ ეს დატვირთვა (თ. ბიბილური). სამთავროს სამაროვნის უცნაურობის გამოისობით (ვგულისხმობთ სამარხთა დამხრობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ), ჩვენ დაგინტერესდით ზოგადად საქართველოში აღმოჩენილი თევზის გამოსახულებიანი ბეჭდები რა პერიოდის ძეგლებს წარმოადგენდნენ. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ სიმბოლოიანი გემები საქართველოში ახ.წ. I ს. ბოლოსა და II ს. დასაწყისიდან ჩნდებიან ვიდრე IV ს. ბოლომდე. ყველაზე ადრეულია გაურკვეველი წარმომავლობის რომაული გემა, რომელიც სახელმწიფო მუზეუმში ინახება დაგიდოგას კოლექციის შემადგენლობაში

(ლორთქიფანიძე 1969: 126; ლორთქიფანიძე 1967: 23). გარდა ამ შემთხვევისა, ყველა დანარჩენი გემა II-IV სს. თარიღდება (აქვე შევნიშნავთ, რომ მ. მაქსიმოვა სამთავროს 1939 წ. გათხრილ №24 სამარხში აღმოჩენილ გემას თევზის გამოსახულებით ძვ.წ I-ას.წ. I სს. ათარიღებდა (Максимова 1950: 243)).

თავისთავად იბადება კითხვა: რატომ ვრცელდება რომთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ საქართველოში ამ გამოსახულების გემები მაინცდამაინც I ს. ბოლოდან, მაშინ, როცა ისინი რომის იმპერიაში უფრო ადრიდანაა ცნობილი? მიუხედავად იმისა, რომ იმ სამარხებში დაფიქსირებულ მიცვალებულთა დაკრძალვის წესი, რომელშიც თევზის გამოსახულებიანი გემები აღმოჩნდა, არაა წმინდად ქრისტიანული* (რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ას.წ. პირველ საუკუნეებში მკაცრად კანონიზებული ქრისტიანული დაკრძალვის წესები ჯერ კიდევ არ არსებობდა), არ გამოვრიცხავთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ თევზის გამოსახულებიანი გემების ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირს.

აქეთ კიდევ ერთ დუტალზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ჟინვალის სამაროვანზე დაფიქსირდა. როგორც აღვნიშნეთ, №156 სამარხში⁹ აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი სარდიონის ოვალური თვლით, რომლის ზედაპირი სადად იყო დამუშავებული, მაგრამ თვლის ამოვარდნის შემდეგ გაირკვა, რომ სარდიონის თვალი ინტალიოს წარმოადგენდა (გამოსახულია დუზა და ორი თევზი) და უკუღმა იყო ჩასმული ბეჭედში. მსგავსი უცნაური ტიპის ბეჭდები ჟინვალის სამაროვანზე სულ შვიდი დაფიქსირდა (ისინი II-III სს. თარიღდება) და ყველა სხვადასხვა თემატიკისა: მითრა, გიგანტომანი, ხელის ჩამორთმევა, ნიკე. როგორც მეცნიერები შენიშნავენ, ინტალიოთა ასეთი გამოყენება უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში (ჩიხლაძე 1998გ: 22).

აღნიშნული ბეჭდების შესწავლის შემდეგ მ. ლორთქიფანიძემ გამოტქა მოსაზრება, რომ ოქრომჭედელ ხელოსანს ხსენებული ხერხი საგანგებოდ უნდა ჰქონოდა გამოყენებული, „რაც ბეჭდის მფლობელის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ და ალბათ, მის რწმენას დავუკავშიროთ. შესაძლოა, იგი ნივთს მაგიურ დანიშნულებას ანიჭებდა“. ვ. ჩიხლაძე ფიქრობს, რომ „შესაძლოა, ქრისტიანობის შემოსვლასთან დაკავშირებით მოდაში შემოდის სადათვლიანი

* ურბნისის ჩეენთვის საინტერესო სამარხები გამოუქვეყნებელია, ამიტომ ჩვენ დავეყრდენით ქალბატონ ქ. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რისთვისაც მას უდრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ბეჭდები. ხელოსანმა ღვთაებების შიშით მათი გადაშლა ვერ შეძლო და დაამუშავა ინტალიოს ზურგი და ისე ჩასვა თვალბუდეში. ბეჭდის მფლობელმა არ იცის, რომ ის გემიანია. ამ მოსაზრების გასამაგრებლად შეიძლება ის ფაქტი გამოდგეს, რომ ინტალიოების ნაწილი მეორადი დამუშავების დროს დაზიანებული და ჩამოტეხილია და ყველა თვალი გაუმჯირვალეა“ (ჩიხლაძე 1998გ: 22).

გარდა გემა-ინტალიოებისა თევზების სიმბოლოებით შემკულია ბიჭვინთის მოზაიკური პანო, სადაც მათი გამოსახვის კიდევ ერთი ტიპია წარმოდგენილი: ერთმანეთზე ისე გადაჯვარედინებული ორი თევზი (ტაბ.IX₁), რომ იქმნება ასო „X“. ასეთი სცენა ბიჭვინთაში ორია. მსგავსი სიუჟეტი გვხვდება ტუნისის Menzel Jahia-სა და Soukrine-ს, ლიბანის ქალდესა და სირიის უმ-ჰარტაინის ადრექტისტიანული ტაძრების მოზაიკაში (V-VI სს.) (Ghaliani 2001: 70-73; Olszewski 1995: 21,24). ზოგადად თევზის გამოსახულებიანი პანოები კი, რომელშიც თევზები სხვა სიმბოლოებთან ერთად ჩართულია გეომეტრიულ ფიგურებში, ერთ-ერთ ფართოდ გაგრცელებულ სიუჟეტს წარმოადგენდა. მაგალითად, იგი ცნობილია იერუსალიმის ამაღლების ტაძრიდან (Кондаков 1904: таб.LXI).

აღნიშნული, მეცნიერებაში კარგად ცნობილი მოზაიკის ნიმუშების გარდა ბიჭვინთის პანო ერთგვარ მსგავსებას პოულობს 2005 წ. მეგიდოში (ისრაელის ჩრდილოეთი) შემთხვევით აღმოჩენილი უძვლესი ეკლესის მოზაიკურ იატაკთან, რომელსაც მეცნიერები III ს. ათარიღებენ. მოზაიკის გეომეტრიული ხალიჩის შუაში, რვაწახნაგოვან ჩარჩოში მოცემულია მედალიონი, რომელშიც ერთმანეთის თავშექცევით ორი თევზია გამოსახული. პანოს კიდეზე შესრულებული ბერძნულენოვანი წარწერა იხსენიებს დიდებულ ქალბატონს აკეტუს (Aketous), რომელმაც ფული გაიღო ტაძრის მშენებლობისთვის უფლის, იგივე ქრისტეს სადიდებლად (Découverte. . . 2005).

თევზის ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებებში გამონაკლისია მისი სკულპტურული სახით ფიქსაცია ანაკოფიიდან (ახალი ათონი) (Хруშкова 1980: таб.XVII,2) და მრამბის ეკლესიიდან, რომელიც სქემატური და ნაკლულია (ბერძენიშვილი 2008: 37, ტაბ.II,4). რაც შეეხება ანაკოფიის ფილაქვას, იგი სარკმლის არქიტრავს წარმოაგენს, რომლის შუაში მოცემულია თევზი, ხოლო მის ორივე მხარეს – კვიპაროსები (ტაბ.IX₂), მსგავსად პალმისა რწმენის, გამარჯვებისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო (Хруშкова 1980: 27,

თან.XVII,2). სიუჟეტი, რომელსაც და ხრუშევა VI ს. ათარიღებს, ეპქარისტის გამოხატულებად უნდა იქნეს აღქმული.

აქეთ შევეხებით 2008 წ. ციხისძირში აღმოჩენილ ახალ მასალასაც, რომელიც ციხის გაწმენდით—სარესტავრაციო სამუშაოების დროს დაფიქსირდა ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში, ტაძრის სიახლოვეს*. ესაა სოლენის ტიპის კრამიტების ნატეხები, რომელთაც ექსპედიციის ხელმძღვანელები V ს. ათარიღებენ (კვიციანი 2008). ამ ნატეხებზე ყალიბით, კრამიტის გამოწვამდე დატანილია რელიეფური გამოსახულებები (ტაბ.IX₃). იგი წარმოადგენს რომბის ტიპის ფიგურას, რომლის ერთი გადაბმის კუთხეში რელიეფური ხაზები გადაჯვარედინებულია, ხოლო მის გვერდითა კუთხეებში მოპირდაპირე კუთხის გვერდები გრძელდება. ერთი შეხედვით გამოსახულება ძლიერ ჰგავს თევზის ფიგურას, როგორადაც იგი მიიჩნია ზ. კვიციანმაც (კვიციანი 2008).

ზოგადად კრამიტებზე რელიეფური გამოსახულებების დატანა (ვგულისხმობთ ჯვრებსა და ასევე წარწერებს) საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა. ჯვრის გამოსახულებიანი კრამიტები ჩვენ ზემოთ უკავ გახსენეთ, რაც შეეხება წარწერებს, ისინი ძირითადად ხელოსნისა ან მისი დამკვეთის საწყალობები და მოსახსენიებელი შინაარსის ძეგლებს წარმოადგენენ კრამიტებზე (ჯლამაია 1980: 47-56; ჭილაშვილი 1991: 22-24). ასეთი გამოსახულებიანი კრამიტები, როგორც წესი, საბულტო და განსაკუთრებული ზრუნვის ქვეშ მყოფი ძეგლების გადასახურად გამოიყენებოდა (ჯლამაია 1980: 19). როგორც ჩანს, არც ეს სოლენის ნატეხები უნდა იყოს გამონაკლისი. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ მასზე დატანილ თევზის გამოსახულებებზე (?) აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ურბნისში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი VI-VII სს. ფენიდან, რომლებსაც ახასიათებთ ნაკარი ხელოსნის ნიშნები და ჯვრის გამოსახულებები. ლ. ჭილაშვილი თვლიდა, რომ მათი სიმრავლიდან გამომდინარე, შესაძლოა, საქმე გვქონდა ხელოსნის სპეციფიკურ ნიშნებთან (ჭილაშვილი 1964: 114-116). სწორედ მათ შორის არის ერთი ნიშანი, რომელიც ძლიერ ჰგავს ციხისძირის სოლენების გამოსახულებებს (ტაბ.IX₅), იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ „ფარფლისებური შვერილები“ ურბნისში აღმოჩენილ ჭურჭლის ნიშანს უფრო გრძელი აქვს, ვიდრე ციხისძირისას. კრამიტებზე დატანილი ხელოსნის ნიშნები კი ისევე არაა უცხო საქართველოს სინამდვილისთვის, როგორც ჯვრისა და წარწერების არსებობა (ჯლამაია 1980:

* მასალისა და ფოტოების მოწოდებისთვის უდრმეს მადლობას მოვახსენებთ პ.ნ ზ. კვიციანს.

ტაბ.VI,XIV,XV,XVII-XIX). ამ ეტაპზე, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მსგავსი რელიეფური გამოსახულების კრამიტები საქართველოში აღმოჩენილი არაა და ამ მხრივ ციხისძირიდან მომდინარე ფრაგმენტები უდავოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ოეგზის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოები ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებულ სიმბოლოებად შეგვიძლია მოვიაზროთ, რომელიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, იქამდე, ვიდრე ქრისტიანობა გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა, ფართოდ გავრცელებულ და ერთ-ერთ უმთავრეს ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოადგენდა მთელს ქრისტიანულ სამყაროში. IV ს. შემდგომ კი, მას შემდეგ რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა საქართველოში, ამ სიმბოლომ ბეჭდებიდან საკულტო ძეგლებზე გადაინაცვლა.

თავი IV

ირმის სიმბოლო

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო!“ (ფსალმუნი 41,2) – დავით წინასწარმეტყველის ეს გალობა საფუძვლად დაედო ქრისტიანულ სიმბოლიკაში ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ირმის სახეს. ეკლესიისკენ სწრაფულ ადამიანთა გამოხატულებად ქცეულმა მისმა სიუჟეტებმა, თითქმის მთლიანად მოიცვა ბიზანტიის სამყარო. თუმცა, როგორც ჩანს, მისი სიმბოლოს ფართო გავრცელება (IV საუგუნიდან) მხოლოდ ეკლესიის მამათა განმარტებების შემდეგ უნდა დაწყებულიყო. რომაული კატაკომბების მხატვრობაში მათ იშვიათობას და წარწერებზე საერთოდაც არ დაფიქსირებას ა. უგაროვი იმით ხსნიდა, რომ ირემი არ აღიქმებოდა რაიმე განსაკუთრებული თვისების მქონე ცხოველად და მისი სიმბოლოს გაჩენა დაკავშირებული იყო მხოლოდ ფსალმუნის სიტყვებთან (Уваров 2001: 244-245). ზოგადად აღრექრისტიანულ ეპოქაში ამ ცხოველის გამოხატულებიანი სიუჟეტები სამი რედაქციითაა წარმოდგენილი: ირემი ან ირმები ფანგანთან, ხესთან ან ჯვართან. ასეთი სცენები უხვადაა როგორც სირია-პალესტინის, ისე იორდანიის, ტუნისის და ლიბანის ეკლესიებში (Bejaoui 2001b: 495-496; Bejaoui. . . 2001c: 1483-1496; Sodini 1970: 744,752; Olszewski 1995:21).

ახალი რელიგიის საწყის ეტაპზე მის გავრცელებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მსოფლიო ხალხთა რწმენებში ირმის კულტის არსებობამ, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებში, სადაც წარმოიქმნა და გავრცელდა ქრისტიანობა.

ირმის სიმბოლიზება პალეოლითის ხანაში იდებს დასაბამს. იგი პირველყოფილი ადამიანისათვის ნაყოფიერებასა და სიუხვესთან ასოცირდებოდა. პირველ სარკოფაგებზე, მეფეთა ოჯახებს შორის მისი გამოსახვა მიანიშნებდა, რომ იგი ცისა და მიწის დამაკავშირებლადაც მიიჩნეოდა – ირემი გარდაცვლილ სულთა წინამდოლი იყო იმქვეყნიურობისკენ. შუმერებისთვის ირემი ნაყოფიერების ქალღვთაების ინანას სიმბოლო გახდდათ. შუამდინარული (სემიტური) ღვთაება იშთარის ზოომორფული სახე ასევე ირემი იყო. მისი გამოსახულებები უკავშირდებოდა ასევე კიბელას – ფრიგიული ღვთაების სახელს (Encyclopédie. . . 1989: 113-115; Philibert 2000: 90-92). ბერძნულ მითოლოგიაში ის ერთი მხრივ ცხოველთა მფარველი და ნადირობის ქალღვთაება არტემიდას წმინდა ცხოველად გვევლინება (ქალღვთაების მიერ

დასჯილი მონადირე არქტეონი სწორედ ირმად იქცა) (Нейхардт 1987: 41-42), მეორე მხრივ, კი აპოლონის სახელსაც უკავშირდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა 1899 წ. ყუბანის ყორლანში აღმოჩენილი ვერცხლის აზარფეშა (ძვ.წ. V ს.), რომელსაც ამშვენებს ირმის თავების გამოსახულებები და ბერმბული წარწერა, რომ ის ეკუთვნის აპოლონ პეგემონს ფაზისიდან. ო. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ აზარფეშაზე ირმის თავების გამოსახვა უნდა უკავშირდებოდეს აპოლონის მიერ ამ ცხოველის შეწირვას პითონისათვის, რათა მისი მოკვლის ცოდვისაგან განწმენდილიყო. აღნიშნული აზარფეშა ამტკიცებს წყაროთა მონაცემებს იმის თაობაზე, რომ ისევე როგორც პონტოს ზღვის ბერმბულ დასახლებებში, აპოლონსა და მის დას არტემიდას თაყვანს სცემდნენ ფაზისშიც და მათი სახელობის ტაძარიც არსებობდა ძვ.წ. V ს. ბოლო ათწლეულამდე მაიც (Lortkipanidzé 1999: 32-41).

ამ შემთხვევაში, თუ კი აშკარაა ელინური კულტურულ-რელიგიური გავლენა საქართველოს შავიზდვისპირა ქალაქზე, ამას ვერ ვიტყვით სხვა შემთხვევებში, რადგან ირმის სიმბოლიზება არც ქართველთა წინაპართათვის ყოფილა უცხო. საქართველოს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მეტყველებს, რომ ირმის სახეს დიდი ადგილი ეჭირა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში¹⁰. ის მონადირეობასთან იყო დაკავშირებული და ცხოველთა ღვთაებას განასახიერებდა. როგორც მ. ხიდაშელი აღნიშნავს, ეს წარმოდგენა იმ საფეხურს ასახავდა, როდესაც ცხოველთა მფარველი თავისი ბუნებით ზოომორფული არსება უნდა ყოფილიყო. „შემდგომ ადამიანმა ეს ზოომორფული არსება ანთროპომორფულად აქცია. ცხოველთა კლასმა თავისი ადრინდელი სახე შეინარჩუნა, ხოლო ამ ცხოველის მფარველი და მბრძანებელი ღვთაება ადამიანის მსგავსი გახდა“, საქართველოში კი ეს ღვთაება ქალის სახით ჩამოყალიბდა, რომელიც ხშირად იღებდა ირმის სახეს (ხიდაშელი 1982: 53). ისინი „წილიანი“ ცხოველები იყვნენ, რომელიც სხვებისგან რაიმე განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩეოდნენ. იმავე დროს, ირემი და ჯიხვი ნაყოფიერების ღვთაებასაც უკავშირდებოდა (სურგულაძე 1986: 115; ფანცხავა 1988: 39). როგორც ი. კიკიძე ფიქრობს, ირმის სიმბოლიზება მიწათმოქმედების განვითარებას დაუკავშირდა და მისი გამანაყოფიერებლის ძალა მის რქებთან გაიგივდა, რაც კარგად ჩანს ქვაცხელების სამართვის №2 ქალის სამარხში აღმოჩენილი სპილენძის დიადემიდან, რომელზეც გამოსახულია ორი ხარირემი აშკარად გამოხატული სქესობრივი ნიშნებით (კიკიძე 1976: 191). ალბათ ირმის,

როგორც ნაყოფიერების კულტის ამავე არსეს უნდა ეხმიანებოდეს გაცილებით გვიან, ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული რამდენიმე ათეული ირმის რქებწაკვეთილი ქანდაკების აღმოჩენა ნოქალაქევში, რაც ძეგლის გამოხატვის დ. ლომიტაშვილის მოსაზრებით, სწორედ მრავლის ბოძების სურვილს უნდა დაუკავშირდეს (ლომიტაშვილი 2003: 161-162).

ირმის კულტის არსებობა არქეოლოგიური მასალის მიხედვით ენეოლიტური ხანიდან (არუხლოს გორა) ფიქსირდება და უწყვეტ ხასიათს იღებს (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, შილდა, სამთავრო) (ჩუბინაშვილი 1970: 141-142; კიკვიძე 1976: 190; მაისურაძე. . . 1984; ხიდაშელი 1974: 93-103). თრიალეთური კულტურის შემდგომ (რომლისთვისაც თითქმის უცხოა ამ ცხოველის გამოსახულება, თუ არ ჩავთვლით ვერცხლის სარიტუალო სასმისსა და სარწყულს (ხიდაშელი 1974: 102)), ირემი როგორც ჩანს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოდ ყალიბდება, რაზეც უნდა მიუთითებდეს არა მხოლოდ ფოლკლორული მასალა, არამედ არქეოლოგიური მონაპოვარიც. მისი გამოსახულებებით იმკობოდა სარტყლები, ცულები, აბზინდები, დიადემები, საკულტო თასები, კეთდებოდა ირმის გულსაკიდები (ხიდაშელი 1972; 1974; 1982; ფანცხავა 1988), ხშირი იყო მისი დატანა საბეჭდავებსა და გემებზე (ლორთქიფანიძე 1969).

ამ მატერიალური კულტურის ძეგლებზე ირმის (და მასთან ერთად ჯიხვისა და ვერძის) განსაკუთრებულად ყურადღება გამახვილებული რქები ცხოველის ღვთაებრივობის ყველაზე საცნაური ნიშანი გახლავთ, რაც ერთი მხრივ, თუ ი. კიკვიძის მოსაზრებით, ადრესამიწათმოქმედო ხანაში მიწის განაყოფიერების მაგიურ ძალას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ, ირმის სიცოცხლის ხესთან კავშირის გამოხატულებასაც წარმოადგენდა. მაგალითად, კოლხურ ცულებზე გამოსახული ირმები, როგორც ლ. ფანცხავა შენიშნავს „სიცოცხლის ხის“ მოტივის სიმბოლო უნდა იყოს. აქ „სიცოცლის ხე“ – ირმის რქები და მასთან დაკავშირებული ცხოველი – ირემი შერწყმულია“ (ფანცხავა 1988: 41). იგივე სიცოცხლის ხეთან კავშირს ხედავს ი. სურგულაძე ყაზბეგის განძის შტანდარტის გამოსახულებაში, სადაც ჯიხვის ერთმანეთზე დადგმულ რქებზე „თითქოს რელიგიურ ექსტაზში მყოფი ფალიკური არსებაა“ შემდგარი (სურგულაძე 1986: 107).

ირმის გამოსახულებიანი ნივთებიდან ცალკე გამოვყოფდით საკიდებსა და შესაბნევებს, რომლებმაც ახ.წ. IV საუკუნემდე გააგრძელა არსებობა და მხოლოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეწყდა

მათი დამზადება. ირმის სახოვანი ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული საკიდები და შესაბნევები ცალკეული სახით საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (მაგალითად, კლდეეთში (ლომთათიძე 1957: 73-92)), მაგრამ განსაკუთრებით მრავლადაა ისინი წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის II-IV სს. დათარიდებულ სამაროვნებზე – ნების (№26,123,127,175,199 სამარხებში აღმოჩენილია 4 შესაბნევი და 3 საკიდი (Рамишвили. . . 1991: 92; რობაქიძე 1990: 67-71; რამიშვილი 2007: 49-51)), ჟინვალი (№357 ორმოსამარხში აღმოჩენილია 1 შესაბნევი (ჩიხლაძე 1998ა: 17-24)), ბადრიანი (№6,8 ორმოსამარხებში აღმოჩენილია 1 შესაბნები და 1 საკიდი (რამიშვილი 2007: 56)), ომალო (№2 ქვის სამარხში აღმოჩენილია 1 შესაბნევი (რამიშვილი 2007: 60)).

ირმის გამოსახულებიანი შესაბნევებისა და საკიდების მხატვრულ-სტილისტური დახასიათებისას ქ. რამიშვილი ხაზს უსვამს მათ გენეტიკურ კავშირს ჭვირული აბზინდების ცენტრალურ ფიგურებთან და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ირმის საკიდებთან (რამიშვილი 2007: 12-13). რაც უფრო საინტერესო ხდება, თუ გავითვალისწინებოთ მ. ხიდაშელის დაკვირვებას იმაზე, რომ ჭვირული ბალთები თავისი მხატვრული სტილით მჭიდროდ უკავშირდება წინაანტიკური ხანის ქართული ხელოვნების ტრადიციებს (ხიდაშელი 1972: 57). ირმისსახოვან ნიმუშთა ეს იდენტურობა „მათ ერთ იდეოლოგიურ გარემოსა და ერთ ეთნო-კულტურულ წიაღში შექმნაზე და ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკანონებული სიმბოლოების თითქმის უცვლელად არსებობაზე მიუთითებს“ (რამიშვილი 2007: 13).

ქ. რამიშვილის მოსაზრებით, ახ.წ. III ს. მეორე ნახევარსა და IV საუკუნეში კავკასიონის მთიანეთის სამხრეთ ფერდობებზე „მათი ამგვარი სიმრავლე, ახალი ძალითა და მხატვრული ხერხებით ამოტივტივება, შესაძლოა მიუთითებდეს აქაური მოსახლეობის ახალ (ქრისტიანულ) რელიგიასთან გარკვეულ ურთიერთობაზეც. ადამიანები, რომლებიც იმ დიდი გარდატეხის ხანაში, როცა ქრისტიანობა ის-ის იყო ოფიციალურად იქნა აღიარებული, ირმის შესაბნევებსა და მის ატრიბუტებს ღიად ატარებდნენ, თითქოს ხარკს უხდიდნენ ძველ ტრადიციასა და ნაყოფიერების ქალღვთაებას. ამასთანავე, შესაძლოა, თაყვანცემით იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტიანული მორწმუნე სულისადმიც“ (რამიშვილი 2007: 14). იმ სამარხებიდან რომლებშიც აღნიშნული ირმისსახოვანი საკინძები აღმოჩნდა ორ შემთხვევაში შეგვიძლია დაზუსტებით ვთქვათ, რომ

ჩვენთვის საინტერესო ნივთები წარმართული წესით დაკრძალულთა კუთვნილი იყო. ესაა ჟინგალის №357 ორმოსამარხი (ჩიხლაძე 1998ა: 17-24) და ნეძიხის №175 სამარხი, სადაც საკინძი მიხვეტილ ძვლებში აღმოჩნდა (რამიშვილი 2007: 51). რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, სამარხთა გამოუქვეყნებლობის გამო, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც გაჭირდება ირმისსახოვან შესაბნევთა მიჩნევა ქრისტიანული სიმბოლოების გამოხტულებად.

ამ ხანგრძლივი ტრადიციის გავლენა უნდა იყოს ის, რომ ადრექტისტიანულ სიმბოლოებში ირემმა ქართველებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ცხოველის გამოსახულებიანი სიუჟეტები ადრექტისტიანულ პერიოდში სამი რედაქციითაა წარმოდგენილი: ირემი ან ირმები ფანტანთან, ხესთან ან ჯვართან. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა (აქ საუბარი არ გვაქვს იმპორტზე, მაგალითად გემა-ინტალიონებზე, რომლებზეც განსხვავებული სიუჟეტებიც გვხვდება (ლორთქიფანიძე 1958: 87-88,93-94; ლორთქიფანიძე 1967: 119; რამიშვილი 1979ბ: 75,88,90)).

სიუჟეტები შემდეგნაირად ჯდულდება:

1. ირმები ნუკრითურთ სიცოცხლის ფანტანთან (ბიჭვინთა), და ირმები წყალსატევთან (ატენი);
 2. ირემი ან ირმები ხესთან (ბოლნისი, ბიჭვინთა, ივრის სიონი, აკაურთა);
 3. ლომთაგან დევნილი ირმები მარბენალნი სიცოცხლის ხისკენ (წოფი);
 4. ირემი ჯვართან (ახიზა);
 5. ირემი დეკორაციაში (წილკანი);
1. ჩამოთვლილი სიუჟეტებიდან ყველაზე ადრეულია ბიჭვინთის მოზაიკაში დაცული გამოსახულებები. ესაა აბსიდის იატაკის დეკორი ევქარისტიის სცენით (ტაბ.X₁). ცენტრალური ადგილი უკავია ბარძიმს, რომელიც წყლითაა სავსე, ხოლო მის თავზე აღმართულია ფიჭვის გირჩი. მის მარჯვნივ გამოსახულია უკანა ფეხებზე შემდგარი ხარ-ირემი, ხოლო მარცხნივ იგივე პოზაში მოცემულია ფურ-ირემი, რომლის ფეხებთან ჩართული ნუკრი დედის რძეს წოვს. ირმების მოძრაობის მიხედვით (რაც ორივე შემთხვევაში იდენტურია) ცხოველები მაცოცხლებელი წყლის მიღებას ცდილობენ. ხარ-ირმის ფეხებს შორის და ზურგთან ბარძიმისკენ მზირალი მტრედებია გამოსახული. მისგან განსხვავებით ფურ-ირმის კისრის არეში გამოსახული მტრედის მოძრაობა, ბარძიმის

საპირისპიროდაა მიმართული. ჩარჩოში ჩაწერილი სიუჟეტის სივრცე შევსილია ბროწეულის ყვავილებით. ესაა ტიპიური ადრექტისტიანული სცენა, რომელიც მეცნიერთა შენიშვნით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კაპუის ეკლესიაში (V ს.), სან ჯიოვანი ინ ლატერანოს (V ს.), მილეთის ბაზილიკის ბაპტისტერიუმებში დაცულ მოზაიკასთან, ასევე სირიაში ქალდეს (VI ს.), მაკედონიაში აკრინის (IV ს. II ნახ. – V ს.), კართაგენისა და როგორც ლ. მაცულევიჩი მიიჩნევდა, ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირეთის V ს. მოზაიკებთან (ციციშვილი 1977: 98; შერვაშიძე 1978: 172; მაცულევიჩ 1978: 156-158; Sodini 1970: 731).

უკავშირებს რა „მასულდგმულებელი წყლის შადრევანს“ წმინდანის ხსოვნის პატივისცემას, ი. ციციშვილი აღნიშნულ სცენაში ელინისტური ტრადიციის გავლენას ხედავს, რაც VI საუკუნის მოზაიკებში თანდათან ქრება (ციციშვილი 1977: 98).

აშკარაა, რომ მთავარი თემა მაცოცხლებელი წყლის მიღებაა, მაგრამ ასევე საინტერესოდ მოჩანს პანოს სიუჟეტი ნუკრის ჩართვა, რაც ლ. მაცულევიჩმა ძროხისა და ხბოს სიუჟეტთან ერთად ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს დაუკავშირა (მაცულევიჩ 1978: 152-153). დედისა და შვილის სხვადასხვა ვარიაციებით გამოსახვა ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული შემთხვევაა, რაც შემდგომ გაგრძელებას პოვებს ადრექტისტიანულ პერიოდში. მაგალითად, ერთი ასეთი ნიმუში – სარდიონის ინტალიო (ინვ № 115) – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდშიც ინახება. იგი გამოსახავს მიმავალ ირემს პროფილში მარჯვნივ, რომელიც ნუკრს აწოვებს. მ. ლორთქიფანიძე მას რომაულ ნაწარმად მიიჩნევს და ახ.წ. III ს. ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1967: 119). ამას გარდა, ფურ-ირმისა და ნუკრის სიუჟეტი შემოინახა ბოლნისის სიონის სანათლავმაც.

ბიჭვინთის მოზაიკის მეორე სიუჟეტისა (ძროხა-ხბო) და ბოლნისის სიონის სანათლავის კაპიტელის (ფურ-ირემი-ნუკრი) მსგავსად, ვფიქრობთ, ირემი-ნუკრის გამოსახულება უნდა მოვიაზროთ ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირული სამყაროს პულტურული ურთიერთობების შედეგად, რამაც ადრექტისტიანულ პერიოდში უწყვეტად გადაინაცვლა გაქრისტიანებული სახით, დედაეკლესისა და მორწმუნის განზოგადებულ გამოხატულებად.

ბიჭვინთის მოზაიკის ამ სცენის მსგავსად დაგითის ფსალმუნის გამოძახილია ატენის სიონის ჩრდილოეთის კარის ტიმპანის რელიეფი, რომელიც გამოსახავს წყალსატევს დაწაფებულ ორ ხარირებს (ტაბ.X₂). წყალსატევი

წნულებით შედგენილი სხვადასხვა ზომის წრეებითაა მოცემული, რომლის შუაგულში მოთავსებულ წრეში ჩაწერილია ჯვარი. ვინაიდან ატენის სიონის თარიღი VII ს. განისაზღვრებოდა, რელიეფის ანალოგები კი V-VI სს. იძებნებოდა, გ. ჩუბინაშვილმა ტიმპანის თარიღად ზოგადად VI-VII სს. მიიჩნია (Чубинашвили 1948: 175). შემდგომმა კვლევებმა ეს თარიღი უფრო დააძველა. იკვლევდა რა ატენის ტაძარსა და შესაბამისად მის რელიეფებს, გ. აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ ატენის სიონის ტიმპანის „ირმების სიმბოლიკაში მკაფიოდ გამოიხატა V საუკუნის სტილის ნიშნები. . დაბალი რელიეფით შესრულებული ქანდაკების საერთო მხატვრულ გადაწყვეტაში ხაზგასმულად გამოხატული ირმების სახასიათო ელემენტების მსუბუქი მოდელირება, ნახატის საერთო, მწყობრი პროპორციები, მოქნილი ხაზებით შექმნილი ნატიფი სხეულის მსუბუქად გადამრგვალებული გარე კონტურები სიახლოვეს ამჟღავნებს ბოლნისის სიონის V საუკუნის ქანდაკებებთან, ოდონდ ატენის ირმებში მეტი სიცხადით აირეკლება ანტიკურ-ელინისტური ტრადიციების კვალი“ (აბრამიშვილი 2002: 156).

აღნიშნული სიუჟეტი გრაციოზულობითა და სინატიფით სრულიად განსხვავდება იმავე ატენის სიონის სხვა ირმის სიმბოლიკიან რელიეფებისგან და უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს თეთრიწყაროს აიაზმის V ს. დათარიღებული კაპიტელის ანტილოპასთან (აბრამიშვილი 2000: 64). ამასთან, როგორც მკვლევარმა შენიშნა, ირმების გამოსახვის სამივე გავრცელებული ვარიანტი – ხესთან, შადრევანთან და ჯვართან, VI საუკუნის შემდეგ საერთოდ გამოდის „საკულტო ხუროთმოძღვრების რელიეფური ქანდაკებების რეპერტუარიდან და VII ს. აღარ აისახება“ (აბრამიშვილი 2000: 61). გარდა ამ სტილისტური ანალიზისა, რელიეფის დათარიღებისათვის მნიშვნელობა პქონდა ტაძრის ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებსაც, რომელმაც დაადასტურა სირიული ეპისტოლარული ცნობები ძველი ტაძრის არსებობის შესახებ. იგი V საუკუნეში აგებული დრომიკე უნდა ყოფილიყო, რომლის VII საუკუნეში დანგრევის შემდეგ მისსავე ნანგრევებზე აუგიათ ცენტრალურგუმბათიანი ტაძარი. ყოველივე ამან მკვლევარს საშუალება მისცა აღნიშნული სიუჟეტი V ს. დაეთარიღებინა და სწორედ სიონის წინამორბედი ტაძრის რელიეფად მიეჩნია (აბრამიშვილი 2002: 150-157; აბრამიშვილი 2000: 61-67).

2-3. საქართველოში უფრო გავრცელებულ რედაქციად მოჩანს ირმები სიცოცხლის ხესთან, რასაც, როგორც ჩანს, უფრო დრმა მოტივი უნდა პქონდა.

ამ სიუჟეტებიდან პირველ რიგში აღვნიშნავდით ბიჭვინთის ბაზილიკის აბსიდის წინა პანოს, რომელიც ნაკლულადაა შემორჩენილი (ტაბ.X3). მის ცენტრში გამოსახულია მედალიონში ჩასმული ფინიკის პალმა, რომლის მარცხნივ მაღლა აზიდული ვაზის ლერწია მოცემული, პალმასა და ვაზს შორის პალმისკენ დახრილი მტრედი, ხოლო ვაზის ლერწთან ფურირები თუ შველი ვაზს ეხება დრუნჩით. სიუჟეტის შემკვრელად მარჯვნივ და მარცხნივ აკანთის ფოთლებია მოცემული. მსგავსი სიუჟეტების გათვალისწინებით, ვ. ლექვინაძე ფიქრობდა, რომ პალმის მარჯვნივ წაშლილ ნაწილზეც ასევე ირემი უნდა ყოფილიყო გამოსახული (Шервაшиძე 1978: 172-173; ლეკვინაძე 1970: 185). აღნიშნული სცენის სიმბოლიკაზე ხის სიმბოლოსთან დაკავშირებით ვისაუბრებთ, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით.

ამავე რედაქციის ოთხი გამოსახულება გვაქვს ბოლნისის სიონიდან: 1. ჩრდილოეთი გალერეის კაპიტელი – ხეებს შორის გამოსახულია მსრბოლი ირემი (ტაბ.XI₁); 2. სანათლავის აბსიდის კაპიტელი – ფურირები, რომელიც ნუკრს აწოვებს, მის წინ გამოსახული ხის ფოთლებს ჭამს (ტაბ.XII₁); 3. ჩრდილოეთი გალერეის დასავლეთი კაპიტელი – ხის წინ ჩახოჭილი ირემი ხის ფოთლებს კორტნის (ტაბ.XII₂); 4. სამხრეთი პორტიკის დასავლეთი კაპიტელი – ხეებს შორის გამოსახული ირემი უკან იხედება (ტაბ.XI₃) (Чубинашвили 1940: 160-161).

აღნიშნული სიუჟეტების განხილვისას გ. ჩუბინაშვილი მათ ხსნის, როგორც მორწმუნე სულთა გამოხატულებად ზიარების პროცესში (Чубинашвили 1940:161). გ. აბრამიშვილის შენიშვნით კი ეს სცენები ერთმანეთის შინაარსობრივ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს (აბრამიშვილი 2001: 63-64).

ბოლნისის რელიეფების გვერდით დგას აკაურთის ბაზილიკის არქიტრავის გამოსახულება (ტაბ.XII₃), რომელიც პირველად ლ. რჩეულიშვილმა შეისწავლა და მისი მხატვრული მთლიანობა ეჭვებეჭ დააყენა. არქიტრავის ცენტრში გამოკვეთილია სიცოცხლის ხე, რომლის შუაში ჩასმულია ტოლმკლავა ჯვარი. ორივე მხრიდან მის ფოთლებს კორტნის ორი ირემი, მათ ზურგს ზემოთ გამოსახულია გ. აბრამიშვილის ხედვით – სამოთხის ბაღში მორბენალი ირმების ჯოგი (აბრამიშვილი 2001: 65). ცენტრალური სიუჟეტის ორივე მხარეს ასევე ხის ფოთლების მჭამელი ირმებია გამოქანდაკებული (ხეში წიწვოვანის ჯიშის მცენარე შეინიშნება). ირმებისა და ხეების გარშემო სივრცე ივსება ცერად კვეთილი სამკუთხედებით. ლ. რჩეულიშვილმა ვარაუდი გამოთქვა, რომ

შესაძლოა ეს ყოფილიყო პარცხლბეგზე დამდგარი საკურთხეველი (რჩეულიშვილი 1948: 32).

იდენტური რელიეფური სცენა შემოინახა იგრის სიონის ბაზილიკამაც (IV ს.) – ამ შემთხვევაშიც იმპოსტის გამოსახულების ცენტრი წიწვოვანი ჯიშით წარმოდგენილი სიცოცხლის ხეა. მის მარჯვნივ და მარცხნივ შესაბამისად გამოსახულია ფურ-ირემი და ხარ-ირემი, რომლებიც სიცოცხლის ხის ტოტებს კორტიან. ხარ-ირმის უკან მოცემულია პატარა ხე და ფრინველი (ან მტრედი ან დედალი ფარშევანგი), ხოლო ცხოველების ზურგს ზემოთ მფრინავი ორი ფრინველია გამოსახული (ტაბ.XII₂) (რამიშვილი 1970: 35).

აქვე, ამავე კონტექსტში უნდა განიხილოს წოფის ეპლესის კაპიტელის რელიეფი (V ს.), რომელიც ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (ტაბ.XII₄). აქ სიუჟეტი გარკვეულწილად გამძაფრებულია. სცენა განაწილებულია კაპიტელის ორ მიმდებარე სიბრტყეზე. წახნაგების შესაყარში გამოსახულია წმინდა ხე, რომლისკენაც ორივე მხრიდან მიისწრაფვიან ხარ-ირმები და ფურ-ირმები. მათ ზურგში კი წარმოდგენილი არიან წინა თაოებზე შემართული პირდაღებული ლომები.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლნისის რელიეფების შესწავლისას გ. ჩუბინაშვილმა ჩვენთვის საინტერესო რელიეფები ევქარისტიის გამოხატულებად მიიჩნია (Чубинашвили 1940:161), და შესაბამისად თითქოს ამით სხვა მსგავს სიუჟეტებსაც ასეთივე ახსნა უნდა ჰქონოდა. თუმცა გ. აბრამიშვილმა მათში უფრო ღრმა შინაარსი და კავშირი დაინახა – ეროვნული იკონოგრაფიის დასაწყისი და ქართლის გაქრისტიანების სცენა, რაც მკვლევარმა ქართული ისტორიული წყაროების მონათხობებზე დაამყარა (აბრამიშვილი 2001: 62-69). მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ ტექსტების იმ ადგილებს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ამბებია მოთხოვბილი.

„მოქცევად ქართლისავ“ –ში ჩართული „ნინოს ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ როდესაც წმინდა ნინომ და ეპისკოპოსმა მეფეს სთხოვეს ჯვრის აღმართვა, „წარვავლინენ მირიან მეფის მონათხობი სიკვდილის წინ“ ხურონი ძიებად ხესა. და ვითარ პოვეს ხს ერთი, მარტო მდგომარს კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო პელი კაცისავ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისავ მის, რამეთუ ოდეს ირემსა-და ეცის ისარი, მიივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხს იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვენებულსა და სიკუდილისაგან განერის. ესე მითხრიან და ვიყავ

დაკარგებულ. ამისათვის მოგვკუეთე მე ხმ იგი და შეგქმნენ მისგან სამნი ჯუარნი” („მოქცევად ქართლისად” 1963: 159).

იგივე ამბისთვის განსაკუთრებული ადგილი დაუთმია ლეონტი მროველსაც, რომლის მიხედვითაც, როცა ქართლი გაქრისტიანდა და მეფე მირიანმა ინება ჯვრის აღმართვა „დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ბორცუსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შუენიერი ფრიად და სულნელი. და ესე საკპრგელება იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარ-ცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკუდილისაგან, დადაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის. . . და აუწყეს ეპისკოპოსსა იოვანეს ხისა მისთვის. ხოლო ეპისკოპოსმან თქუა: „. . . დამარხულ არს ქუეყანა ესე დმრთისაგან მსახურად თვალი, რამეთუ დმრთისაგან აღმოსცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისათვს. . . მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანის-ცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“ (ლეონტი მროველი 1955: 119). მეფის ბრძანებით მოჭრილი ალვის ხე 25 მარტს მცხეთის ეკლესიის ეზოში გადმოიტანეს, ხოლო 7 მაისს მისგან სამი ჯვარი გამოკვეთეს და მცხეთის ტაძარში, თხოთის მთასა და უჯარმაში აღმართეს (ლეონტი მროველი 1955: 120-121).

ტექსტების აღნიშნული მონაკვეთები რომ არაერთ საინტერესო სიმბოლურ დეტალს შეიცავს¹¹ (მაინც და მაინც მხოლოდ მონადირეებმა იციან წმინდა ხის საიდუმლო, ხე მიუვალ და შეუვალ ადგილას დგას, და მას, რომელსაც ლეონტი ალვად იხსენიებს, აქვს თესლი, ხეს 25 მარტს-ხარება დღეს მიაკვლიერ) ეს სხვა კვლევის საგანია, მაგრამ მათგან რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო საკითხს აშკარად უკავშირდება. გ. აბრამიშვილმა სწორად შენიშნა, რომ აღნიშნული რელიეფები ქართლის გაქრისტიანების სცენებია და რომ მათში ყველაზე სრული გადმოცემა აკაურთის გამოსახულებაა. შესაბამისად ის, რაშიც ლ. რჩეულიშვილმა კვარცხლბეგზე აღმართული საკურთხეველი დაინახა, სწორედ მიუვალ კლდეში მდგარი ხის გადმოცემაა. ხოლო ის, რომ ხე საკრალურია მიუთითებს ბოლნისის სიონის რელიეფი, სადაც ხეს ე.წ. სასანური ბაფთა აქვს შებმული (იგი სასანური სამეფო სამოსის ნაწილს წარმოადგენდა, რომელმაც შემდეგ ხელოვნებაში გადაინაცვლა, როგორც ლვთაებრიობის და განსაკუთრებულობის ნიშანმა (მუსხელიშვილი 1941ა: 175; აბრამიშვილი 2001: 62-65).

როცა მკვლევარი იკონოგრაფიული ციკლის გამოვლინებად ბოლნისის სიონის, აკაურთის, ივრის სიონის, წოფის, კაწარეთის და დამბლუტისწყლის თითქმის იდენტურ რელიეფებს მიიჩნევდა და მათ სიმბოლურ დატვირთვაზე საუბრობდა, არაფერი უთქვამს წოფის კაპიტელზე გამოკვეთილი ლომების შესახებ, რაც ამ გამოსახულებას მნიშვნელოვნად განასხვავებს დანარჩენებისაგან. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ირმების ზურგს უკან გამოსახული ხახადაფჩენილი ლომები სამეფო ოჯახის გამოხატულებაა (მაშინ გადმოცემა უფრო სრული იქნებოდა)? ამ ფრთხილ მოსაზრებას თუ გავყვებით, მაშინ მასთან კავშირში უნდა დავინახოთ კიდევ ერთი რელიეფი – ბოლნისის სიონის ყველაზე ცნობილი კაპიტელი, რომელზეც ორ უკანა ფეხებზე ჩატოქილ ლომებს შორის გამოსახულია ხე და ქურციკი ოთხით მორბენალ პოზაში. ხისა და ცხოველის ჯვრისებურად წარმოდგენა ხაზს უნდა უსვავდეს მათ „კავშირს“ ერთმანეთთან. რაც შეეხება ლომებს, რომლებიც განსხვავებით წოფის სიუჟეტისგან, არ გვევლინებიან თავდამსხმელებად, თავისი გამოსახვის მანერით მცველისა და მოდარაჯის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებენ (რელიგიის მფარველი კი უპირველეს ყოვლისა მევე უნდა ყოფილიყო). ამ ვარაუდის სასიკეთოდ უნდა იქნეს მიჩნეული ლომების წარმოდგენა სამეფო ნიშნით, როგორც ამას გ. ჩუბინაშვილი მიიჩნევდა (ჩუბინაშვილი 1926: 57-58).

4-5. ცალკე უნდა გამოიყოს ახიზის ანტეფიქსისა და წილკნის საეპისკოპოსო ტაძრის რელიეფები*. ადრექრისტიანული ძეგლების შესწავლისას 6. ჩუბინაშვილი შეეხო წილკნის ტაძარსაც, თუმცა შემოიფარგლა მხოლოდ რამდენიმე გამოსახულებით, ამდენად ინტერიერის რელიეფის უმეტესობა უურადღების მიღმა დარჩა (Чубинашвили 1972: 70-75, თაბ.35-36,41), მათ შორის ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტიც (ტაბ.XIII₁). ერთ მთლიან ფილაზე შესრულებული რელიეფი ჩადგმულია გუმბათქვეშა სამხრეთი სვეტის დასაგლეო მხარეს, კაპიტელს მაღლა, ისეთ სიმაღლეზე, რომ წირვისას მრევლს ადგილად გაერჩია გამოხატულება (სვეტში ჩადგმული სხვა რელიეფების მიხედვით, ეს ფილა სვეტის განახლების შემდეგაა აქ მოთავსებული). ფილაზე ამოკვეთილია თითქოს თოკის გრეხებით მიღებული რომბისა და სამკუთხედების ურთიერთკვეთა. ზოგიერთ შემთხვევაში სამკუთხედთა შორის ჩასმულია

* წილკნისა და ახიზის ირმის გამოსახულებიანი რელიეფების შესახებ მცირედ შემცირებული ნაშრომი მ. მშვილდაძესა და ქ. დილმელაშვილის თანაავტორობით გამოქვენდა 2008 წ. (მშვილდაძე. . . 2008გ: 109-117).

სხვადასხვა რაოდენობის (ხუთი, შვიდი და ცხრა) მანებით მოცემული ბორბლები, ერთ შემთხვევაში კი გრძელი, წვრილი ტოტებით წარმოდგენილი ხის ნერგი. ფილას გარშემო შემოუყვება წნული. რომბის ცენტრალურ ორ ნაწილში გამოსახულია ბადისებრი რომბი და ირემი. ცხოველი მოცემულია პროფილში მარჯვნივ, უკანა ფეხები ოდნავ მოხსრილი აქვს, წინა – შედარებით მეტად, უფრო შემართულია ვიდრე მორბენალი, კისერი წინაა გაწეული, თავი გამართული, რქები გრძელი და უკან გაწოლილი, კუდი შესამჩნევი, ტანი უფრო გრძელია ვიდრე ფეხები, ამიტომ დაბალი აღნაგობისაა. ირმის ზურგსა და რქებს შორის განირჩევა ადამიანის ოდნავ წინ გადახრილი ფიგურა (თითქოს ცხოველს აზისო). კარგადაა გამოკვეთილი თავი, რომელიც ირმის რქებს ებჯინება, ტორსი და ხელები. მათგან მარცხენა წინაა წაწეული, ხოლო მარჯვენა – უკან. მიუხედავად იმისა, რომ რელიეფი არაა სიმეტრიის პრინციპით შესრულებული, ვფიქრობთ, მთლიანობაში აღიქმება.

ანალოგიური გეომეტრიული რელიეფი ტაძარში არ დასტურდება, თუმცა მსგავსი ფორმები რამდენიმეჯერ მეორდება. მაგალითად, ასეთივე ბორბლები ჩრდილო-აღმოსავლეთ სვეტში ამოკვეთილი ჯვრის ნაწილია, მსგავსი წნულები იმავე სვეტის ცალკეულ რელიეფადაც გვხვდება. რაც შეეხება ირემს, იგი ერთადერთი ზოომორფული გამოსახულებაა ტაძარში.

ამ ცხოველის გამომხატველი რელიეფები ქართულ ადრექტისტიანულ ტაძრებზე იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგალითისთვის შეგვეძლო დაგვესახელებინა ბოლნისისა და ატენის სიონები, სადაც რამდენიმე რელიეფია მოცემული მისი გამოსახულებით. მაგრამ წილკნის ირემი თავისი ფორმებით არ ჰგავს არც ბოლნისის, ატენის და ივრის სიონის და არც აკაურთისა და წოფის ტაძრების ირმებს. აღნიშნული ტაძრების შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ირმები ან წმინდა სულის სიმბოლოებია, რომლებიც მაცოცხლებელი წყლის მიღებით ახალ რელიგიას ეზიარებიან (ასეთი სცენების ამოსავალია 41:2 ფსალმუნის სიტყვები), ანდა, ქართლის გაქრისტიანების ლეგენდის პერსონაჟი (აბრამიშვილი 2001: 62-69). წილკნის რელიეფის შემთხვევაში თვალშისაცემია გეომეტრიული ფიგურების სიმრავლე, რაც მას თითქოს აშორებს აღნიშნული სიუჟეტებისგან. მაგრამ გასათვალისწინებელია მათი სემანტიკაც. ზოგადად, სიმბოლიკაში ბორბალი ციური სამყაროს გამოსახულება და მზის სიმბოლოა (ასეთივე შეხედულება ქართულ ასტრალურ პანთეონშიც დასტურდება. მაგალითისთვის იკმარებდა მხოლოდ მზის ლვთაების ბარბალეს დასახელება,

რომლის სიმბოლოც ბორბალი იყო (ბარდაველიძე 1941: 63,11)), კვადრატი დედამიწისა და ქვეყნის ოთხი კუთხის გამოხატულება, ხოლო სამკუთხედს ორი ახსნა აქვს: თუ ის წვერით ზემოთად მოცემული მთის და ხილულობის სიმბოლოა, ხოლო თუ წვერით ქვემოთად მიმართული – გამოქვაბულის და შესაბამისად, დაფარულობის (Encyclopédie. . . 1989: 588-589,693-695). წილკნის რელიეფის შემთხვევაში თითქოს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ირემი ჩაკეტილ სივრცეშია მოქცეული. ამ სივრცის მიღმა დარჩენილი რომბი ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა მდგომარეობის სამკუთხედები და ასევე რელიეფის ცენტრში გამოსახული ბორბალი, ვფიქრობთ, ირმის დაკარგულობის, დაბურულ და მიუვალ სივრცეში მოქცევის მინიშნებას ქმნის. თუ ამ თვალსაზრისს გავყვებით, მაშინ, უთუოდ გაივლება პარალელები აკაურთისა და კაწარეხის რელიეფებთან, რომლებიც, როგორც აღინიშნა, გ. აბრამიშვილმა ქართლის გაქრისტიანების, კერძოდ ირმებზე ნადირობის ლეგენდათა გადმოცემად მიიჩნია (აბრამიშვილი 2001: 62-69). მით უფრო, რომ აკაურთის რელიეფზე ავტორს კლდეებისა და მიუვალობის გადმოცემა სწორედ სამკუთხედების გამოსახვით გადაუწყვეტია (აბრამიშვილი 2001: 65).

წილკნის ირემი თავისი ფორმებით ყველაზე უფრო დიდ მსგავსებას იჩენს კლარჯეთის ახიზის ეკლესიის ანტეფიქსზე წარმოდგენილ ირემთან (ტაბ.XIII₂), რომელიც მიემართება მის ფეხებთან გამოსახული ტოლმკლავა ჯვრისკენ¹². ცხოველი წილკნის რელიეფის მსგავსად მარჯვენა პროფილშია მოცემული, ფეხები დაბალი და მოძრავ პოზაშია (წინა ფეხის აწევით თითქოს ვედრების პოზა მიუციათ მისთვის), ტანი ოდნავ გრძელია, კუდი შესამჩნევი, კისერი შემართული, თავი გასწორებული, რქები გრძელი და უკან გადაწეული. წილკნის გამოსახულების მსგავსად, აქაც კარგად ჩანს ორი რქა, რომელთაგან მარცხენა ორ ტოტად, ხოლო მარჯვენა სამად იყოფა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წილკნის ირემი შემართულია, ახიზის – მოსიარულე; პირველს კისერი ოდნავ წინ აქვს წაწეული, მეორეს – არა; წილკნის ირემთან ყურები არ შეიმჩნევა, ახიზის ირემთან აშკარაა ორივე ყური. როგორც აღვნიშნეთ, ირემი მიისწრაფვის მის წინ გამოსახული ტოლმკლავა ჯვრისკენ, რაც სიმბოლურად იხსნება, როგორც ევქარისტიის გადმოცემა.

ორივე რელიეფი იმდენად მსგავსია, რომ ბუნებრივად ისმის მათი თანადროულობის და ზოგადად თარიღის საკითხი.

ახიზის ეკლესია მდებარეობს კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე. პირველად ის იხსენიება ჯუანშერთან: „ხოლო არტავაზ (მეფე ვახტანგ გორგასლის ძემუმტე, რომელიც მან ერისთავად დანიშნა არტანუჯში) აღაშენა ციხე არტანუჯისა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუაბად” (ჯუანშერი 1955: 178). ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც: „აქავ არტანუჯსა აღაშენა გორგასალმან მონასტერი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შუენიერნი” (ვახუშტი 1973: 682). აქ რომ ტაძრის სწორედ აშენება იგულისხმება და არა განახლება, ლეონტის „მეფეთა ცხოვრება” მოწმობს. როცა ისტორიკოსი მირდატ ბაქარის ძეზე საუბრობს, ამბობს, რომ მორწმუნე მეფემ „აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რამეთუ ხევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინა მდუდელნი მოძღვრად კლარჯთა” (სუმბატ დავითის-ძე 1955: 131). მირდატ მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა ურწმუნო ვარაზ-ბაქარმა, და ცხადია მის დროს ეკლესიათა მშენებლობა ნაკლებ სავარაუდოა. ამასთან, კლარჯებმა სწორედ მისი მეფობის დროს თქვეს უარი სპარსელთა მორჩილებაზე, განუდგნენ მეფეს და ბიზანტიის იმპერატორის ქვევრდომნი გახდნენ. ეს პროვინცია ქართლს აღარ დაუბრუნებია ვიდრე ვახტანგ მეფემდე (ლეონტი მროველი 1955: 132-138).

რელიგიური პოლიტიკის გატარებისას ვახტანგმა სხვა საეპისკოპოსოებთან ერთად ამ რანგში აიყვანა ახიზის ეკლესიაც, როგორც კლარჯეთის სულიერი წინამდლოლი. ამ ნაბიჯის გადადგმისას მეფე პირველ რიგში ითვალისწინებდა კლარჯეთის პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს, როგორც ერთგვარ „თავშესაფარს“ სპარსელებთან ომის შემთხვევაში: „უკეთუ გაძლიერდენ სპარსი ჩვენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს“ (ჯუანშერი 1955: 178). ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ, სამხრეთ საქართველო, მისივე სურვილისამებრ, მეფის ვაჟების – ლეონისა და მირდატის (ბერძენთა მეფის ასულ ელენესგან შობილნი) საერისთავო ტერიტორიად იქცა, და როგორც ჯუანშერი წერს: „არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყუვნეს მორჩილებასა მმისა მათისა დაჩი მეფისასა“ (ჯუანშერი 1955: 204-205). მათ სამფლობელოში შედიოდა ასევე კლარჯეთი. როგორც ჩანს, ვახტანგ მეფის აჯანყებების დროს ქართლი ძლიერ დაზარალდა, რადგან დაჩის მოხდომია აქ დანგრუელი ეკლესიების განახლება, განსხვავებით კახეთისა, ეგრისისა და კლარჯეთისა (ჯუანშერი 1955: 205). მოგვიანებით, როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, მირდატის ძენი

ბიზანტიური ორიენტაციის მატარებელნი გამხდარან, ხოლო დაჩის შთამომავლები „მორჩილებდნენ სპარსთა“ (ჯუანშერი 1955: 207). დ. ლეთოდიანის მოსაზრებით, სწორედ ამ პრობიზანტიურ ორიენტაციას უნდა გადაერჩინა ისტორიული ზემო ქართლი ირანელთა ბატონობისაგან, მას შემდეგ, რაც 523 წ. ქართლში მეფობა გააუქმეს (ლეთოდიანი 1998: 111-113). ასეთი დამოუკიდებლობა კლარჯეთ-ჯავახეთს უნდა შეენარჩუნებინა ვიდრე ერისმთავრობის დაწესებამდე (ლეთოდიანი 1998: 113-114). როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კლარჯეთში VI საუკუნის მანძილზე სიტუაცია არც თუ საგანგაშოა, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა ამ მხარის წინსვლისთვის. ვინაიდან წყაროები არაფერს ამბობენ ამავე პერიოდში მომხდარ რაიმე უბედურებაზე ან შემოსევაზე, რომელსაც შეეძლო ეკლესიათა ნგრევა გამოეწვია, ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ახიზის რელიეფების ტაძარში შემდგომი შეკეთება-განახლების დროს ჩართვის შესახებ.

735 წ. მურვან ყრუს შემოსევის შედეგად კლარჯეთმა იმდენად დამანგრეველი ზიანი განიცადა (სუმბატ დავითის-ძე 1955: 377), რომ გიორგი მერჩულებს გადმოცემით ხანძთის აშენების დროს „სხუა მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თვინიერ ოპიზისა“ (გიორგი მერჩულე 1963: 257). სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პერიოდში შეწყვიტა არსებობა ახიზის ტაძარმა, ყოველ შემთხვევაში, როგორც საეპისკოპოსო ცენტრმა, სხვა შემთხვევაში გიორგი მერჩულე მას აუცილებლად მოიხსენიებდა.

XX საუკუნის 10-იან წლებში იგი მაშინდელი კავკასიის მუზეუმის თანამშრომელმა ა. ფლორენსკიმ ამავე მუზეუმის თხოვნით მოინახულა. ეკლესია უკვე დანგრეული ყოფილა. ასევე განადგურებული დახვდა მას საკურთხევლის მოზაიკა და მას მოზაიკის გამოსახულებით. ა. ფლორენსკის მოზაიკის დარჩენილი კენჭები და სახურავის კრამიტის ორი ნატეხი მოუგროვებია და მუზეუმისთვის გადაუცია (სხირტლაძე 2006: 130-132). აღნიშნული ორი ნატეხი ანტეფიქსის ნაწილებია, რომელთაგან ერთზე ჩვენ მიერ განხილული სცენაა გამოსახული, ხოლო მეორეზე აყვავებული ჯვრის წყვილი (ტაბ.XIII₃) (ანტეფიქსი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის საცავში საინვენტარო ნომრით ა476(95-07)). ზ. სხირტლაძე, ეხება რა უკანასკნელი რელიეფის საკითხს, აღნიშნავს, რომ „საფეხურებიან კვარცხლბეკზე აღმართული განედლებული ჯვრის სახესხვაობა (ფრთისებრ გაშლილი ფოთლებით), ადრექრისტიანული ეპოქის იკონოგრაფიულ ტრადიციას უკავშირდება და ძირითადად V-VI სს. რელიეფებზე დასტურდება. ამავე

პერიოდზე მეტყველებს თავად ჯვრის ფორმა, გაფართოვებული დაბოლოებებით, რომლებიც „ცრემლებითაა“ შემკული (V-VII სს. ამგვარი უამრავი გამოსახულებაა ცნობილი). კრამიტებზე დატვიფრულ გამოსახულებათა შესრულების პერიოდთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ნიშანდობლივი ჩანს მათში აღბეჭდილი ის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებითაც ახიზის ეკლესიის ანტეფიქსების შემკულობა VI-VII სს. ქართული პლასტიკის ზოგადი სურათის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ“ (სხირტლაძე 2006: 130-132). ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ახიზის აღნიშნულ ანტეფიქსზე გამოსახული ე.წ. „ფრთები“ ძალიან წააგავს წილკნის სვეტის კაპიტელებზე ამოკვეთილ იგივე რელიეფებს. ასევე მსგავსია ჯვრის ფორმებიც¹³.

რაც შეეხება წილკანს, მისი მშენებლობა უფრო წინ უსწრებს ახიზისას და მირიან მეფის საეკლესიო პოლიტიკის გაგრძელებად მოჩანს. მისი მშენებლობა ალბათ, მთიულთა გაქრისტიანების პროცესს უნდა დავუკავშიროთ. ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფის შემდეგ გამეფებულმა მისმა უმცროსმა ძე ბაქარმა „ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღვდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიასა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა“ (ლეონტი მროველი 1955: 131). ასევე ბაქარ-ბაკურს მიაწერს ტაძრის მშენებლობას „მოქცევად ქართლისად“-ც („მოქცევად ქართლისად“ 1963: 91). თუ ვ. გოლიაძის კვლევას მივყვებით და გავითვალისწინებთ, რომ ბაქარ მირიანის ძე ტახტზე ავიდა 334 წლისთვის (გოლიაძე 1990: 78), მაშინ „მოქცევად ქართლისად“-ს თანახმად წილკნის ტაძრის მშენებლობა დაახლოებით IV ს. 40-70-იან წლებში წარმართულა („მოქცევად ქართლისად“ 1963: 91). შემდგომი ინფორმაცია ქართულ წყაროებში უკვე ცამეტი ასურელი მამის მოღვაწეობას უკავშირდება. ჯუანშერის ნაშრომში ჩართული ტექსტის თანახმად, ისე წილკნელი „მრავლით იძულებითა ქართლისა კათალიკოსმან აკურთხა მღვდელ-მთავრად, საყდარსა წმიდისა ლვთისმშობლისასა, ქუეყანასა მუხრანისასა, და სოფელსა წილკნისასა“ (ჯუანშერი 1955: 212).

როდის იქცა წილკნის ეკლესია საეპისკოპოსო ცენტრად ამაზე პირდაპირი მითითება არ გაგვაჩნია. როდესაც ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის დროს დაარსებულ საეპისკოპოსო ცენტრებს ჩამოთვლის, არ ასახელებს წილკანს, თუმცა ასევე არაფერს ამბობს ქართლის სხვა საეპისკოპოსოებზეც (ჯუანშერი 1955: 198-199). ეს სია სრული რომ არაა,

ამაზე აზრი უკვე დიდი ხანია გამოითქვა (ჯავახიშვილი 1979: 339-340; ჯანაშია 1973: 99; ლორთქიფანიძე 1979: 74), რასაც ადასტურებს 506 წლის დვინის საეკლესიო კრების ოქმიც, რომელზე ხელმომწერ 24 ქართველ ეპისკოპოზე შორის წილგნის ეპარქიის ხელმძღვანელიცაა (ჯავახიშვილი 1979: 340). მკვლევართა თვალსაზრისით, ჯუანშერის მიერ „გამოტოვებულ“ საეპისკოპოსოებს შორის წილკანიც უნდა იყოს (ჯანაშია 1973: 99; ჯავახიშვილი 1979: 339-340), რადგან სხვა შემთხვევაში „მახვილის წარმართვით“ გაქრისტიანებულ მთიულებში ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნება რთული იქნებოდა. მით უფრო, რომ წილკანში ეკლესია უკვე IV-V სს. მიჯნაზე აგებული ჩანს. ნაგებობის ფორმიდან გამომდინარე, მეცნიერთა აზრით, ეს უნდა ყოფილიყო დარბაზული ეკლესია, რომელიც V-VI სს. მიჯნისთვის გადაუქეთებიათ სამნავიან ბაზილიკად, ხოლო განვითარებული ფეოდალური ხანისათვის გუმბათოვან ტაძრად (ანდლულაძე. . . 1990: 339-342).

ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერება, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ წილგნის საეპისკოპოსოს გამოცხადებას ვახტანგ გორგასლის მიერ ტაძრის გადიდება და გამშვენება – მისი რელიეფებით შემკობა მოჰყვა (თუმცა ეს არ გამორიცხავს პირველი ბაზილიკის რელიეფებით შემკულობასაც), რაზეც უნდა მიუთითებდეს წილგნის ირმის ასე შორეული ანალოგი ახიზის ტაძართან. შესაბამისად, ვფიქრობთ, რელიეფების ასაკად V ს. II ნახევრი მოვიაზროთ.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ირმის სიმბოლო საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული სემანტიკით დაიტვირთა. თუ საქართველოს საკულტო ძეგლებზე მისი აღმოჩენის ყველა შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება, როგორც წმინდად ქრისტიანული სიმბოლო, რომლის შინაარსი რიგ შემთხვევაში ფსალმუნის სიტყვებს დაეფუძნა, ყველა შემთხვევაში კი ქრისტიანი სულის აღმნიშვნელად იქცა, აღმოსავლეთ საქართველოს იმ ძეგლებზე, რომელნიც სამეფო დომენში მდებარეობდნენ, მან გაცილებით დრმა და ქართული არსი შეიძინა. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ გ. აბრამიშვილს, იმაში, რომ ქართლის რიგ ძეგლებზე წარმოდგენილი ირმები ქართლის გაქრისტიანების დაგენდის გადმომცემია, რომელმაც ერთგვარად საფუძველი ჩაუყარა, გ. აბრამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის ეროვნული იკონოგრაფიის ჩამოყალიბებას.

თავი V

ცხვრის სიმბოლო

ცხვრის სიმბოლო ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესია ქრისტიანულ რელიგიაში და მისი არსებობა ბიბლიას უკავშირდება.

ძველი აღთქმის წიგნებში მოთხოვობილი სამი ისტორია (ჯერ აბელის მიერ ცხვრის მსხვერპლშეწირვა, შემდეგ აბრაამისგან შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ ცხვრის ზვარაკად გაღება, და ბოლოს ეგვიპტეში ებრაელების გადასარჩენად მათ შესავალ კარებზე ცხვრის სისხლით „T“-ს ტიპის ჯვრების გამოსახვა) წინაპირობად იქცა სიტყვებისა: „აჰა, ტარიგი ღვთისა“ და „აჰა, მათ შორის იდგა კრავი, როგორც დაკლული“ (ეს.53:7; გამოცხ.5:6). ხოლო ცხვრის თვისებებმა – უწყინარობამ, სიბარაქემ და სიწმინდემ, ეს ცხოველი ებრაელებისთვის ღვთის სასურველ არსებად აქცია, ამიტომ მას დაუკავშირეს წარმოდგენა კაცზე, რომელიც ისრაელს იხსნიდა განსაცდელისგან. როცა განცხადდა, რომ ქრისტე მსხვერპლად უნდა შეწირვოდა ამ საზოგადოების ცოდვებისათვის, როგორც ოდესლაც აბრაამის მიერ შეწირული ცხვარი, ამ უკანასკნელისა და იქსოს სახელები გაიგივდა (Tristan 1996: 124-126).

ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ცხვრის არაერთი გამოსახულება ჯერ კიდევ I საუკუნიდან ჩნდება რომაულ კატაკომბებში (Успенский 1997: 64). ზოგჯერ ის მარტოა წარმოდგენილი, ზოგჯერ მწყემსთან ერთად (Biskonti 2002: 32); ვხვდებით ცხვრის ვაზთან ან სიცოცხლის ხესთან (მაღაბის ეკლესია იორდანიაში) და მტრედთან ერთად გამოხატვის შემთხვევებსაც (Olszewski 1995: 24). ამ მხრივ, საინტერესოა ლუცინას (III ს. დასაწყისი) კატაკომბის (კალიქსტე) სცენა, რომელზეც მოცემულია მწოლიარე კრავი თავმიბრუნებული მტრედისკენ, რომელსაც ნისკარტში ზეთისხილის რტო უჭირავს. კრავის ზემოთ გამოსახულია დუზის ფორმის ჯვარი (Tristan 1996: 125).

მეცნიერები ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ცხვრის, როგორც ქრისტეს სიმბოლოს გამოსახვის ხუთ ეტაპს გამოყოფდნენ. მათგან უძველესად მიიჩნევა ის გამოსახულებები, რომლებიც წარმოდგენილი გახლავთ მხოლოდ ცხვრით, ყოველგვარი ნიშნების გარეშე. შემდეგ თანდათან ჩნდება სიუჟეტი, როცა ცხვარი დგას მთაზე, საიდანაც ოთხი მდინარე გამოდის და მათ ორი ცხვარი სვამს (Покровский 2000: 36). ასეთ შემთხვევაში გორაზე მდგარი ცხვარი ქრისტეს განასახიერებდა, შემაღლებული ადგილი – ეკლესიას, ოთხი მდინარე – სამოთხის ოთხ მდინარეს, ან უფრო სიღრმისეული გაგებით, ოთხ მახარებელს,

რომლებმაც ქვეყნის ოთხივე მხარეს გაავრცელეს ქრისტეს მოძღვრება, ხოლო ორი კრავი – მრევლს, რომელთაგან ერთი იუდეველების გამოხატულება იყო, ხოლო მეორე – წარმართების (Успенский 1997: 64). IV ს. II ნახევრიდან ბატკანთან ჩნდება ქრისტეს მონოგრამა ან ჯვარი, როგორც ეს ლუცინას კატაკლის ჩვენს მიერ მოყვანილი მხატვრობის მაგალითიდანაც ჩანს (Tristan 1996: 125).

V საუკუნიდან ცხვრის სიმბოლო იმდენად გავრცელდა, რომ მისი გამოსახვა პირდაპირი გამოსახულებების გვერდით იწყება. ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითია მინის ჭურჭლის გამოსახულება რომაული კატაკლის (IV-V სს. მიჯნა), რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი: ზედა ნაწილში მოცემულია სამი ცხვარი. მათგან შუალა მთაზე დგას, ხოლო მთიდან ორივე მხარეს გამოედინება ოთხი მდინარე. მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახულია ქალაქის კარები, რომელთაც აწერიათ იერუსალიმი და ბეთლეემი. კარებებიდან ორივე მხარეს სამ-სამი ცხვარი გამოდის. გამოსახულების ქვედა რეგისტრში მოცემულია გორაზე მდგარი მაცხოვარი, მთის ძირიდან გამომავალი მდინარე და ორი მოციქული – პეტრე და პავლე. ცხადია, გამოსახულების ზედა ნაწილში გორაზე შემდგარი ცხვარი ქრისტეს შეესაბამება, პეტრე – იერუსალიმსა და მისგან გამომავალ მორწმუნებს და იუდეველთაგან წარმომდგარ ეკლესიას განასახიერებს, ხოლო პავლე – ბეთლეემს და წარმართებიდან მომდინარე ეკლესიას (Покровский 2000: 36). როგორც 6. პოკროვსკიმ შენიშნა, ჭურჭელი სწორედ იმ დროის ქმნილება უნდა იყოს (IV-V სს.), როცა, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ძლიერია მაცხოვარის ცხერის სიმბოლოთი გამოსახვის ტრადიცია, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე კრცელდება ქრისტეს სახება (Покровский 2000: 36).

V საუკუნიდანვე ცხვარს უკეთდება შარავანდედი, რომლითაც მასში ქრისტეს შეიცნობდნენ. მაგალითად, წმ. პეტრესა და მარცელინის კატაკლის გამოსახულია ქრისტე პეტრესა და პავლესთან ერთად. მათ ქვეშ მოცემულია ბორცვზე მდგარი ცხვარი ნიმბით და ოთხი პერსონაჟით, რომელშიც ორი წმ. პეტრე და მარცელინია (Tristan 1996: 127). ნიმბიანი ცხვრის გამოსახულება ჩნდება რომის წმინდა იოანე მახარებლის (სან-ჯან-ევანჯელისტას) V ს. დათარიღებულ მოზაიკაშიც, რომელთანაც გამოსახულია ხილით სავსე ლარნაკი – ნაყოფიერი მიწის სიმბოლო და ოთხი ხტიქის გამომხატველი ფრინველები: მტრედი – ცა, კაკაბი – მიწა, იხვი – წყალი და თუთიყუში – ცეცხლი (Barbet de Jouy 1857: 22-23). ცხვრის სიმბოლოს გამოყენება ქრისტეს გადმოსაცემად VIII

საუკუნიდან წყდება, მას შემდეგ რაც 691-692 წწ. ტრულის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, აიკრძალა ქრისტეს გამოსახვა ცხვრის საშუალებით (Покровский 2000: 37; Barbet de Jouy 1857: 23).

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, ცხვრის სიმბოლო არა მხოლოდ ქრისტეს გამოხატულება იყო, არამედ ხშირად განასახიერებდა მოციქულებს, ასევე წინასწარმეტყველებს, და ზოგადად მორწმუნებს. მაგალითისათვის მოვიხმობდით ა. უვაროვის მიერ განხილულ იულია ბასას 359 წლით დათარიღებულ სარკოფაგს, რომელიც რამდენიმე ბიბლიურ და სახარებისეულ სიუჟეტს გამოსახავს. მათში გამოიყოფა კრავის მიერ კლდისთვის კვერთხის დარტყმის, კვერთხით პურის კალათთან შეხების (ამ სიუჟეტით გადმოცემულია სასწაულებრივი დაპურების სცენა უდაბნოში), იორდანეში მდგარი მეორე კრავის დალოცვის (რომლის თავზე მტრედის სახით მოცემულია სულიწმინდა) და ლაზარეს მკვდრეთით ადდგინების სცენები (Уваров 2001: 224). ამავე სიმბოლოს გამოხატულებაა რავენის წმინდა აპოლონიის ტაძრის მოზაიკა (VI ს.), რომელიც გამოსახავს იესო ქრისტეს და მის ქვემოთ მოცემულ სამ ცხვარს, როგორც პეტრეს, იაკობისა და იოანეს სიმბოლოს, რომლებმაც იხილეს ქრისტეს ფერისცვალება (Bovini 1974: 99).

რაც შეეხება ცხვრის სიმბოლოთი მორწმუნეთა გადმოცემას, მას საფუძვლად ჯერ თავად მახარებელთა სიტყვები უნდა დასდებოდა, ხოლო შემდეგ ტერტულიანები, რომლებიც კეთილი მწყემსის სიმბოლოს განსაზღვრისას ცხვარს ქრისტიანის გამოხატულებად ასახელებდნენ.

კეთილი მწყემსის, როგორც ერთ-ერთი მთავარი და ფართოდ გავრცელებული¹⁴ სიმბოლოს საფუძველი მახარებლების მიერ გადმოცემული იესოს სიტყვებია: „მე ვარ მწყემსი კეთილი, ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი; მე ვარ კარი ცხვართა; ვინც შედის ჩემით გადარჩება. მწყემსი სულს გასწირავს ცხვართათვის“ (იოანე 10:1-11). „რომელიმე თქვენგანს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი დაუკარგოს, განა არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში და არ წავა დაკარგულის საძებრად, ვიდრე არ იპოვის? რომ იპოვის სიხარულით მხრებზე შეისვამს“ (ლუკა 15:4-5). კეთილი მწყემსის სიმბოლო როგორც ჩანს პირველივე საუკუნიდან უნდა გავრცელებულიყო, ვინაიდან უკვე ტერტულიანე მას იხსენიებს როგორც კარგად ცნობილ სიმბოლოს და ქრისტიანებს მოუწოდებს მისი გამოსახულება დაეტანათ თასებზე, რომელიც მათ შეასენებდა იმ დაკარგულ ცხვარზე, წარმართი ცოდვლიდან ქრისტიანად

რომ იქცა „ქრიატიანი ცხვარია; ეპლესიის მრევლი – უფლის ფარა; ქრისტე ნამდვილად კეთილი მწყემსია“ – განმარტავს იგი (Tertullien 1852c: VII). ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი წყაროა იეროპოლისში აღმოჩენილი აბერსიუსის საფლავის ეპიტაფია, რომელიც ახ.წ. II საუკუნის დამდეგით თარიღდება და რომელშიც ნათქვამია: „მე ვარ მოწაფე წმინდა მამისა, რომელიც მთაზე და გაშლილ ადგილას აძოვებს თავის ცხვრებს“ (Tristan 1996: 133).

როგორც წესი, გამოსახავდნენ ახალგაზრდა მწყემსის ტანსაცმელში გამოწყობილ უწვერულვაშო ყმაწვილს, რომელიც მუდამ ერთი და იგივე ჩაცმულობით გამოისახებოდა: წელში შეკრული და მუხლზემოთ აწეული ქიტონით; მხრებზე ქიტონს ზემოდან მოსხმული ლაბადით, რომელიც ცუდი ამინდის დროს სჭირდებოდა; ფეხებზე მაღალი ფეხსაცმლით, რომელიც მუხლამდე შემოტმასხილი თასმით წინ იკვრებოდა, ისეთით, რომელსაც ყველა ბერძენი და რომაელი ხანგრძლივი სიარულის დროს იცვამდა; ხელში სწორი ან თავკომბალა კვერთხით, ზოგჯერ ჭურჭლით (ხშირად იგი მის სიახლოვეს იდგა). ჩვეულებრივ გამოსახავდნენ როგორც მხრებზე ბატკან შემოსმულ კეთილ მწყემსს, ასევე მდგომარე ან მჯდომარე მწყემსსაც ცხვრებთან ერთად (Уваров 2001: 221; Cottin 1990: 23).

კეთილი მწყემსის სიმბოლოს სწორად გაგებისათვის კარგი მაგალითი მოიპოვება კალემერის წარწერის სახით (რომი), რომელიც ა. უგაროვს აქვს მოცემული. აქ კედელზე გამოსახული კეთილი მწყემსის, ხისა და მტრედის ფიგურებთან ერთად მოცემულია წარწერა, რომლის თითოეული სიტყვა გამოსახულების სიმბოლურ არსზე მიუთითებს. მაგალითად, კეთილი მწყემსის თავზე დაწერილია ლმერთი, ხოლო ხეზე შემომჯდარი მტრედის გვერდით – სული. როგორც ა. უვაროვი აღნიშნავს, „ფორმულა „ლმერთმა განუსვენოს სული შენი“ კარგად ხსნის აქ გამოსახულ სიმბოლოთა მნიშვნელობას. ამ წარწერაზე დაყრდნობით შესაძლოა დაგასკვნათ, რომ კეთილი მწყემსი ხესთან ერთად ნიშნავს სამოთხეს, ნუგეშის ადგილს“ (Уваров 2001: 157).

კეთილი მწყემსის სიუჟეტი, ამ შემთხვევაში სხვა შინაარსის მატარებელი, გაცილებით ადრე შექმნილი და გავრცელებული გახლდათ ანტიკურ სამყაროში. აქ ცხვარი უკავშირდებოდა ბერძნული ღვთაება პერმესის სახელს, რომელიც მეცხვარეობის მფარველად ითვლებოდა. სწორედ ამ ღვთაების პოპულარობას და მისი გამოსახვის სტილს მიიჩნევს ფ. ტრისტანი იმის მიზეზად, რომ კეთილი

მწყემსის სიმბოლო, თევზთან ერთად იქცა ყველაზე უფრო გავრცელებულ სიმბოლოდ ადრექრისტიანულ ეპოქაში (Tristan 1996: 135).

პერმები, როგორც წესი, გამოისახებოდა სწორედ უწვერული ჭაბუკის სახით, რომელსაც მხრებზე ცხვარი (ან ბატკანი) ჰყავდა შემოსმული (თუმცა, იმავე ბერძნებთან მეცხვარეობის მფარველად აპოლონიც მიიჩნეოდა). რომაელებისთვის ცხვარი, ღვინოსთან ერთად, გახლდათ სამსხვერპლო ცხოველი მათი ერთ-ერთი უძველესი ღვთაება ტელურასი („დედა-მიწა“), რომელიც ასახიერებდა ნაყოფიერ მიწას (Нейхардт 1987: 47).

რომაულ სამყაროში მისი გამოსახულებები ჩნდება სხვადასხვა ჭურჭელსა და ნივთებზე, რომელთა შორის უმეტესობა საკულტო ნიშანს ატარებს. მაგალითისთვის დავასახელებდით ფართოდ გავრცელებულ სარიტუალო ჭურჭელს – პატერებს, რომელთა სახელურებიც ამ ცხოველის (ძირითადად ვერძის) თავების რელიეფური გამოსახულებით იმკობოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაპოვარი გვაქვს საქართველოდანაც. ანტიკური პერიოდის სამარხეულ ინგენტარში შვიდი მსგავსი აზარფეშაა ცნობილი, რომელთაგან ოთხის ტარი ვერძის თავებითაა შემკული (არმაზისხვის, კლდეეთის, ბორის, ატოცის (ლომთათიძე 1957: 129-131)). მათგან არმაზისხვის ვერცხლის აზარფეშა (სარკოფაგი №6), რომელზეც ფარშევანგებისა და ვაზის ფოთლის გამოსახულებებიცაა, რომაულ იმპორტად არის მიჩნეული და ა.წ. II ს. თარიღდება¹⁵ (ტაბ.XX₄) (აფაქიძე. . 1955: 55-56,188; მაჩაბელი 1976: 33-35). იმის გამო, რომ თითოეულ აზარფეშასთან ერთად (და არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა შემთხვევებშიც) ჩნდებოდა ასევე ლითონის სურაც, მ. ივაშჩენკო და გ. ლომთათიძე ფიქრობდნენ, რომ აზარფეშები დიდებულთა ხელსაბან მოწყობილობას წარმოადგენდნენ საზეიმო შემთხვევათა დროს (ლომთათიძე 1957: 129-131). მათგან განსხვავებით კ. მაჩაბელი ზოგადად პატერებს ფართო დანიშნულების ჭურჭლად ასახელებს, რომელთა შორის უმთავრესი იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალისას მისი აუცილებელი გამოყენება (პატერაში მოთავსებული ღვინო ან საკურთხეველზე ან სამსხვერპლო ცხოველზე ისხმებოდა). არმაზისხვის პატერის შემთხვევაში კი მისი საკულტო დანიშნულების მანიშნებელი მასზე გამოსახული ფარშევანგის, ვაზისა და ვერძის თავის გამოსახულებებია (მაჩაბელი 1976: 35). ვფიქრობთ, მოსაზრების სისწორეს ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ღვთაებათა წმინდა არსებების გამოსახულებიანი ჭურჭელი უმეტესად სწორედ საკულტო დანიშნულების

გახლდათ. ამ თვალსაზრისით შეგვეძლო დაგვესახელებინა თრიალეთის ვერცხლის სასმისი, ვანის №11 სამარხის ვერცხლის პატერა, რომელსაც, სწორედ რომ ვერძის თავის გამოსახულებით დამშვენებული სახელური აქვს (ლორთქიფანიძე 1973: 91), ფაზისის აპოლონის ტაძრის კუთვნილი ვერცხლის პატერა ირმის თავის გამოსახულებებით ყუბანიდან (Lordkipanidzé 1999: 129-153) და სხვ.

რომაულ სამყაროში გავრცელებულ ამ სიმბოლოს ახ.წ. III საუკუნიდან აღმოსავლეთი იმპერიის სიმბოლოც შეემატა. სასანიანთა ირანში ცხვარი დვთაება ჰვარნას (წარმატების) განსახიერება იყო, და იმავე დროს სასანიანების დინასტიის წარმოშობის მითის მთავარი „ელემენტი“. ამიტომაც ცხვარს სასანიანთა ხელოვნებაში ხშირად გამოსახავდნენ პროფილში მარჯვნივ თავმიბრუნებულს და სამეფო ბაფთებითა და ფრთებით შემკულს (Борисов. . . 1963: 36; რამიშვილი 1979ბ: 33).

ცხვრის სიმბოლოს არსებობას შორეული ფესვები აქვს საქართველოშიც. მის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ერთ-ერთი საქმიანობა, უძველესი დროიდან მოყოლებული, მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობაც გახლდათ. შესაბამისად, მოსალოდნელიც იყო, რომ მსგავსად ხარისა, ცხვრის სიმბოლიზებაც მომხდარიყო.

გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული სხვადასხვა პერიოდების ძეგლებზე მისი გამოსახულებების ფიქსირება (ეს იქნება მცირე სკულპტურები, ცხვრის რქის სტილიზებური ხვიარები, თუ რელიეფური გამოსახულებები) სწორედ ამის დასტურია. ამასთან მათი აღმოჩენა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ თუ განაპირა, დასავლეთ საქართველოს ბარის თუ ზღვისპირა და საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე, მათ თანაბარ გავრცელებაზე უნდა მიანიშნებდეს. ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნისთვის, დ. ხახუტაიშვილის შენიშვნით, მისი კულტი წარმოდგენილია იმ ადგილებში, სადაც ადამიანთა ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა. ხოლო იქ სადაც მიწათმოქმედება წამყვან დარგად ჩამოყალიბდა, დამახასიათებელი ხდება ხარის კულტი (ხახუტაიშვილი 1964: 33).

მსგავსად ხარისა, ცხვარიც რომ ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული, ამაზე არქეოლოგიური მონაპოვარი მოწმობს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იგი დედა-დვთაების სიმბოლო გახლდათ. მტკიცებულებად მხოლოდ ყათლანისევისა (ყათლანისევის I

თხრილში აღმოჩენილ ცხვრის ქანდაკებას დ. ხახუტაიშვილი I სათავსოს კუთვნილებად მიიჩნევს (ხახუტაიშვილი 1964: 23)) და მელი-ლელე I-ის (სადაც აღმოჩენილ ქალდგთაებათა ფიგურებიდან ერთ-ერთს ცხვრის თავი აქვს (ფიცხელაური 1973: 113)) მონაპოვარიც იკმარებდა, სადაც აღმოჩენილ სამლოცველოებს გამთხრელები ნაყოფიერების დვთაება დიდი დედის საწესო ნაგებობად თვლიან (ხახუტაიშვილი 1964: 23; ფიცხელაური 1973: 113-114). არქეოლოგიურ მონაპოვარზე დაყრდნობით მეცნიერები ფიქრობენ, რომ ხოვლებორიდან (რომლის VIII ფენაში, „საკურთხევლიან ოთახში“ ზედ საკურთხეველზე შემოდგებული იყო ვერძის ალიზისგან ნაძერწი თავი, (ძვ.წ. XIV-XIV სს.) (მუსხელიშვილი 1978: 10; ხახუტაიშვილი 1964: 33)) ვიდრე მელი-ლელემდე ცხვრის კულტმა თანდათან იწყო ანთროპომორფიზაცია (რამიშვილი 2007: 37).

ასეთივე საინტერესო მონაცემები გვაქვს ანტიკურ პერიოდშიც, რაც პატერებზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ. ამ პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი ცხვრის გამოსახულებიანი ნივთების უმრავლესობა ქალის სამარხებიდანაა. მათი ნაწილი კი აშკარად საკულტო ელფერის მატარებელია. მაგალითად, უკვე არავინ დავობს, რომ ვანის (სამარხი №11 (ლორთქიფანიძე . . . 1972დ: 213-214)) და საირხის (სამარხი №5 და სამარხი №8 (ნადირაძე 1990: 22,49)) სამარხებიდან მომდინარე ვერძის თავის გამოსახულებიანი ყელსაბამები, სამაჯურები და პატერა კულტმსახური ქალბატონების კუთვნილებაა, „რომელთა დაკრძალვა ნაყოფიერების ქალდღმერთის სახელით ხდება და მისი ფუნქციების გაძლიერება-განახლებას ემსახურება“ (ინაძე 1986: 32-53), ხოლო არმაზისხევის, კლდეეთის და ბორის აზარფეშები საკულტო ნივთებია, რომლებიც კულტმსახურების დროს გამოიყენებოდა. ეს მონაცემები კიდევ უფრო ამტკიცებს წინა ეპოქების რელიგიურ შეხედულებებს და ტრადიციულ უწყვეტობაზე მიუთითებს.

ცხვრის წარმართული კულტის არსებობის დადასტურება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე აგრძელებს არსებობას და გადმონაშთების სახით ადრეფეოდალური ხანის სამარხებშიც გვხვდება (რამიშვილი 2007: 19-20). ამ თვალსაზრისით საინტერესოა გვიანრომაული ხანით დათარიღებული ვერძის გამოსახულებიანი მცირე პლასტიკის ძეგლები (ტაბ.XIV.5) – ვერძის მთლიანადასხმული ფიგურული და თაგ-რქის საკიდები, ასევე მედალიონი-შესაბნევი – საქართველოს მთისა და ბარის სამარხებიდან (ნების რამიშვილი 2007: 18), ჟინვალის №277 სამარხი (იგი წინაქრისიტანული

დაკრძალვის წესის მქონე II-IIIსს. სამარხია) (ჩიხლაძე 1998ა: 62,67), სამთავროს №540 კრამიტული (მანჯგალაძე 1985: 71, სურ.377), კარსნისხევის №27 კრამიტული (აფაქიძე . . 1978ა: 50, სურ.261), კლდეეთი (ლომთათიძე 1957: 87, სურ.15)), რომლებზეც მსგავსად წინა პერიოდის გამოსახულებებისა, მთელი აქცენტი გადატანილია ძლიერ და ჩახვეულ რქებზე – ლგთაებრიობის ყველაზე საცნაურ ნიშანზე. ქ. რამიშვილის აღნიშვნით მათი სიმრავლე ამ ხანის სამარხებში წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალთან იყო დაკავშირებული. ამავე წარმართული პულტის გადმონაშთად განიხილავს მკვლევარი მათი გამოსახულებების აღმოჩენას ნების ადრექტისტიანულ სამარხებშიც. თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ ახ.წ. III-IV საუკუნეთა მიჯნაზე სამაჯურებთან ერთად ისინი უფრო ყოფითი დანიშნულების მატარებელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე რელიგიურისა (რამიშვილი 2007: 20-21).

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევად გვევლინება 1986წ. ბაიათხევში გათხრილი №35 კრამიტსამარხი (III-IV სს. I ნახევარი), რომელშიც ქალბატონი გულაღმა გაშოტილი, გულხელდაკრევილი, თავით NO-სკენ კი დაუკრძალავთ, მაგრამ იმავე დროს, ტრადიციისამებრ, პირში მონეტა ჩაუდიათ. მრავალრიცხოვან ინვენტარს შორის (მამაკაცის გამოსახულებიანი კამეო, სანელსაცხებლებები, ფრინველის ფორმის მქონე თიხის ჭურჭელი, ქოირის ფურცლები, სხვადასხვაგვარი მძივები, სამელნე, სტილოსები, ზარაკები, მონეტები, ბალთა, ჭრაქები და სხვ.) აღმოჩნდა ყურძნის გამოსახულებიანი საყურებები და საკიდი, და თევზის, ვერძისა და ირმის ფიგურული საკიდები (ნიკოლაიშვილი. . . 1995: 128-133). ამ სამარხმა ერთის მხრივ ნათლად უჩვენა ყურძნის, თევზის, ვერძისა და ირმის სიმბოლური იდენტობა – ნაყოფიერების პულტის გამოხატულებად, ხოლო მეორეს მხრივ ამ ტრადიციის გაგრძელებაზე მიგვითითა, სულ მცირე, ვიდრე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე.

ცხვრის, როგორც ადრექტისტიანული სიმბოლოს გამოსახულებები საქართველოში მხოლოდ ცალკეული შემთხვევითაა წარმოდგენილი. მათგან ნახევარი კი იმპორტია.

ამ გამოსახულებებიდან ყველაზე ადრეულია ბიჭვინთის მოზაიკის პანო (ტაბ.XV), რომელზეც კრავია მოცემული, მის წინ კი ბროწეულის ყვავილოვანი ხეა გამოსახული. აღნიშნული მცენარე ქრისტიანულ სიმბოლიკაში წმინდა ხის გამოხატულება გახდდათ და მსგავსად ყურძნისა, მისი ნაყოფის მიღება

ზიარების სინონიმად მიიჩნეოდა. შესაბამისად, ბიჭვინთის ეს პანო ევქარისტიის სცენაა და მასთან კრავის გამოსახვა მიანიშნებს, რომ ცხოველი ქრისტიანი სულის გამოხატულებაა და არა თავად უფლის.

მეორე შემთხვევა ისევ ბიჭვინთასთანაა დაკავშირებული. ესაა ტაძრის აფსიდაში აღმოჩენილი მოცისფერო მინის სასმისის ძირის ფრაგმენტი, რომელზეც გამოსახულია მწყემსი და ბატკანი (ტაბ.XIV₇). მწყემსს აცვია მოკლე ტუნიკა და დაყრდნობილია კომბალს. ფეხებთან ბალახია მოცემული. ბატკანი, რომელიც მწყემსის მარჯვნივაა გამოსახული, უკანა ფეხებზეა შემდგარი და მწყემსს შეჰყურებს. აღნიშნული სასმისის ფრაგმენტი 6. უგრელიძემ შესწავლის შემდეგ კელნის სახელოსნოს ექსპორტად მიიჩნია და IV ს. დაათარიდა (უგრელიძე 1981: 105-106). მსგავსი მინის სასმისები საქართველოში ოთხი ცალია აღმოჩენილი და ოთხივე იმპორტია. მათგან სამი ბიჭვინთიდან და ერთი მცხეთის სამთავროდან (უგრელიძე 1951: 301-314; უგრელიძე 1981: 103). აღნიშნული სასმისები საზიარო ჭურჭელს წარმოადგენს და ევქარისტიის დროს გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია, ზიარების რიტუალის შესრულებისას საგანგებო ჭურჭელი იხმარებოდა, რომელთაგან უმრავლესობა მინისაა და შემკულია პალეოქრისტიანული სიმბოლოებით. გამონაკლისი არც განსახილველი სასმისია, მისი გამოსახულება სახარებისეული სიტყვების გადმოცემაა, სადაც მწყემსი მაცხოვარია, ხოლო ბატკანი – მისი მრევლი: „მე ვარ მწყემსი კეთილი, ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი; მე ვარ კარი ცხვართა; ვინც შედის ჩემით გადარჩება“ (იოანე 10:1-9). მსგავსი შინაარსის გამოსახულება ცნობილია ლუცინას კატაკომბიდან, სადაც ხის ქვეშ მჯდომარე მწყემსია მოცემული. მის ფეხებთან წევს თავით მისკენ მიბრუნებული ცხვარი, ქვეშ კი გაკეთებულია წარწერა „მოხუცო შენ ცხოვრობ ღმერთით“ (Tristan 1996: 133). როგორც ჩანს, ასეთი ნივთი არა მხოლოდ ტაძრის კუთვნილება იყო, არამედ ყველა ოჯახსა თუ პიროვნებას გააჩნდა (უგრელიძე 1981: 104-106). ამაზე უნდა მიუთითებდეს ამ ნივთების აღმოჩენის ადგილები თუნდაც მხოლოდ საქართველოში – ბიჭვინტის ტაძარი და სამთავროს სამარხი.

ასევე იმპორტია 1939 წ. სამთავროს ჩრდილოეთ უბანზე გათხრილ №17 ქვასამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი. სარდიონის ინტალიოზე (ინვ.№293) გამოსახულია ცეცხლანთებული საკურთხეველი, რომლის წინ დგას წვეროსანი მამაკაცი გრძელი სამოსით, ხელებაწეული რიტუალის შესრულების მომენტი (ტაბ.XIV₆). მის უკან ცხვარია ამოჭრილი, როგორც ჩანს ზგარაკად

გამზადებული. სამარხი №17 VI საუკუნითაა დათარიღებული, საბეჭდავს კი მ. მაქსიმოვა VI ს., ხოლო ქ. რამიშვილი V-VI სს. ნაკეთობად მიიჩნევს (Максимова 1950: 271; რამიშვილი 1979ბ: 103-104). მ. მაქსიმოვა გამოსახულებაში ზოროასტრული მსხვერპლშეწირვის რიტუალს ხედავდა (Максимова 1950: 271), მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ბიბლიური აბრაამის მიერ მსხვერპლშეწირვის სცენას უნდა წარმოადგენდეს. მისი სასანური წარმოშობა კი არც არის გასაკვირი რადგან, როგორც ცნობილია ებრაული თემების არსებობა ირანის ტერიტორიაზე სამოცდაათწლიანი ტყეობიდან მოიაზრება, ხოლო ქრისტიანული თემების არსებობა ირანში უკვე III საუკუნეში ცნობილი ფაქტია (მშვილდაძე 2008ა: 87-88).

რაც შეეხება რელიეფურ გამოსახულებებს, მათგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მხოლოდ ორი ნიმუში შეგვიძლია დავასახელოთ. თუმცა, როგორც დავინახავთ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დაზუსტებით იმის თქმა, რომ ამ რელიეფებზე ნამდვილად ვერძია წარმოდგენილი ძალიან ძნელია, და ამას თვით მეცნიერებიც შენიშნავენ. ორივე რელიეფი მიკვლეულ იქნა ქვემო ქართლში, მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში მდებარე სოფ. უკანგორის მცირე ეკლესიის (V ს.) არქეოლოგიური გათხრებისას 1968 წ. ორივე ფრაგმენტი აღმოჩნდა ერთნავიანი ტაძრის ინტერიერში (ჯაფარიძე 1982: 77-78, ტაბ.XIX₂,XX₁; ჯავახიშვილი 1998: 28, ტაბ.LVIII). პირველი გამოსახულება სტელის კაპიტელზეა შესრულებული. ერთ წახნაგზე შერჩენილია ქალის გამოსახულება სამფურცლა ყვავილით ხელში, რომლის მარცხნივ მეორე ადამიანი მოჩანს, მარჯვნივ კი სიცოცხლის ხე (ალბათ პალმა). მეორე წახნაგზე იკითხება მარჯვენა პროფილში მოცემული მწოლიარე ცხოველის ფიგურა, რომლის მხარსა და გავაზე სოლარული ნიშნები – პატარა წრეებია ამოჭრილი. ცხოველის ქვემოთ ამოჭრილია ცერადკვეთილი სამკუთხედებიანი ორი ზოლი (ტაბ.XV₂). რაც შეეხება მესამე წახნაგს მასზე შემორჩენილია ადამიანის წელსქვემოთა ფიგურა. კაპიტელი იმდენად დაზიანებულია, რომ ცხოველის თავი საერთოდ არაა შემორჩენილი, ამიტომ, როცა ვ. ჯაფარიძე ცხოველს ვერძად ასახელებდა იქვე კითხვის ნიშანს სვამდა (ჯაფარიძე 1982: 77).

უნდა შევნიშნოთ, რომ ცხოველის გამოსახულება (სხეულის მოდელირებით) მსგავსებას პოულობს ბოლნისის სიონის ჩრდილოეთ გალერეის თაღის კაპიტელზე გამოსახულ ირემთან (ტაბ.XI₂). ეს უკანასკნელი ასევე მარჯვენა პროფილში, დაზოქილია მოცემული და მის წინ აღმართული ხის ფოთლებს წიწინის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ დამბლუტისწყლის ხეობის

მცირე გალესიის კაპიტელზე ცხოველი გამოსახულია სივრცის მარცხენა მხარეს, ხოლო მარჯვენა, ახლა უკვე დაზიანებული ნაწილი, საკმაოდ დიდია იმისთვის რომ იგი გამოსახულების გარეშე დაეტოვებინათ, მაშინ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ცხოველის წინ მცენარის გამოსახულება უნდა ყოფილიყო მოცემული. მით უფრო, რომ ცხოველის წინა ფეხების სიახლოვეს რელიეფის კვალი შეიმჩნევა. ვ. ჯაფარიძე აღნიშნულ სტელას V-VI სს. I ნახევრით ათარიდებდა, ხოლო გ. ჯავახიშვილი VI-VII სს. მიუთითებს (ჯაფარიძე 1982: 77-78; ჯავახიშვილი 1998: 28).

უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია მეორე რელიეფი, რომელიც წარმოდგენილია სტელა-ჯვრის წითელი ტუფის კვარცხლბეკის წახნაგზე (ტაბ.XV₃) (ჯაფარიძე 1982: 75, ტაბ.XI-XII; ჯავახიშვილი 1998: 30, ტაბ.LXI): სწორკუთხოვან ჩარჩოს ცენტრში დადაბლებულ ფონზე გამოქანდაკებულია სიცოცხლის ხე ზეაწეული გრძელი ფოთლებით. მის ორივე მხარეს გამოსახული ყოფილა ვერძები, რომელთაგან მარცხენას მხოლოდ ბოლოა შემორჩენილი. მარჯვნივ მოცემულ ვერძეს კი ახასიათებს გარეთ გადაგრეხილი მსხვილი რქები, სხეულზე ბეჭვის გადმოსაცემად ოდნავ მოგრძო, ჩაჭრილი ხაზები და მხარსა და გავაზე სოლარული ნიშნები – წრებაზები. როგორც ჩანს, მცირე გალესიის ორივე რელიეფის შემთხვევაში ოსტატს უნდოდა ხაზი გაესვა ამ ცხოველების საკრალურობისთვის. ჩარჩო ზემოთ გაკეთებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. იგი ცუდად იკითხება, მაგრამ შემორჩენილი ფრაზის მიხედვით საუბარია ჯვრის აღმართვაზე („რომელთა აღგვიმართეს ესე ჯოვარი ამნ“ (ჯაფარიძე 1982: 27-28,75)).

კვარცხლბეკის მეორე წახნაგზე გამოსახულია სამკუთხედებით შედგენილ მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი, რომლის ორივე მხარეს თანაბრადაა აღმართული სასანური თავსაფრის ბოლოები (ჯაფარიძე 1982: 28,76). ყველა მოცემული ნიშნის გათვალისწინებით, რაც მას აახლოვებს ბოლნისის სიონის რელიეფებთან, ვ. ჯაფარიძე ბაზისს V ს. ათარიდებდა და ტაძრის თანადროულად მიიჩნევდა, ხოლო კაპიტელს – მოგვიანოდ (ჯაფარიძე 1982: 75-76). კვარცხლბეკის გამოსახულების სიმბოლური დატვირთვა სწორედაც რომ უნდა პასუხობდეს მისი წარწერის შინაარსს: ცენტრში გამოსახული სიცოცხლის ხე აღმართული ჯვარია, ხოლო ვერძები – მორწმუნენი. თუმცა, არსებობს სიუჟეტის მეორენაირად ახსნის მცდელობაც. კერძოდ, გ. აბრამიშვილი კვარცხლბეკზე მოცემულ ცხოველებში ირმებს ხედავდა და სიუჟეტს ქართლის

გაქრისტიანების სცენად მიიჩნევდა, რომელიც ეფუძნება „მოქცევაზე ქართლისაღ“-სა და „ქართლის ცხოვრება“-ში მოთხრობილ გადმოცემას (აბრამიშვილი 2001: 62-69).

ვფიქრობთ, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ადრექრისტიანულ ეპოქაში, ცხვრის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებების შედარებითი სიმცირე თვალშისაცემია, ისევე როგორც ხარისაც, მიუხედავად საქართველოში ამ ცხოველთა სიმბოლოს უძველესი ფესვების არსებობისა და ასევე დღემდე შემორჩენილი ცხვრისა და ხარის მსხვერპლად შეწირვის ტრადიციისა. რასაც სრულებით ვერ ვიტყვით ირმის ადრექრისტიანულ სიმბოლოზე. ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა იმაზე, თუ რამ განაპირობა ასეთი განსხვავება საქართველოს წარმართულ პანთეონში შესამჩნევი სიძლიერით წარმოდგენილ ამ სამ ცხოველს შორის. და თუ ერთ შემთხვევაში, ქართულ საკულტო ძეგლებზე ირმების ფართოდ წარმოდგენა ქართველებში არსებულ გადმოცემას შეგვიძლია დავუკავშიროთ, რომელიც საქართველოს გაქრისტიანების ამბავს ყვება, მეორე შემთხვევაში იგივეს ან, მით უფრო სხვა რამის თქმა ცხვართან და ხართან მიმართებაში გაგვიჭირდება.

თავი VI

ხარის სიმბოლო

ხარის სიმბოლო ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ სამყაროში და როგორც სხვა უმეტესი ქრისტიანული სიმბოლოების შემთხვევაში, ის ხარის წარმართული კულტის ქრისტიანულ სახეცვლას წარმოადგენს. წარმართულ ხარის კულტს კი საკმაოდ ღრმა და ძლიერი ფესვები ჰქონდა. მაგალითად, ჯერ კიდევ ძველ შუამდინარეთსა და ასურეთში ხარი ღმერთებთან იყო დაკავშირებული და მათი ოჩეული საკვები გახლდათ. მისით იწყებოდა ღვთიური ძღვენის ჩამონათვალი. ძველ ებრაულებში ხარი პატივსაცემი იყო თავისი ძალის, მოთმინების, შრომისუნარიანობის გამო და ცხვართან ერთად სადგომი ცხოველად მიიჩნეოდა (Lion 2003a: 4-7; Joannès 2003: 8-15). ფინიკიულებთან ის მთვარის ღვთაების მიწიერ განსახიერებას წარმოადგენდა და შემთხვევითი არაა, რომ ანბანს პირველ ასო-ნიშნად სწორედ ხარის სიმბოლო უძლოდა (ნადირაძე 1990: 114-115). ძვ.წ. II ათასწლეულიდან ხარის კულტი წარმოდგენილი იყო კრეტა-მიკენის კულტურაშიც (ხახუტაიშვილი 1964: 33). ბერძნულ სამყაროში იგი უკავშირდებოდა ზევსის სახელს, რომელიც ვინმეს მოხიბვლისა და შეცდენის დროს სხვა არსებათა შორის ამ ცხოველადაც გარდაისახებოდა-ხოლმე. ასე მოხდა იოს შემთხვევაშიც, რომელიც შემდეგ თეთრ ძროხად გარდასახა ჰერას მრისხანებისგან რომ დაეცვა. როგორც ჩანს, ამის გამო იყო, რომ რომაულ სამყაროშიც კი ზევსს სწირავდნენ ხარს. ამის შესახებ თავად „მოციქულთა საქმეებიც“ კი მოგვითხრობს (საქ. 14:13). ძველ სპარსელებში ის მზის ღმერთის დანაბადად მიიჩნეოდა. მას შემდეგ რაც მამის ბრძანებით მზის ღმერთის შვილმა, მითრამ ხარი მოკლა, როგორც ღვთის ზვარაკი, მისი სული ცაში ავიდა და მთვარის ღვთაების სიმბოლოდ იქცა. ხარის სხეულის ნაწილებიდან კი თავთავი გაიზარდა და ყურძენი დამწიფვდა – ღვთიური სითხის მბოძებელი. ამიტომაც ხარის შეწირვა მითრასადმი აღიქმებოდა როგორც მიწისა და ბუნების ნაყოფიერების „უზრუნველყოფა“ (Кун 1922: 134-135; Бойс 1987: 18; L'histore... 1999: 68-77).

უძველესი ხარის კულტის გამოხატულებას წარმოადგენს კუზიანი ხარის-ზებუს გამოსახულებებიც, რომლებიც ფართოდ ჩანს გავრცელებული პართული პერიოდიდან. მეცნიერთა აზრით, მარცვლეულისა და საქონლის ნაყოფიერების უძველეს ღვთაებასთან დაკავშირებული ეს ცხოველი სასანურ

გლიპტიკურ ძეგლებზე ერთდროულად მზისა და მთვარის ღვთაებების გამოხატულებად აღიქმებოდა (რამიშვილი 1979ბ: 22-23,32-33).

ქრისტიანულ რელიგიაში ამ ცხოველმა წმინდა სულების დატვირთვა შეიძინა და შესაბამისად, მისი გამოხატვა ან სიცოცხლის წყალთან ხდებოდა, ან სიცოცხლის ხესთან, როგორც სამუდამო სიმშვიდისა და ნეტარების მაძიებელი სულის სიმბოლოსი. ასეთი გამოსახულებები ბევრია ადრექტისტიანული ხანის ბიზანტიურ ბაზილიკებში. მათგან გამოვყოფით მეცნიერთა მიერ ლომების ტაძრად სახელდებული VI ს. ეკლესიის მოზაიკას იორდანის უმ ერ-რაზადან, რომლის საკურთხევლის აბსიდაში წარმოდგენილი ზიარების სცენა გამოსახვს ოთხფეხა ტაბლით გადმოცემულ ტრაპეზს მარჯვნივ და მარცხნივ მისკენ დახრიდი ხარებით (Piccirillo 1991: 286-287). ამ პერიოდის ტაძრებში ასევე ხშირად მიმართავდნენ ხარისა და ლომის ერთად გამოსახვის შემთხვევებს (მადაბის ტაძრში), რომლის სიუჟეტი კირილე იერუსალიმელის განმარტებით მშვიდობის გამოხატულებას წარმოადგენდა და, იმით აიხსნებოდა, რომ ეკლესია მშვიდობის სახლი იყო (Olszewski 1995: 25). გავრცელებულ სიუჟეტს წარმოადგენდა ძალადობის სცენებიც, რომლებშიც ლომები ან ლეოპარდები თავს ესხმოდნენ და გლეჯდნენ ხარებს (ჰუადისა და ჰუარტის ტაძრები სირიაში). ასეთ შემთხვევაში ეს ცხოველი რწმენისთვის დევნილ ადამიანთა გამოხატულებად მოიაზრებოდა (Olszewski 1995: 19).

იმავე პერიოდში ხარი ჩნდება სახარებისეული სიუჟეტების გამომხატველ სცენებში, კერძოდ უფლის შობაში, სადაც იგი ვირთან ერთად გამოისახებოდა (IV-V სს. ლატერანის სარკოფაგზე (Покровский 2000: 252)). ვინაიდან „ახალი აღოქმის“ კანონიკური სახარებები არაფერს ამბობენ შობის სცენის ამ დეტალზე, მეცნიერთა ვარაუდით, აღნიშნული თემის გამოხატვისას ავტორებს აპოკრიფული (ფსევდო მათეს სახარება) ნაშრომით უნდა ესარგებლათ. V საუკუნიდან კი ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ჩნდება ფრთოსანი ხარის გამოსახულებაც, რომელიც ლუკა მახარებლის სიმბოლოა (მაგალითად, რომის სან-მარი-მაჟორის ბაზილიკაში მოცემულია იესო ქრისტე და ოთხი მედალიონი, რომელშიც ითანე მახარებლის გამოცხადების თანახმად გამოსახულია ოთხი მახარებელი ხარის, ლომის, არწივისა და ადამიანის სახით) (Barbet de Jouy 1857: 8-9; Словарь... 2000: 47).

ხარის კულტის გავრცელება საქართველოში ნეოლითის ეპოქიდან ფიქსირდება, მაგრამ განსაკუთრებული გვიანბრინინჯაო-ადრერკინის ხანიდან

ხდება¹⁶ (ხახუტაიშვილი 1988: 23; ჩავლეიშვილი 1988: 34), რაც გარდა წმინდა ტოტემური საფუძვლისა, მიწათმოქმედების განვითარებითაც იყო განპირობებული. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მას საფუძვლად დაედო პირველყოფილი ადამიანის მიერ მთვარის დისკოს თაყვანცემა, რომლის ცვალებადობამაც წარმოშვა პრიმიტიული სამიწათმოქმედო კალენდარი. რადგან ხარი იყო გამწევი ძალა, რომლის საშუალებითაც მიწა ნაყოფიერდებოდა, მისი რქები ნახევარმთვარეს მიაგავდა, ხოლო გუთნისდების მოვალეობას მამაკაცი ასრულებდა, ამიტომ ხარი დაუკავშირდა მთვარის კულტს, რომელიც ქართველებს მამრობითი სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ამასთან ხარის რქები მიმსგავსებული იქნა ფალოსთან, როგორც გამანაყოფიერებლის ძალასთან (კიკვიძე 1976: 190; ხახუტაიშვილი 1988: 18). აქედან იწყება სწორედ ხარის რქების გამოსახულებათა გაჩენა სადგრებზე. ეს უკანასკნელი, როგორც მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ტრიადის განსახიერება უნდა ყოფილიყო: წრე – საშო, ანუ განაყოფიერების ქალური საწყისი, რომელიც მზესთან იყო დაკავშირებული, სტილიზებული რქები – ფალოსი – განაყოფიერების მამაკაცური საწყისი და მთვარესთან დაკავშირებული და სადგრებში ამოსული ცეცხლი ანუ ნაყოფი. ეს ტრიადა ნაყოფიერების კულტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ანალოგიებს პოულობს ეგვიპტესთან და ორანთან (აჰურამაზდას მითოსი, მითო) (კიკვიძე 1976: 173-176).

ასეთი სადგრები არქეოლოგიური მონაპოვრის სახით გვაქვს როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ურეკი, ფიჭვნარი, ბობოყვათი) (ჩავლეიშვილი 1988: 34-37; ხახუტაიშვილი 1988: 16-24), ისე ქართლის (ყათლანიხევი, ნაცარგორა) (ხახუტაიშვილი 1964: 20-29) და კახეთის (მელი-ლელე) (ფიცხელაური: 1973: 112-116) ტერიტორიიდან. ამავე პერიოდიდან უნდა იწყებოდეს ხარის კულტის დაკავშირება ნაყოფიერების ქალღვთაებასთან და მის ერთ-ერთ სიმბოლურ გამოხატულებად გადაქცევა (ხახუტაიშვილი 1964: 35-37). მით უფრო, რომ ასეთი მოვლენა უცხო არ ყოფილა მაშინდელი მსოფლიოსათვის. ჯერ კიდევ ნეოლითური ეპოქის ჩათალ-ჰუიუქის (ანატოლია) ნამოსახლარზე ხარი დაფიქსირდა ნაყოფიერების დედა-ღვთაების სიმბოლოდ, სადაც ის ღვთაების გვერდით იყო წარმოდგენილი. აქ ხარი მამაკაცურ საწყისს განასახიერებდა შობილს ყველა ღვთაების დედის მიერ. შუამდინარეთის მითოლოგიაში ხარი მთვარის ღმერთის-ანუს შვილად იყო მიჩნეული (ხიდაშელი 2005: 76; ნაფირაძე 1990: 115; ლორდკიპანიძე 1978: 121). ამავე დროს ხარის სახით

წარმოედგინათ ნაყოფიერების ქალღვთაება იშთარი (მიქელაძე 1985: 65). ეგვიპტეში ხარი აპისი ღვთაება ოსირისის მიწიერი განსახიერება გახლდათ. იმავე დროს, ხარი ისიდას წმინდა ცხოველსაც წარმოადგენდა (ჰეროდოტე 1976: II,41).

საქართველოში ნაყოფიერების ღედაღვთაების სიმბოლოდ ხარის აღქმის ერთ-ერთი პირველი ნიშანი წარმოდგენილია ყათლანიხევი IV სამოსახლოზე (ძვ. წ. II-I ათასწ. მიწნა) (ხახუტაიშვილი 1964: 49). დ. ხახუტაიშვილი ფიქრობდა, რომ ხარის თავით შემკული საკურთხევლით, სვასტიკიანი საბეჭდავით, რომელიც მზის სიმბოლოს წარმოადგენდა და შესაწირავი ყურძნითა და ფშატით – დიდი დედის მცენარეული სიმბოლოებით, წინ იყო წამოწეული უზენაესი ღვთაების ძირითადი ფუნქცია – მიწის ნაყოფიერება (ხახუტაიშვილი 1964: 37).

ჩანს იგივე დატვირთვა აქვს ხარს კოლხური II ტიპის ცულზე თლიდან, რომელსაც თან ახლავს თევზისა და ისრის გამოსახულება. კომპოზიციურად ეს ცული პგავს სხვა ცულებს, რომლის მთავარი გამოსახულება ირემია. აღნიშნული სიუჟეტების შესწავლის შედეგად ლ. ფანცხავა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოლხურ კულტურაში ხარისა და ირმის ფუნქციები დიფერენცირებული არაა. იგი ორივე ცხოველს ნაყოფიერების ღედაღვთაებასთან აკავშირებს და აღნიშნული ფაქტის დასამტკიცებლად კოლხურ ცულებთან ერთად იყენებს ანტიკური ხანის ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებს, სადაც ცენტრალურ ცხოველად ერთმანეთს ენაცვლებიან ხარი და ირემი. მკვლევარი აქვა ასკვნის, რომ ორი ცხოველის მონაცვლეობა არ ნიშნავს მათ ქრონოლოგიურ სხვაობას (ფანცხავა 1988: 39-53).

საქართველოში ხარის ღედა-ღვთაებასთან დაკავშირების უტყუარ დასტურად მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს კოლხურ თეთრსაც, რომლის ავერსზე კოლხეთის მთავარი ქალღვთაება – ნაყოფიერების დიდი ღედა გამოისახა, რევერსზე კი ან ლომი, ან ხარი (მიქელაძე 1985: 61; ხახუტაიშვილი 1988: 23-24).

აღნიშნულ მოსაზრებათაგან განსხვავებით ი. კიკვიძე მიიჩნევდა, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში საქართველოში უპირველესად გავრცელებული უნდა ყოფილიყო მამკაცი ღვთაების კულტი, რომელმაც ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტები შეითვისა. შესაბამისად, ხარიც სწორედ მამაკაცი ღვთაების სიმბოლო უნდა ყოფილიყო (კიკვიძე 1976: 223-226).

ხარის სიმბოლური გამოხატულება გვაქვს ვანის ძვ. წ. V ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ №11 სამარხში აღმოჩენილ ოქროს დიადემაზე, რომელიც მაღალი წრის ქალბატონს ახლდა, და რომელსაც მეცნიერები საკულტო დანიშნულებისად მიიჩნევენ (ლორთქიფანიძე 1972ბ: 10-13; ინაძე 1986: 40-42). მის ერთ ფირფიტაზე ორი ლომისა და ხარის ბრძოლაა წარმოდგენილი, ხოლო მეორეზე ორი ლომისა და ქურციკის. ო. ლორთქიფანიძე აღნიშნულ დიადემას ადგილობრივად თვლიდა, მაგრამ სიუჟეტის მიხედვით პარალელებს უძებნიდა როგორც ანტიკურ, ისე აქემენიანთა ხანის კულტურაში. დიადემის შინაარს მკვლევარი ირანული მითოლოგიით ხსნიდა და მას სიკვდილისა და სიცოცხლის, სიბრძნისა და სინათლის ბრძოლად მიიჩნევდა, რომელშიც ხარი სიბრძელე და სიკვდილია, ლომი კი - სინათლე და სიცოცხლე. იმავე დროს ამ ახსნას უკავშირებენ ზოროასტრულ კალენდარს – ნაბუნიობის დღეს (ლორთქიფანიძე 1972ბ: 10-13), მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მეცნიერთა თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ სცენებში იცვლებიან დამარცხებული ცხოველები, მათი ასტრალურ სიმბოლიკად მიჩნევა საეჭვო ხდება (ყიფიანი 1995: 12). აღნიშნული დიადემის იმავე ვანის, ითხვისისა და საირხის დიადემებთან შედარების შედეგად გ. ყიფიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ სცენაში ხარი მოცემულია ღვთიურ ცხოველად და შესაბამისად, ბრძოლის თვემა უკავშირდება „სამყაროს ზიარების პროცესს ცენტრთან, ღვთაებასთან, სასიცოცხლო ენერგიასთან“ (ყიფიანი 1995: 12-19).

სიმბოლური თვალსაზრისით, საინტერესოა ოქროს მედალიონი საირხის ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრის №10 სამარხიდან, რომელზეც ცენტრში გამოსახულია ხარის თავი, მის ნახევარმთვარისებურ რქებს შორის მოთავსებულია პატარა ცხოველი (კვიცი), კომპოზიციას კი კრავს პროფილში მოცემული ორი ფრინველის ფიგურა (ნადირაძე 1990: 95-97).

ძვ. წ. IV ს., როცა აქემენიანთა ირანში მზის ღვთაება მითრა სახელმწიფო კულტად გამოცხადდა და თანდაოთან გავრცელდა ირანის ფარგლებს გარეთაც, აღმოსავლეთ საქართველოშიც გაჩნდა პირველი ნიშნები მითრას თაყვანცემისა, რომელმაც წინ წამოწია მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ისეთები, როგორიც იყო ლომი და ცხენი. ალბათ ამით აიხსნება, რომ ხარის სკულპტურები თუ მისი გამოსახულებები სხვადასხვა ნივთებზე ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ცალკეულ გამონაკლისთა გარდა აღარ გვხვდება. ახ. წ. II ს. ხარის ქანდაკება ჩნდება კლდეეთის სამაროვანზე

(ლომთათიძე 1957: 85-91). III-IV სს. ხარის გამოსახულებები გვაქვს საბეჭდავებზე არმაზიდან, სამთავროდან, მაგრამ ისინი სასანურია და არა ადგილობრივი (რამიშვილი 1979ბ: 77,81,93; ლორთქიფანიძე 1954: 43-54; ლორთქიფანიძე 1958: 83-84; ბორისოვ . . . 1963: თაბ.421-424,427,436).

საქართველოში ხარის კულტთან დაკავშირებული ტრადიცია, შესაბამისად, ქრისტიანობაშიც აისახა, რაზეც მეტყველებს არა მარტო ტაძართა რელიეფები, არამედ სალოცავებში ხარის შეწირვის დღემდე შემორჩენილი ტრადიციაც. საინტერესოა, რომ ასეთი დრმა ფესვების მქონე კულტის ადრექრისტიანული გამოვლინება გაცილებით მცირეა, ვიდრე ირმისა, რაც ზემოთ უკვე შევნიშნეთ.

დღესდღეობით, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი ხარის ადრექრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებები შესაძლოა ორ ჯგუფად გაიყოს: ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე პორელიეფები (ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, დრანდა, სოხუმის გორა, ანაკოფია, ნოჯიხევი), და სახარებისეული სიუჟეტის ნაწილები (საცხენისის სვეტი).

ბოლნისის სიონზე ხარის გამოსახულება სანათლავის პილასტრის კაპიტელს ამკობს (ტაბ.XVI₂). ესაა ცხოველის თავის პორელიეფი, რომლის ნახევარმთვარისებურ რქებს შერის მოთავსებულია ტოლმკლავა ჯვარი – ბოლნისის მედალიონების ტიპისა. რელიეფის შესახებ გ. ჩუბინაშვილი შენიშნავდა, რომ ოსტატს უნდა ეხელმძღვანელა ხარის გამოსახვის ძველი ტრადიციით, ხოლო ლ. მაცულევიჩი მიიჩნევდა, რომ აქ საქმე უნდა გვქონოდა წარმართული კულტის ქრისტიანიზებულ შემთხვევასთან (იგი ხარის თავში ხედავდა ქართულ ფოლკლორში დაცულ ნიშასა და ნიკორას – ღვთაებრივ ცხოველს, იმ განსხვავებით, რომ შუბლის ნიშანი შეცვლილი იყო ჯვრით), იგივე მოსაზრების იყო ნ. ალადაშვილიც (Чубинашвили 1940: 159-160; მაცულევიჩ 1938: 64; ალადაშვილი 1977: 20).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტიანული ხარი წმინდა სულთა სიმბოლოა, რომლებიც ან ზიარებას ესწრაფვიან ან თავისი რწმენისთვის იდეგნებიან. შესაბამისად, სანათლავის კაპიტელზე ხარის თავზე ჯვრის გამოსახვა, ვფიქრობთ, ახლად მოქცეულ სულს უნდა განასახიერებდეს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს თავად რელიეფის მდებარეობა სანათლავში. უფრო სიღრმისეულად კი აღნიშნულ სცენას, შესაძლოა, პქონდეს მეორე ახსნაც: ჯვრით დათრგუნული წარმართობა. თუ გავითვალისწინებთ ბოლნისის სიონის აშენების პერიოდს და პოლიტიკურ სირთულეებს ქართლში, მაშინ აღნიშნული

მოსაზრება რეალობას სულაც არ იქნება მოკლებული (დიდმელაშვილი 2005ბ: 38).

ამავე ტიპის ბარელიეფებში ჯდება სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადში ჩადგმული ხარის თავის ორი ჰორიზონტული (ტაბ.XVI₁), რომელსაც მეცნიერები ადრექტისტიანული პერიოდით ათარიღებენ და V ს. ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ტაძრის კუთვნილებად მიიჩნევენ (Чубинашвили 1963: 14, კრ. 38; ალაძე 1977: 24-25). ხარებს რქები მომტვრეული აქვთ, შუბლზე ახასიათებთ ქვევით მიმართული სამკუთხედი, ხოლო კრიჭაში უჭირავთ ფოთლოვანი რტოები. ამ ჰორიზონტული სემანტიკას მეცნიერები სხვადსხვანაირად ხსნიან. მაგალითად, 6. ურუშაძემ ისინი წარმართული ტრადიციით ახსნა და ხვნა-თესვის დღესასწაულს დაუკავშირა, როცა ქართველთა წინაპრები საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების წინ ხარს ჯვრითა და რტოებით ამკობდნენ (ურუშაძე 1973: 131). ი. კოშორიძემ კი ტაძრის ფასადში ჩადგმული ადრეული გამოსახულებანი XI ს. ტაძრის ორგანულ დეტალებად მიიჩნია და ახსნა, როგორც „ახალ რწმენას, კოსმიურ ლერძს, სიცოცხლის ხეს – ამ შემთხვევაში ქრისტემიერ ენერგიას დაწაფებული სამყაროს სახეობრივი ასახვა“ (კოშორიძე 1996: 62). როგორი ხერხიც არ უნდა იყოს გამოყენებული ამ რელიეფთა სიმბოლოს გადმოსაცემად, ვფიქრობთ, მათში მართლაც ქრისტიანობასთან ზიარების გამოხატულება უნდა დაგინახოთ, როგორც ბოლნისის რელიეფის შემთხვევაში, სადაც ხარის კრიჭაში მოქცეული ფოთლები ჯვრითაა შეცვლილი.

აღნიშნულ რელიეფთან სტილისტურ და სიმბოლურ სიახლოებებს ამჟღავნებს მესამე გამოსახულება – მრგვალი ქანდაკება დრანდიდან, რომელიც აფხაზეთის მუზეუმში ინახება (ტაბ.XV₅). იგი ტაძრის მორთულობა უნდა ყოფილიყო, ამჟამად ჩამოტეხილი აქვს ყურები და რქები, და ახასიათებს კარგად გამოკვეთილი შუბლის და ცხვირის ხაზები. შედარებითი და სტილისტური ანალიზის საფუძველზე ლ. ხრუშაძემას V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისით ათარიღებს (Хрущкова 1980: 39).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ქვაში გამოკვეთილი ხარის თავის გამოსახულება, რომელიც ნოჯიხევის რვააბსიდიანი ტაძრის გათხრისას ნანგრევებში დაფიქსირდა (ტაბ.XV₄). ეს ტაძარი წარწერებსა და სხვა მასალებზე დაყრდნობით გამოხატულებს X საუკუნით აქვთ დათარიღებული. რაც შეეხება ქანდაკებას, პ. ზაქარაია კითხვის ნიშნის დასმით შენიშნავს, რომ თუ იგი პორტალის მორთულობას წარმოადგენდა, მაშინ ასეთივე მეორეც უნდა

ყოფილიყო (ზაქარაია 1987: 56-57, ტაბ.XLIV-1). შესაძლოა ხარის გამოსახულება მართლაც ნოჯიხევის ამ ტაძრის ფასადში იყო ჩადგმული, მაგრამ ვფიქრობთ, უფრო ადრეულ ნაკეთობას უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე X საუკუნისას. ქანდაკებას სამი ნუშისებური წრეხაზებით გადმოცემული თვალები აქვს, კარგად გამოკვეთილი კურები და რქები, რომელთაგან ერთი - სრულად, ხოლო მეორე ნაწილობრივაა მოტეხილი. ასევე მოტეხილი აქვს ცხვირიც. ნოჯიხევის ქანდაკება ფორმების მიხედვით ახლოს დგას ბოლნისის სიონისა და სევტიცხოვლის ხარის გამოსახულებებთან, განსაკუთრებით ეს მსგავსება აშკარაა თვალის გადმოცემისას, რომელიც სამივე გამოსახულების შემთვევაში იდენტურია. სწორედ თვალის სამხაზობრივი კონტურით გადმოცემის გამო მიიჩნევდა გ. ჩუბინაშვილი, რომ ბოლნისის სიონის ოსტატს ძველი ტრადიციით უნდა ეხელმძღვანელა (ყუბინაშვილი 1940: 159).

ხარის სიმბოლოს სხვა გამოსახულებები VI საუკუნის და შემდგომი პერიოდის ძეგლებს წარმოადგენენ. ორი მათგანი, რომლებიც სოხუმის გორის რელიეფად (ტაბ.XVI₃) და ანაკოფიის ფილაზეა (ტაბ.XVI₄) მოცემული ერთი და იგივე შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს – ევქარისტიისა: ტოლმკლავა ჯვრის მარჯვნივ მოცემულია ხარის ფიგურა, ხოლო მარცხნივ – ლომი. ერთ შემთხვევაში ისინი ჯვრის საპირისპიროდ არიან მიმართულნი, ხოლო მეორე შემთხვევაში შეჰყურებენ მათ შორის აღმართულ ჯვარს (Хрущкова 1980: 28-31, თაბ.XVIII). მესამე რელიეფი, რომელიც სოფ. საცხენისის ქვასვეტზეა გამოსახული, სახარებისეული სიუქეტის გადმოცემა (ტაბ.XVII): გამოსახულია ბაგაში მწოლიარე ჩვილი ქრისტე, რომელსაც დამზერს ვირი და ხარი (მაჩაბელი 1998: 299). მსგავს სცენაში ხარი წარმოდგენილია ლატერანის სარკოფაგზეც (IV-V სს.) (Покровский 2000: 252). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტეს შობის გადმომცემი კანონიური სახარებები არაფერს ამბობენ სადგომში ხარისა და ვირის ყოფნაზე. ამიტომ შობის სცენებში ამ ცხოველთა ჩართვა აპოკრიფული, კერძოდ ფსევდო-მათეს სახარებიდან აღებულად მიიჩნევა. ამ ტექსტის თანახმად „უფლის შობიდან მესამე დღეს მარიამი გამოვიდა გამოქვაბულიდან და შევიდა ბოსელში, ჩააწვინა ახალ შობილი ბაგაში და ხარმა და ვირმა თაყვანისცეს მას. ასრულდა ის რაზეც ამბობდა წინასწარმეტყველი ესაია: „ხარმა იცის თავისი პატრონი და ვირმა თავისი პატრონის ბაგა“. მასთან მდგომი ეს ცხოველები შეუწყვეტლად სცემდნენ თაყვანს. აღსრულდა ისიც, რაც წინასწარმეტყველმა აბაკუმმა თქვა: „შენ შეგიცნობენ ორ ცხოველს შორის“ (ფსევდო-მათე 14:1-5)

(Словарь. . . 2000: 47). საიდან იხელმძღვანელა ოსტატმა საცხენისის სტელის შობის სცენის გამოსახვისას, ვფიქრობთ, დამატებით კვლევას მოითხოვს. ამიტომ, ამჯერად მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ სახარებისეულ და ასევე ბიბლიისეულ სიუჟეტთა გადმოცემისას ისეთი დეტალების დამატება, რომლებიც წმინდა წიგნებში არ ფიგურირებს, თუმცა კი არსობრივად შეესაბამება ამ სიუჟეტებს, შემდგომი პერიოდის ძეგლებშიც იჩენს თავს. მაგალითისთვის დავასახელებთ სტელის ფრაგმენტს სოფელ მამულადან, რომელსაც კ. მაჩაბელი VII-VIII სს. ათარიდებს (იგივე სტელა გ. ჯავახიშვილთან დათარიდებულია VI-VII სს.) (მაჩაბელი 1998: 303-306; ჯავახიშვილი 1998: 223)). მისი წახნაგები დაფარულია მოგვთა თაყვანცემის, ქტიტორთა, აბრააბის მსხვერპლშეწირვისა და ადამისა და ევას ცდუნების, „კეთილისა და ბოროტის“ შეცნობის სიუჟეტებით. ამ სცენასთან სიცოცხლის ხის გამოსახვა მის მარჯვნივ და მარცხნივ მოცემული ხარითა და ძროხით, რასაც ასევე უზვეულოდ მიიჩნევს კ. მაჩაბელი (მაჩაბელი 1998: 304-305), ვფიქრობთ, ძველი ტრადიციის კიდევ ერთი, ქრისტიანიზებული გამოხატულება უნდა იყოს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ბიჭვინთის ტაძრის აბსიდის მოზაიკა, რომელიც ქრიზმის მედალიონის გაგრძელებაა და აკანთის ფოთოლთა რიგში ჩაწერილი ბერძნული წარწერის გვერდითაა მოთავსებული. მხედველობაში გვაქვს ძროხის გამოსახულება, რომლის ფეხებს შორის მოცემულია დედის რძეს მაწოვარი ხბო.

ბიჭვინთის მოზაიკის შესწავლისას, მეცნიერებმა წარწერასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აბსიდის აღნიშნულ მოზაიკას, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მათ უმეტესად მთლიანობაში არ განუხილავთ იგი. ასე მაგალითად: კომპოზიციიდან მოწყვეტით შეისწავლიდა ძროხა-ხბოს გამოსახულებას ლ. შერვაშიძე, რომელმაც გამოსახულებაში ლ. მაცულევიჩის მსგავსად აფხაზურ და კავკასიის მთიანეთის რწმენა-წარმოდგენებთან კავშირი დაინახა. თუმცა, იქნა დაუმატა, რომ აშკარად იგრძნობოდა ანტიკური კულტურის გავლენაც (მაგალითად, ნიმვა იოსა და ზევსის სასიყვარულო ისტორია) (Шервაშიძე 1978: 171-172). ერთგვარად განსხვავებული ახსნა მოუძებნა ამ გამოსახულებას კ. ლექვინაძემ და დაპავშირა რა იგი იმავე ბიჭვინთის ტაძრის საკურთხეველში მოცემული ირმისა და შვლის სიუჟეტთან, გამოთქვა მოსაზრება, რომ ძროხის პირდაპირ ხარიც უნდა ყოფილიყო გამოსახული, როგორც ეს საკურთხევლის შემთხვევაში იყო. ამასთან ამ ორი სიუჟეტის სემანტიკასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ „Именно «семью»

христиан в абстрактном смысле этого слова, т. е. весь христианский мир, должны были олицетворять собой, по-видимому” (Леквинадзе 1970: 180-181). ახევე კომპოზიციისგან ცალკე ახსნა ამ ცხოველთა სემანტიკა 6. ვაჩნაძემაც. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ძროხა-ხბოს გამოსახულება უნდა განასახიერებდეს დედაეკლესიასა და მისკენ სწრაფულ უმანქო სულებს (ვაჩნაძე 1982: 106-111).

რაც შეეხება ლ. მაცულევიჩს, მან ქრიზმა აბსიდის მოზაიკის იდეოლოგიურ და კომპოზიციურ ცენტრად მიიჩნია, რომლის შინაარსის კონკრეტიზაციას იძლეოდა მასთან კომპოზიციურად დაკავშირებული ბერძნული წარწერა (Мацулевич 1978: 136-137). იმის გამო, რომ ქრიზმის ცენტრალური მდებარეობა აპოკალიფსური ასოებით ჩვეულებრივ მიუთითებდა მის საკრძალავ ან საოხ ხასიათზე და ამ გამოსახულების შინაარსი იკითხებოდა როგორც „სამუდამო განსასვენებელი ქრისტეში“, ბიჭვინთის მონოგრამა და ბერძნული წარწერა საკრძალავი ან საოხი ხასიათის გამოსახულებად ჩათვალა (Мацулевич 1978: 162). რაც შეეხება ძროხა-ხბოს გამოსახულებას, იგი ცალკე განიხილა და იმის გათვალისწინებით, რომ მას ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აღმოსავლურ ძეგლებზე პარალელები ვერ მოუძებნა, მკვლევარმა აღნიშნული სცენა ადგილობრივ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს დაუკავშირა (Мацулевич 1956: 149). საფუძვლად კი მოუხმო ქართულ სინამდვილეში გავრცელებულ გადმოცემას ნიკორასა და ნიშაზე, ასევე ილორის წმინდა გიორგის ხარზე (Мацулевич 1978: 127-128). მთელი ამ მსჯელობის დროს მეცნიერს არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ ქართული ფოლკლორის ხარი მამრობითი არსებაა, ხოლო ბიჭვინთის მოზაიკა მთელი სიცხადით ხაზს უსვამს აღნიშნული ცხოველის მდედრობით სქესს. ამასთან, ვფიქრობთ, ძროხაში ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების წმინდა ცხოველის დანახვა შინაარსობრივ წინააღმდეგობაში მოდის მთლიანად კომპოზიციასთან – ქრიზმასთან, მტრედებსა და ბროწეულის რტოებთან და ბერძნულ წარწერასთან.

ქრისტეს მონოგრამა, მის გარშემო გამოსახული მტრედები ბროწეულის რტოებით და ბერძნული წარწერა ერთმანეთთან რომაა დაკავშირებული, ამაზე უკვე აღვნიშნეთ. ამჯერად დავამატებთ, რომ ამ კომპოზიციის ნაწილად გვესახება ძროხა-ხბოს გამოსახულებაც, რომელიც მხოლოდ მასთან კავშირში უნდა იქნეს განხილული.

ძროხას, ქრისტიანულ სიმბოლიკაში, ცალკე დატვირთვა არ აქვს, იგი მსგავსად ხარისხა წმინდა ცხოველად აღიქმება, ამიტომ აღნიშნული სიუჟეტის

ახსნა ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებითა და მსგავსი სცენების მოშველიებით ბუნებრივივად მოჩანს. ოოგორც ჩანს, ასეთი სიუჟეტი უძველესი დროიდან ფართოდ გავრცელებული გახლდათ და არა მხოლოდ ძროხა-ხბოს, არამედ ფური-შვლისა და ცხვარი-ბატკის გამოსახულებით. მაგალითად, მრავალწახნაგა საბეჭდავების კვლევისას მ. მაქსიმოვამ პარალელი გაავლო სარგონის დურ-შარუქინის სასახლის რელიეფთან, რომელიც გამოსახავს მუსასირის ტაძარს და მის წინ მდგარ ძროხასა და დედის რძეს მაწოვარ ხბოს (Максимова 1941: 84) და შენიშნა, რომ იგივე სიუჟეტი გადასულია ბერძნულ კულტურაშიც, სადაც ხშირად გამოსახავდნენ გემებსა და მონეტებზე, მათ შორის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან მჭიდროდ დაკავშირებულებზე. მაგალითისთვის ის ასახელებს სირიის სანაპიროზე არადასთან ახლოს აღმოჩენილ ძვ.წ. 600 წ. დათარიღებულ სკარაბეოიდს, რომელზეც ძროხა და ხბო გამოსახულია ხშირ პაპირუსის ბარდებზი და გაცილებით გვიანდელ სკარაბეოიდს კვიპროსიდან. მკვლევარის აზრით, აღნიშნული სიუჟეტი კარგად იყო ცნობილი VII-IV სს. მცირე აზიაში და, აღბათ, აქედან უნდა მოხვედრილიყო დასავლეთ ამიერკავკასიაშიც (Максимова 1941: 84-85).

ძროხა-ხბოს სიუჟეტის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ასევე ახ.წ. I ს. რომში მოჭრილი დრაქმაც (ე.წ. აპოლონიის დრაქმა), რომლის ერთ მხარეს მოცემულია ძროხა და ხბო. ძროხას თავი ისე აქვს დახრილი ხბოსკენ, რომელიც წოვს, თითქოს შვილს ლოკაგსო (Picard 2005: 32-33). აღნიშნული სიუჟეტი საქართველოში ქრისტიანობის შემოტანილი რომ არა და იგი უფრო ადრეული პერიოდიდან კარგად იყო ცნობილი მოსახლეობისთვის, ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოში დამზადებული საბეჭდავების გამოსახულებები. მაგალითად, 1940 წ. სამთავროში S უბანზე გათხრილ №242 კრამიტსამარხში¹⁷ აღმოჩნდა რკინის ბეჭედი მოწითალო ფერის სარდიონის ინტალიოთი (ინვ. №300), რომელზეც ძროხა ხბოს აწოვებს (ტაბ.XVII_3). ძროხის ზურგს უკან ხშირფოთლოვანი ხე დგას (ცხადია სიცოცხლის ხე), გამოსახულების ქვემოთ კი ერთსტრიქონიანი ბერძნული წარწერაა – KOVAK, – როგორც თ. ყაუხეზიშვილი მიიჩნევს – ქალის სახელი. გემა გადახეხილია, რაც მის დიდხანს ხმარებაზე უნდა მეტყველებდეს. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ სიუჟეტს მიკენურ, ფინიკიურ და იონურ გემებთან უძებნის ანალოგს, ადგილობრივად მიიჩნევს და ახ.წ. II ს. ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1954: 31-32).

ასეთივე შინაარსის მეორე გამოსახულება, ამჯერად მრავალწახნაგა მინის საბეჭდავზე (ინგ.№296), აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის S უბნის 1938 წ. გათხრილ ქვევრსამარხ №82-ში. მის ზედაპირზე სქემატურად გამოსახულია ძროხა და დედის რძეს მაწოვარი ხბო, რომლისკენაც ძროხას თავი აქვს დახრილი, თითქოს ლოკავხო. ანალოგიური გამოსახულება დატანილია ათწახნაგა მინის მძივზე, რომელიც აღმოჩნდა თრიალეთში ნერონ-დერესის №3 ქვაყუთში. რაც შეეხება მათ დათარილებას, ამაზე მოსაზრებები განსხვავებულია. მაგალითად, ბ. ლორთქიფანიძე სამთავროს საბეჭდავს ძვ.წ. IV-II სს. ათარილებს, მ. მაქსიმოვა, აკავშირებს რა საქართველოში მოპოვებულ მინის მრავალწახნაგა საბეჭდავებს მცირე აზიაში გავრცელებულ მსგავს ძეგლებთან, მათ ძვ.წ. V-IV სს. ძეგლებად განიხილავს, ხოლო ი. გაგოშიძე მრავალწახნაგა სავჭრდავებს ძვ.წ. I ს. შესაძლოა ახ.წ. I ს. ძეგლადაც მიიჩნევს (Максимова 1941: 84-86; ლორთქიფანიძე 1969: 106-107; გაგოშიძე 1982: 17,35).

აღნიშნული სიუჟეტის ფართოდ გავრცელება გვაფიქრებინებს, რომ ეს სცენა ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირული სამყაროს კულტურული ურთიერთობის შედეგად უნდა მოვიაზროთ. ხოლო ასეთივე შინაარსის სცენების ხშირად ირემი-შვლის, ცხენი-კვიცისა და ცხვარი-ბატკის გამოსახულებით წარმოდგენა, ვფიქრობთ, მათ ერთ სიმბოლურ დატვირთვაზე უნდა მიანიშნებდეს – მარტივად დედა-შვილის სიყვარულზე. დღეს ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა ამ ტრადიციის უწყვეტობაზე მიუთითებს, რაც ადრეკრისტიანული პერიოდის სიმბოლიკაში გაქრისტიანებული სახით შევიდა – დედაეკლესიისა და მორწმუნის განზოგადებული გამოხატულებით. ამ სიუჟეტით სიმბოლიკაში აისახა ერთი მხრივ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „როგორც დედა ანუგეშებს შვილს, ისე განუგეშებთ მე თქვენ და თქვენ იქნებით ნუგეშცემულნი იერუსალიმში“ (ესაია 66:12-13), ხოლო მეორე მხრივ კლიმენტი ალექსანდრიელის განმარტებები: „როგორც დედა სცნობს თავის შვილს, ისე ჩვენ გამოვარჩევთ ჩვენს დედაეკლესიას. როგორც მიწიერი მშობლები სიხარულით უმზერენ თავის შვილებს: ცხენი – თავის კვიცს, ძროხა – თავის ხბოს, ლომები – თავის ბოკვრებს, ირმები – ნუკრებს, ადამიანები – ბავშვებს, მსგავსად ამისა ზეციერი მამა იღებს მისკენ სწრაფულ ადამიანებს“. იქვე განმარტავს რა გამოსვლისა (გამოს. 3:8,17) და პავლე მოციქულის (I კორ. 3:1-2) სიტყვებს, ამბობს, რომ როგორც გამზრდელი აწოვებს რძეს ახალშობილს, ასევე უფალი კვებავს ხალხს ქრისტეს რძით – დვოაებრივი სიტყვით (Clément

d'Alexandrie 1846: I,5-6). ამ სემანტიკის მქონე გამოსახულების ნიმუშად დავასახელებდით ალჟირში, მატიფუში, ეკლესიის ცენტრალური ნავის მოზაიკას (IV ს. ბოლო – VI ს. დასაწყისი), რომელიც გამოსახავს მცენარეთა სივრცეში (მათ შორის ბროწეულის ყვავილებში) ცხვარსა და მის რძეს დაწაფებულ ბატქანს (Modéran 2003: 75).

ვფიქრობთ, ბიჭვინთის აღნიშნული სიუჟეტიც, მიუხედავად მისი ლრმა ადგილობრივი და ზოგადად ხმელთაშუაზღვისპირული ფესვებისა, სწორედ წმინდა მამისა და ძველი აღთქმის სიტყვების გამოხატულება უნდა იყოს, რაც ნაკლებ საფჭვო იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბიჭვინთის ეს მოზაიკა საეპისკოპოსო ტაძრის კუთვნილი გახლდათ და სად თუ არა აქ ცნობილი უნდა ყოფილიყო წმინდა მამათა სწავლებები. ქრისტეს მონოგრამიანი მედალიონისა და ორელის მოსახსენიებელი წარწერის თანხლება კი ძროხა-ხბოს გამოსახულების ამ შინაარსს მეტ დამაჯერებლობას სძენს.

აღნიშნული სიუჟეტის მედალიონთან კონტექსტში ჩასმისას გაცილებით მკაფიოდ იკვეთება ერთი მთლიანი ხაზი, რომელიც მონოგრამას, მტრედებისა და ბროწეულის ყვავილების (რაც ქრისტიანულ სიმბოლიკაში აიხსნებოდა როგორც ევქარისტიის სცენა), ძროხა-ხბოს გამოსახულებასა და ბერძნულებოვან წარწერას ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს. მხოლოდ ასე იქნება სრულყოფილი ამ კომპოზიციის სემანტიკა, რომელიც ადრექრისტიანულ პერიოდში ფართოდ გავრცელებულ თეზას გამოხატავს – ქრისტიანულ რელიგიას ზიარებული ორელისა და მისი სახლის უფალში სიმშვიდისა და ნეტარების პოვნისას.

ზემოაღნიშნულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრექრისტიანულ ეპოქაში ხარის სიმბოლოს გამოვლინება საქართველოში ადგილობრივი წარმართული რწმენის ქრისტიანულად ტრანსკრიფცია, რომლის პარალელურად ძროხისა და ხბოს სიმბოლოში აისახა წმინდა მამათა სწავლებები. VI ს. ამ ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ხარის ჩართვა სახარებისეულ სცენებში (იესოს შობა), რაც ჯერჯერობით გამონაკლისად რჩება საქართველოში.

თავი VII

ლომის სიმბოლო

„ხოლო გახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი” – გადმოგვცემს ჯუანშერი (ჯუანშერი 1955: 180). ღვთითკურთხეული ადამიანის გამოხატულებად ლომის წარმოჩენა ძველი მსოფლიოსთვის უცხო არ ყოფილა (არგიშთი I-ის, სარდურ II-ის და რუსა II-ის ფარები). მისი ფესვები შორეულ წარსულში და რწმენაშია საძებნი.

ლომის, როგორც ღვთაებრივი ბუნების მატარებელ ცხოველად მიჩნევა უპირველეს ყოვლისა მის ძალასთან იყო ასოცირებული, კანის ფერმა კი იგი მზესთან დააკავშირა.

ძველ აღმოსავლეთში, ჩათალ-ჰუიუქის ნამოსახლარიდან მოყოლებული, იგი ქალღვთაების, ნაყოფიერების ღვთაების წმინდა ცხოველია (მაგ. იშტარი). ლომის გამოსახულებები ხარებთან ერთად დატანილი იყო არგიშთი I, სარდურ I და რუსა II ფარებზე (ძვ.წ. VIII-VII სს.), რაც გ. ყიფიანის აზრით ურარტულთა სალოცავების, წმინდა მთის მოდელს უნდა გულისხმობდეს (ყიფიანი 1996: 36-38). საბერძნეთსა და ფრიგიაში მას უკავშირებდნენ ქალღმერთ კიბელას – ღმერთების დიდ დედას. სპარსეთში ლომები, როგორც მცველები, უძველესი დროიდან გამოისახებოდნენ ტაძრებისა და სახლების შესასვლელთან. გარდა ამისა, უძველესი დროიდან ფართოდ იყო გავრცელებული ლომის ბრძოლის სიუჟეტები სხვა ცხოველებთან (ირემთან, ხართან), რაც აიხსნებოდა როგორც სინათლისა და სიბნელის ბრძოლა ან მარადიული განახლების სიმბოლო. იმაგი დროს ლომი მითრას სიმბოლო იყო (Борисов. . . 1963: 34).

ებრაული სამყაროსათვის ლომი ერთი მხრივ ძალის, ძლიერების, სიბრძნის განსახიერებას წარმოადგენდა (იგი იუდას შთამომავალთა გამოხატულება), მეორეს მხრივ კი იმათი მეტოქე იყო, ვისაც ღმერთი მფარველობდა (დანიელი).

ქრისტიანული სიმბოლოების შესწავლისას XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მკვლევარები ა. უვაროვი და ა. ფონ ფრიკენი შენიშნავდნენ, რომ ლომის წარმართული სიმბოლიკა თითქმის დავიწყებულ იქნა პირველი ქრისტიანების მიერ და ქრისტიანობაში იგი ებრაელებიდან შევიდა, როგორც ძლიერი და ყურადღებიანი მცველის გამოხატულება. საფუძვლად კი უნდა დასდებოდა ბიბლიაში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც სოლომონმა მამის რჩევით ლომების ოქროსა და ვერცხლის სკულპტურები უფლის ტაძარში

დაადგმევინა (3 მეცნიერთა. 7:29,36). ამ მნიშვნელობის გამომხატველი უნდა იყოს მათი გამოჩენა ადრექრისტიანულ სარკოფაგებზეც (Фрикен 1877: 86-88; უვაროვ 2001: 243-244). თუმცა, უკვე II საუკუნიდან, როგორც ამას ტერტულიანეს სიტყვებიც მოწმობს (იგი მამაც ეპისკოპოსებს მშვიდობის დროს ლომებს უწოდებს, ხოდო ბრძოლაში – ირმებს: „მე ვცან ისინი – მშვიდობაში ლომნი და ბრძოლაში ირმები“ (უვაროვ 2001: 243-244)), ქრისტიანობაში ლომს თანდათან უნდა შეეძინა სხვა დატვირთვაც და დაკავშირებოდა იმ წარმართების სახელს, რომელთა მოქცევა ჭეშმარიტ რჯულზე იესო ქრისტემ თავისი ქადაგებითა და სასწაულებით მოახერხა. მეორეს მხრივ კი, იგი ეშმაკის გამოხატულებაცაა, რომელიც „როგორც ლომი, ცდილობს ადამიანის შთანთქმას“.

ადრექრისტიანული პერიოდის (IV-VI სს.) მახლობელი აღმოსავლეთის ეკლესიებში (მაღაბის, ჰუარტეს, უმ ჰარტაინის, სორანეს, ქალდეს, ქაბრ-ჰირამის ძგელი ეკლესიები) ხშირად გამოისახებოდა ლომისა და ხარის დაპირისპირების სცენები, რომელიც ესაია წინასწარმეტყველის სიტყვების გამოხატულებად აღიქმება: „ლომი მსგავსად ხარისა გამოიკვებება ჩალით“ (ეს. 65:25). ამ ძიებათა პროცესში მნიშვნელოვანი ცოდნის მომცემია იორდანიაში, მაინის ეკლესიასთან მდებარე სამლოცველოს მოზაიქა, რომელიც გამოსახავს ხარისა და ლომის დაპირისპირების სცენას. მას ხსნის თანმდევი წარწერა: „ლომი, ისევე როგორც ხარი, გამოიკვებება ჩალით“ (Olszewski 1995: 25). როგორც ჩანს, აღნიშნულმა სიუჟეტმა ფართო გავრცელება ჰპოვა და ხანგრძლივად დამკვიდრდა სიმბოლოთა სკოლაში, რის დამამტკიცებელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კაპადოკიაში, გიურემის საკრძალავის ანალოგიური სცენით წარმოდგენილი კედლის მხატვრობა, რომელიც X ს. თარიღდება (Thierry 1984: 674-675).

ასეთივე გავრცელებული გახლდათ მტაცებელ და ჩლიქოსან ცხოველთა დაპირისპირების სცენები, რომლებშიც ლომი ერთ-ერთ მთავარ ცხოველს წარმოადგენდა. ასეთი სიუჟეტები ხშირად არა მხოლოდ ნართექსის, არამედ ტაძართა ნავების მთელ იატაქზეა გაშლილი, ზოგჯერ მცენარეთა და ფრინველთა მრავალფეროვნებით გარემოცული. აღნიშნული სცენები, რომლებშიც მტაცებელ ცხოველებს ზოგჯერ ფრთხებიც უწნდებათ, მკვლევართა შორის თეოლოგიურ კითხვებს ბადებს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ IV-VI სს. ახლო აღმოსავლეთის ეკლესიებში შემორჩენილი ნადირობის სცენები დროის გამოძახილია და სასანური სამეფო ხელოვნების გავლენითაა შექმნილი¹⁸ (Balty 1991: 34-35). მეორენი კი მათ ახსნას ქრისტიანული სწავლებებით ცდილობენ.

აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობისას მ.-ტ. ოლზეგსკიმ სცადა ეს სიუჟეტები აეხსნა კირილე იერუსალიმელის კატეხიზმების გამოყენებით, რომელიც ბუნების მრავალფეროვნებას და მალის, ნების და სიბრძნის გამოვლინებად სახავს: „ლომი სისხლის მსმელია: იწამე ღმერთი და ის გაწვება შენს სიახლოვეს, როგორც ეს მოხდა დანიელის შემთხვევაში“ (Olszewski 1995: 25-26). ამ სიუჟეტების კვალდაკვალ ბუნებრივივად ამოტივტივდება აქემენიდური ხანის მსგავსი სიუჟეტები სხვადასხვა ნივთებზე, რომელთაც წინა აზიაში დაბადებულად მიიჩნევენ, როგორც სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლის სიმბოლურ გამოხატულებას. ისინი მალევე შეითვისა ბერძნულმა სამყარომ და შემდეგ ფართოდ გაავრცელა კოლონიებში. ძვ.წ. VI-IV სს. ის ხშირად გამოისახებოდა ბერძნულ აღმოსავლურ-იონურ საბეჭდავებსა და მცირე აზიაში ბერძნულ ქალაქებში და სპარსელ სატრაპთა მიერ მოჭრილ მონეტებზე (Максимова 1941: 83-90). მათგან, მაგალითისათვის, დავასახელებდით მცირე აზიაში ფართოდ გავრცელებულ მრავალწახნაგა მინის საბეჭდავებს, რომელთა სიუჟეტები, მ. მაქსიმოვას თანახმად, ადგილობრივი ხელოსნების მიერ გარკვეულწილად სახეშეცვლილი სახით აღებული უნდა იყოს ბერძნულ-სპარსული გემებიდან. ადგილობრივი დამზადების ასეთი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოშიც (მეტები – კასპის რაიონი, ახალი ნიჩისი, არჯეთი), რომელთაც მკვლევარები ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებებზე¹⁹ (Максимова 1941: 75-92; ლორთქიფანიძე 1969: 112-115).

აღნიშნული სიუჟეტი ფართოდ ჩანს გავრცელებული საქართველოშიც, რაზეც უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ვანის ოქროს დიადემები №6,11 სამარხებიდან (ძვ.წ. V ს-ის I ნახ.) (ლორთქიფანიძე 1972ბ: 10-11); გონიოს განძის ოქროს მედალიონი (ახ.წ. I-II სს.) (ლორთქიფანიძე. . . 1980: ტაბ.XVII-XVIII); საბეჭდავები კლდეეთიდან (ძვ.წ. IV ს.) (ლომთათიძე 1957: 45-46; ლორთქიფანიძე 1961: 10-11), ურბნისის №84 სამარხიდან (ახ.წ. I-II სს.) (ჯავახიშვილი 1972: 36) და ახალციხიდან (ახ.წ. V ს.) (რამიშვილი 1979ბ: 77). როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ასეთი ბრძოლის სცენები აქემენიდური ირანის კულტურის მახასიათებელია, რომელიც შემდეგ ფართო გავრცელებას პპოვებს ასევე სასანიანთა ირანის ყოფაშიც. მაგრამ განსხვავებულია აზრი თუ რას გამოსახავს ეს სცენა. როგორც წინა თავში აღინიშნა, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იგი სიცოცხლისა და სიკვდილის, სინათლისა და სიბნელის ბრძოლის სიმბოლიზებაა, რომელშიც ლომი სინათლისა და სიცოცხლის გამოხატულებას

წარმოადგენს. იმავე დროს, მას უკავშირებენ ზოროასტრულ კალენდარს – გაზაფხულის ნაბეჭიობას (ლორთქიფანიძე 1972ბ: 11). ი. სურგულაძის მოსაზრებით იმ „სიუჟეტებში, საღაც ლომი მისდევს ირემს, იგულისხმება მწვანისა და ზაფხულის მწველი მზის ბრძოლა, რაც ბუნების კვლევით სრულდება“ (სურგულაძე 2003: 35). მაგრამ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მეცნიერთა ნაწილის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ სცენებში იცვლებიან დამარცხებული ცხოველები, მათი ასტრალურ სიმბოლიკად მიჩნევა საეჭვო ხდება. განიხილავს რა ვანის დიადემებს, გ. ყიფიანი მიიჩნევს, რომ ბრძოლის თემა უკავშირდება „სამყაროს ზიარების პროცესს ცენტრთან, დვთაებასთან, სასიცოცხლო ენერგიასთან“ (ყიფიანი 1995: 10-21). როგორიც არ უნდა იყოს სემანტიკა ცხოველთა ბრძოლის სიუჟეტისა, ცხადია, რომ მის გავრცელებას მოსახლეობაში, ვიდრე გვიანანტიკურ ხანამდე, გავლენა უნდა ექონია ადრექტისტიანული ხანის ტაძართა დეკორში, რაზეც ჩვენს მიერ მოყვანილი ეკლესიათა მოზაიკაც მოწმობს.

ანტიკურ ხანაში ლომის გამოსახულების ფართოდ გავრცელება საქართველოში არა მხოლოდ ირანთან კულტურული ურთიერთობით იყო განპირობებული, არამედ ადგილობრივი ძველი ტრადიციებითაც, რომლის დადასტურება არც თუ ხშირია, მაგრამ აშკარაა (ოქროს ლომის ქანდაკება წნორის ყორდანიდან (ჯაფარიძე 1998: 121), ძვ.წ. IX-VII სს. ბრინჯაოს სარტყელი ტაკიას სამაროვნიდან (ხიდაშელი 1982: 18-24), კოლხური თეთრი (ლორთქიფანიძე 2002: 196-197)). და რაც ადსანიშნავია, მისი კულტის არსებობა დასტურდება ისტორიული წყაროთიც: ფლავიუს არიანე იხსენიებს ფაზისის ქალღვთაება ფასიანეს, რომლის ქანდაკება ქალაქის შესასვლელში იდგა. სავარძელზე მჯდომი დვთაება, რომლის ფეხებთან ლომები იწვნენ, ავტორს ნაყოფიერების დიდი დედის, რეასთვის მიუმსგავსებია (ფლავიუს არიანე 1961: 39,68).

ფლავიუს არიანეს ინფორმაცია კარგი დადასტურებაა ვანისა და საირხის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოთქმული მოსაზრებებისა, რომ ლომი ნაყოფიერების ქალღვთაებასთან იყო დაკავშირებული, რომელთანაც თანაარსებობდა ასტრალური მზისა და მთვარის თაყვანცემა (ინაძე 1986: 47). ლომი კი სწორედ მზის სიმბოლო უნდა ყოფილიყო, რაზეც ამ ცხოველის ხშირად გავაზე გარდულით გამოსახვა მიანიშნებს. მაგალითისთვის დავასახელებდით ახ.წ. II ს. გონიოს ბალთას (XVII₄), რომლის სახეშიც გ. ყიფიანი ტაძრის მოდელს ხედავს, ხოლო მის სახურავზე ქიმისკენ აღმავალი

ლომი დგთაებრივ, ამ შემთხვევაში კიბელას წმინდა ცხოველად წარმოგვიდგება (ლორთქიფანიძე. . . 1980: 15-16; ყიფიანი 2000: 74). იგივე შინაარსს ხედავს ბ. ყიფიანი 1975წ. ბაგინეთში აღმოჩენილი ფრიზის რელიეფშიც, რომელიც გამოსახავს ლომის ნიღაბს და ოთხფურცელა ვარდულს. მკვლევარი თვლის, რომ ლომისა და ვარდულის ურთიერთმონაცვლეობა ფრიზზე მხოლოდ ერთი კონკრეტული დგთაების ასახვაა (ყიფიანი 1993: 55-56). ამ თვალსაზრისით საინტერესო გამოსახულებას შეიცავს უნივერსალური აღმოჩენილი IV-V სს. დათარიღებული ყვითელი ფერის მინის მედალიონი – ავგაროზი (ტაბ.XVII₅), რომელსაც პატრონი უნდა დაეცვა ავი თვალისა და ავადმყოფობისგან²⁰. შტამპური წესით დამზადებული მედალიონი გამოსახავს ფაფარაშლილ მოღრიალე ლომს, რომლის თავთან მოცემულია ნახევარმთვარე და ვარსკვლავი (ჩიხლაძე 1999: 110-111). როგორც ჩანს, მედალიონის გამოსახულებებში დგთიური ტრიადა უნდა მოიაზრებოდეს – მზე, მთავარე და ვარსკვლავი (იქნებ მასში იგულისხმებოდა კიდეც უძველესი ქართული ტრიადა – მორიგე დმერთი, მზექალი და კვირია. ნიშანდობლივია, რომ მზექალი სწორედ ლომითაა წარმოდგენილი). მსგავსი, მარჯვენა პროფილში მოცემული ლომი ნახევარმთვარითა და მზის გამოსახულებებით სასანური ირანის გლიპტიკის დამახასიათებელია (ტაბ.XVII₆) (Борисов. . . 1963: №306,309), მაგრამ ამ შემთხვევაში ვ. ჩიხლაძის მოსაზრებით მედალიონი უნივალ უნდა იყოს დამზადებული, იმ დროს, როცა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული და უკვე მთაშიც ფეხმოკიდებული (სწორედ ამ პერიოდში, ამავე სამაროვნიდან, არაერთი ქრისტიანული სიმბოლიკის გამომხატველი ნივთი მომდინარეობს) (ჩიხლაძე 1999).

ადრექრისტიანული პერიოდის ლომის გამოსახულებიანი რელიეფები წარმოდგენილია ქვემო ქართლიდან და აფხაზეთიდან. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ბოლნისის სიონის პილასტრის კაპიტელის ნადირობის სცენა (ტაბ.XVIII₁). იგი გამოსახავს უკანა ფეხებზე ჩაჩოქილ ორ ლომს, რომელთაც მომწყვდებული ჰყავთ „ოთხით“ მორბენალი ირემი. სამივე ცხოველის უკან კი გამოსახულია ფოთლოვანი ხეები. 6. ურუშაძის მოსაზრებით ბოლნისის რელიეფის ლომები ტოტემური მგელ-ძაღლი-ლომის ბოლო გამომსახველობითი საფეხურია (Урушадзе 1973: 130-131). გ. ჩუბინაშვილის აზრით, სცენა ირანული გავლენის მატარებელია, რადგან ცხოველების, ამასთან მოძრაობაში მყოფთა გამოსახვა სასანური ხელოვნების მეტად საყვარელ თემას წარმოადგენდა, ხოლო

ლომების გამოსახვა ფრთებით, სამეფო ძალაუფლებისა და სიწმინდის სიმბოლოთი, ასევე ამ კულტურის მახასიათებელი იყო (ჩუბინაშვილი 1926: 57-58; ყუბინაშვილი 1940: 157-158).

ანალოგიური მოტივის არსებობას მთელ სასანურ ირანში ასახელებს ჸ. ამირანაშვილიც, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ე.წ. სასანური ხელოვნება თავისი მოცულობით სცილდება ირანის საზღვრებს. მის შექმნაში ირანს გარდა, გარკვეულ შემოქმედებით მონაწილეობას იღებდნენ ირანთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნები, როგორც მაგალითად საქართველო, სომხეთი, ადრინდელი ალბანეთი, დადესტანი, მცირე აზის ცენტრალური რაიონები“ (ამირანაშვილი 1961: 110). მეცნიერის სიტყვების დასტურად კიდევ ერთხელ დავასახელებდით მახლობელი აღმოსავლეთის ადრექტისტიანული ხანის მოზაიკებს, სადაც ბოლნისის კაპიტელის რელიეფის მსგავსი სცენები ძალიან ხშირია და ამასთან დავსძენდით, რომ თითოეული ის დეტალი, რომელიც ერთი შეხედვით სასანური კულტურის ნაწილად გამოიყურება, გააზრებულად და ქართულ ტრადიციებთნ შესაბამისად გადმოისახებოდა ქართველ ოსტატთა ხელობაში. სწორედ ამას უსვამდა ხაზს თავად გ. ჩუბინაშვილი, როდესაც შენიშნავდა, რომ ბოლნისის კაპიტელების ლომებიანი დეკორი „ხალხურ რწმენებთან დაახლოვებული, მსგავსი, შინაგანად ახლობელი“ მხატვრული სახეები გახლდათ (ყუბინაშვილი 1940: 158).

მეორეს მხრივ, ამ სიუჟეტის ფესვების ძიებისას, ვფიქრობთ, აზრს მოკლებული არ იქნება სიცოცხლის ხისა და ანტიპოდური გამოსახულებების გახსენებაც. იმის გამო, რომ ასეთ ძეგლებზე გარკვეულ შემთხვევებში სიცოცხლის ხე თვეზის გამოსახულებით იცვლება, გ. ჩიტაია ფიქრობდა, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ გადმოცემებში სიცოცხლის ხეს ნაყოფიერების ძალაც მიეწერებოდა (ჩიტაია 1941: 139). თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სიცოცხლის ხე წარმართულ პანთეონში ხშირად იცვლებოდა ირმის გამოსახულებით, რომლის რქები სწორედ ასეთ ხედ აღიქმებოდა, მაშინ ბოლნისის სიონის ეს კაპიტელი შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც სიცოცხლის ხის ორივე მხარეს გამოსახული ანტიპოდები. ამ შემთხვევაში, წარმართულ ქართულ პანთეონთანაც შეგვიძლია კავშირის დანახვა. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ოსტატის მიერ რელიეფისათვის აღებული სიუჟეტის „ორიგინალი“, ერთი რამ ცხადია, იგი ზუსტად მიესადაგებოდა ახალ რელიგიას და მის სიმბოლიკას (ამ თვალსაზრისით საინტერესოა უკვე ნახსენები უმ ერ-რაზას გ.წ. ლომების

ტაძრის საკურთხევლის მოზაიკა, სადაც გეომეტრიული ჩარჩოთი შემოზღუდულ „ბაღში“ აღმართულია ბროწეულებისა და ვაშლის სამი ხე. ცენტრალურ, დიდი ზომის ხესთან მოცემულია ორი ლომი, რომელთაც ვედრების ნიშნად თავები დაუხრიათ და თითო წინა თათი აუწევიათ. დანარჩენ ორ ხესთან კი ფოთლების მკორცხველი ქურციკებია გამოსახული (Piccirillo 1991: 287-288)). განსაკუთრებით კი პასუხობდა ქართული საისტორიო წყაროების მონათხოვბს სიცოცხლის მომნიჭებელი ხის შესახებ, რომლის ფოთლებითაც დაჭრილი ირმები განიკურნენ („მოქცევად ქართლისავ“ 1963: 159; ლეონტი მროველი 1955: 119-120).

აღნიშნულ სცენას ეხმაურება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული რელიეფი, რომელიც მარნეულის რაიონში მდებარე წოფის V ს. ბოლო – VI ს. დათარიღებული ერთნავიანი ბაზილიკის კაპიტელს წარმოადგენს (თავად კაპიტელი, რომელიც შ, ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, კუთვნილი პასპორტის მიხედვით დათარიღებულია V ს.) (ცქიტიშვილი 1960: 89-90). სიუჟეტი პილასტრის კაპიტელის ორ თანმიმდევრულ გვერდზეა მოთავსებული (XII₄), რომელთა შემაერთებელ კიდეზე გამოსახულია ხე. მისკენ ისწრაფვიან ხარ-ირმები და ფურ-ირმები, რომელთაც თავის მხრივ მისდევენ წინა თათებზე შემართული ლომები. რელიეფი არაა იმდენად დახვეწილი, როგორც ბოლნისის სიონის აღნიშნული სიუჟეტი, თუმცა უფრო ექსპრესიულია და მათი თანადროულობაც აშკარაა (დიღმელაშვილი 2005გ: 220-221).

გ. აბრამიშვილი ბოლნისის სიონის, აკაურთის, ივრის სიონის, კაწარეთისა და დამბლუტისწყლის მსგავს სიუჟეტებთან ერთად აღნიშნულ რელიეფში ქართლის გაქრისტიანების სცენას ხედავდა, რაზეც ირმის სიმბოლოს შესწავლისას გავამახვილეთ ყურადღება. მაგრამ, მკვლევარი არ შეხებია ჩვენს მიერ განხილულ ბოლნისის სიონის პილასტრის კაპიტელს და არც ლომის სემანტიკა აუხსნია წოფის სცენის განხილვისას (აბრამიშვილი 2001: 66).

უნდა აღინიშნოს, რომ ადრექრისტიანული პერიოდის მსგავსი – ცხოველთა დაპირისპირების რელიეფური სიუჟეტები – ქვემო ქართლის ფარგლებს არ სცილდება, რაც თავისთავად სვამს კითხვის ნიშნებს. რაც შეეხება ბოლნისისა და წოფის ჩვენს მიერ განხილულ რელიეფების სემანტიკას, ვფიქრობთ, მათში არა მხოლოდ ქართლის გაქრისტიანება უნდა ვეძიოთ, არამედ ზოგადად ქრისტიანულ რელიგიასთან ზიარების წყურვილიც.

ქვემო ქართლის ტაძართა შემდგომი პერიოდის (VI-VII სს.) ლომის გამოხატულებიანი რელიეფები ცნობილია ანაკოფიიდან და სოხუმის მთიდან (ტაბ.XVI_{3,4}), რომლებიც გამოსახავენ ჯვრის მოპირდაპირე მხარეს მოცემულ ლომსა და ხარს (Хрущкова 1980: 28-31). მართალია, ლომი და ხარი ლუკასა და მარკოზ მახარებლების სიმბოლოებია, მაგრამ მათი რელიეფებზე ფრთების და ნიმბების გარეშე გამოსახვა, ნაკლებ იძლევა იმის საშუალებას, რომ აფხაზეთის ამ რელიეფებში მახარებლები დავინახოთ. პირიქით, სიუჟეტების მსგავსება ადრექრისტიანულ გამოსახულებებთან (მაგალითად, მადაბის (იორდანია) მოზაიკა (Olszewski 1995: 14,27)), გვაფიქრებინებს ამ რელიეფების ეპქატისტულ სემანტიკაზე. ამასთან სოხუმის გორიდან მომდინარე რელიეფი სწორედ მის წარმართულ ფესვებთან კავშირზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე ქრისტიანულ იკონოგრაფიასთან. მხედველობაში გვაქვს ფილაზე ლომის თავთან და ჯვრის მკლავს ქვემოთ გამოსახული, პატარა ოთხფერცელი ვარდული, რომელიც წარმართულ ქართულ ძეგლებზე ხშირად გამოისახებოდა ამა თუ იმ ცხოველის სხეულზე თუ მის ნაცვლად, როგორც მისი მზესთან და ლვთაებასთან კავშირის ნიშანი.

ლომის გამოსახულებები არაერთგზის გვხვდება მოგვიანო პერიოდის ქართულ ძეგლებზეც, მაგალითისთვის დავასახელებდით ქსნის არმაზს (გ. ყიფიანი ტაძრის რელიეფს თავისი ამოზიდულობის დონისა და ამაღლებული ზურგის გამო ბოლნისის სიონის ლომის გამოსახულებებთან აკავშირებს და რადგან, მკვლევარის თქმით, აღნიშნული მახასიათებლები მომდევნო საუკუნეებში თანდათან დაბლდება და ქრება, რელიეფს VI საუკუნეზე გვიანდელ ძეგლად გერ მოიაზრებს (ყიფიანი 2000: 93)), უბისას, ნიკორწმინდის (ჩრდილოეთის ტიმპანზე გამოსახულია ფრთოსანი ლომები ერთმანეთის პირისპირ) (Мацулевич 1938: 47-48) და სხვა ტაძრების რელიეფებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ადრექრისტიანულ პერიოდში ლომის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში წარმართულ პერიოდში მის მძლავრ ფესვებს დაგუპავშიროთ, რომელმაც ასახვა პჰოვა ახალ რელიგიაშიც, რაზეც მეტყველებს წარმართული და ადრექრისტიანული პერიოდების ლომის გამოსახულებიანი სიუჟეტების ხასიათის უწყვეტობა.

თავი VIII

მტრედის სიმბოლო

„ნათელდებული იქსო მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჲა, გაიხსნენ ცანი, და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი“ (მათე 3:16). ამ სიტყვებმა ქრისტიანულ რელიგიაში მტრედის ძირითადი მნიშვნელობა განსაზღვრა. ქრისტიანობაში მისი გადასვლა მთლიანად ებრაული სამყაროს გავლენას უნდა მივაწეროთ. ძველი აღთქმის წიგნებში მტრედი არაერთხელ ჩნდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ეპიზოდია, როცა მტრედი ახალი ერის დასაწყისის მაუწყებელია – ბრუნდება რა წარდგნის შემდეგ ნოესთან აყვავებული ზეთისხილის რგოთი. მტრედი ითვლებოდა წმინდა არსებად და უმანკოების, სისპერაკის განსახიერებას წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ, როცა მარიამი ტაძარში მივიდა თან ორი მტრედი მიიყვანა და დმერთს შესწირა (ლევიტელნი 12:6-8; ლუკა 2:23-24).

ქრისტიანობაში მისი დამკვიდრება, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტეს ნათლისღების დროს მომხდარმა სასწაულმა განაპირობა. რატომ გამოისახა სულიწმინდა მტრედის სახით? ამაზე ტერტულიანე მარტივად პასუხობს – მტრედის შერჩევა მისი უმანკოებიდან და მიამიტობიდან მოდიოდა (Tertullien 1852c: VIII). ამიერიდან მტრედმა სულიწმინდის, გონის სიმბოლოს სახელი შეიძინა. მისი უძველესი გამოსახულებები (I-II სს.), სადაც მას ნისკარტით ზეთისხილის რტო უჭირავს, მტრედის, როგორც ღვთის ნების გამოხატულებაა, რომელმაც კაცობრიობას მშვიდობა და ხსნა აუწყა (Tertullien 1852c: VIII). ოუკირველ საუკუნეებში მტრედი მუდმივად სწორედ ნოეს კიდობანთან იყო დაკავშირებული, მოგვიანებით მან უკვე მეორე, წმინდა სულების სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა. სწორედ ამ სემანტიკის მატარებელია მტრედები წყალთან ან ხილის მარცვლებთან ერთად (Фрикен 1877: 57-59; Уваров 2001: 185-188). მაგალითად, დომიცილას კატაკომბებში სამი თვის ბავშვის ლუსკუმაზე გამოსახულია ორი მტრედი, რომლებიც ნისკარტით ყურძნის მტევანს ეწევიან. მისი მარცვლები ფრინველთა ნისკარტებში იმაზე მიანიშნებდა, რომ ამ ბავშვმა ხსნა პპოვა (Tristan 1996: 119).

სშირად მტრედს გამოსახავდნენ ლარნაკიდან წმინდა სითხის მსმელს (ამ სიუჟეტიდან ერთ-ერთი შთამბეჭდავია კონსტანციას კატაკომბის კედლის მხატვრობის დეტალი, რომელიც გამოსახავს ფიალასთან მჯდომ თოხ მტრედს

ევქარისტიის მომენტში. მხატვრობა ახ.წ. IV ს. შუა ხანით თარიღდება (Barbet 1998: 111). გამოსახულებას ზოგჯერ თან ახლავს წარწერაც: „შესვი, რათა იცხოვო“ (Tristan 1996: 119). თავისთავად ცხადია აქაც ევქარისტიასთან გავაჭვს საქმე. აღნიშნული სცენები ხშირად გვხდება IV-VI სს. ტუნისის, სირიის (ჰუაიტისა და უმ-ჰარტაინის), ლიბანის (ქალდეს) ტაძრებისა და საკრძალავთა მოზაიკაში (Bejaoui. . . 2001c: 1495-1496; Olszewski 1995: 19-24; Duval 1978: 921,923). გარდა ამისა, როგორც კატაკომბების სარკოფაგების გამოსახულებები მოწმობენ, მტრედს გამოსახავდნენ ქორწინებისა და ერთგულების ნიშნადაც (Уваров 2001: 192-193).

ხმელთაშუაზღვისპირა სამყაროში მტრედის სიმბოლიზება უკვე მიკენურ პერიოდში ხდება. ამასთან, მტრედები ქალღვთაების სიმბოლოებად და უფრო ხშირად ღმერთების დიდი დედის ქალური საწყისისა და დედობრიობის გამოხატულებად გვხვდინებიან. სწორედ ამ ნიშნით მტრედი ბერძნებთან – აფროდიტეს, რომაელებთან, შესაბამისად – ვენერას, ფრიგიელებთან – კიბელას, ხოლო საარხელებთან ანაკიტას სიმბოლო იყო (Нейхардт 1987: 55; Борисов. . . 1963: 34).

უძველესი დროიდან, არა მხოლოდ მტრედები, არამედ, სხვა პატარა ზომის ფრინველებიც, წმინდა არსებები უნდა ყოფილიყვნენ ქართველთაოვანისაც, და ღვთაებათა დიდი დედის სიმბოლოთა გარდა, როგორც ჩანს, სახლის მფარველის როლსაც ასრულებდნენ. ამის შესანიშნავი მაგალითია სოფ. ხაიშის განძში შემავალი საკიდი მინიატურული სახლის გამოსახულებით, რომელსაც გ. ყიფიანი ღვთაების დიდი დედის ტაძრის მოდელად მიიჩნევს. ამ საკიდის სახურავზე ჩიტები (მტრედები) სხედან, ხოლო ბაქანზე ავლოსზე დამკვრელის, კიბელას ერთ-ერთი თანმხლების ფიგურაა დასმული²¹ (ფუთურიძე 1959: 61; ლორკიპანიძე 1970: 118; ყიფიანი 2000: 75). ხშირად, ჩიტებს ერთნაირი ფორმით გამოსახავდნენ, ეს კი თითქმის შეუძლებელს ხდის ამათუიმ ფრინველში მტრედის სახის დანახვას. ის ფრინველია – წმინდა არსება და მორჩა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე მოპოვებული ნივთები: გაშლილი ფრთებით წარმოდგენილი მტრედის ბრინჯაოს ბალთა და თიხის მტრედის თავი, რომლებიც ძვ.წ. V ს. თარიღდებიან (Кахидзе 1981: 53).

ახალი წელთაღრიცხვიდან მისი გამოსახულებიანი ნივთები როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივი ნაკეთობით არის წარმოდგენილი. მათში,

ალბათ, უნდა გამოიყოს ბალთების „სერია” გონიოდან და კლდეეთიდან, რომელთაც ა. ჭყონია ტაძრის იმიტაციად მიიჩნევს (Čkonia 1999: 120). ესაა I-II სს. დათარიდებული, მეტნაკლებად მსგავსი 14 ოქროს ბალთა, რომელთა შორის 4 გონიოს განძიდანაა, ხოლო დანარჩენი 10 კლდეეთიდან. ბალთებიდან ზოგი ნაკლულია, ზოგიც ფრაგმენტული. ძირითადად ისინი შედგება ოთხეუთხა ფირფიტისგან (ტაბ.XVIII₂), რომელსაც ზოგ შემთხვევაში ერთი, სხვა შემთხვევაში კი ორი სამკუთხედი „ახურავს”, ხოლო დაბლა ჰკიდია წნულ ჯაჭვებზე დამაგრებული მრგვალი საკიდები. ბალთების ოთხეუთხა ფირფიტებში უმეტესად ჩასმულია ერთი დიდი და ოთხი მომცრო ზომის თვლები, ძირითადად მუქი წითელი ფერისა (კლდეეთის №2 სამარხში აღმოჩენილი ბალთის თვალი წითელი კია, მაგრამ ამეთვისტოს ფერი გადაჰკრავს, ხოლო გონიოს ბალთის ერთი დიდი თვალი ლია ყვითელია), მათ შორის სივრცეები შევსილია მოცვარული სამკუთხედებით. მხოლოდ გონიოს ბალთის ერთადერთ შემთხვევაში იცვლება ცენტრალური დიდი თვალი მხედრის გამოსახულებით. ბალთების ნაწილის სამკუთხედებში, რომელიც სახურავით ადგას თავზე ოთხეუთხა ფირფიტებს, ასევე მცირე ზომის თვლებია ჩასმული. კლდეეთის სრულად შემორჩენილი ყველა და გონიოს ერთი ბალთის სამკუთხედების წვეროებზე ერთი-მეორის პირისპირ ჩიტების (მტრედების) გამოსახულებებია დასმული (გონიოს ბალთის ერთ შემთხვევაში სამკუთხედის ფერდზე ზის ლომი, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ სამკუთხედია) (ლორთქიფანიძე. . . 1980: 13-23; ლომთათიძე 1957: 30-35,89).

ბალთების დანიშნულების საკითხზე, რომელიც მთლად გარკვეული არაა, არის მოსაზრება, რომ ისინი შესაძლოა თავსამკაულს წარმოადგენდნენ (ჭყონია 1977: 87, შენიშვ. 38). ფრინველების, ლომებისა და მხედრების გამოსახულებებით შემკული ნივთები უცხო რომ არ იყო ქართული საზოგადოებისთვის, ამაზე მხოლოდ ვანის მონაპოვარიც მეტყველებს, მაგრამ რას გამოხატავდა ბალთების ასეთი შემკულობა? როგორც აღვნიშნეთ, ფრინველი (მტრედი) მცირე აზიის ხალხებში ლმერთების დიდი დედის წმინდა არსებად მიიჩნეოდა, მასვე უკავშირდებოდა წარმოდგენა ლვთაების მხედრების შესახებ (ლორთქიფანიძე 1972ა: 101-102). ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლომი კოლხეთში დიდი დედისა და მზის სიმბოლო გახლდათ და გონიოს ბალთების ლომისა და მხედრის ცხენის გამოსახულებები გავაზე ვარდულს, მზის სიმბოლოს, ატარებენ (ლორთქიფანიძე. . . 1980: 13-16), რაც ასევე აქვთ ვანის სამკაულის მხედრის

ცხენებსაც (ლორთქიფანიძე 1972: 102), მაშინ შესაძლოა შორს არ იყოს აზრი ამ ბალთების სიმბოლურად მზის დვთაებისადმი კუთვნილობაზე. ამ მხრივ, საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ თვლები, რომლებიც ბალთებს ამკობენ მუქი წითელი ფერისაა და კლდეეთის შემთხვევაში, როგორც გ. ლომთათიძე აღნიშნავს სპეციალურად შედგებილია (ლომთათიძე 1957: 30-35). ამასთან, ისინი ან ოვალური, ან მრგვალი, ხშირ შემთხვევაში კი ცრემლის ფორმისაა, ერთი სიტყვით, რაღაცით მოგვაგონებები ბროჭეულის მარცვალს, რაც ასევე ნაყოფიერების დიდი დედის კულტს უკავშირდება.

ამ ფრინველის გამოსახულებიანი გლიპტიკის ნიმუშები საქართველოში წარმოდგენილია როგორც რომაული ისე სასანური იმპორტით. მათში ერთი ბეჭედი 1998 წ. ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე გათხრილ ას.წ. IV-V სს. სამარხში (№4 (178)) აღმოჩნდა (კახიძე. . . 2004: 124). იგი წარმოადგენს ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ მოვარდისფრო მინის ინტალიოს მტრედის გამოსახულებით. გემა ქ. ჯავახიშვილმა შეისწავლა და მსგავსი რომაული ანალოგიების გათვალისწინებით III-IV სს. რომაულ ნაკვთობად მიიჩნია (კახიძე. . . 2004: 130). თუმცა ის რომ ქრისტიანი მფლობელის კუთვნილებას წარმოადგენდა, ამაზე ამ სამარხთან ერთად გათხრილი დანარჩენი ექვსი სამარხის დასავლეთისკენ დამხრობა და ინვენტარიც მოწმობს. მათი გათვალისწინებით, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. კახიძემ აღნიშნა, აშკარად ჩანს ლაზიკის ძლიერი და ქრისტიანული სახელმწიფოს გავლენა, რაც ბუნებრივია, რადგან აღნიშნულ პერიოდში ლაზიკის საზღვარი მდ. ჭოროხის აუზამდე აღწევდა (კახიძე. . . 2004: 124-131).

თუ კი ფიჭვნარის შემთხვევაში შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მფლობელისათვის ბეჭდის გამოხატულება ქრისტიანულ სიმბოლოდ აღიქმებოდა, იგივეს თქმა გაგვიძნელდება იმავე IV-V სს. დათარიდებული, სამთავროდან მომდინარე ორი სასანური ინტალიოს შემთხვევაში (რამიშვილი 1979ბ: 62-70), რომლებიც ბრინჯაოსა (1872 წ. ბაიერნისეული) და ოქროს ბეჭდებშია ჩასმული (1939 წ. S უბანი, ქვასამარხი №45, VI-VIII სს., მიცვალებული დაკრძალული იყო გულალმა გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისკენ (უგრედიძე 1967: 116)). ორივე მათგანი გამოსახავს მტრედს, ტანით პროფილში, თავით ზურგისკენ მიბრუნებულს (ტაბ.XVIII4).

პირველივე საუკუნეებში ქრისტიანული სიმბოლოები ფართოდ გამოიყენებოდა საბჭდავად, როგორც პიროვნების ინსიგნია (ამ საკითხის

თაობაზე ტერტიულიანეს განმარება ზემოთ შპვე ვახსენეთ, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით). ამის საქართველოში დადასტურების ერთ-ერთი შემთხვევა 1991 წ. გათხოვილ სვეტიცხოვლის უბნის ერთ-ერთი შენობის №2 სათავსოს უკავშირდება. აქ აღმოჩენილი ბულები ქ. რამიშვილმა შეისწავლა და მათი თანმხლები მასალის გათვალისწინებით IV-V სს. დაათარიდა. მათგან ჩვენთვის საინტერესო ერთი, რომელზეც მოცემულია დიდი ჯვარი ვერტიკალური დერძის გაფართოვებული ბოლოებით და მკლავებს ზემოთ ერთმანეთის საპირისპიროდ ორი მტრედის გამოსახულებით (ტაბ.XVIII₃). ნახევრად ფრთაგაშლილი ფრინველები ნისკარტით ჯვრის თავს ეხებიან. ჯვრის ძირში გამოსახული ჯიხვის წყვილი თავი და რქები ისეა მოცემული, რომ გაშლილი ფრთების ასოციაციას იწვევს. რქებსა და ჯვრის მკლავებს შორის კი აფრიალებულია ბაფთები. როგორც მკვლევარი მიუთითებს, საბეჭდავებს სასანურ საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო პატრონის სტატუსისა. ვინაიდან, გარდა მაზდეანი პირებისა, საბეჭდავები გააჩნდათ ქრისტიან მოხელეებსაც, შესაძლოა, აღნიშნული ბულის ანაბეჭდი ქრისტიანი პირის საბეჭდავის ასლს წარმოადგენდეს (რამიშვილი 2005: 186-191).

ვფიქრობთ, ბულაზე აღბეჭდილი ჯვარი ეჭვს არ უნდა ტოვებდეს მისი პატრონის მრწამსის თაობაზე. რაც შეეხება ჯვრის ფრთებითა და ბაფთებით შემკობას, სასანური კულტურის ეს მახასიათებელი, როგორც ძლიერების, ძალაუფლებისა და სიწმინდის გამოხატულება, ფართოდ გავრცელდა საქართველოშიც და იგი „შეერწყა ქრისტიანობის მთავარი სიმბოლოს – ჯვრის ძლევამოსილებას“ (მაჩაბელი 2009: 7-8). ასეთი ფრთებითა და ბაფთებით დამშვენებული ჯვრები გამოსახულია, მაგალითად, წილკნის ტაძრის კაპიტელებზე (ტაბ.XVIII₅) (V ს.), აკვანების კარის ბალავარზე (XXVIII₃), რომელზეც ბოლნური ჯვრისგან გამომავალ ყურძნის მტევნებს მტრედი და ფარშევანგი კენკავს (VI ს.) (რჩეულიშვილი 1948: 37, სურ.15).

საქართველოში დაფიქსირებული მტრედის ადრექრისტიანული სიმბოლოს გამოსახულებების შესწავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია ბიჭვინთის ტაძარი, რომლის მოზაიკის თითქმის ყველა ნაწილშია ის გამოსახული (7 სცენა). სიუჟეტური თვალსაზრისით გამოსახულებები შესაძლოა ოთხ ჯგუფში გაერთიანდეს: 1) მტრედები გეომეტრიულ პანოში (ტაბ.XIX₃), 2) მტრედები ქრისტეს მონოგრამიან მედალიონთან (ტაბ.VII₂), 3) მტრედები მცენარეებთან

(გაბ.XIX₁) და 4) მტრედები სიცოცხლის ბარძიმთან (გაბ.XIX₂). მიუხედავად იმისა, ყველა მათგანი ერთმანეთისგან განსხვავებულია და მრავალფეროვანი. მათში პირველად აღვნიშნავთ ყველაზე განსხვავებულ სიუჟეტს – გეომეტრიულ ხალიჩაში, ერთგვარ ჩარჩოებში ჩართულ მტრედებს თევზებთან ერთად. ორივე სიმბოლო მოზაიკის ყურადღების ცენტრია და ვინაიდან თევზის გამოსახულებების ერთგვარი გამეორებაა, საფიქრებელია, რომ აქ ეს ორი სიმბოლო ერთი და იმავე დატვირთვის მატარებელია. ტაძრის აბსიდის აღნიშნული პანო, როგორც, ი. ციციშვილი მიუთითებს, ანალოგიებს პოულობს ბეთლემის ოქტოგონში (IV ს. I მესამედი), ანტიოქიის ჯვარულ ტაძარში (IV ს. II ნახევარი) და კილიკიის გრაცის (IV ს. II ნახევარი) ეკლესიის მორთულობასთან (ციციშვილი 1977: 97).

მეორე სიუჟეტის, ტაძრის აბსიდაში წარმოდგენილი ქრისტეს მონოგრამის შემთხვევაში, მტრედები გამოსახულია მედალიონის გარშემო, ორივე შემორჩენილ კუთხეში (გაბ.VII₂). ისინი ისე არიან მოცემულნი, რომ, ალბათ, დანარჩენ ორ კუთხეშიც უნდა ყოფილიყო მათი გამოსახულება (საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მტრედები ერთგვარი სიუჟეტის შემკვრელი რგოლია). იმავე აბსიდაში შემორჩენილ მეორე სცენაში მედალიონში ჩასმულ პალმასთან მოცემულია ირემი და მტრედი (გაბ.X₃). მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია და მისი ნახევარი არ არის შემორჩენილი, საფიქრებელია, რომ მედალიონის მარჯვენა მხარესაც მარცხენის ანალოგიური გამოსახულება უნდა ყოფილიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მტრედი მედალიონის მეორე მხარესაც იყო მოცემული. ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ შემორჩენილი აკანთის ფოთლები და გეომეტრიული დეკორი, მსგავსი მარცხენისა, ასევე ტაძრის სხვა სცენების შემთხვევებიც, სადაც ცენტრალური გამოსახულების გარშემო მსგავსი ფიგურებია წარმოდგენილი. მათში პირველად უნდა დასახელდეს საკურთხევლის მოზაიკა, რომელშიც სიცოცხლის წყლის ბარძიმის ორივე მხარეს ირმები, ბროწეულის ყვავილები და მტრედებია მოცემული (გაბ.X₁). ამჟამად იკითხება სამი ფრინველის გამოსახულება – თითო-თითო ირმების ზურგისა და კისრის ზედა არეში, ხოლო ერთი – მარჯვენა ირმის ფეხებს შორის.

მთლიანობაში, აბსიდის ორივე მედალიონისა და საკურთხევლის პანოები არაჩვეულებრივად კვეთავს სიუჟეტის ცენტრს, მედალიონებისა და ბარძიმის სახით წარმოდგენილს, რომელთა გარშემო მთელი „სამყარო“ იკვრება. ასეთივე

შთაბეჭდილებას ტოვებს ტაძრის ნართექსში გამოსახული სიცოცხლის წყლის ბარძიმი, რომლის პირზე ორი მტრედია შემომჯდარი, ხოლო ფეხთან მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახულია ორი დედალი ფარშეგანგი. ვ. ლექვინაძის მითითებით, ასეთივე სცენა უნდა ყოფილიყო აბსიდის შესასვლელშიც, რომლისგანაც მხოლოდ ერთი ფრინველია შემორჩენილი (ლეკვინაძე 1970: 186). როგორც აღვნიშნეთ, სითხიან ჭურჭელთან მტრედების და არა მხოლოდ მტრედების, როგორც წმინდა არსებათა მარადიულ ცხოვრებასთან ზიარების სიმბოლოს გამოსახვის ტრადიცია ანტიკური პერიოდიდან იწყება და ფართოდ ვრცელდება ხმელთაშუაზღვისპირეთში. ქრისტიანობის გაჩენის შემდგომ ეს ტრადიცია არც დარღვეულა, რასაც ადრექრისტიანული ძეგლების მრავალი ნიმუში მოწმობს. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ახალი წელთაღრიცხვიდან მათი გამოსახულებები ელინური ტრადიციის გაგრძელებას წარმოაგენენ (ლეკვინაძე 1970: 186). მაგალითად, ასეთი ნიმუში გვაქვს ზემო-ავჭალის შემთხვევით მოპოვებული №1 აგურსამარხიდანაც. ოქროს ბეჭედში ჩასმული გრანატის ინტალიოზე გამოსახულია დიდი ზომის ორყურიანი კრატერი, რომლის პირზე ერთმანეთის პირისპირ ორი ფრინველი ზის. პატარა თავით, მაღალი ფეხებითა და გრძელი კუდით წარმოდგენილი არსებები სქემატურად არიან გამოსახულნი. მ. ლორთქიფანიძე ინტალიოს ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაკეთობად ასახელებს და ახ.წ. II ს. ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1961: 38-39).

მსგავსი სიუჟეტები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოდანაც. კერძოდ, ესაა სტელის ბაზისი პანტიანიდან და წვერო დაბალის სტელა, რომლებიც VI ს. თარიღდება. პანტიანის ბაზისი მთავარანგელოზების მიერ ბოლნური მედალიონის ამაღლების სცენას გამოსახავს, რომელთა ქვეშ მოცემულია ვაზის ლერწი მტევნებით (ტაბ.XX₁), ხოლო მარცხენა მხარეს, მიქაელ მთავარანგელოზის ქვეშ ვანირჩევა მტრედი, რომელიც მარცვალს კენკავს (Чубинашвили 1972: 55, თაბ.18-19). რაც შეეხება წვერო დაბალს, აქ სტელაზე ისევ ბოლნური ჯვარია მოცემული, რომელსაც თავზე ადგას წყლის ჭურჭელი. სწორედ ამ წყლის ჭურჭელთან გამოსახული ორი მტრედითაა გადმოცემული ზიარების სცენა (Чубинашвили 1972: 80, თაბ.56).

ბოლოსთვის შევჩერდებით გამოსახულებაზე, რომელიც საქართველოში ერთადერთია ამ სახით წარმოდგენილი. ესაა ბოლნისის სიონის ჩრდილოეთი გალერეის აღმოსავლეთ კაპიტელზე გამოსახული ფრთაგაშლილი (მფრინავი) მტრედი, რომელსაც ნისკარტით გვირგვინი უჭირავს (ტაბ.XIX₅). მტრედი ისეა

გამოსახული, თითქოს ზემოთ აფრენას ლამობსო. მსგავსი სიუჟეტები ხშირად გვხვდება, როგორც რომაული კატაკომბების კედლებზე, ისე აღმოსავლეთ ბიზანტიური ტაძრების შემკულობაში. ვინაიდან გვირგვინი ქრისტიანობაში გამარჯვების სიმბოლოა (Уваров 2001: 234-235), ასეთი გამოხატულებები აიხსნება როგორც სიკვდილზე გამარჯვების გამოხატულება.

ვფიქრობთ, განხილული მასალის საფუძველზე მტრედი იმ ქრისტიანულ სიმბოლოთა რიცხვს მივაკუთვნოთ, რომელმაც სანგრძლივი ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე კი დაიმკვიდრა თავი, მაგრამ მოგვევლინა წმინდა ქრისტიანულ სიმბოლოდ, რომელმაც გამოხატა რა სულიწმინდა და მორწმუნები, ისეთივე სახე მიიღო, როგორიც მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში.

თავი IX

ფარშევანგის სიმბოლო

ფარშევანგი ინდური წარმოშობისაა, და იქ ის მზის სიმბოლოს უკავშირდებოდა. ვიდრე კუნძულ სამოსამდე მიაღწევდა, სადაც ფარშევანგი წმინდა ფრინველი გახდა, მან გაიარა ბაბილონი, სამხრეთი და მცირე აზია. ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს. ათენში, იგი იშვიათ ეგზოტიკად ითვლებოდა და მის სანახავად ფულსაც კი იხდიდნენ. იმავე დროს, ფარშევანგი ჰერას წმინდა ფრინველად იქცა. მოგვიანებით კი, გამომდინარე იქიდან, რომ მის კუდს ვარსკვლავთა ციაგს ადარებდნენ, იუნონას – ცისა და ვარსკვლავთა მბრძანებელს უძღვნეს. ფარშევანგი უძღოდა გარდაცვლილ იმპერატორებს მათი სულების იუნონას საუფლოში შესაყვანად. ამიტომაც, მას ხშირად გამოსახავდნენ სარკოფაგებსა და საფლავის ქვებზე (Мачабели 1976: 33-35; Encyclopedie. . . 1989: 501-503). ფარშევანგის გამოსახულებები, მოყოლებული ფლავიუსების დინასტიიდან (ახ.წ. 81-89 წწ. დომიციანემ მოჭრა სამი მონეტა), დამახასიათებელი გახლდათ II-III სს. რომაელი დედოფლის მონეტებისთვის, როგორც სიმბოლო მათი დვთაებრივობისა (Монеты Римской империи).

ფარშევანგი ასეთივე ეგზოტიკა უნდა ყოფილიყო ებრაელებისთვისაც, რადგან იმ სიმბოლოებში, რომელნიც ბიბლიაში გვხვდება ამ ფრინველს ადგილი არა აქვს. იგი იხსენიება მხოლოდ როგორც უცხო და საკვირველი არსება, რომელიც ვაჭრებს მეფე სოლომონისთვის მოჰყავდათ (3 მეფეთა, 10:22). შეიცვალა თუ არა ებრაელთა დამოკიდებულება ამ ფრინველისადმი საუკუნეთა მანძილზე არც ძველი და არც ახალი აღთქმიდან არ ჩანს, ამიტომ ქრისტიანობაში მისი სიმბოლოს დამკვიდრება, ვფიქრობთ, ზოგადად ანტიკურ სამყაროში ფარშევანგის ფართო გავრცელებას უფრო უნდა დაგუაგშიროთ, ვიდრე უშუალოდ იუდაურ ტრადიციებს. შესაძლოა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე ეს ფრინველი შემოსულიყო საქართველოშიც და ასე თუ ისე ასახულიყო ქართულ ყოფაში, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ გაგვაჩნია. ის არ ფიქსირდება არც ჩვენთვის ცნობილ უძველეს ქართულ მითებსა და ლეგენდებში.

ფარშევანგის თვისებებმა განაპირობა ქრისტიანობაში მისი სიმბოლიზება აღდგენისა და უკვდავების ნიშნით: მისი სხეული ითვლებოდა უხრწელად (ქრისტეს გამოხატულება სარკოფაგებზე). გაზაფხულზე ფარშევანგის ბუმბულის

ცვენა და განახლება მიჩნეული იყო, განახლებისა და ადდგომის სიმბოლოდ. ხშირად მის მნიშვნელობას უფრო აკონკრეტებდნენ და მაისის თვის გამოხატულებად წარმოადგენდნენ (Уваров 2001: 238-241; Encyclopedie . . . 1989: 501-503). მისი გამოსახულებები ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ თემად იქცა ადრექტისტიანულ ხელოვნებაში. მას გამოსახავდნენ როგორც რომაული კატაკომბების კედლებზე, ისე სარკოფაგებსა თუ ოდნავ მოგვიანებით ტაძრების მოზაიკებზე. მათში ყველაზე უფრო გავრცელებულ კომპოზიციას წარმოადგენდა ფარშევანგი ბარძიმთან, სიცოცხლის ხესთან ან ნაყოფთან ერთად გამოსახული, რაც სულიერ განახლებას შეესაბამებოდა. ასეთ კომპოზიციებს უკვე ახ.წ. I-II სს. მიჯნიდან ვხვდებით როგორც კატაკომბების მხატვრობაში (მაგალითად, რომში (I-II სს.), ბულგარეთში (IV ს.), პრისცილას კატაკომბაში (III ს.) (Blanc 1998: 103-107; Barbet 1998: 114-117; Biskonti 2002: 34)), ისე რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ საზიარო მინის ჭურჭლებზე ქერჩიდან, მცხეთიდან, ბიჭვინთიდან (IV ს.). IV-VI სს. რომისა და ბიზანტიური სამყაროს თითქმის ყველა პროვინციის (პალესტინის, იორდანიის, ლიბანის, სირიისა და ტუნისის, მავრიტანიის) ტაძართა განსაკუთრებულ მორთულობად იქცა სიუჟეტი, როცა ლარნაკიდან ამოზრდილი გაზის ძირში გამოისახებოდა ორი ფარშევანგი (Olszewski 1995: 21-25; Bejaoui 2001a: 58-64; Ghalia 2001: 66-77; Dunbabin 1999: 128).

ფიქრობენ, რომ ადრექტისტიანულ ეპოქაში ფარშევანგის გამოსახულების ფართოდ გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა სირიამ, სადაც მისი გამოსახვის შემთხვევები ძალიან ხშირია (Хрущкова 1980: 34). ამ თემატიკიდან ყველაზე უფრო გავრცელებული გახლდათ კანთაროსის (ან ჩვეულებრივი ლარნაკის) მარჯვინვ და მარცხნივ ანტიპოდებად გამოსახული ფარშევანგები დაბლა დაშვებული კუდით და ზეაწეული თავით – თითქოს კანთაროსს უნდათ მიწვდნენ. უმეტეს შემთხვევებაში, ამ კანთაროსიდან ამოზრდილი იყო ვაზი, რომლის გრძელი ყლორტები თუ პრწკალები წრეებად იხვეოდა. მსგავსი მოზაიკები ცნობილია ტუნისის ელ-უნაისიას, თეოდოლუსისა და სუკრინეს ბაზილიკიდან (Bejaoui 2001b: 1485; Ghalia 2001: 74-76), სირიის უმ-ჰარტაინის ეკლესიიდან (Olszewski 1995: 24), საბერძნეთის ბუტროტონის სანათლავიდან და სუიას ბაზილიკიდან (Sodini 1970: 740,752) და სხვა.

საქართველოში ფარშევანგის გამოსახულებიანი ნივთები გამოჩენას იწყებენ ახ.წ. II საუკუნიდან. ესაა იმპორტულ ბეჭდებსა და ჭურჭელზე, ადგილობრივ ბეჭედზე, შორენჯეცსა და სტელა-ტაძრებზე წარმოდგენილი გამოსახულებები.

შველაზე ძველი ნივთი, რომელიც სამი ფარშევანგის და ვაზის ფოთლების გამოსახულებას შეიცავს, არმაზისხევის ახ.წ. II ს. მიწურულის №6 სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის „აზარფეშაა“ (ტაბ.XX4). ქართლის სახელისუფლო წრის ქალბატონის კუთვნილი ეს ნივთი, მეცნიერთა მოსაზრებით, ამავე საუკუნისად სახელდება და რომაულ იმპორტად არის მიჩნეული (Мачабели 1976: 5; ავაქიძე. . . 1955: 75-76).

ასევე შემოტანილია სამთავროს სამაროვნის №395 (1940წ. N უბანი) ქვაყუთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ინტალიო-ბეჭედი (ინვ. №308), რომელიც გამოსახავს თავდახრილ დედალ ფარშევანგს ყანჩასა და პატარა ფრინველთან ერთად ორი ბერძნული ასოთი – „K^o“. ანალოგების მიხედვით მ. ლორთქიფანიძე საბეჭდავს ბიზანტიური წარმოშობისად მიიჩნევს და ახ.წ. IV ს. ათარიღებს (ლორთქიფანიძე 1954: 28).

ჩვენთვის რთულია აღნიშნული ორი ნივთის გამოსახულებათა დაკავშირება ქრისტიანულ სიმბოლიკასთან, რადგან ეს სამარხები არც დაკრძალვის წესითა და არც ინგენტარით ქრისტიანულ სამარხებს არ მიეკუთვნება. იგივეს ვეღარ ვიტყვით დანარჩენ შემთხვევებზე, რომლებიც არსობრივად ერთი თემის – ეგვარისტიის გამოხატულებაა, მაგრამ სიუჟეტური ფორმების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდებიან: ფარშევანგები გამოსახულნი 1. პალმასა და წიწვოვან ხეებთან, 2. ბარძიმებთან, 3. ჯვრებთან და 4. ცალკე წარმოდგენილნი.

მათგან ცალკე დგას მცხეთის სამთავროს სამაროვანზე 1939 წ. გათხრილ №273 ქვაყუთში²² მიკვლეული სრულიად გაურკვეველი დანიშნულების ნივთი (IV-VI სს.), რომელიც ბრტყელ, ოთხკუთხა შავ ქვას წარმოადგენს. მის ერთ წახნაგზე ამოკაწრულია მონადირე, რომელსაც ერთ ხელში შუბი უჭირავს, მეორეზე მიმინო უზის (?), ხოლო ფეხებთან არწივია გამოსახული (?). ამ წახნაგის მოპირდაპირე წახნაგზე კი მოცემულია დედალი ფარშევანგი მარჯვენა პროფილში და მტაცებელი ცხოველი (ძაღლი?*), რომელიც თითქოს ფრინველს კუდში უნდა მიწვდესო. ფარშევანგს თავზე ადგას ჯვრის ფორმის სამდეროიანი, ზემოთ წრით დამთავრებული გვირგვინი და შემოხვეული აქვს ბოლოებგაშლილი ყელსახვევი („შარფი“) – სასანური ეპოქის ძეგლებისთვის მახასიათებელი ნიშანი (უგრელიძე 1951: 301-314). აღნიშნული ნივთის აღწერისას ნ. უგრელიძე ფიქრობს, რომ გამოსახულება მხოლოდ და მხოლოდ სანადირო სცენის გადმოცემა უნდა

* კითხვის ნიშნები ნ. უგრელიძის დასმულია.

იქოს (უგრელიძე, 1951, 309). თუმცა, ფრინველის გამოსახვა ჯვრის ფორმის გვირგვინითა და „შარფით“, ვფიქრობთ, ამ ფრინველის გამორჩეულობაზე უნდა მიუთითებდეს.

აღნიშნული სიუჟეტებიდან საქართველოში ყველაზე გავრცელებულია ფარშევანგის გამოსახვა მცენარეებთან ერთად. ასეთი გამოსახულებები მოგვეპოვება ბიჭვინთისა და მცხეთის იმპორტულ ორ მინის ჭურჭელზე. 1938 წ. სამთავროში აღმოჩენილი მინის პატერა და ბიჭვინთის ნაქალაქარის XVIII უბანზე მიკვლეული ამავე ჭურჭლის ფრაგმენტები ერთმანეთის მსგავსია, როგორც სიუჟეტით, ისე ორნამენტით, მინის ფერით, ხარისხით, დამუშავების ტექნიკით და დანიშნულებით. მათზე გამოსახულია ფარშევანგი, მცხეთის პატერის შემთხვევაში პალმისებურ ფოთლებით წარმოდგენილ სამ ტოტად გაშლილ ხესთან ერთად (ტაბ.XX₂), ხოლო ბიჭვინთის მინაზე ფრაგმენტულობის გამო მცენარე არაა (ტაბ.XX₃). ორივე ჭურჭელზე ამოკაწრულია ბერძნული წარწერა: „შესვი, იცოცხლე!“. მცხეთის წარწერა თ. ყაუხჩიშვილმა IV ს. დაათარიდა, რამაც შეამაგრა ამავე №24 ორმოსამარხში²³ აღმოჩენილი ინვენტარით მოცემული თარიღი – IV-V სს. (უგრელიძე, 1967, 94-95). მინის ჭურჭლის შესწავლისას მათი დიდი მსგავსების გამო, ნ. უგრელიძემ თრივე ჭურჭელი სირიის ერთ სახელოსნოში დამზადებულ ნაწარმად მიიჩნია, საიდანაც ჯერ დასავლეთ საქართველოში უნდა შეეტანათ, ხოლო შემდეგ აქედან ქართლის დედაქალაქში მოხვედრილიყო (უგრელიძე 1967: 45; უგრელიძე 1981: 103-104).

როგორც ცნობილია, პატერა კლასიკურ სამყაროში სარიტუალო ჭურჭელს წარმოადგენდა და საღმრთო შეწირულობის დროს სასმისად გამოიყენებოდა (უგრელიძე 1951: 301-314; მაჩაბელი 1976: 35), შემდეგ კი ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშიც იგივე დანიშნულება ჰქონდა (ამაზე მეტყველებს ასეთივე მინის ჭურჭლის აღმოჩენა ბიჭვინთის ტაძრის აბსიდაში მწყემსისა და ბატქის გამოსახულებით (უგრელიძე 1981: 105-106)), აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო კარგად ხსნის ამ მინის ჭურჭელზე გამოსახულ სცენას – ფარშევანგი პალმის ხესთან, რომელიც ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქრისტეს გამარჯვების გამოხატულებაა. აშკარაა, რომ სცენა ევქარისტიის სიმბოლიზებაა. იმის გათვალისწინებით, რომ „VI საუკუნისათვის, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა მტკიცედ გაიდგამს ფესვებს, ამგვარი ჭურჭელი ქრება სამარხეული ინვენტარიდან“. ნ. უგრელიძეს ქრისტიანულ სიმბოლიკიანი ჭურჭელი ახალი

სარწმუნოებრივი იდეოლოგიის განმტკიცებისადმი მიმართული აგიტაციის ერთგვარ საშუალებადაც მიაჩნია (უგრელიძე 1967: 44).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თუ იმპორტულ ნაწარმზე მცენარე პალმის ხის სახით არის წარმოდგენილი, ადგილობრივ ნივთებისა თუ რელიეფების შემთხვევაში იგი წიწვოვანებით იცვლება, რასაც, ალბათ, ის ახსნა უნდა ჰქონდეს, რომ პალმა საქართველოში არ ხარობდა. ასეთ შემთხვევებში უნდა დავასახელოთ 1972 წ. ამბოლაურში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი (V-VI სს. მიჯნა), რომლის ფარაგზე ამოკვეთილია წიწვოვან ხესთან მდგომი ფარშევანგი (ტაბ.XX₅) (აფხაზავა 1979: 73), და ივრის სიონის რელიეფზე პროფილში გამოსახული ირმები და დედალი ფარშევანგი, ასევე წიწვოვანი ჯიშით წარმოდგენილ სიცოცხლის ხესთან (ტაბ.XII₂) (რამიშვილი 1970: 36).

გავრცელებულ სიუჟეტს წარმოადგენს ასევე ფარშევანგის გამოსახვა ჯვართან, რომელთაც ვხვდებით მაგალითად, კზილ-ქილისას (V ს.) და ბოლნისის სიონის ტაძრების რელიეფებზე. ბოლნისის სიონის სანათლავის პილასტრის კაპიტელის შემთხვევაში (ტაბ.XXI₃) ორი მამალი ფარშევანგი ქვედა იხრის მათ შორის ამოკვეთილი ტოლმკლავა ჯვრის წინაშე. ფარშევანგებს ზემოთ მოცემულია ორფერდა ზოლი, რომელზეც მიმაგრებულია ზემონახსენები ჯვარი. ვფიქრობთ, ორფერდა ზოლში ტაძრის სახურავი უნდა ვიგულისხმოთ, რომლისკენაც მორწმუნები ისწრაფვიან. რაც შეეხება კზილ-ქილისას (ქვემო ქართლი) ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფს (ტაბ.XXI₁₋₂), აქ ორი ფარშევანგი უკვე კვარცხლბეგზე აღმართულ ბოლნურ ჯვართან ერთადაა წარმოდგენილი და ნისკარტით ეხებიან მედალიონის თავზე გამოსახულ პატარა ტოლმკლავა ჯვარს (ჯაფარიძე 1982: ტაბ.XXX-2, XXXI-1,2). ასეთივე რელიეფი მოცემულია გულბაგის (V ს.-VI ს. I ნახ.) არქიტრავზე (ტაბ.XXI₄), რომლის მთავარი გამოსახულება ბოლნური მედალიონია აფრიალებული ბაფთებით, ხოლო მის ძირში ორივე მხარეს პატარა ფიგურებით გამოსახულია ორი ფარშევანგი. 6. ჩუბინაშვილი გულბაგის ჩიტებს არა მხოლოდ გამოსახვის სტილით, არამედ ჯიშითაც, პარალელებს უძებნიდა პანტიანის, წვერო დაბალისა და აკვანების ფრინველებთან (Чубинашвили 1972: 55). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ გულბაგის ჩიტები ჯიშით განსხვბავებულები არიან დანარჩენებისგან: ისინი მტრედებს წარმოადგენენ.

ამ ჯგუფის რელიეფებში გამოსაყოფია სათხის ეკლესიის ეკვდერში ჩაშენებული წითელი ტუფის ბაზისი, რომელიც VI ს. თარიღდება (ტაბ.XXI₅).

რელიეფი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი: სტელაზე მოცემულია სამფურცელა ყვავილებით შეგსილ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. ბოლნური მედალიონის ორივე მხარეს ფარშევანგები ისე არიან გამოსახული მარაოსავით გაშლილი ფრთებით, თითქოს ჯვარი ეკავოთ. სიუჟეტს ასრულებს ფრინველების ნისკარტებში გამოსახული უურძნის მტევნები (ჯაფარიძე 1982: 40, ტაბ.LVIII-1). როგორც აღინიშნა, ასეთი სიუჟეტები ერთ-ერთი გავრცელებული გახდედათ IV ს. შემდგომი პერიოდის ქრისტიანულ გამოსახულებებში. მაგალითად, მსგავსი, ჯვართან გამოსახული ფარშევანგების თემა, როგორც ევქარისტული სიმბოლოსი, კარგადაა წარმოდგენილი რავენის IV-VI სს. არა მხოლოდ მოზაიკაში, არამედ სარკოფაგების რელიეფებზეც (Bovini 1974: 104-106).

ამავე პერიოდში ჩნდება ფარშევანგის გამოსახვის შემთხვევები ბარძიმთან, რომლის ყველაზე ადრეული სიუჟეტი ბიჭვინთის ტაძრის (IV ს. I ნახევარი) მოზაიკამ შემოგვინახა (ტაბ.XIX₂). ნართექსში შემორჩენილი სცენა გამოსახავს კანთაროსს, რომლის პირზეც ორი მტრედი ზის. ლარნაკის ორივე მხარეს მოცემულია დედალი ფარშევანგები, რომლებიც შემართულნი ცდილობენ კანთაროსიდან წმინდა სითხის შესმას. ნიშანდობლივია, რომ ჭურჭელზე გამოსახულია ორი მამაკაცის ფიგურაც. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ეს სიუჟეტი ელინისტური ტრადიციის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, რომლის მიხედვითაც წმინდა წყლის შადრევანი შეეფარდებოდა წმინდანის ხსოვნის პატივისცემას და VI საუკუნიდან თანდათან იწყებს გაქრობას (ციციშვილი 1977: 98). ვფიქრობთ, ის ელინისტური ტრადიციებიდან ქრისტიანულ ტრადიციად უნდა ქცეულიყო და შეეძინა ზიარების დატვირთვა, რისი პირდაპირი გამოხატულება VI-VII სს. მრამბის უკლესის რელიეფია (ტაბ.XXII₁) სასმისისა და ორი ფარშევანგის გამოსახულებით (Хрущкова 1977: 75-82), და ასევე VII-VIII სს. ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შორენგვეცის ფრაგმენტი ფარშევანგის, ლარნაკისა და ვაზის გამოსახულებით (ტაბ.XXII₂) (ჭილაშვილი 1964: 116-117, ტაბ.50).

არის შემთხვევები, როდესაც ფარშევანგი მარტოა წარმოდგენილი. დავასახელებთ ორ მაგალითს – უკანგორისა და აკაურთის რელიეფებს. უკანგორის ბარელიეფი (ტაბ.XXII₅), რომელიც ლ. მუსხელიშვილის გადმოცემით სვეტისთავის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს, გამოსახავს ფარშევანგს მოკლე ტანითა და კუდით, გრძელი და უხეში ფეხებით, თავზე სამი ლეროთი და ყელზე ბოლოებასნილი „შარფით“ (აღნიშნული „ატრიბუტებით“ ის ძალიან პგავს

სამთავროს ქვის და ბოლნისის სიონის ფარშევანგებს). ლ. მუსხელიშვილი მას VI საუკუნისად მიიჩნევს (მუსხელიშვილი 1941: 173-176), ხოლო ვ. ჯაფარიძე ერთი საუკუნით აღრულად (ჯაფარიძე, 1982, 66-67).

ჩვენს მიერ განხილული მაგალითებისგან სრულიად განსხვავებულია აკაურთის (V ს.) ტაძრის რელიეფი (ტაბ.XXII₃), რომელიც საინტერესო გამოსახვის სტილით, რადგან აქ ფარშევანგი გადმოცემულია წინიდან, რომლის თავი და ფეხები მოხაზულია ირგვლივ მარაოსავით გაშლილი ბოლოთი (რჩეულიშვილი 1948: 33). საინტერესოა, რომ ფარშევანგის გამოსახვის მსგავსი მანერა თითქმის უცნობია ადრექრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობების მოზაიკაში (ყოველ შემთხვევაში, იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდებდა, ასეთი გამოსახვის სტილი არ ფიგურირებს). სამაგიეროდ, იგი დამახასიათებელი გახლდათ ანტიკური სამყაროსათვის. მაგალითად, ასეთი კუდგაშლილი ფარშევანგი გამოსახული იყო დომიციანეს მიერ იულიას სახელზე მოჭრილ მონეტის რევერსზე (ტაბ.XXII₄) (Монеты Римской империи).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ფარშევანგის სიმბოლოს გავრცელება ახ.წ. II საუკუნიდან იწყება. მისი სიმბოლოს საქართველოში შემოსვლა, ვფიქრობთ, რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებს უნდა დავუკავშიროთ, სადაც ეს ფრინველი ქრისტიანულ სინამდვილეში უკვე დამკვიდრებულ სიმბოლოდ გვევლინება – განახლებისა და უკვდავების გამოხატულებად, რასაც ძირითადად იმეორებს კიდეც საქართველოში ფიქსირებული მისი გამოსახულებიანი IV-VI სს. სიუჟეტები.

თავი X

ხის სიმბოლო

როგორც მრავალგზისმა კვლევებმა ცხადყო, ხე ის უნივერსალური სიმბოლოა, რომლის თაყვანცემა მსოფლიოს არაერთ ხალხში დაფიქსირდა. უძველესი დროიდან იგი გახლდათ ერთი მხრივ მუდმივობის სიმბოლო, ხოლო მეორეს მხრივ სამი სამყაროს – ზესკნელის, სკნელისა და ქვესკნელის მაკავშირებელი საშუალება (Gerard 1989: 37-38).

ხის სემანტიკაში უპირველესად „სიცოცხლის ხის“ სახე უნდა გამოვყოთ, რომელიც უძველესი დროიდან ფიქსირდება აღმოსავლეთის ხალხებში (ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურებზე). მესოპოტამიის უძველესი მითები და ლეგენდები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს ბიბლიურ წიგნებზე, არაერთ ასეთ სიმბოლოს შეიცავენ. მათ შორის ყველაზე ცნობილის, გილგამეშის ეპოსის გმირი – გილგამეში უკადავების მოსაპოვებლად მიემართება კედარის ტყისკენ, რომელიც „უკვდავი კაცის ქვეყანაა“ და რომელიც იმავე დროს დვთაება იშთარის საბრძანებელია (გილგამეშის ეპოსი 1963: 199-202). ძვ.წ. III ათასწლეულის წყარო – გუდეას სტელა იხსენიებს ცის შესასვლელში მდგარ „სიცოცხლის ხეს“ (Gerard 1989: 96-98). ეგვიპტელებისათვის, მაგალითად, ხის ნაყოფის მიღება მარადიულ სიცოცხლესთან ზიარებას ნიშნავდა (Gerard 1989: 37-38).

ხშირად მიმართავდნენ ხის აქეთ-იქით სულიერი არსებების გამოხატვას. ამგვარი შინაარსის მატარებელი სიუჟეტები, როცა სიცოცხლის ხის ორივე მხარეს სხვადასხვა ცხოველები გამოისახებოდა, გავრცელებული იყო ხეთურ-ხურიტულ და მიკენურ ხელოვნებაში (მაგალითად, ძვ. წ. XIV ს. ხურიტული საბეჭდავი). ჩვეულებრივ, სიცოცხლის ხესთან გამოისახებოდნენ ჯიხვები ან თხები. თუმცა, გვხვდება ირმებიც, ხარებიც (Мачабели 1976: 86). ასეთი სიუჟეტიანი გემა-ინტალიონები ცნობილია საქართველოდანაც (ძვ.წ. V ს. დათარიდებული ინტალიონ წალკიდან (ლორთქიფანიძე 1958: 41); ახ.წ. III ს. – ბაგინეთიდან (ლორთქიფანიძე 1958: 44-45); ახ.წ. III-IV სს. – ახალი ქინგალიდან (რამიშვილი 1983: 93)), ძირითადად იმპორტის სახით. ხშირად, სიცოცხლის ხის აქეთ-იქით წარმოდგენილი არიან ქალი და მამაკაცი. ამ შემთხვევაში, როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, სიცოცხლის ხე ნაყოფიერების მაღის შემცველი უნდა ყოფილიყო (ჩიტაია 1941: 319).

მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე ასეთ კომპოზიციებში განსხვავებულია ხის ჯიში, ცხოველთა სახეები, მათი გამოსახვის სტილი, მაგრამ, როგორც დაფანცხავა აღნიშნავს, მათი სემანტიკა მუდამ უცვლელი რჩება (ფანცხავა 1988: 40).

წმინდა ხეებისადმი თაყვანცემა ძალზე მკვეთრადაა გამოხატული ებრაელებთანაც. ბიბლიაში არაერთია სიუჟეტი, რომლის საკვანძო საკითხი ხესთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს ითქმის მუხასა და წიწვოვანი ხეების შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ მამრეს მუხნარი, სადაც აბრაამი დასახლდა, სადაც მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და სადაც აბრაამმა ღმერთს სამსხვერპლო აუგო. მუხას უკავშირდება საულის პიროვნებაც, რომელიც მუხის ძირში დაიკრძალა (დაბადება 12:6-7; მსაჯულნი 9:6). ხოლო შუამდინარულ მითოლოგიაში გამორჩეული ლიბანის კედარი ესაია წინასწარემტყველის სიტყვებში უკვე ებრაელი ხალხის სიმბოლოდ გარდაისახება (ესაია 14:4-8).

ხის თაყვანცემა არც საქართველოსთვის ყოფილა უცხო. მისი კულტის არსებობა უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან ფიქსირდება და ამის ნათელი მაგალითი თრიალეთის ვერცხლის საკულტო სახმისია (Куфтин 1941: 87-94). მოგვიანებით იგი უკვე ნაყოფიერების ღვთაების ერთ-ერთი ატრიბუტია, მისი გამოსახვა ხდებოდა ირმის რქებითაც (კოლხური ცულები) (ფანცხავა 1988: 41-52). ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წმინდა ხეებს შორის ყველაზე პოპულარული იყო ვაზი, მუხა, ცაცხვი, სვანეთისთვის – ფიჭვი.

წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში ამ ხეებს სასწაულებრივი ძალა მიეწერებოდათ, რაც იმდენად იყო ფესვგადგმული მოსახლეობაში, რომ ვერც „წმინდა ნინოს ცხოვრება“-მ ვერ აუარა გვერდი (იგულისხმება დაჭრილი ირმების განკურნების მოთხოვნა) და ვერც ლეონტი მროველმა: როდესაც მევე გაქრისტიანდა და გადაწყვიტა ჯვრის აღმართვა მეფის ბრძანებით დაიწყეს ძებნა ისეთი ხისა, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიჰკარებოდა. ასეთი ხე კი იდგა მიუვალ ადგილას, რომლის სამყოფელი მხოლოდ მონადირეებმა იცოდნენ, და რომელიც იყო „შუანიერი ფრიად და სულნელი“. ამ ხის სასწაულმოქმედება წინასწარვე იყო განცხადებული, რამეთუ მისი ფოთლების მიღებით განიკურნენ დაჭრილი ირმები. როდესაც ხე მოჭრეს და მცხეთას ჩამოაბრძანეს, „შემოკრბა ერი ხილვად მწუანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა, უამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე ხმელ იყო. . . აღმართეს ხე იგი კარსა ზედა

ეკლესიისასა, სამხრით, სადა ბერვიდა ნელი ნიავი“. სასწაულმოქმედი ალვის ხე, რომელიც 25 მარტს (ხარებას!-ქდ.) აღმართეს ეკლესის კართან, 36 დღე გააჩერეს ამ ადგილას, იქამდე, ვიდრე მაღლნარმა ფოთოლი არ მოისხა და ხეხილი არ აყვავილდა* (ლეონტი მროველი 1955: 119-120). მთელ ამ მონათხრობში ყურადღებას იქცევს ის, რომ სასწაულმოქმედი ალვა, რომელიც სწორედ თავისი ამ თვისების გამო ჩამოაბრძანეს მცხეთას, ერთგვარ გაზაფხულის სიმბოლოდ მოჩანს, განახლებისა და ნაყოფიერების მბოძებელ ძალად, რომელიც იქამდე დატოვეს ტაძრის კართან, ვიდრე მცენარეთა განაყოფიერება არ მოხდა. შემდეგ კი მისგან ჯვარი გააკეთეს და ეკლესიაში დააბრძანეს. გარდა ამ პასაჟისა, ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაციებიდან ნიშნადობლივია ისიც, რომ ქართლში მოსული ნინო პირველ რიგში იმ ხისგან აკეთებს ჯვარს, რომლის თაყვანცემა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული იყო ქართველებში. ხოლო თავად სვეტიცხოვლის დაბადება ძველი პანთეონის წმინდა ხის გარდასახვასა და ფერისცვალებაში აისახა.

ქრისტიანობაში ხის სიმბოლოთი გამოიხატა მარადიული სიცოცხლის აზრი, დაბრუნება იმ სათავეებთან, რომელიც ადამიანმა თავისი დაუდევრობის გამო დაკარგა. იოანეს „აპოკალიფსისში“ საუბარია თორმეტგზის ნაყოფის მომცემსა და სამკურნალო ფოთლების მქონე სიცოცხლის ხეზე, რომელიც სამოთხის შეაში დგას და მის აქეთ-იქით დგთის ტახტიდან გამომავალი სიცოცხლის წყარო მიედინება (გამოცხ. 22;1-2). აღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანული სამყარო სიცოცხლის ხეში სამოთხის სიმბოლოს ხედავს (Уваров 2001: 230). ამიტომაც, ადრექრისტიანული სამყარო ხეს გამოხატავდა არა მხოლოდ მოზაიკაში, კატაკომბების კედლის მხატვრობაში, რელიეფსა და გემა-ინტალიოებზე, არამედ, საკულტო ჭურჭელზეც. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ორი ნივთი – IV ს. დათარიღებული იმპორტული მინის პატერა სამთავროდან, რომელიც ფარშევანგსა და პალმას გამოსახავს (უგრელიძე 1951: 301-314), და IV ს. მინის ადგილობრივი ნაკეთობის საკულტო ჭურჭელი მცხეთიდან ჯვრებისა და ხის სტილზებული გამოსახულებით (დავლიანიძე 1967: 94-101; უგრელიძე 1967: 28,44).

* „მოქცევა ქართლისავ“-ს ტექსტში დაცულ სიმბოლოთა სახისმეტყველებასთან დაკავშირებით იხ.: სირაძე 1987.

ხშირად, ქართულ ადრექტისტიანულ ხელოვნებაში, ისევე როგორც წარმართულში, ხეს აბსტრაქტულ სახეს აძლევდნენ, რომელშიც რომელიმე კონკრეტული ხის ჯიშის დანახვა შეუძლებელია. მაგრამ, ასევე ხშირად სიცოცხლის ხეში კარგადაა გამოკვეთილი ხის სახეობა. ასეთთა რიგში ექცევა ვაზი, მუხა – ქრისტიანობაში მამა-ღმერთის განსახიერება და მარადმწვანე ხეები – ქრისტეს სიმბოლო. მათში ცალკე უნდა გამოიყოს პალმა.

„მეორე დღეს დღესასწაულზე მოსულმა დიდმალმა ხალხმა, რაკი გაიგო, იესო მოდისო, აიღო პალმის რტოები და მისაგებებლად გამოეფინენ. დაღადებდნენ და ამბობდნენ: „ოსანა! კურთხეულია მომავალი უფლის სახელით, მეუფე ისრაელისა!” (იოანე 12:12-13). ამ დროიდან პალმა ხდება თავად იესოს სიმბოლო. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნებიას სიტყვები, რომელიც ამბობს, ისრაელიანებმა მოიძიეს მოსეს წერილი სადაც ნათქვამი იყო, რომ მეშვიდე თვეს, – მოსავლის აღების თვეს ეზეიმათ კარგობის დღესასწაული, მოეტანათ ზეთისხილის, ღვიის, პალმის ფოთლები კარვების გასაკეთებლად. აქედან მოყოლებული, იუდეველები მეტნაკლები პაუზით წელიწადის მეშვიდე თვეს ზეიმობდნენ კარვობის დღესასწაულს (ნებია 7:13-15). მოსეს მიერ გამოცხადებული ეს დღესასწაული თავიდან ბოლომდე იყო უზენაესის ხსოვნა, მისი სადიდებელი. ამასთან, ამ დღესასწაულთან დაკავშირებული თითოეული დეტალი თავის სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ფინიკის პალმა – მარადმწვანე მცენარე, ერთი მხრივ ნაყოფიერების სიმბოლოა, ხოლო მეორეს მხრივ, სამოთხის დროინდელი ცხოვრების შეხესენებაა.

პირველ ჯერზე უბრალო კარავი, შემდეგ დვთისადმი მიძღვნილი საკურთხეველი, შესაწირი ხილი, მის გარშემო შემოკრებილი ისრაელიანები, თანდათან გადავიდა ტაძარში, ამიტომ გასაგები ხდება სიტყვები I მეფეთადან, რომელიც კარვობის დღესასწაულს ტაძრის დღესასწაულს უწოდებს. ამას კარგად ერწყმის დურა-უვროპოსის სინაგოგაში შემორჩენილი ფრესკა, რომელზეც გამოსახული ტაძრის გარშემო წარმოდგენილია პალმები და მინორა. ამ შემთხვევაში პალმის დატვირთვა ახალი ერის სახელდებაა, რომელიც უზრუნველყოფს რა ღვთის გამარჯვებას, უკან დააბრუნებს სამოთხისეულ უმანკოებას (Tristan 1996: 41). მაგრამ არის სცენები, სადაც პალმა უკავ მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს გამოხატულებაა. აქ შეიძლება გავიხსენოთ

ისევ და ისევ ბიბლია (გამოცხადება 7:9), დომიცილას სასაფლაო, ლუცინას სარკოფაგი და სხვ. (Tristan 1996: 105).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა პამამლის სინაგოგის მოზაიკა, რომლის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ჩარჩოში ჩასმულ ბაღს ორი ფინიკის პალმით. იქვე ნავარდობენ ფრინველები, ცენტრში გამოსახულ ბარძიმიდან კი მოჩქეფს წყლის შადრევანი. ეს ყველაფერი სამოთხის მონატრება და იქ დაბრუნების რწმენაა (Tristan 1996: 109). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პალმა სიცოცხლის ხის სინონიმია. აქვე, თუ ამ ხაზს გავყვებით, კიდევ ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ. კერძოდ, ესაა ვია პიგნატელის კატაკლიმბის მხატვრობა (II ს.), სადაც თევზის ერთ მხარეს გამოსახულია პალმა, მეორე მხარეს კი ყვავილები (Tristan 1996: 61). თევზი ქრისტეს სიმბოლოა, ყვავილები კი ახალი სიცოცხლის გამოხატულება. (Olszewski 1995: 15), რაც ტრანსკრიფციაში უდიდეს ცნებას იძლევა: იქსო ქრისტე, ძე დგოისა, მუდმივად არსებობს თითოეულ ახალ სიცოცხლეში.

იერუსალიმში შესვლის შემდეგ პალმა სამუდამოდ დაუკავშირდა ქრისტეს, ხოლო ქრისტიანულ სამყაროში ადგილი დაიდო საკუთარი დღესასწაულის სახით, რომელსაც ჩვენ ბზობას გუწიდებთ.

საქართველოში პალმის სიმბოლო გვხვდება ბიჭვინთის მოზაიკაზე. მედალიონში ჩასმული ამ მცენარის გვერდით გამოსახულია ვაზი, რომელსაც ირემი ეტანება (ტაბ.X₃). ეს სცენა, სადაც ირემი წმინდა სულის განსახიერებაა, ქრისტიანს კარნახობდა, რომ, თუ იწამებდა ქრისტეს, ჩაწვდებოდა მის საიდუმლოებას (ანუ ეზიარებოდა) მაშინ იგი მიუახლოვდებოდა მარადიულობას (დიდმელაშვილი 2005ა: 48). საინტერესოა, რომ პალმის მედალიონი იმავე სახისაა, როგორმიც ჩაწერილია საკურთხევლის მოზაიკაზე გამოსახული ქრისტეს მონოგრამა, რაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამით ოსტატს მინიშნება უნდა გაეკეთებინა პალმის კავშირზე იქსო ქრისტესთან.

პალმის სიმბოლოს გაგებისათვის, ვფიქრობთ, ინტალიოს სახით საინტერესო ნიმუში მოგვეპოვება მცხეთიდან. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიცერინის ფონდში ინახება (ინვ.№330). მასზე წარმოდგენილია პალმის რტო, რომლის წინ დგას მამალი*. ეს ინტალიო, ზედმიწევნით მსგავსია

* ინფორმაციის მოწოდებისა და შეხედულებათა გაზიარებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ქ. ქეთევან ჯავახიშვილს.

ამბოლაურში ნემსიწვერიძეების ადგილიდან მომდინარე ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდის გამოსახულებისა (VI ს. I ნახევარი) (აფხაზავა 1979: 73, ტაბ.III,35), როგორც გამოსახავს ჯვარს და მის წინ მდგარ ფარშევანგს. როგორც აღინიშნა, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ფარშევანგი აღდგომის და განახლების სიმბოლოა, ასეთივე დატვირთვა აქვს მამალსაც (Уваров 2001: 236-238). ჯვრის შეცვლა პალმის რტოთი, რაც ძალიან ხშირად ფიქსირდება კატაკომბების წარწერებშიც, სწორედ იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ პალმა იგივე მნიშვნელობის მატარებელია, რისიც ჯვარი – გამარჯვება, ქრისტეს სიმბოლო. თუ მხედველობაში მივიღებთ ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ეს ორი ნიმუში თავისი მსგავსების გამო ერთი სახელოსნოს ნაწამი უნდა იყოს, მაშინ ეს კავშირი და ბეჭდების გააზრებული სიუჟეტი უფრო ნათელი გახდება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოსთვის პალმის გამოსახვა სხვა მცენარეებთან შედარებით იშვიათობას წარმოადგენს (რა თქმა უნდა თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმპორტის სახით ფიქსირებულ გამოსახულებებს სხვადასხვა ნაწარმზე. მაგალითად, მინის საზიარო ჭურჭელზე მცხეთიდან (უგრელიძე 1951: 301-314)), რაც, ვფიქრობთ, იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ იგი უცხო გახლდათ საქართველოსთვის. სამაგიუროდ, მას ცვლის ის მცენარეები, რომლებიც მეტად ახლობელი იყო ქართველებისთვის. მათ შორის უნდა დასახელდეს წიწვოვანი ხეები, რომელთა გამოსახულებები ამკობს ივრის სიონისა და აკაურთის ტაძრებს, და ასევე ბროწეულის ხე.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს სიცოცხლის ხის გამოხატვის ორი ტიპი – კონკრეტული ჯიშით წარმოდგენილი ცხოვრების ხე და აბსტრაქტული. სიცოცხლის ხის ასეთ ფორმასთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ივრის სიონის სვეტზე ამოკვეთილი გამოსახულება (ტაბ.XXII₆) (რამიშვილი 1979ა: 38), როგორც გ. ყიფიანმა წარმართული სულისკვეთების გამოხატულებად მიიჩნია. მან შენიშნა, რომ ხეში ერთი კონკრეტული ხის ჯიში არ შეიმჩნევა, იგი უფრო სხვადასხვა მცენარეულ მოტივთა კრებითობაა: პალმის ტანით, ლოტოსის ფურცლებით, იონური ვოლუტებით, ხოლო ხის ძირში გამოსახული კლაკნილი ხაზი, რომელიც რ. რამიშვილმა მდინარედ ჩათვალა, გველი უნდა ყოფილიყო (ყიფიანი 2000: 98-99).

უნდა დაგეთანხმოთ მაგლეგარს იმაში, რომ ეს სცენა წარმართული სულისკვეთებისაა, მაგრამ იმავდროულად, ვფიქრობთ, ბიბლიური სიუჟეტის გამოხატულებაც უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიცოცხლის ხე

ქრისტიანულ სამყაროში დვთის სახელს დაუკავშირდა. ამდენად, ეს გამოსახულება ქრისტეს ეშმაკზე გამარჯვებას უნდა მიანიშნებდეს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 2000 წ. სვეტიცხოვლის ეზოში მიკვლეული IV ს. ანტეფიქსი (ყიფიანი 2001: 40-44), რომლის გამოსახულება ივრის სიონის ამ აბსტრაქტული ხის შემდგომ საფეხურს უნდა გამოხატავდეს (ტაბ.XXIII₁). ანტეფიქსზე მოცემულია ერთ საფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული „სიცოცხლის ხე”, რომლესაც დაბლა დაშვებული ბროწეულისებრი ნაყოფით დამძიმებული ტოტები და სამად განტოტვილი წვერო აქვს, ხოლო განივი ტოტები ჯვრის მკლავებადაა მოცემული.

ამავე ტიპის გამოსახულებებში უნდა დავასახელოთ 1989-1991 წწ. შირაქში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს შესწავლილი „შავი მთის” V-VI სს. დათარიღებული საკულტო ნაგებობის ანტეფიქსები (ტაბ.XXIII₂), რომლებზე გამოსახულ სიცოცხლის ხეებს გრძელი, მაღლა აწეული წვრილი ტოტები აქვს, ხოლო გარშემო კოპები შემოუყვება (მაისურაძე. . . 2004: 35).

ბოლოსთვის შევნიშნავთ, რომ ხის როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში, სხვა ქრისტიანული სიმბოლოების მსგავსად, ქართულ წარმართულ ტრადიციებთან შეჯერებით აღინიშნა. მართალია, ჩვენშიც ხის სიმბოლო ზოგადქრისტიანული სემანტიკის მატარებელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მან გაცილებით დიდი დატვირთვა შეიძინა, რამაც ქართულ იკონოგრაფიულ სათავეებთან მიგვიყვანა. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ იმის გამო, რომ ხის კულტი ძლიერი იყო ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებშიც, ქრისტიანულ ხის სიმბოლოში ძირითადად აისახა ხის ის ჯიშები, რომლებიც სწორედ აქ გავრცელებული წარმართული რწმენის ელემენტს წარმოადგენდა.

თავი XI

გაზის სიმბოლო

„მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა. ოქვენ ჩემში დარჩებით, მე კი – ოქვენში. როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩა, ისე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით. მე ვაზი ვარ, ოქვენ კი – ლერწები“ (იოანე 15:1-5). მაცხოვრის მიერ თქმულმა ამ სიტყვებმა განსაზღვრა ვაზის მნიშვნელობა ქრისტიანულ სიმბოლიკაში. რომაული კატაკომბებიდან მოყოლებული მისი გამოსახულებები ხშირად ჩნდება სხვადასხვა არსებებთან ერთად. სახარებისეული სიუჟეტები მომდევნო პერიოდში ასახვას პოვებს წმინდა მამების განმარტებებშიც. მაგალითად, კირილე იერუსალიმელმა ვაზის მიწაზე დარგვა იმ წყველის საწინააღმდეგო ქმედებად განიხილა, რომელიც ადამიდან მოჰყვებოდა კაცობრიობას. მიწას უნდა გაენაყოფიერებინა ვაზი, რათა აღსრულებულიყო სიტყვები: „სიმართლე მიწიდან წამოვიდა, ხოლო სამართლიანობა მაღალი ზეციდან“. ვაზი ქრისტეს სიმბოლოა, სიმბოლოა ნაყოფიერი მიწისა, სიმართლისა და სამართლიანობისა (Olszewski 1995: 16). უფრო ადრე კლემენტ ალექსანდრიელმა განმარტა, რომ ვაზი სიმბოლურად სიტყვას განასახიერებდა: „ვაზში დვინო წვეთს, როგორც ქრისტეში – სისხლი. ორივე ადამიანისათვის სასმელია – სიცოცხლის მომნიჭებელი, დვინო – სხეულისთვის, სისხლი – სულისთვის“ (Clément d’Alexandrie 1846: I,5). განიხილავენ რა ქრისტიანულ სიმბოლიკას, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ვაზს, მსგავსად სხვა სიმბოლოებისა, რამდენიმე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. პირველი და უმთავრესი ქრისტესა და მოციქულების გამოხატულება იყო, რისი დასტურიცაა მაგალითად, რომის კატაკომბებიდან მომდინარე თიხის ჭრაქზე გამოსახული კეთილი მწყემსი მხრებზე შემოსმული ბატკით, რომლის გარშემოც მოცემულია ყურძნის მტევნებით გადმოცემული ვაზი და რომლის საფუძვლადაც მიჩნეულია იოანეს სახარებაში მოცემული ზემომოყვანილი სიტყვები (Уваров 2001: 211).

მეორე მნიშვნელობას უგავშირებენ საიდუმლო სერობასა და ზიარებას, რისი საფუძველიც სახარებაში მოთხოვილი დიდი ხუთშაბათის სერობა იყო: „აიღო სასმისი, მაღლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. მე გეუბნებით: ამიერიდან ადარ შევსვამ ამ ვაზის

ნაყოფისგან იმ დღემდე, როცა ოქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამაჩემის სასუფეველში“ (მათე 26:27-29). აღნიშნული არსის გამომხატველი სცენები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ადრექრისტიანულ ხელოვნებაში. ისინი ძირითადად ორი სახითაა მოცემული: რთველის ამსახველი სცენები (მაგალითად, კონსტანტინე დიდის ქალიშვილის კონსტანციას სარკოფაგზე გამოსახული ბიჭუნები კრეფავენ და წურავენ ყურძენს (Уваров 2001: 242)) და ვაზის ნაყოფს მიტანებული ფრინველები ან ცხოველები. ასეთი სიუჟეტები წარმოდგენილია მახლობელი აღმოსავლეთის ადრექრისტიანულ მოზაიკაში. მაგალითად, მადაბის კათედრალში გამოსახულია ვაზი მტევნებით, რომლის ყლორტებს შორის მოცემულია ვერძები, ქურციკები, ძროხა და ლომი ვაზისადმი მავედრალ პოზაში (ხარსა და ლომს წინა ფეხი აწეული აქვთ, ხოლო ვერძები და ქურციკები თავაწეულები დგანან) (Olszewski 1995: 14).

ამას გარდა, რთველის სიუჟეტებს, კრატერიდან ამოზრდილი ვაზის მტევნებთან გამოსახულ მტრედებსა და ფარშევანგებს დიდი ადგილი უჭირავთ IV-VI სს. სირიის ჰუატისა და უმ ჰარტაინის ეკლესიებსა და ჰუარტეს მიქაილიონის სახელობის ტაძარში, იორდანიის წმ. დოტისა და პროკოფის ეკლესიაში (Khirbet el-Mukhayyat), ლიბიის ზარანის ტაძარში (Olszewski 1995: 17-22; Canivet 1975: 164), ტუნისის ელ-უნაისიას, თეოდოლუსისა და სუკრინეს ბაზილიკებში (Bejaoui... 2001c: 1485; Ghalia 2001: 74-76), საბერძნეთის ბუტროტონის სანათლავსა და სუიას ბაზილიკაში (Sodini 1970: 740,752). ერთსა და მეორე შემთხვევაშიც მეცნიერები თვლიან, რომ საქმე გვაქვს ზიარებასთან, რაზეც კლემენტ ალექსანდრიელიც მიანიშნებდა: „ვაზი იძლევა ლვინოს, როგორც სიტყვამ გაიღო თავისი სისხლი“ (Clément d’Alexandrie 1846: I,5; Уваров 2001: 210-212; Успенский 1997: 59). უვაროვი ზუსტად ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს უურძნის მტევნებაც, რომელსაც ფრინველის ნისკარტში გამოსახულს ან ფრინველისგან გაწიწინილს ხსნის როგორც ზიარების სიმბოლოს (Уваров 2001: 212). თუმცა, ნეტარი იერონიმე უურძენს უფრო ზუსტ განმარტებას აძლევდა – ქრისტესა და წამებულთა სისხლის სიმბოლო (Уваров 2001: 213).

ვფიქრობთ, განხილული ორივე მნიშვნელობა სრულიადაც არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ზიარების სიმბოლოდ მიჩნეული სცენები პირველი მნიშვნელობის უფრო სიღრმისეული ახსნა უნდა იყოს: ვაზი უფალია, უფლის შეცნობა და მის არსში ჩაწვდომა კი სულის ხსნას ნიშნავს.

ადრექტისტიანულ სიმბოლიკაში დამკვიდრებამდე ვაზის სიმბოლომ ჯერ ბიბლიური გზა განვლო. ძველი აღთქმის წიგნებში ქანაანიდან მოსესთვის მიტანილი ვაზი მესიანური სიმბოლოა, დაკავშირებული აღთქმულ მიწასთან და მომავალ ცხოვრებასთან, იგი ნიშანია ღვთიური დიდებისა, როგორც ცხოვრების წყარო: „ეგვიპტიდან გადმოიტანე ვაზი, განდევნე ხალხები და დარგე ის. გაწმინდე მის წინ, გაადგმევინე ფესვები და მან ააგსო ქვეყანა. მთები დაფარა მისმა ჩრდილმა და მისმა ტოტებმა – ნაძვი ღვთისა. ტოტები გაიტანე ზღვამდე და მდინარემდე – ყლორტები თვისი“. „ღმერთო ძალთაო! მობრუნდი, გადმოგვხედე ციდან და იხილე, და მოხედე ამ ვაზს. გაამაგრე ის რაც დარგო შენმა მარჯვენამ და ყლორტები, შენთვის რომ გააძილიერე“ (ფსალმუნები 79:9-12,15-16; ესაია 5:1-3).

ამ აზრის გამომხატველი უნდა იყოს დურა-ევროპოს სინაგოგაში გამოსახული ვაზი, რომელსაც აკავშირებენ როგორც ისრაელთან, ასევე ესხატოლოგიურ სიმბოლოსთან – სამოთხეში დაბრუნებასთან (Tristan 1996: 46).

ასეთივე დიდი ისტორია აქვს ვაზის სიმბოლოს სხვადასხვა ხალხთა კულტურაში. მაგალითად, იგი, როგორც საიქოს ატრიბუტი ფიგურირებს გილგამეშის ეპოსში, სადაც წალკოტში „მარჯანს ასხია თავისი ნაყოფი, ვაზი ირხევა ხილვად კეთილი“ (გილგამეშის ეპოსი 1963: 64).

ვაზი ქრისტიანული სიმბოლიკის ის ელემენტია, რომელსაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა გავრცელებისთვის. თვით დაბადების თანახმადაც კი ვაზის სამშობლო კავკასია (დაბადება 9:20).

საქართველოში აღმოჩენილი ერთ-ერთი ძველი დათარიღებული ყურძნის კვალი ყათლანიხევი IV ნაგებობის საწესო ობიექტს უკავშირდება (ძვ.წ. II ათასწ. ბოლო), სადაც ყურძნის წიპტები სარიტუალო ჭურჭელში აღმოჩნდა (ხახუტაშვილი 1964: 35).

მევენახეობის გავრცელების საკითხის განხილვისას ი. კიკვიძე ფიქრობდა, რომ მიუხედავად ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან ვენახის გავრცელებისა, რომელიც ძლიერ სატომო ღვთაებათა კუთვნილ მამულებში ინერგებოდა და მისგან დაყენებული ღვინო ამ ღვთაების დღეობას ხმარდებოდა, ძვ.წ. VI საუკუნეში საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ფართო განვითარება მაინც არ ფიქსირდება. ვენახი ცალკეულ აღგილებში ვითარდებოდა. ამას გარდა, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მოშველიებით იგი თვლიდა, რომ ვაზი საქართველოში თავდაპირველად ხატის საკუთრებას წარმოადგენდა,

საკულტო მცენარე იყო და ვენახიც სახატო მიწებზე უნდა გაშენებულიყო. ამაზე მიანიშნებდა ის, რომ მევენახეობასთან დაკავშირებული თითქმის ყოველი ნივთი საკულტო ნივთებზე ან სათავსოებში დადასტურდა. მკვლევარის აზრით, ამასვე ადასტურებდა სამარხებში ყურძნის წიპრების აღმოჩენა და ზედაშისა და მარნის კულტიც (კიკვიძე 1976: 99).

არქეოლოგიურ აღმოჩენებს ერთგვარად აგსებს ვაზის საკულტო მცენარეზე არსებული ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელიც შესწავლილი აქვს ვ. ბარდაველიძეს. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებულ საწესო სიმღერებში ვაზი დათის კარზე მდგარი აღვის ხეზეა შემოხვეული და სიცოცხლისა და სიუხვის ხეა, რომლის მწიფე ნაყოფი სიკვდილის დასათრგუნი ძალის მატარებელია, სიცოცხლის გამახანგრძლივებელია (Бардавелиძე 1957: 57).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ვაზი ფიგურირებს დიდი დედა ნანას საწესო სიმღერაში, რაც მის ნაყოფიერების ქალღვთაების ატრიბუტობაზე მიანიშნებს. ნანა კი, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, მზის დათაება იყო. საინტერესოა, რომ ადრეანტიკური ხანის სხივანა საყურეები (ვანი, საირხე, ფიჭვნარი და სხვ.), რომლებიც თავისი ფორმით მზეს ჰგავს, ასევე მტევნის გამოსახულებების შემცველია (ჭყონია 1977: 82-88; კახიძე 1965: 90).

შესაძლოა სპარსული ელემენტების დანამატით, მაგრამ მაინც ამ რწმენა-წარმოდგენების გაგრძელებასთან უნდა გვქონდეს საქმე ციხიაგორას კომპლექსის შემთხვევაშიც. გათხრისას გამოვლენილ იქნა საკურთხევლიანი მარანი, რომელსაც გ. ცქიტიშვილი ძვ.წ. IV-III სს. მიჯნაზე ირანის გავლენით ცეცხლისა და მზის სახელზე აგებულ ტაძრად მიიჩნევს. იგი აზოს უნდა აეგო, რომელიც სპარსეთის მიერ დაპყრობილი ქართლის ნაწილის ერისთავი იყო. თუმცა, იმავე მარანში აღმოჩენილი ლომის დამდიანი სარქველით დახურული ქვევრის, ყურძნის წიპრებისა და საკურთხეველზე დამწვარი ციკნის თავ-რქების გამო, იგი ფიქრობს, რომ შესაძლოა, დიონისეს ან მისი პროტოტიპის აღმოსავლეთ საქართველოში არსებობის გამოვლინებასთან გვქონდეს საქმე (ცქიტიშვილი 2003: 18-25).

ვაზის ქრისტიანული სიმბოლოს შესახებ საუბარი, ალბათ, მაინც წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაციით უნდა დავიწყოთ, რომელიც ერთგვარად კარგი დადასტურება და გაგრძელებაა ეთნოგრაფიული მეხსიერებით შემონახული წარმართული ვაზის კულტისა. ამასთან, ნათელი მაგალითი

როგორ უმტკივნეულოდ გადადის ძველი კულტი ახალ სიცოცხლეში და იქცევა ქრისტიანულ სიმბოლოდ.

ვაზის საკულტო მცენარის შესახებ ინფორმაცია დაცულია „მოქცევა ქართლისად“-ს „„წმინდა ნინოს ცხოვრებისა“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტებში. მაგრამ, ვიდრე უშულაოდ ვაზის ქრისტიანულ სიმბოლოზე ვისაუბრებდეთ აუცილებლად უნდა შევეხოთ მის წარმართულ სალოცავში დგომის საკითხს. ზემოხსენებული ქართული წყაროების თანახმად, ბაბილო ანუ მაღლნარი მეფის სამოთხის მცენარეა, რომელიც ლიბანის ნაძვის (კიპარისის) ქვეშ ხარობს (როგორც ჩანს, ამ ინფორმაციაში უნდა დავინახოთ კ. ბარდაველიძის ინფორმაცია ეთნოგრაფიაში დაცულ გადმოცემაზე – ვაზი ალვის ხეზე შემოხვეული მცენარეა). ამ სამოთხეში, როგორც ჩანს, მეფის მთავარი სალოცავი ადგილი უნდა მოვიაზროთ, რაზეც რამდენიმე ფაქტი მიუთითებს:

1. ქართულ წყაროებში დაცულია ცნობა, რომ როდესაც მეფე მირიანმა ეკლესიის ასაგებად ნინოს ადგილის შერჩევა შესთავაზა, ნინომ მეფეს მიუგო: „იქ სადაც თქვენი გონება მტკიცე არს“ (ლეონტი მროველი 1955: 111; „მოქცევა ქართლისად“ 1963: 138). შესაძლოა ქართული ეტიმოლოგიით იგი გაიგება, როგორც - სადაც მეფეს სურდა, მაგრამ ვფიქრობთ, ამ სიტყვებში წმინდა ნინო მოიაზრებდა იმას, რომ მეფეთა გონება ჩვეულებრივ მტკიცე და შეუვალი უნდა ყოფილიყო რწმენაში. ე.ო. ნინოს იმ ადგილზე უნდა მიენიშნებინა, სადაც წარმართული სალოცავი იდგა.

2. უფრო ნათელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ მხრივ დაცულია ბორჯიას პაპირუსის სიდონურ ტექსტში, რომელიც მოყვანილი აქვს მ. თამარაშვილს და მის თანახმად, ინახება ვატიკანის ბორჯიას მუზეუმში. ეს წყარო ამბობს, რომ „ორი დიდი მარმარილოს სვეტი ძველ ტაძარში იყო აღმართული, სადაც იმყოფებოდა აპოლონის მისანი. მუშებს თურმე ამ სვეტების ამოღება და მათი ეკლესიის კანკელში ჩადგმა უნდოდათ, მაგრამ ვერაფრით დაუძრავთ ადგილიდან“ (თამარაშვილი 1995: 204). ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ იქ სადაც მეფე ქრისტიანულ ტაძარს აშენებდა რომაული დვორების – აპოლონის ტაძარი მდგარა, და მდგარა არა ხის, არამედ ქვის, რომელსაც მარმარილოს სვეტები ჰქონია.

3. ამ ინფორმაციას სიმტკიცე შემატა სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილმა II ს. დათარიღებულმა კორინთული ორდენის კაპიტელებმა, გვიანანტიკური ხანით დათარიღებულმა სვეტის ბაზისებმა და ფრიზმა (ყიფიანი 1997: 61-63;

ყიფიანი 2007: 11; ყიფიანი 2001: 40-44), სვეტიცხოვლის ეზოში სხვადასხვა დროს აღმოჩენილმა სამარხებმა (მაგალითად, 2001 წ. გათხრილი III-IV სს. დათარიდებული №14 სამარხი-აკლდამა, რომელშიც დაკრძალული იყო მაღალი წრის ქალბატონი (აფაქიძე. . 2003: 81-96)), და სხვა არტეფაქტებმა. აღნიშნული ფაქტორებისა და ასევე ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ნინოს მიერ მოხდენილი სასწაულების სიმბოლური დეტალების გათვალისწინებით, სვეტიცხოვლის ტერიტორიას მეფის სამოთხედ მიიჩნევს ო. ბიბილური, სადაც აპოლონის ტაძარი უნდა მდგარიყო, ოდონდ მკვლევარი აკონკრეტებს ამ ტაძრის კუთვნილების საკითხესაც – მზის ტაძარი (ბიბილური 2008: 33).

ბუნებრივია, საკულტო ადგილას გაზრდილ ლიბანის ნაძვსა (კიპარისსა) და ვაზს ასეთივე დატვირთვა ექნებოდა, მაგრამ ერთიც და მეორეც ქრონიკებიდან ჩანს, ყურადღების მიღმაა დარჩენილი იქამდე, ვიდრე მცხოვარი ნინო არ მოვა (ლეონტი მროველი 1955: 101; „მოქცევაი ქართლისაი“ 1963: 130). ლეონტის ტექსტის თანახმად, ნინომ იხილა სიზმარი, რომელშიც ანგელოზმა ასწავლა: „შევედ სამოთხესა მაგას, ბაბილო არს მცირე ნაძუთა ქუეშე, საუფლო შეზავებული, მიწა აღიღე მის ადგილისაგან, შეაჭამე კაცთა მაგათ და ესუას შვილი“ (ლეონტი მროველი 1955: 93-94). სწორედ ამ ხილვით და მომხდარი სასწაულით გამჟღავნდა ეს ადგილი სასწაულმოქმედ ადგილად. ამ სასწაულის შემდეგ ლეონტი ყვება კიდევ ერთ ხილვაზე, რომელშიც უფალმა მიანიშნა ნინოს, რომ ეს ნაძვი და ბაბილო ახალი რელიგიის ბურჯად უნდა ქცეულიყვნენ და აქედან უნდა დაწყებულიყო ქართველთა ეკქარისტია და ნათლობა: „მათ დღეთა შინა მრავალგზის იხილა ჩუენება წმიდამან ნინო. . . რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფერითა შავნი, და შთავიდიან მდინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეციალიან, და აღვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მოისოულებიან და ყუავილსა მას ძოვდიან“ (ლეონტი მროველი 1955: 101). სწორედ ამის პირველი გამოვლინება იყო ნინოს მიერ ნაძვის ქვეშ პირველი „მონათლული“ ადამიანი – მოგვთა მთავარი ხუარა, დედოფლის ნათესავი („მოქცევაი ქართლისაი“ 1963: 134; ლეონტი მროველი 1955: 108).

ამ ქესტით განცხადდა, რომ ნაძვი, რომლის შესახებაც მაშინ არავინ უწყოდა, ქრისტეს კვართზე აღმოცენებული ხე იყო, მირონის სინონიმი გახლდათ, ხოლო მასზე შემოხვეული ვაზი – თავად ქრისტე. მაგრამ აქ საინტერესო, ვფიქრობთ, ისიცაა, რომ წყაროში გაპარული ძველი რწმენის კვალი ჩანს, რომლის თანახმად ვაზი პირველი სასწაულის დროს

ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო მეორე სასწაულში უკვე წმინდად ქრისტიანული სიმბოლოს გამოხატულებაა.

სვეტიცხოვლის მშენებლობის დაწყების დღიდან ქართული წყაროები ყურადღებას ამახვილებენ ნაძვის ხისგან მოჭრილი სვეტის სასწაულზე²⁴, ვაზი კი არსად იხსენიება, თუმცა, ბუნებრივია, წყაროთა თანახმად მასზე შემოხვეული ბაბილო ასევე უნდა მოეჭრათ, მით უფრო, რომ მირიანი არ დაერიდა „სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მისთა ნაყოფიერებასა“ („მოქცევად ქართლისად“ 1963: 138; ლეონტი მროველი 1955: 111). სვეტიცხოვლის სასწაულმა ერთგვარად დაასრულა ვაზის სასწაულმოქმედება. მეორეს მხრივ კი, წარმართული საკულტო მცენარეები საქართველოს სინამდვილეში ახალი რელიგიის უმთავრეს ბურჯად იქცნენ.

ახლა ვნახოთ რამდენად აგსებს წყაროთა ინფორმაციას არქეოლოგიური მონაპოვარი*. ვაზის ან მისი ნაყოფის გამოსახულებიანი ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტი შედარებით მცირეა საქართველოში. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია ადგილობრივი ნაწარმით წარმოდგენილი ელინისტური ხანის ყურძნის გამოსახულებიანი დოქი (ბოხოჩაძე 1963: 180) და თეთრიწყაროში აღმოჩენილი ახ.წ. I ს. ხელადა ვაზის ფოთლის გამოსახულებით (მარგიშვილი 1992: 31-77, ტაბ. XXII₄,XXVI₂), ასევე იმპორტული ვერცხლის პატერა არმაზისხევის №6 აკლდამიდან (ტაბ.XX₄), რომელზეც ვაზის ფოთლი ფარშევანგებთან ერთადაა გამოსახული (ახ.წ. II ს.), და ვერცხლის პინაკი არმაზისხევის №7 აკლდამიდან (II ს. ბოლო), რომელზეც ვაზის ფოთლებსა და ყურძნის მტევნებთან ერთად ბროწეულის ნაყოფებიცაა მოცემული (ტაბ.XXIII₃) (აფაქიძე. . . 1955: 95, ტაბ.LXXII,LXXIII)) და თეთრი ფერის მინის სანელსაცხებლე (ინვ.№23285) მცხეთიდან (ტაბ.XXIII₄), რომლის მუცელი მტევნის იმიტაციას წარმოადგენს²⁵. სამაგიეროდ, საკმაოდ ხშირია ყურძნის გამოსახულებიანი სამკაული, რომელიც ახალი წელთაღრიცხვიდან საქართველოში ფართოდ ვრცელდება. ძირითადად, ესაა სამი ტიპის საყურებები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული ჩანს გახსნილ რგოლზე მირჩილული სხვადასხვა ოდენობის მარცვლებით წარმოდგენილი მტევნის იმიტაცია (ზოგჯერ მოცვარული) (ტაბ.XXIII₅). ასეთი ტიპის საყურებები აღმოჩენილია: ოქროსი (წყვილები) მოგვთაკარის 1977 წ.

* ვაზის ადრექტისტიანული სიმბოლოს გამოსახულების საქართველოში გავრცელების საკითხთან დაკავშირებით იხ.: (Дигмелашвили 2010: 161-169).

გათხრილ I-III სს. №4 ქვასამარხში (სიხარულიძე. . . 1985: 117-119), ბაიათხევის 1986 წ. III-IV სს. №35 კრამიტსამარხსა (ნიკოლაიშვილი. . . 1995: 128-133) და კარსნისხევის 1975 წ. I-II სს. №27,32 კრამიტსამარხებში (აფაქიძე. . . 1978ა: 51,93); ბრინჯაოსი (2ც.) ქუშანაანთ გორის III ს. №5 ორმოსამარხში (რამიშვილი 1979ა: 45-46); ოქროსი (1ც.) სამთავროს 1976 წ. III-IV სს. №186 კრამიტსამარხში (მანჯგალაძე 1985: 68-69, სურ.391), ჟინგალის №357 სამარხში (რამიშვილი 2007: ტაბ.IV), წიფრანის ძირის №5 სამარხში (II-IV სს.) (რამიშვილი 2007: ტაბ.IX; რამიშვილი. . . 1984: 63), ვერცხლისა და ბრინჯაოსი ნების №N8,18 ორმოსამარხებში (რამიშვილი 2007: ტაბ.XIV,XIX; რამიშვილი. . . 1987: 84), ოქროსი მოდინახეს №№25,28,34²⁶,54* ორმოსამარხებში (თითოეულ სამარხში ისინი წარმოდგენილია ერთი წყვილის სახით) (ბრაგვაძე. . . 2002: 99-103). მოდინახეს აღნიშნული სამაროვანი გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეთა პერიოდით თარიღდება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სამარხები, მათში მიცვალებულთა დაკრძალვის პოზისა და ჩატანებული ინვენტარის გათვალისწინებით უფრო გვიანანტიკურ ხანას უნდა ეკუთვნოდნენ. ასეთივე დათარიღება მისცა აღნიშნული სამაროვნის მის მიერ შესწავლილ სამარხებს ჯ. ნადირაძემ, რომელმაც ისინი IV ს. საკრძალავებად განსაზღვრა (ნადირაძე 1975: 75). ამავე ტიპში ერთიანდება კლდეეთის ოქროს წყვილი საყურე (II ს.), რომელიც იმით განსხვავდება დანარჩენებისგან, რომ მას ორმაგი მტევნები აქვს (ტაბ.XXIII). ამათგან ერთი მირჩილულია გახსნილი რგოლის პირზე, ხოლო მეორე ჩამოკიდულია ყუნწით (ლომთათიძე 1957: 42). პირველი ტიპის 29 ცალი საყურე (მათ შორის არის როგორც ოქროს, ისე ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული საყურეები) აღმოჩნდა ჟინგალის II-III სს. დათარიღებულ სამარხებშიც (ჩიხლაძე 1999: 81).

ამ ტიპის საყურეების განხილვისას 6. აფხაზავა მათ II ჯგუფის I ვარიანტში აერთიანებს და გვიანანტიკურ ხანაში გავრცელებულ სამკაულად მიიჩნევს, რომელიც V-VI საუკუნეების წყვეტის შემდეგ VII საუკუნიდან ისევ ჩნდებიან. იგი ფიქრობს, რომ აღნიშნული საყურეები ნაყოფიერების სიმბოლო იყო: „მტევანი, მარცვალთ სიმრავლე, ჩვეულებრივ, ამის ნიშანია ხოლმე, მეორე მხრივ „მტევნები“ მიმაგრებულია მთვარისებურ გახსნილ რგოლზე, მთვარეც ხშირად, თავის მხრივ ნაყოფიერების ქალდღვთაებებს უქავშირდება. იგი

* მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით (ბრაგვაძე. . . 2002: 103).

ადგილობრივი გემოვნებისა და ოწმენა-წარმოდგენათა გამოვლინებაა, კერძოდ ნაყოფიერების კულტების (ქალური საწყისების) ერთგვარი გამოცოცხლების ნიშანია VII ს.“ (აფხაზავა 1979: 67). ხოლო ქუშანაანთ გორაზე აღმოჩენილი საყურეების განხილვისას რ. რამიშვილი შენიშნავს, რომ ამ საყურეების გაკეთება როგორც ოქროთი, ისე ბრინჯაოთი მათ ფართო გავრცელებაზე მიანიშნებს, როგორც მაღალ, ისე საშუალო ფენებში (რამიშვილი 1979ა: 90).

მეორე ტიპი ყურძნის მტევნის გამოსახულებიანი საყურეებისა წარმოადგენს გახსნილ რგოლს, რომელზეც მირჩილულია ყუნწი. მასზე ჩამოკიდულია დერო, რომელზეც აცმულია მძივი (მარგალიტი, ან პასტა), ხშირ შემთხვევაში ვარდულებში ან ფირფიტებში ჩასმული. საყურის დერო ბოლოვდება მარგალიტის მძივებით შედგენილი მტევნით (ტაბ.XXIV₁). ასეთი ოქროს საყურეები აღმოჩენილია მოდინახეს №17 ორმოსამარხში, რომელშიც მიცვალებული დაკრძალული იყო გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ამავე სამარხში აღმოჩენილი ოქროს სანეკე ბეჭედში ჩასმული კონსტანციუს II ნახევარ სოლიდი ამ სამარხის ასაკს IV ს. II ნახევრით სდებს (ნადირაძე 1975: 75; ბრაგვაძე. . . 2002: 96). ამას გარდა, ამ ტიპის საყურეები აღმოჩენილია: ოქროსი (წყვილი) ურბნისის 1960 წ. №10 და სპილენძის (1₃) 1961 წ. №49 ორმოსამარხებში (ორივე სამარხი ქრისტიანულია და IV ს. თარიღდება) (ჭილაშვილი 1964: 64-65,67, სურ.34₈); ასევე ოქროსი (1₃) რუსთავის IV ს. №9 ხის „სარკოფაგიან“ სამარხში (პაჭიკაშვილი II, 2006: 5-6). ამავე ტიპის ერთგვარად განსხვავებული ოქროს წყვილი საყურე ცნობილია არმაზისხევის №19 ერისთავთა სამარხიდან (IV ს.), რომელთაც დანარჩენებისგან ორმაგი რგოლები და შუაში მოქცეული მარგალიტის კუნწულები გამოაცალკევებს (აფაქიძე. . . 1955: 107, ტაბ.XII,56).

მესამე ტიპის საყურეთა ცალკეული დეტალები განსხვავებულია, მაგრამ საერთო ნიშნებით, თავად მკვლევართა მიერ მსგავს და ერთი ტიპის სამკაულად არის ჩათვლილი, ამიტომ ჩვენც ერთად განვიხილავთ. ამ ტიპის საყურეები წარმოადგენენ ოქროს ნაკეთობებს, რომლებიც შედგებიან ყურში გასაყრელი ოქროს მავთულისაგან, მასზე მირჩილული მრგვალი ან ოვალური ფორმის თვალბუდისგან, რომელშიც სადა ან გამოსახულებიანი (კამეოთი) ძვირფასი თვლები ზის, ზოგ შემთხვევაში თვალბუდეზე მიბმულია იგივე ფორმის თვალბუდე. ყველა მათგანი კი ბოლოვდება ოქროს რამდენიმე წვრილი მავთულითა და ოქროს მარცვლებით გაკეთებული ყურძნის მტევნით (ტაბ.XXIV₂-

4). ასეთი საყურეები აღმოჩენილია: ორი წევილი არმაზისხევის №6 აკლდამაში (აფაქიძე. . . 1955: 69-70, გაბ.VI,1,2), სამთავროს სამაროვანზე 1976 წ. გათხრილ III-IV სს. №134 სამარხესა²⁷ და 1985 წ. გამოვლენილ III ს. №905 ქვასამარხში (მანჯგალაძე 1985: 94-95,100; აპაკიძე. . . 1987: 50), მცხეთაში 1958 წ. გათხრილ III ს. №1 ქვააგურსამარხესა და 1947 წ. გამოვლენილ ახ.წ. I-II სს. №1 კრამიტულში (ბიბილური 1983: 99-100; კალანდაძე 1949: 272, გაბ.IX,55).

აღნიშნული საყურეების ტიპი, ალბათ, უნდა გაერთიანდეს მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს საყურეებიც (გაბ.XXIV₃) (ნადირაძე ამ საყურეების ანალოგს ვერ ასახელებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მსგავსებას ხედავდა ზღუდერის №3 და არმაზისხევის №8 სამარხებიდან მომდინარე საყურეებთან (ნადირაძე 1975: 61)). საყურე შედგება ორი სხვადასხვა ზომის მრგვალი მოცვარული თვალბუდისაგან მასში ჩასმული მინისა და პასტისებური თვლებით და მათზე მირჩილულ ყუნწზე ჩამოკიდული ღეროსაგან, რომელზეც აცმულია ოქროს ვარდულებში ჩასმული როდინისებური პასტის მძივი და მარგალიტის მძივებით შედგენილი ყურძნის მტევნის იმიტაცია (ნადირაძე 1975: 44). აღნიშნული საყურეები ჯ. ნადირაძეს ორ ოქროს ბეჭედთან და მძივებთან ერთად განხილული აქვს №1 სამარხის სამკაულად, რომელშიც მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთისკენ. იგივე საყურეები კი ზ. ბრაგვაძესა და ქ. ჩიგოგიძისეულ კატალოგში დასახელებულია №15 სამარხის ინვენტარად, რომელში აღმოჩენილ თანმდევ ნივთად მხოლოდ ერთი ოქროს ბეჭედია მოყვანილი²⁸.

გარდა საყურეებისა სამარხეულ ინვენტარში არცთუ იშვიათია ყურძნის მტევნის გამოსახულებიანი საკიდები, რომლებიც ფართო პერიოდის სამკაულს შეადგენს (გაბ.XXV₁). მაგალითად, ასეთი ოქროსა და ბრინჯაოს თითო-თითო საკიდი აღმოჩნდა სამთავროს 2000 წ. №970 ქვაყუთში (გამართული იყო N-S გრძივ ღერძზე), რომელიც IV ს. I ნახევრით თარიღდება (აფაქიძე. . . 2001: 26-28). ბრინჯაოს ასეთივე საკიდები აღმოჩენილია სამთავროს II ს. II ნახევრით დათარიღებულ 1939 წ. გათხრილ N უბნის №138 ორმოსამარხესა და 1938 წ. N უბნის №30 კრამიტსამარხში (Иващенко 1980: 11-12, рис.226-228), თელათგორის ნაქალარზე (კასპის რაიონი) გათხრილ II-III სს. №5 კრამიტსამარხესა (კვიტაშვილი 1990: 40-45) და I-II სს. დათარიღებულ კარსნისხევის №27 კრამიტსამარხში, სადაც ინვენტარს შორის იყო ბრინჯაოს ირმისა და ვერძის ქანდაკებიანი საკიდებიც (აფაქიძე. . . 1978ა: 50-53).

ირემი, როგორც აღინიშნა, წარმართულ ქართულ პანთეონში ნაყოფიერების დვთაების დიდი დედის სიმბოლო იყო და მასთან ერთად ყურძნის მტევნის აღმოჩენა ამ უკანასკნელის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოზე უნდა მიანიშნებდეს (გავიხსენოთ ლეონტი მროველის ცნობა, მეფის სამოთხეში არსებული ვაზის შესახებ, რომლის ძირიდან აღებული მიწის მიღებით ამ სამოთხის მცველს შვილი შეეძინა (ლეონტი მროველი 1955: 193-94)). იგივე დადასტურდა 1986 წ. ბაიათხევში გათხოვილ №35 კრამიტსამარხში (III-IV სს. I ნახევარი), რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (ნიკოლაიშვილი. . . 1995: 128-133).

ახალი წალთაღრიცხვის გარიურაუიდან საინტერესო გამოსახულება მოგვეპოვება რიყიანების სამაროვანზე (თხოთის მთა) გათხოვილ №14 სამარხიდან, რომელიც თავისი დაკრძალვის ტიპით წარმართული საკრძალავი გახლდათ. მასში დაკრძალული მიცვალებული ოქრომჭედლად არის მიჩნეული, რომელსაც სხვა გემებთან ერთად ხელში ეჭირა ოქროს ბეჭედი რომაული წარმოშობის სარდიონის ინტალიოთი. მასზე მოცემულია ყურძნის მტევნის საკმაოდ მკვეთრი გამოსახულება (ტაბ.XXV₂) (მირიანაშვილი 1983: 38,59,77). უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სიუჟეტი ჯერ-ჯერობით ერთადერთია სამეცნიერო მიმოქცევაში მყოფ მასალაში.

ყურძნის გამოსახულებიანი ნივთების ფიქსაცია ერთი და იმავე დროის ინტერვალით დათარიღებულ (I-IV სს.) როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული წესით დაკრძალულთა სამარხებში (მათ შორის ერთი და იგივე სამაროვანზე), ვფიქრობთ, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ წარმართული ნაყოფიერების გამოხატულება შეუმჩნევლად და უმტკიცნეულოდ გარდაისახებოდა ქრისტიანულ სიმბოლოდ.

ცალკე უნდა გამოიყოს ვაზისა და ყურძნის მოზაიკური გამოსახულებები ბიჭვინთასა და ციხისძირიდან. მათგან ბიჭვინთის დეკორზე ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამიტომ აქ ადარ შევჩერდებით.

რაც შეეხება ციხისძირის მოზაიკას, იგი გაწმენდილ იქნა 2007 წ. სარესტავრაციო-გაწმენდითი სამუშაოების დროს (ხელმძღვანელები: პროფესორები ზ. კვიციანი და გ. გრიგოლია). მოზაიკის ამსახველი ფოტოების მიხედვით²⁹, შემორჩენილი მოზაიკა მოიცავს ერთნავიანი, მოგვიანო დროის ტაძრის საკურთხევლის წინა მონაკვეთს (ტაბ.XXVI₂₋₃). ძლიერ დაზიანებული, დატეხილი და ფრაგმენტულად შემორჩენილი ცხრა ფრაგმენტიდან რამდენიმე

უშუალოდ ტრაპეზის დასავლეთიდან ებჯინება. ამასთან, სწორედ ამ ფრაგმენტების გამოსახულებებით თუ ვიმსჯელებთ, მოზაიკა დაძრულია – მისი ფრაგმენტების გამოსახულებები არეულია, ერთი მათგანის მოულოდნელად წყდება ტრაპეზის ძირში, ხოლო მეორისა საერთოდაც უკუღმაა მოცემული. მოზაიკა მოგებულია თეთრი, წითელი, ყვითელი, ყავისფერი, მწვანე და ლურჯი ფერის სმალტის კენჭებით. მოზაიკის ფრაგმენტებში ყველაზე უკეთ იკითხება თეთრი ფერის ფონზე ყავისფერი კენჭებით გამოხატული ვაზი, ორივე მხარეს გადაშლილი ყლორტებით (ტაბ.XXV 3-5). ერთ ყლორტზე მწვანე კენჭებით მოცემულია ფოთოლი. ასეთივე ფოთოლების კვალი შერჩენილია მეორე მხარესაც. ვაზის ძირთან წითელი და მუქი ლურჯი კენჭებით გამოსახულია სიმწიფეში შესული მტევანი, რომელიც ყლორტის მოხაზულობის მიხედვით, ამ ვაზის ძირიდან განშტოებულ ყლოტს უნდა ეკუთვნოდეს. მოზაიკის სხვა ფრაგმენტებზე იკითხება წითელი და ყავისფერი კენჭებით მოხაზული მცენარის ყლორტები და მწვანე კენჭებით გამოსახული ვაზის ფოთოლები³⁰. ბუნებრივია, შეუძლებელია ამ დეტალებით იმსჯელო რაიმე კომპოზიციის არსებობის შესახებ, მით უფრო, რომ როგორც აღვნიშნეთ აშკარად შეინიშნება მისი დარღვეულობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მახლობელი აღმოსავლეთის აღნიშნული პერიოდის ტაძართა მოზაიკებს, რომელთა შემთხვევებში საკურთხევლისწინა მოზაიკა ყოველთვის ევქარისტიის შინაარსისაა, ალბათ აქაც მსგავს შემთხვევასთან უნდა გვქონდა საქმე. ხოლო შემორჩენილი ფრაგმენტების გამოსახულებების მიხედვით, ციხისძირის ვაზი ფართოდ გაშლილი ყლორტებით წარმოდგენილი მცენარე უნდა ყოფილიყო.

როგორც აღინიშნა, მოზაიკა ერთნავიანი ბაზილიკის საკურთხევლის წინა მონაკვეთში დაფიქსირდა. იგი აგებულია სამნავიანი ბაზილიკისა და კიდევ უფრო ადრეული ერთნავიანი ბაზილიკის ნანგრევებზე. გვიანი პერიოდის ბაზილიკის აბსიდა მოქცეულია სამნავიანი ბაზილიკის ხუთწახნაგა აბსიდაში, ხოლო თავად ნავი მთლიანად ექცევა წინამორბედის ცენტრალურ ნავში. ამავე დროს ცენტრალურ ნავს ემთხვევა ადრეული ბაზილიკის ნანგრევებიც. დიდ ბაზილიკას მეცნიერები არქიტექტურულ დეტალებზე, არქეოლოგიურ გათხრებსა და პროკოფი კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით იუსტიანიანე I (527-565 წწ.) ეპოქით ათარიღებდნენ (VI ს. 30-იანი წწ.), თუმცა, გ. ჩუბინაშვილი არ გამორიცხავდა, რომ ხუთწახნაგიანი აბსიდა V საუკუნისაც ყოფილიყო (გეორგიკა 1965: 83; ინაიშვილი 1974: 135-138,149). იმავე დროს, დიდი ბაზილიკის

შიდა სივრცეში ადრეფეოდალური პერიოდის არქეოლოგიური მასალის არ აღმოჩენამ მიანიშნა, რომ დიდი ბაზილიკა დიდხანს მოქმედებდა. მისი დანგრევის შემდეგ, X ს. აუგიათ მცირე ბაზილიკა, რომელიც მოქმედი ყოფილა თურქების მიერ პეტრას დაკავებამდე (ინაიშვილი 1974: 138).

როგორც ვხედავთ, ნაგებობების მიხედვით შეუძლებელია გაირკვეს რომელი ტაძრის კუთვნილება უნდა ყოფილიყო მოზაიკიანი იატაკი. ეს ძნელი სათქმელია მისი მონაცემების გამოც. მხოლოდ ისტორიული ფაქტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით (მაგალითად, ბიჭვინთა) შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგი საეპისკოპოსო ბაზილიკის მშენებლობისას უნდა დაეგოთ, მაშინ, როცა ა. ინაიშვილის ციტირებით პეტრა „ლაზიკაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მომდევნო ხანის ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრიცად თვით ლაზეთში“ (ინაიშვილი 1971: 95).

ვაზისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებები ტაძრებისა და სტელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალებია. მათ შეხვდებით ტაძრების არქიტრავებად, კაპიტელისა და ფასადების შემკულობად. მაგალითად დავასახელებდით რომბულად ჩახვეული ვაზის ფოთლების რელიეფს აკაურთასა და ბოლნისის სიონზე (ტაბ.XXVII_{1,2}) (რჩეულიშვილი 1948: 33; ჭუბინაშვili 1940: 169, თაბ.III), წილკნისა და ივრის სიონის ვაზის მტევნებითა და ფოთლების ზუსტი მონაცემებით წარმოდგენილ რელიეფებს (ტაბ.XXVII_{3,4}) (რამიშვილი 1970: 37), რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს (რაც ვფიქრობთ, მათ თანადროულობაზე უნდა მიუთითებდეს). საინტერესო სიუჟეტია გამოსახული აკვანების (VI ს.) შესასვლელის ბალავარზე (ტაბ.XXVIII₃), სადაც ბოლნური მედალიონი სასანურ ლენტებსა და მცენარეული მოტივით შექმნილ ერთგვარ ჩარჩოში ზის. დისკოდან გამომავალი ყუნწებით ოსტატს მიუნიშნებია მტევნების საკრალურობა და ჯვართან კავშირი, რომლებსაც მტრედები კენკავენ (რჩეულიშვილი 1948: 37, ტაბ.24). ვაზის მტევნების გამოსახულებით რელიეფები ცნობილია აფხაზეთის ტერიტორიიდან, კერძოდ მრამბიდან, კულამბიდან (ოჩამჩირეს რაიონი), სოხუმის მიდამოებიდან, წებელდის ციხის ეკლესიიდან, რომლებიც ზოგადად VI-VII სს. დასაწყისით თარიღდებიან (ტაბ.XXVII_{5,XXVIII₁}) (Хрушкова 1980: 33-38, თაბ.XIX,1,XXII,3,XXIII,1).

განსაკუთრებით დიდია იმ სტელების რიცხვი, რომლებიც ვაზისა და მისი ნაყოფის გამოსახულებებს შეიცავენ. უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სტელათა

კატალოგში (ეს კატალოგი სრული ცხადია არ არის, მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, უმეტესობა სტელებისა კატალოგში შესულია (ჯავახიშვილი 1998: 8)) ვაზისა და ყურძნის გამოსახულებიანთა რაოდენობა სტელების 23%-ს აჭარბებს. ამ კატალოგისა და მის მიღმა დარჩენილ ქვაჯვარების რელიეფები ტიპოლოგიურად შესაძლოა სამ ჯგუფად გავყოთ: 1. როცა ყურძენი ჯვრის მკლავებს შორისაა გამოსახული, ან ჯვრის მედალიონთან (ტაბ.XXVIII₄) (მაგალითად, ბოლნისის რ.-ის სათხის ექლესის V-VII სს. დათარიღებული სტელა და ბაზისი (ჯავახიშვილი 1998: ტაბ.VIII₂,XIV₁; ჯაფარიძე 1982: ტაბ.LIX)), 2. როცა ვაზი ანთროპომორფულ გამოსახულებებთან ერთადაა მოცემული (ტაბ.XX₁) (მაგ. თეთრიწყაროს რ.-ის სოფ. პანტიანის VI-VII სს. სტელა (ჯავახიშვილი 1998: ტაბ.XIII₁)) და 3. როცა სტელის მთელი გვერდი დათმობილი აქვს მსხმოიარე ვაზს, რომლის ფოთლების მაგივრად ზოგ შემთხვევაში მოცემულია შროშანის ყვავილი – აღდგომის სიმბოლო (ტაბ.XXVIII₂) (მაგ. ბოლნისის რაიონში სიონის, ქვეშის, კაზრეთის, სათხის, დმანისის რაიონში დამბლუტისწყლის, ბაშკიჩეთის, გორის რაიონში ხანდისის, დავით-გარეჯიში ნათლისმცემლის, ასპინძის რაიონში ზემო თმოგვის და სხვა სტელები (იხ: 6. ჩუბინაშვილის, გ. ჯავახიშვილისა და გ. ჯაფარიძის დასახელებული ნაშრომები)). ვაზის გამოსახულებიანი სტელების თარიღი, როგორც ჩანს, ზოგადად სტელათა არსებობის მთელ პერიოდს მოიცავს (V-IX სს.), ისევე როგორც ვაზისა და სტელების გავრცელების არეალები თანხვდება.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ წარმართულ რელიგიაში ვაზის საღვთო, საზედაშო, ერთგვარად საზიარო ვაზის კულტმა არაჩვეულებრივი ბაზისი დაახვედრა ქრისტიანობას. თავის მხრივ, ახალმა რელიგიამ შესანიშნავად გამოიყენა ადგილობრივი წარმართული რწმენა-წარმოდგენების ვაზის კულტი, იმისთვის, რომ მოსახლეობაში უმტკივნეულოდ დაენერგა ქრისტიანული ვაზის სიმბოლო, უფრო ზუსტად კი გარდაესახა წარმართული ქრისტიანულად.

თავი XII

ბროწეულის სიმბოლო

ბროწეული ნაყოფიერების, უკვდავებისა და განახლების სიმბოლო, რომელიც გავრცელებული იყო სმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებში, ჩვენი აზრით, ქრისტიანულ რელიგიაში უნდა შესულიყო ერთის მხრივ, ძველი აღთქმის, ხოლო მეორეს მხრივ, ელინურ-რომაული სამყაროს გავლენით.

წარმართულ სამყაროში უძველესი დროიდან ეს მცენარე ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლო გახლდათ და, შესაბამისად, ნაყოფიერების კულტებს, კერძოდ ქალ ღვთაებებს უკავშირდებოდა. ძველი შუამდინარეთის სამყაროში იგი ღმერთების ქორწინების ცერემონიის ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა (ენლილს მიართმევდნენ) (Lion 2003a: 4-7). მას ღვთაებათა ძღვენში საპატიო ადგილი ეკავა სარგონ II სამეფო ანალების მიხედვითაც (Lion. . . 2003b: 26). ბროწეული იყო დემეტრას სიმბოლო, ჰერასა და აფროდიტეს საკულტო მცენარე, ირანული ქალღვთაება ანაპიტას ერთ-ერთი ატრიბუტი³¹. რომში იუნონას ხელზე მოთავსებული ბროწეული ქორწინებას განასახიერებდა. თავად ბროწეულის წითელი ყვავილები სიყვარულის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომლისგანაც ქორწინების დღეს ახლადდაქორწინებული წყვილებისათვის გვირგვინები იწვნებოდა (Encyclopedie. . . 1989: 289-290). ებრაელებისათვის იგი იმ ქვეყნის აღმნიშვნელი გახლდათ, რომელიც ღვთისგან აღთქმულად ითვლებოდა: „შეასრულე უფლის მცნებები, რადგან შენს ღმერთს მიყავხარ მადლიან ქვეყნაში, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლელვის და ბროწეულის ქვეყნაში (II რჯული 8:6-8). აღრექრისტიანულ ეპოქაში ბროწეულმა, ყურძნისა და სხვა მცენარეული სახეობების მსგავსად წმინდა მცენარის დატვირთვა შეიძინა და მისი მიღება ზიარების სინონიმად იქცა. ამ პერიოდის ძეგლებზე ხშირადაა წარმოდგენილი სცენები, როცა ფრინველები თუ ცხოველები ბროწეულის ხეს ან თავად ბროწეულს ეტანებიან (მაგალითად, რომაული კატაკომბები, მახლობელი აღმოსავლეთის ტაძრები) (Olszewski 1995: 11, 22).

როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებისთვის, ქართველებისთვისაც ბროწეული ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რაც კარგად ჩანს ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებიდან. მაგალითად, ქართულ ხალხურ ზღაპარში „უკვდავების წყალი“ ბროწეული სიუხვისა და ნაყოფიერების მბოძებელი ნაყოფია (ქალმა იცოდა

ბროწეულის ყადრი და მოიხმარა ისე, რომ ბევრი რამ გააკეთა: დიდი შენობა ააშენა, მინდორში გუთნები გამართა, ხვნა დაიწყო“) (ხალხური სიბრძნე 1963: 300-303; ბარდაველიძე 1941: 70-73). რაც შეეხება არქეოლოგიურ მონაპოვარს, ანტიკური ხანის ქართულ ძეგლებზე მისი გამოსახულება იშვიათია (ვანის ოქროს გულსაკიდი ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებებით, ოქროს ფირფიტა ბროწეულის ნაყოფით ასევე ვანიდან. ეს სამკაული, ისევე როგორც არაერთი სხვა საინტერესო ნივთი, მკვლევართა აზრით, მზის ღვთაების კულტმსახური ქალბატონის კუთვნილებას წარმოადგენდა (ინაძე 1986: 40-41)), რასაც ვერ ვიტყვით ადრექტისტიანულ პერიოდზე. ახალი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული მისი გამოსახულებიანი ნივთები უფრო ხშირ ხასიათს იღებენ. მაგალითად, ურბნისში აღმოჩენილია ინტალიო (ინვ.№1105), რომელზეც გამოსახულ ფრინველს კლანჭებით უჭირავს ბროწეულის ნაყოფიანი ტოტი. აღნიშნული ინტალიო ახ. წ. I-III სს. თარიღდება (იგი კულტურულ ფენაში იქნა აღმოჩენილი, შესაბამისად, იმის განსაზღვრა თუ ამ შემთხვევაში კონკრეტულად რომელ სიმბოლოს წარმოადგენდა ქრისტიანულს თუ წარმართულს შეუძლებელად მიგვაჩნია) (ჯავახიშვილი 1972: 78-79).

ამ ნივთებისგან განსხვავებით, ბიჭვინთის მოზაიკაზე წარმოდგენილი აღნიშნული მცენარე ქრისტიანული სიმბოლიკის ნაწილია და ეკქარისტიის ნიშანს ატარებს. აქ ვხვდებით ხუთ სცენას ბროწეულის ყვავილოვანი ნორჩი ხით. ერთ შემთხვევაში ბროწეულთან კრავია გამოსახული (ტაბ.XV₁), მეორე შემთხვევაში იგი მტრედს ახლავს (ტაბ.XIX₁), ხოლო სხვა შემთხვევაში ბროწეული ირემთან და მედალიონთანაა წარმოდგენილი (ტაბ.X₃). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიური სცენები, ჯვართან გამოსახულების გარდა, აიხსნება როგორც ეკქარისტული პროცესის გამოხატულება, ხოლო რაც შეეხება ბროწეულის ჯვართან ანუ ქრისტეს სიმბოლოსთან გამოსახვას იგი აღდგომის და განახლების ნიშანდა უნდა მივიჩნიოთ (მშვილდაძე. . . 2007: 222).

იგივე სიმბოლური კავშირი მოჩანს სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილ ანტეფიქსზე (ტაბ.XXIII₁), რომელზე გამოსახულ სიცოცხლის ხედ წარმოსახულ ჯვარს, ბროწეულები აბია (ყიფიანი 2001: 40-44).

ბროწეულის სიმბოლოიან ნივთებში განსაკუთრებულ და ცალკე ადგილს იკავებს ბროწეულის ყვავილის ან ნაყოფის გამოსახულებიანი საკინძები, რომელთა გავრცელების არეალი დღესდღეობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოთი შემოიფარგლება. ამ საკინძებში გამოიყოფა ორი ტიპის

ქინძისთავები: 1. ერთი მასალისგან დამზადებული (ბრინჯაო, სპილენძი, ძვალი) და 2. სხვადასხვა მასალისგან დამზადებული (ბრინჯაოს ან რკინის დეროზე დამაგრებული სხვადასხვა ქვები ბროწეულის ყვავილის ან ნაყოფის გამომხატველი). ამათგან ჯერ გამოჩენას იწყებს ერთი მასალისგან დამზადებული მთლიანადასხმული საკინძები, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე აღრეული, ძვლისგან დამზადებული ბროწეულის გაუშლებული ყვავილის ფორმის თავიანი საკინძი აღმოჩენილია სამთავროს III-IV სს. დათარიღებულ №186 კრამიტსამარხში, ყურძნის მტევნის გამოსახულებიან ოქროს საყურეებთან ერთად (სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა გულადმა გაშოტილი თავით აღმოსავლეთისაკენ. ამავე სამარხში აღმოჩნდა სამი გემიანი ბეჭედი ნახევარმოვარისა და შვიდქიმიანი ვარსკვლავის, კრევეტის და ტორაწეულ ცხენზე მჯდომი მხედრის გამოსახულებით) (აფაქიძე. . . 1978ბ: 129-130; მანჯგალაძე 1985: 68-69).

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში უფრო გავრცელებული იყო მეორე ტიპის საკინძები, რომლებსაც რკინის ან ბრინჯაოს დეროზე დამაგრებული აქვთ მარჯნის, ცალკეულ შემთხვევებში ლურჯი მინის ან მინისებური პასტის ბროწეულის ყვავილის ან ნაყოფის გამოსახულებები. თვლების სამაგრად თავსა და ბოლოში უმეტესად გამოყენებულია ბრინჯაოს ვარდულები (ტყეშელაშვილი 1957: 154). ასეთი საკინძები დაფიქსირებულია სამთავროს (ტყეშელაშვილი 1957: 157-159; უგრელიძე 1967: 76), წალკის (Куфтин 1941: 21), დმანისში, სოფ. ვარდისუბნის (ბოლქვაძე 1984: 37-41); ერწოს, ქუშანაანთგორის და თრანის ბაღების (ჯორბენაძე 1982: 44-59,74); რუსთავის (პაჭიკაშვილი 2006: 97-106); ჟინვალის (ჩიხლაძე 2005: 198-201), ქვემო ალევის (აფხაზავა 1988: 73), მუხათგვერდის (ხეცურიანი 1985: 152,156,161), და სხვა სამაროვანთა სამარხებში. აღნიშნული საკინძების ქრონოლოგიას მეცნიერები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, მაგალითად, ო. ტყეშელაშვილი სხვა მძივებით თავშემკულ საკინძებთან ერთად მათ IV-VIII სს. ნაკეთობად მიიჩნევდა (ტყეშელაშვილი 1957: 158), ბ. ჯორბენაძე – VI-VIII საუკუნეთა ნივთებად განიხილავდა (ჯორბენაძე 1982: 74), ვ. ჩიხლაძე V-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილად ასახელებს (ჩიხლაძე 2005: 200), ხოლო ნ. აფხაზავა მარჯნის ბროწეულის თავიან საკინძებს VII ს. შეიძან VIII ს. I ნახევრამდე გავრცელებულ სამკაულად მიიჩნევს (აფხაზავა 1988: 74-76).

6. აფხაზავა თვლის, რომ ბროწეულის გამოსახულებიანი საკინძები დაკრძალვის რიტუალის ნაწილს წარმოადგენდა, რისი ნათელი დადასტურებაც ვაშლაჯვარის №11 ქვასამარხში თვით ბროწეულის ნაყოფის ჩატანების ფაქტი უნდა ყოფილიყო და აღნიშნული სიმბოლოს გამოსახულებიანი ნივთების გავრცელებას V საუკუნეში ირანული გავლენით ხსნის (აფხაზავა 1988: 73). გულისხმობს რა ირანელთა ზეწოლას ქრისტიანობაზე, ფიქრობს, რომ შესაძლოა, ამ პერიოდში (V ს.) ძველ წარმართულ კულტებს კვლავ წამოეყოთ თავი (აფხაზავა 1979: 89). დასკვნით ნაწილში კი მკვლევარი VII საუკუნიდან მარჯნის „ბროწეულებიანი“ საკინძების გავრცელებას „წარმართობის კონსპირატიულ გამოვლინებად“ განიხილავს („წარმართული ნაყოფიერების დვთაება შეეპედლა დვთისმშობელს“) (აფხაზავა 1979: 112).

ამ მოსაზრების დასტურად გ. ბოლქვაძე ვარდისუბნის №2 და 11 ქვასამარხებს მიიჩნევს, რომლებშიც მიცვალებულები წინარექრისტიანული წესით იყვნენ დაკრძალულნი – თავით დასავლეთით, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში. აღნიშნულ სამარხებში ინვენტარის სახით აღმოჩნდა მხოლოდ საკინძები. მათგან №2 ქვასამარხში ვერცხლის ორი საკინძი დაფიქსირდა, რომელთა თავები ვერცხლისავე ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებითაა შემკული. ხოლო №11 ქვასამარხში აღმოჩნდა მარჯნისა და მინის ბროწეულის ყვავილის გამოსახულებით თავშემკული ქინძისთავები, ბრინჯაოს დამჭერი ოთხაპი – „ბროწეულებიანი“ ქინძისთავის ფრაგმენტი და ბრინჯაოს ბეჭედი მრგვალდეროიანი და თვალბუდიანი (ბოლქვაძე 1984: 37-40). აღნიშნულ სამარხებში სწორედ დაკრძალვის წინარექრისტიანული წესისა და „ბროწეულის“ საკინძების თანხვედრის გამო, მკვლევარმა შენიშნა, რომ შესაძლოა, ისინი სწორედ 6. აფხაზავას მოსაზრების გამომხატველი ყოფილიყვნენ (ბოლქვაძე 1984: 40).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბროწეულის სიმბოლოიანი საკინძები V საუკუნიდან მოყოლებული სხვა ქრისტიანულ სიმბოლოიან ნივთებთან ერთად ფიქსირდება. მაგალითისათვის დავასახელებთ ქუშანაანთგორის №2 სამარხს (VI-VII სს.), სადაც აღნიშნული გამოსახულებიანი საკინძები აღმოჩენილია სამრეკლოსა და ხელის მტევნის გამოსახულებიან საკინძებთან ერთად (ბ. ჯორბენაძის აზრით, ისინი ქრისტიანული სიმბოლოების, კერძოდ, ტაძრის გუმბათისა და სამების გამოხატულებას წარმოადგენენ). თავად სამარხიც ქრისტიანული წესით დაკრძალული (გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ)

ქალბატონის განსასვენებელს წარმოადგენდა (ჯორბენაძე 1982: 45-47,72). ასეთივე შემთხვევები დაფიქსირებულია ჟინვალის №29, 210, 534 და 375 ქვასამარხებშიც (ჩიხლაძე 2005: 201). თუ ხელის და გუმბათისებურ თავიან საკინძებს ქრისტიანულ სიმბოლოებად მივიჩნევთ (ამის სასიკეთოდ მეტყველებს ამ საკრძალავებში დაკრძალვის ქრისტიანული პოზაც), მაშინ, ალბათ, „ბროწეულის“ საკინძებშიც ამავე რელიგიის სიმბოლო უნდა მოვიაზროთ, რადგან, ვფიქრობთ, შეუძლებელია ერთი რელიგიის აღმსარებელს (ქრისტიანს) სხვადასხვა (ამ შემთხვევაში ქრისტიანული და წარმათული) რელიგიის სიმბოლიანი ნივთები ეტარებინა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქმე ეხება ადრექრისტიანულ პერიოდს, როდესაც სიმბოლოები განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი იყო, შესაბამისად, ახალი რელიგიის აღმსარებლებიც რადიკალურნი გახდდნენ. და, თუ მაინც დაგუშვებთ, რომ ბროწეული ამ შემთხვევაში, წარმართული ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა, მაშინ ჩვენ მის გავრცელებაში ამ ღვთაების კულტის არა გაძლიერება, არამედ გამოძახილი უნდა დავინახოთ.

რაც შეეხება 6. აფხაზავას არგუმენტს V ს. მაზდეანობის გაძლიერების თაობაზედ, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც-მაგალითად, მ. ლორთქიფანიძე „შუშანიკის წამებისა“ და „რაჭდენის მარტვილობის“ მოშველიებით მიიჩნევს, რომ მართალია „მოგვნი მოგვთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“, მაგრამ ამ დროს ქართლში ქრისტიანობას არავინ სდევნის და „ვარსკენის სამფლობელოშიც კი, ქვემო ქართლის საპიტიახშოში, რომელიც ამ დროს მჭიდროდაა დაკავშირებული ირანთან, ქრისტიანობა ოფიციალურად აღიარებული, დაშვებული, კანონიერი სარწმუნოებაა. . ქრისტიანობას და ცეცხლთაყვანისმცემლობას ამ დროს ქართლში ერთნაირი მდგომარეობა აქვთ, ორივე კანონით დაშვებული რელიგიაა და არც ერთის დევნა არ შეიძლება. ქრისტიანი და „ცეცხლმსახური ეპისკოპოსნი“ სამეფო კარზე ოფიციალურად ერთნაირი პატივით სარგებლობდნენ“ (ლორთქიფანიძე 1979: 76-79).

V ს. II ნახევარში კი ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის ჭიდილი მართალია მიმდინარეობს, მაგრამ, ვფიქრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ფაქტი, რომ ეს პერიოდი ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაა და ეკლესია გაძლიერების გზას ადგას. მხედველობაში გვაქვს ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება. 6. აფხაზავას მიხედვით კი, ბრინჯაოს ბროწეულის გამოსახულებიანი

საკინძები სწორედ აღნიშნული პერიოდიდან (V ს.) იწყებენ გავრცელებას (აფხაზავა 1979: 90).

იყო თუ არა „ბროწეულის“ საკინძები მართლაც წარმათული კულტის კონსპირატიული გამოვლინება? შევეხებით მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც სამთავროს სამაროვანს ეხება. ცნობილია, რომ სამთავროს სამაროვნის IV-VIII სს. დათარიღებული სამარხების დამხრობა, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, შესაბამისად მიცვალებულები დაკრძალულნი არიან თავით აღმოსავლეთისკენ, იმ შემთხვევაშიც კი თუ გულაღმა, გაშოტილი ხელების ნებისმიერი მდებარეობით ხასიათდებიან. სამთავროს სამაროვნის ეს „სპეციფიკურობა“, როგორც ვ. ნიკოლაიშვილმა აღნიშნა (ნიკოლაიშვილი. . . 2000), დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. მათგან ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამთავროს სამაროვანი „განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მცხეთის არაქრისტიანი მოსახლეობის განსახვენებლად; მათ შორის ებრაელების, როგორც იუდაიზმის, ასევე იუდაური ქრისტიანული თემების წევრების“-ათვის (ბიბილური 1994: 40-41).

თუ ამ მოსაზრებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ შეგვეძლო აღნიშნული ტიპის საკინძები ასეთივე წარმატებით მიგვეჩნია იუდაური რელიგიის კონსპირატიულ გამოვლინებად. სამთავროს სამაროვნები კი ამ უცნაურობის გამო, ვფიქრობთ, იმის მოწმობადაც არ გამოდგება, რომ ერთმანეთისგან გამოყიოს წარმართული და ქრისტიანული სამარხები, თუ მათში უშუალოდ ისეთი ქრისტიანულ სიმბლოიანი ნივთი არ აღმოჩნდა, როგორიც მაგალითად, ორი თევზისა და ღუზის გამოსახულება გახლავთ. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ საკინძეოა აღმოჩენა როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული ნიშნების მქონე საკრძალავებში ისეთივე პროცესის გამოხატულება იყო, როგორიც ეს გახლდათ, მაგალითად, ყურძნის გამოსახულებიანი სამკაულის შემთხვევაში. V-VIII სს. მოდის ეს დეტალი თავისებურად გაიაზრებოდა წარმართებსა და ქრისტიანებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ბროწეულის გამოსახულების თავიანი საკინძების გავრცელება IV საუკუნიდან იწყება და სულ უფრო მატულობს შემდგომ საუკუნეებში. ძირითადად ხმარებაში შემოდის მარჯნის თვლისაგან გაკეთებული ბროწეულის ნაყოფის თავიანი, ასევე მარჯნის ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები, რომელთაც თავსა და ბოლოში (ღერძიდან გამოსაყოფად) უკეთდებოდა ბრინჯაოს გარდულები. 6. აფხაზავას თანახმად მათი ფართო

გავრცელების პერიოდი VII-VIII სს. ემთხვევა. ოუმცა, ვფიქრობთ, გამოჩენა გაცილებით ადრე უნდა დაეწყოთ. ამ მოსაზრების სასიკეთოდ უნდა მეტყველებდეს 2006 წ. წიწამურის ველზე გათხრილი №101 ქვასამარხი თავისი ინვენტარით. მასში აღმოჩნდა საკინძი (ნაკლული), მარჯნის ბროწეულის ნაყოფის გამოსახულებიანი თავით (ტაბ. II), რომელსაც ქვემოდან აქვს ბრინჯაოს ვარდული. აღნიშნული სამარხისა და მისი ინვენტარის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მასალის საფუძველზე (კერძოდ ბრინჯაოს საკინძესა და მინის სანელსაცხებლეზე დაყრდნობით) №101 ქვასამარხი, ვფიქრობთ, V ს. ბოლოთი უნდა თარიღდებოდეს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა 2008 წ. სამთავროს ველზე გათხრილი სამაროვნის №9 და №32 ქვასამარხებიც*. ორივე სამარხი გამართული იყო O-W გრძივ დერძზე, მცირეოდენი გადახურული იყო ბანური პრინციპით ქვიშაქვისავე ფილებით. №9 ქვასამარხში დაკრძალული აღმოჩნდა ორი ზრდასრული ინდივიდი (ქალი და მამაკაცი). ძვლები უმეტესად არცული იყო, მაგრამ ფეხის ფალანგებისა და თავის ქალათა მდებარეობით დაკრძალული იყვნენ გულადმა თავით აღმოსაგლეთისაკენ (ტაბ.XXIX₁). მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ: 1. ბეჭედი ვერცხლისა (ტაბ.XXIX₅) (ინვ.№23321), ნაკლული. რკალი შედგება სამი ბრტყელი ფირფიტისაგან. მათზე გაკეთებულ მგვალ თვალბუდეში ზის სარდიონის მრგვალივე მძივი. რკალის დმ – 2,1სმ, რკალის სიგანე – 0,7სმ, ფარაჯის დმ – 0,75სმ, თვლის დმ – 0,3სმ. 2. გემა, ინტალიო ლურჯი მინისა (ტაბ.XXIX₅) (ინვ.№23319). მრგვალ, თხელ ფირფიტაზე გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი პროფილში მარცხნივ. მამაკაცს აქვს სწორი ცხვირი, ოდნავ გაღებული პირი. დამრეცი ხაზებით გადმოცემულია თმის ვარცხნილობა, რომელიც კისერთან იკგრება. ასეთივე ხაზებითაა მოცემული წვერ-ულვაშიც. მამაკაცს აცვია ნაკეცებიანი ტანისამოსი. პორტრეტს გარშემო ცარიელ სიკრცეზე შემოუყვება წყვეტილი ხაზების კამარა. თვალის დმ – 1,1სმ. 3. კვირისთავი (ინვ.№23320) ლურჯი მინისა. წაკვეთილი კონუსის ფორმის. მხრებდაქანებული, გამჭოლი ხვრელით. სიმაღლე – 1სმ, კვირისთავის დმ – 2სმ, ხერელის დმ – 0,5სმ. 4. ბეჭედის რკალი (ინვ.№23327), რკინისა, ნაკლული. 5.

* 2008წ. სამთავროს ველზე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა დიდი მცხვთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (ხელმძღ. – თ. ბიბილური).

სანელსაცხებლის (ინვ.№23331). პირის ფრაგმენტი. 6. საკინძი (ინვ.№23322), ნაკლული (ტაბ.XXIX₅). შემორჩენილია საკინძის თავი მარჯნის თვლით. მარჯანს ბროწეულის ყვავილის ფორმა აქვს. თვალს ზემოდან წამოცმულია ბრინჯაოს ვარდული. სიგრძე – 2,1სმ, დმ – 0,7სმ. 7. საკინძი (ინვ.№23323), ნაკლული (ტაბ.XXIX₅). შემორჩენილია საკინძის თავი, რომელიც წარმოადგენს ბრინჯაოს ორ ვარდულში ჩასმულ მარჯნის ბროწეულის ყვავილის ფორმის თვალს. სიგრძე – 2,1სმ, მძივის დმ – 0,9სმ. 8. საკინძი (ინვ.№23324), ნაკლული (ტაბ.XXIX₅). შემორჩენილია მარჯნის ბროწეულის ყვავილის ფორმის თვალი, რომელსაც ზემოდან ბრინჯაოს ვარდული აზის. სიგრძე – 2,2სმ, თვალის დმ – 1სმ. 9. საკინძი (ინვ.№23325), ნაკლული (ტაბ.XXIX₅). განივალეთში მრგვალ რკინის ღეროზე წამოცმულია ბრინჯაოს ვარდული. სიგრძე – 2,4სმ. 10. ვარდული (ინვ.№23326) ბრინჯაოსი (ტაბ.XXIX₅). შუაში აზის კოპი. დმ – 0,6სმ. 11. ვარდული (ინვ.№23327) ბრინჯაოსი (ტაბ.XXIX₅). დმ – 0,8სმ. 12. საკინძების (ინვ.№23329) ღეროები, რკინისა. 13. მძივგამყოფი (ინვ.№23330) პასტის, 2 ცალი.

№32 ქვასამარხი ნაწილობრივ დანგრეული აღმოჩნდა (ტაბ.XXIX₂₋₃). მასში დაფიქსირდა სამი მიცვალებული, რომელთა ძვლები არეული და სამარხის დასავლეთ ნაწილისკენ გადაადგილებული გახლდათ. მიცვალებულებიდან ერთი ზრდასრული იყო, ერთი მოზარდი და ერთიც ბავშვი. სამარხში აღმოჩნდა: 1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ.№23463) (ტაბ.XXIX₄), პატარა ბავშვის. რკალი მრგვალი აქვს, ღერო განივალეთში მრგვალი. თავზე დარჩილული აქვს სამი რომბის ფორმის მრინჯაოსავე ფირფიტა. დმ – 1,5სმ; 2. საკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№23464) (ტაბ.XXIX₄) მთლიანადასხმული, ბურთულა თავით, ღერო განივალეთში მრგვალია, ბოლოსკენ წაწვეტებული, სიგრძე – 8,3სმ, ბურთულის დმ – 0,8სმ; 3. საკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№23465) (ტაბ.XXIX₄) მსგავსი პირველისა, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე – 2,8სმ; 4. საკიდი ბრინჯაოსი (2 ცალი) (ინვ.№23466-23467), ზარაკის ფორმის, დაზიანებული და ნაკლული, თავზე აქვს ყუნწი; 5. სამაჯური რკინისა (ინვ.№23468), დამტვრეული და ნაკლული. ღერო ბრტყელი და განივალეთში ოვალური აქვს; 6. ბეჭედი რკინისა (ინვ.№23469), ძლიერ დაჟანგული და ნაკლული, ფარაკიანი; 7. სამაჯური რკინისა (ინვ.№23470) ღერო განივალეთში მრგვალი. დამტვრეული და ნაკლული; 8. საკინძის თავი (ინვ.№23471) (ტაბ.XXIX₄) დაზიანებული. მარჯნის ბროწეულის ყვავილის ფორმის. სიმაღლე – 1,2სმ; 9. მინის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ.№23462); 10. მინის (?) ნივთის ფრაგმენტი (ინვ.№23474); 11. მძივგამყოფები (ინვ.№23472), 4 ცალი, მრგვალი და ბრტყელი

ფორმის, ცენტრში გახვრებილი; 12. ხის ნაშთი (ინვ.№23473) გაურკვეველი დანიშნულების. აღნიშნული სამარხის ჩრდილოეთი კედელი უშუალოდ ემყარებოდა №35 ქვასამარხის სახურავის სამხრეთ კიდეს (ზაბ.XXIX). ქვასამარხი №35 მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს მშივლდსაკინძით (აფხაზავას კლასიფიკაციით I ჯგუფის, II სერიის, I გარიანტი, გავრცელებულია IV ს. (აფხაზავა 1979: 9-11)), ბრინჯაოს მთლიანადასხმული ბურთულათავიანი და რკინის სარდიონის თვლით შემკული საკინძებით (რომელთა ანალოგები დაფიქსირებულია ძირითადად IV-V სს., ასევე VI ს. სამთავროს, ჟინვალის, ურბნისის, და სხვა სამაროვნის სამარხებში (უგრელიძე 1967: 48,52; ჩიხლაძე 2005: 196-197; ჭილაშვილი 1964: 85)), ვფიქრობთ, V ს. უნდა დათარიღდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სამარხი №32 ვერ გადასცილდება VI ს., რადგან, როგორც აღინიშნა, იგი ჩრდილოეთის კედლით პირდაპირ №35 ქვასამარხის სახურავს ეყრდნობა.

რაც შეეხება №9 სამარხს, მის ძირითად დამათარიღებლად, ალბათ, ლურჯი მინის გემა უნდა ჩაითვალოს. მისი მსგავსი გამოსახულებიანი გემები სასანურ გემებად არის მიჩნეული (იხ.: Борисов. . . 1963: №22,29-31) და საქართველოს ტარიტორიაზე აღმოჩენილი რამდენიმეა სამეცნიერო მიმოქცევაში ცნობილი. ორი მათგანი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე (ერთი 1938 წ. N უბნის №4 სამარხში, ხოლო მეორე 1872 წ. ბაიერნისეულია), მესამე კი მიკვლეულ იქნა თბილისში, ერეკლეს მოედანზე. სამივე აღნიშნულ გემაზე პიროვნებები გამოსახულნი არიან სახით პროფილში მარჯვნივ, ტანით ფასში. თმა ერთნაირად დახრილი ხაზებითაა მოცემული, ახასიათებთ სწორხაზოვანი ნაკთები და წაწვეტებული წვერი. ტანისამოსი სწორი და ირიბი ხაზებითაა გადმოცემული. სამთავროს №4 სამარხში აღმოჩენილ და თბილისიდან მომდინარე გემებზე პიროვნებებს თავზე გადაჭრილი აქვთ ბაფთები, რომლებიც უკან იკვრება. აღნიშნული გემების შესწავლისას ქ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი გამოსახულებიანი გემები საშუალო ფენებისთვის განკუთვნილ საბეჭდავებზე უნდა გვხვდებოდეს. ამ გემებიდან ქ. რამიშვილმა სამთავროს №4 სამარხში აღმოჩენილი თვალი III-IV სს., ბაიერნისეული – V-VI სს., ხოლო ერეკლეს მოედანზე აღმოჩენილი ინტალიო V ს. დაათარიღა (რამიშვილი 1979ბ: 23-28,57-58,75-77,103-104). განხილული ანალოგებიდან 2008 წ. სამთავროს სამაროვნის №9 სამარხში აღმოჩენილი ინტალიო, სტილისტური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ სიახლოეს უნდა ამჟღავნებდეს V-VIIს. გემებთან.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ცალკეულ შემთხვევებზე დაყრდნობით აღნიშნული ტიპის საკინძეთა ყოფით კულტურაში სწრაფი დამკვიდრება ვიგულისხმოთ, თუმცა ვფიქრობთ, არც ამ მონაცემთა უგულებელყოფა იქნება.

ბოლოსთვის შევნიშნავდით, რომ ბროწეული ის სიმბოლო გახდათ, რომელიც მკვეთრად დიფერენცირებული სახით შემორჩა ისტორიას. ერთი მხრივ ბიჭვინთის მოზაიკის სიმბოლოდ, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანული ტენდენციების გავლენით შექმნილი გახდავთ, და მეორეს მხრივ V-VIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მოდად დამკვიდებულ საკინძეთა შემკულობად, რომელთა სემანტიკა მხოლოდ ბროწეულის ზოგადქრისტიანული სიმბოლური მნიშვნელობით თუ აიხსნება.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული ადრექტისტიანული პერიოდის ქრისტიანულ სიმბოლოთა და სიუჟეტთა მაგალითების განხილვისა და ამ სიმბოლოთა ტრანსფორმაცია-ჩამოყალიბების გზის შესწავლის შედეგად შემდეგ დასკვნამდე მივედით:

ქრისტიანობის შემოსვლის პირველივე საუკუნეებიდან საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებას იწყებს პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის სიმბოლიკა, რომლის გამოსახულებები წარმოდგენილია როგორც სამარხეულ ინვენტარში, ისე საკულტო ძეგლებზე.

საქართველოში ქრისტიანული სიმბოლიკა დაეფუძნა ორ ფუნდამენტს. ერთი მხრივ იგი დაემყარა თავად ბიბლიას, რაც მოცემულია წმინდა მამათა განმარტებებში, ხოლო მეორე მხრივ მან აიღო, შეითვისა და ქრისტიანულად „მოაქცია“ ადგილობრივი ეროვნული წარმართული რელიგიის სიმბოლოები. ქრისტიანობა ერთგვარ ბიძგად იქცა ამ ტრადიციების ერთგვარი აღორძინებისა უკვე ქრისტიანული ნიშნით.

ადრექტისტიანული სიმბოლოებიდან საქართველოში არაერთის გავრცელება ფიქსირდება, რომელთა შორის განსაკუთრებულად აღინიშნა ჯვრის, მონოგრამის, თევზის, ცხვრის, ირმის, ხარის, ლომის, მტრედის, ფარშევანგის, სიცოცხლის ხის, ვაზისა და ბროჭეულის სიმბოლოები.

აღნიშნული სიმბოლოები და სიმბოლური სიუჟეტები რამდენიმე ტიპად შეიძლება დაჯგუფდეს: I. პირველ ჯგუფში შედის ის სიმბოლოები, რომლებიც უცვლელად გადმოვიდა და გავრცელდა ქართულ სინამდვილეში. ასეთთა შორის არის ფარშევანგის გამოსახულება თავისი ყველა რედაქციით. მისი სიმბოლოს გავრცელება საქართველოში ა.წ. Ⅱ საუკუნიდან იწყება და, ვვიქრობთ, ფარშევანგის სიმბოლოს შემოსვლა რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებს უნდა დაგუკავშიროთ, სადაც ეს ფრინველი ქრისტიანულ სინამდვილეში უკვე დამკვიდრებულ სიმბოლოდ გვევლინება – განახლებისა და უკვდავების გამოხატულებად, რასაც მირითადად იმეორებს კიდევ საქართველოში დაფიქსირებული მისი გამოსახულებიანი IV-VI სს. სიუჟეტები.

ამავე ჯგუფში თავსდება თევზის სიმბოლოც, რომლის გემა-ინტალიონების გამოსახულებებად გავრცელება ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიის გამოძახილად შეგვიძლია

მოვიაზროთ. თევზის სიმბოლო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, იქამდე, ვიდრე ქრისტიანობა გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა, ფართოდ გავრცელებულ და ერთ-ერთ უმთავრეს ქრისტიანულ სიმბოლოს წარმოადგენდა მთელს ქრისტიანულ სამყაროში და ასევე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც. IV ს. შემდგომ კი მას შემდეგ რაც ჩვენში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ამ სიმბოლომ ბეჭდებიდან საკულტო ძეგლებზე გადაინაცვლა.

აღნიშნულ ჯგუფში მოვიაზრებთ მტრედის ქრისტიანულ სიმბოლოსაც, რომელმაც, ვფიქრობთ, ხანგრძლივი ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე კი დაიმკვიდრა თავი, მაგრამ მოგვევლინა წმინდა ქრისტიანულ სიმბოლოდ. გამოხატა რა სულიწმინდა და მორწმუნები, მტრედის სიმბოლომ ისეთივე სახე მიიღო, როგორიც მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში.

აღნიშნული სიმბოლოების მსგავსად, ჩვენის აზრით, ქრისტიანული სწავლების ანარეკლი უნდა იყოს ბიჭვინთაში დაცული ძროხა-ხბოს გამოსახულებაც. მიუხედავად მისი ღრმა ადგილობრივი და ზოგად ხმელთაშუაზღვისპირული ფესვებისა, ვფიქრობთ, იგი სწორედ ძველი აღთქმისა და წმინდა მამათა სიტყვების გამოხატულებად უნდა აღვიქვათ.

იგივე უნდა ითქვას ვაზის ქრისტიანულ სიმბოლოზეც, რომელსაც არაჩვეულებრივი ბაზისი დახვდა საქართველოში. წარმართულ რელიგიაში ვაზის სადვთო, საზედაშო, ერთგვარად საზიარო ვაზის კულტის არსებობა ახალმა რელიგიამ შესანიშნავად გამოიყენა იმისთვის, რომ მოსახლეობაში უმტკიცნეულოდ დაენერგა ქრისტიანული ვაზის სიმბოლო, უფრო ზუსტად კი გარდაესახა წარმართული ქრისტიანულად.

ამავე ჯგუფში მოვიაზრებთ ჯვარსა და ქრისტეს მონოგრამას. ქრისტიანობის ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან მოყოლებული ჯვარი თუ ჯვრის ფორმა იქცა ყველაზე გავრცელებულ გამოხატულებად, რომელმაც მოიცვა ადამიანის როგორც პირადი მოხმარების ნივთები, ისე საკულტო ძეგლები თუ საგნები. ამასთან ჯვრის ასეთი მრავალფეროვნება ფიბულებზე, ბეჭდებზე, საკინძებზე, გულსაკიდებზე, საკულტო ძეგლებსა და საკრძალავებზე ერთი მხრივ მფლობელთა და მოსახლეობის ქრისტიანობის უცილობელი განცხადება იყო, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის იდეოლოგიური ორიენტაციის მაჩვენებელი. იგივე ითქმის ქრისტეს მონოგრამაზე, რომლის გამოვლენის შემთხვევები მცირეა, მაგრამ განსაკუთრებით ბევრის მოქმედი. მისი და ჯვრის გამოსახულებების ფიქსაცია

ერისთავის რანგისა და შედარებით ღარიბულ სამარხებში, ასევე „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა აწყურის ერისთავი ქალის მოქცევის შესახებ, ვფიქრობთ, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ქრისტიანობა ერთნაირი წარმატებით იდგამდა ფეხს როგორც საზოგადოების დაბალ, ისე მაღალ ფენებშიც, რისი ლოგიკური დასასრული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება გახლდათ.

2. მეორე ჯგუფში თავსდება ის სიმბოლოები, რომლებიც ქრისტიანული სწავლების გამოხატულებას წარმოადგენენ, მაგრამ ამასთანავე მათში ჩადებულ იქნა უშუალოდ საქართველოსთვის ახლობელი მნიშვნელობაც. ამ ტიპში მოვიაზრებთ ცხვრის სიმბოლოს. განსაკუთრებით კი გასამახვილებელია ყურადღება ირმის სიმბოლოზე, რომლის გამოსახულებები რამდენიმე რედაქციითაა წარმოდგენილი: ირემი-შვლის გამოსახულებები, ირმების გამოსახულებები სიცოცხლის ბარძიმთან, წყალსაცავთან, ჯვართან ან სიცოცხლის ხესთან. თუ საქართველოს საკულტო ძეგლებზე მისი გამოჩენის ყველა შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება, როგორც წმინდად ქრისტიანული სიმბოლო, რომლის შინაარსი რიგ შემთხვევაში ფსალმუნის სიტყვებს დაეფუძნა, ყველა შემთხვევაში კი ქრისტიანი სულის აღმნიშვნელად იქცა, აღმოსავლეთ საქართველოს იმ ძეგლებზე, რომელიც სამეფო დომენში მდებარეობდნენ, მან გაცილებით დრმა და ქართული არსი შეიძინა. ირმის სიმბოლო ამ ძეგლებზე ქართლის გაქრისტიანების ლეგენდის გადმომცემია, რომელმაც ერთგვარად საფუძველი ჩაუყარა, გ. აბრამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის ეროვნული იკონოგრაფიის ჩამოყალიბებას.

3. მესამე ჯგუფში თავსდება ის სიმბოლოები, რომლებიც მთლიანად ადგილობრივი წარმართული ტრადიციით საზრდოობდა, მაგრამ ქრისტიანიზმები სახით აისახა ტაძრების დეკორში. ამ ჯგუფში შედის ტაძრების რელიეფებად მოცემული ხარის გამოსახულებები.

4. მეოთხე ჯგუფში ერთიანდება სიმბოლოები, რომელთა ზოგად ქრისტიანული მნიშვნელობა აშკარაა, მაგრამ მაინც ადგილობრივი და მეზობელი კულტურის გავლენის კვალი ამჩნევიათ. ასეთ გამოსახულებებს შორისაა ლომის, ბროჭეულის სიმბოლოები. ადრექრისტიანულ პერიოდში ლომის, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში წარმართულ პერიოდში მის მძლავრ ფესვებს დაუკავშირდა, რომელმაც ასახვა პპოვა ახალ რელიგიაშიც. ამაზე მეტყველებს წარმართული და

ადრექტისტიანული პერიოდების ლომის გამოსახულებიანი სიუჟეტების ხასიათის უწყვეტობა. რაც შეეხება ბროწეულს, იგი ის სიმბოლო გახდათ, რომელიც მკვეთრად დიფერენცირებული სახით შემორჩა ისტორიას. ერთი მხრივ ბიჭვინთის მოზაიკის სიმბოლოდ, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანული ტენდენციების გავლენით შექმნილი გახდავთ, და მეორეს მხრივ V-VIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მოდად დამკვიდებულ საკინძეთა შემკულობად, რომელთა სემანტიკა მხოლოდ ბროწეულის ზოგადქრისტიანული სიმბოლური მნიშვნელობით თუ აიხსნება.

საქართველოში გავრცელებული უდიდესი უმრავლესობა ქრისტიანული სიმბოლოებისა გააზრებულად და ლრმა ხედვითაა გადმოტანილი და გავრცელებული. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სიმბოლოები თითქმის უცვლელად იქნა დამკვიდრებული, მათ მაინც უჩნდებათ ადგილობრივი კულტურისათვის დამახასიათებელი და განმსაზღვრელი დეტალები, რომლებიც ორგანულად იქნა შერწყმული და გააზრებული. მაგალითად, ე.წ. ფრთხისა და ბაფთების გამოსახულებები არა მხოლოდ ცხოველებსა და ფრინველებზე, არამედ ჯვრებზეც. ერთი მხრივ სასანური კულტურის მახასიათებელი, ხოლო მეორე მხრივ ქართულ წარმოდგენებშიც დიდებისა და ძალაუფლების აღმნიშვნელი დეტალები ქრისტიანულ სიმბოლიკაში აისახა, როგორც განახლების, აღორძინებისა და განსაკუთრებულობის ნიშანი. ამავე ნიშნით შეგვეძლო გამოგვეყო ხის სიმბოლოც, რომლის ქრისტიანული სიმბოლოს გავრცელება საქართველოში, სხვა ქრისტიანული სიმბოლოების მსგავსად ქართულ წარმართულ ტრადიციებთან შეჯერებით აღინიშნა. მართალია, ჩვენშიც ხის სიმბოლო ზოგადქრისტიანული სემანტიკის მატარებელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მან გაცილებით დიდი დატვირთვა შეიძინა, რამაც ქართულ იკონოგრაფიულ სათავეებთან მიგვიყვანა. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ იმის გამო, რომ ხის კულტი ძლიერი იყო ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებშიც, ქრისტიანულ ხის სიმბოლოში ძირითადად აისახა ხის ის ჯიშები, რომლებიც სწორედ აქ გავრცელებული წარმართული რწმენის ელემენტს წარმოადგენდა.

განმარტებები

1. ტერტულიანე, მაგალითად, მიმართავდა რა წარმართებს, არ მალავდა, რომ ქრისტიანები ჯვარს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ იქნება განმარტავდა, რომ ეს არ იყო ჯვრის, როგორც ღმერთის თაყვანცემა, რითიც განსხვავდებოდნენ ქრისტიანები წარმართებისაგან (Tertullien 1852a: 16).

2. №5 ორმოსამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ, ხელებით მენჯის სარტყელზე. ადამიანის ძვლების ოდნავ მაღლა დაკრძალული იყო გარდაცვლილის ცხენი. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ვერცხლის პინაკი არამეული წარწერით, სარეცლის ფეხის ვერცხლის გარსაკრავი (4ც.) ვერცხლის ვარდული, ვერცხლის მანჭვლები, სარეცლის ფეხის ხის ნაშთები, აბზინდები, ვერცხლის ორი ბეჭედი, ოქროს საყურე, იულია ავგუსტას ოქროს მონეტა, ვერცხლის მონეტები, მინის ჭურჭლები, მძივები (რამიშვილი 1983: 86-94, ტაბ.28-40).

3. გათხრებს აწარმოებდა მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. გათხრილი და შესწავლილი იქნა ხუთი სამარხი, სუსველა გამართული SW-NO ღერძზე, რომელთაგან ოთხი (№100,101,102,104) წარმოადგენდა ქვიშაქვის დიდოონი ფილაქებით ნაგებ ბანურსახურავიან ქვასამარხებს – სამარხ აკლდამებს, ერთი კი ქვის ფილებითა და კრამიტით გადახურულ ორმოსამარხს (№103). ამ სამარხთაგან №100 ქვასამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული (ორი ზრდასრული – ქალი და მამაკაცი, და ერთი ბავშვი), №102 ქვასამარხი გამართული იყო მამაკაცისთვის, №103 ორმოსამარხში დაკრძალული იყო ორი 1,5 წლის და 5-6 თვის ბავშვი, ხოლო №104 ქვასამარხში აღმოჩნდა 20-25 წლის ქალისა და 30-35 წლის მამაკაცის ძვლები. სუსველა მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთით, გულაღმა გაშოტილი (ნიკოლაიშვილი ვ. 2006წ. გათხრების დღიური; ნიკოლაიშვილი ვ. გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრები წიწამურთან, დასკვნა. 2006; მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კრანიოლოგიური ლაბორატორიის აქტები).

4. კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უნდა გაესვას ხაზი: აღნიშნული სამარხის იატაკის თავი-მენჯის მონაკვეთიდან აღებულ იქნა სინჯები, რომელსაც ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევა. ამ კვლევამ უჩვენა, რომ სამარხში 59 სახეობის მცენარის მარცვლები, თესლები და მტვერი ფიქსირდებოდა, მათ შორის იყო კულტურული გაზის წიპწა, ქერი, შვრია, ხორბლის სახეობა.

ბუნებრივია, ისინი შემთხვევით არ მოხვედრილა სამარხში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ შესაძლოა ამ მცენარეთაგან დაწნული იყო დასაკრძალავი სარიტუალო დანიშნულების გვირგვინი (Kvavadze. . . 2008: 217-224). ასეთი საკრძალავი გვირგვინების აღმოჩენის შემთხვევა კი თვითონ მცხეთაში კარგად დაფიქსირებული ფაქტია (სამთავრო, 1941, №335 აგურსამარხი (Иващенко 1980: 32-33) და №905 აკლდამა (აფაქიძე. . . 1987: 16-20), სამთავრო 1939, S ქვაყუთი №144, მცხეთა, 1941 წ. №1 ქვააგურსამარხი (ბიბილური 1983: 114) და სხვ.).

5. №13 სამარხში ერთი ადამიანი იყო დაკრძალული გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის თასი საკურთხევლის წინ ტორაწეული ცხენის გამოსახულებით, ორი ვერცხლის დოქი ნადირობის სცენის გამოსახულებებით, მინიატურული ვერცხლის სასმისი, ოქროს სამაჯური, ოქროს სამი ბეჭედი (მათ შორის ორი გემიანი), ოქროს მედალიონი თავისი ძეწვით, ოქროს კილიტები, ოქროს ინკუსტირებული ბალთა, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, მინის ჭურჭელი და სხვ. (Рамишвили . . 1976: 73).

6. იგი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამდებობის პირთა გამოსახვას მარცხენა თუ მარჯვენა პროფილით ან პირდაპირ. მარჯვენა პროფილში გამოსახული პიროვნება ხაზს უსგავდა მის დიდ თავისუფლებას ხელისუფლებისაგან. მარცხენა პროფილში გამოსახვა პიროვნების ვასალობას ნიშნავდა, ხოლო პირდაპირ წარმოდგენა – პიროვნების შედარებით თავისუფლებას (ამირანაშვილი, 1968: 32).

7. აღნიშნულ სვეტსა და მის ზემოთ დატანებულ კიდევ ერთ რელიეფს იხსენიებს ჯ. კოპალიანი, როგორც ადრეული (V-VI სს.) ეკლესიის ქვებს, და მიიჩნევს, რომ ისინი კანკელის ქვებს, სტელებს ან ქვაჯვარებს წარმოადგენენ (კოპალიანი 1999: 68).

8. სამარხი №1-ში მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა: პინაკი ვერცხლისა, ორი სურა ვერცხლისა, ბეჭედი ოქროსი სარდიონის გემა-ინტალიოთი, რომელზეც ზევსია გამოსახული, წყვილი საყურე თქროსი, ალექსანდრე სევერუსის, კომოდუსის და კარუსის მონეტები ოქროსი, მინის სანელსაცხებლე, მინის ჭურჭლის ნატეხები, მძივები გიშრისა, რკინის ღერო (რამიშვილი 1979ა: 30-38).

9. ეინვალის №156 სამარხი მიწაყრილიანი ორმოსამარხია, დამხრობილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით.

10. ხალხური ხელოვნებისა და სიტყვიერების ნიმუშებში დაცული ირმის სიმბოლოს შესახებ კვლევა იხილეთ: სურგულაძე ი. ზოომორფული სიმბოლიკის შესწავლისათვის. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ.21-33.

11. საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ამ მონათხრობის შესახებ პ. ხიდაშელს. მეცნიერი მასში სამყაროს მითოსურ ხატს ხედავს, რომელშიც მოქმედებს სასწაულმოქმედად გააზრებული ხე – „სამყაროული ხის ნაყოფი ირემს სიკვდილისაგან გადაარჩენს, რითაც ირმის „ხელახალ“ დაბადებას უზრუნველყოფს“ (ხიდაშელი 2005: 243). წყაროში მოთხოვილი ეს ამბავი მეცნიერს სამთავროში აღმოჩენილი ერთი სარტყლის კომპოზიციის გამოძახილად მიაჩნია. ამ სარტყლის ცენტრში გამოსახული რომბის ქვეშ, მარცხენა კუთხეში, წარმოდგენილია სამყაროული ხე, რომლის ძირში მდგარი ირემი ხის ნაყოფს შეაქცევა, ხოლო იქვე ირმებზე დავთაებრივი ნადირობის სცენებია მოცემული (ხიდაშელი 2005: 243).

12. ახიზის ეს ანტეფიქსი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში, საინვენტარო ნომრით ა477(95-07). აღნიშნულ მასალებზე მუშაობისათვის გაწეული დახმარებისთვის უდრმეს მადლობას მოვახსენებოთ ლ. ფანცხავას, გ. კიკნაძესა და ლ. გვრიგიშვილს.

13. ახიზის ანტეფიქსებზე გამოსახული ჯვრები იდენტურია (ტაბ.XIII₂₋₃): ისინი აღმართულია პატარა ბუნზე, რომელიც თავის მხრივ ფრთების შესაყარზე დგას. ფრთები (ფოთლები) თავში, ჯვრის მხრების გასწვრივ, პატარა ბურთულებად ეხვევა (ირმის ფეხებთან მოცემული ჯვარი დაზიანებულია: მარცხენა ფრთის მხოლოდ ორი ნიშნულია შემორჩენილი, მარჯვენა კი მხოლოდ „ცრემლითდაა“ წარმოდგენილი). ანტეფიქსების ჯვრების ასე დეტალური აღწერა იმისთვის მოვიყვანეთ, რომ იგი დაგვეავშირებინა კიდევ ერთ ანტეფიქსზე გამოსახულ ჯვართან (ტაბ.XIII₄), რომელიც აღწერილების იმდენად მსგავსია (განსაკუთრებით წყვილად წარმოდგენილი ჯვრების), რომ თითქმის ძნელია მათი ერთმანეთისგან გარჩევა. თითქოს აღნიშნული მსგავსების გამო შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ისინი ერთი სახელოსნო ნიშნის მატარებელნი იყვნენ, მაგრამ ამ უკანასკნელი ანტეფიქსის (ა32(52:3887)) წარმომავლობად ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის დავთარში მითითებულია ურბნისი, ხოლო შემომწირველია ა. ვ. კომაროვი. დაბნეულობას კიდევ უფრო აღრმავებს პ. ზაქარაიას მიერ ურბნისის არქეოლოგიურ მასალაში სამი ანტეფიქსის

განხილვა (ტაბ.XIV₁₋₃), რომლებიც, თუ არ გავითვალისწინებთ ზომათა სხვაობას მუზეუმის ექსპონატთა და მკვლევარის მიერ მოცემულ ანტეფიქსებს შორის (1. ინგ. №ა32: 11×8,5სმ (ტაბ.XIII₄), პ. ზაქარაიას მიხედვით – 7×5სმ (ტაბ.XIV₂). 2. ინგ№ა476: 15,5×9,5სმ (ტაბ.XIII₂), პ. ზაქარაიას მიხედვით – 10×5სმ (ტაბ.XIV₁). 3. ინგ№ა477: 17,5×12,5სმ (ტაბ.XIII₃), პ. ზაქარაიას მიხედვით – 10×6სმ (ტაბ.XIV₃)), სხვა არაფერია, თუ არა მუზეუმის ფონდში დაცული აღნიშნული სამი ანტეფიქსი. ვითარებას ართულებს მკვლევარის განმარტებაც: „პროფ. ბ. ჩუბინაშვილმა გადმოგვცა რამდენიმე ფოტო და ნახატი, სადაც აღბეჭდილი იყო კერამიკული ანტეფიქსები. მისი ცნობით, ეს კერამიკული ექსპონატები ინახებოდა კავკასიის მუზეუმში და მის მიერ ისინი ფიქსირებული იყო 1915-1916 წლებში. ჩვენ ბევრი ვეძებეთ ეს ექსპონატები სხვადასხვა მუზეუმში, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვერ მივაკვლიერ“ (ზაქარაია 1965: 67). ამ სიტუაციაში ჩვენ მხოლოდ იმის უფლებას მივცემთ თავს, რომ მუზეუმში დაცული ანტეფიქსების წარმომავლობა ეჭვეჭვეშ არ დავაყენოთ, და ისინი მართლაც ახიზისა და ურბნისის მონაპოვრად მივიჩნიოთ, უბრალოდ ერთი სახელოსნო სკოლის მაკავშირებლად, რაც, ვფიქრობთ, აშკარაა.

14. მხოლოდ რომში, კატაკომბებში, სარკოფაგებზე, იატაკის მოზაიკაზე, და ასევე თასებზე, ჭრაქებსა თუ ბეჭდებზე კეთილი მწყემსის ხუთასზე მეტი გამოსახულებაა აღმოჩენილი (Cottin 1990: 21).

15. აღნიშნული არმაზისხევის პატერის ვერძის თავის ანალოგიურ გამოსახულებას წარმოადგენს არმაზისხევის №7 აკლდამაში აღმოჩენილი ამეთვისტოს ვერძის თავის გამოსახულებიანი ოქროს აგგაროზ-გულსაკიდი (ინგ.№844) (აფაქიძე. . 1955: 84-87). კამეო ჩასმულია მანიაკში, რომელზეც სანელსაცხებლეა ჩამოკიდული. განსხვევებით არმაზისხევის აზარფეშისა, მ. ლორთქიფანიძემ იგი ადგილობრივად მიიჩნია და ასევე ახ.წ. II ს. დაათარიღა (ლორთქიფანიძე 1958: 66-69).

16. ხარის კულტის არსებობას ქართულ ტომებში ჰეროდოტეც ადასტურებს, როცა წერს, რომ ხალიბებს ხარის ტყავისგან გაკეთებული ფარები და ხარის რქებ და ყურებ გამოსახული მუზარადები ჰქონდათ (ჰეროდოტე 1976: VII,76).

17. სამარხში მიცვალებულები – ქალი და მამაკაცი ესვენენ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში თავით დასაგლეთისაკენ, გარდა ჩვენთვის საინტერესო გემიანი რკინის ბეჭდისა აღმოჩნდა: თიხის ორი დოქი, პართული დრაქმა, ბრინჯაოს

საკინძი, რკინის გატეხილი ბეჭედი და გემა საეჭვო გამოსახულებით. სამარხი ახ.წ. II ს. თარიღდება (Иващенко 1980: 69).

18. ადრექტისტიანულ ხელოვნებაზე სასანური კულტურის გავლენის შესახებ არაერთ მეცნიერს აღუნიშნავს. ის, როგორც ჩანს ჩესამჩნევი იყო არა მხოლოდ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების, არამედ წინა აზიის ხელოვნებაშიც. მაგალითად, იგივე ჟ. ბალტის მაგალითად მოჰყავს ანტიოქიის ერთ-ერთი მონასტრის მოზაიკა, რომელიც გამოსახავს ლომს სასანური აფრიალებული ბაფთით (Balty 1995: 353, pl.XXI₁).

19. განსხვავებული დათარიღება შემოაქვს ი. გაგოშიძეს, რომელიც მრავალწახნაგა საბეჭდავებს ძვ.წ. I ს., შესაძლოა ახ.წ. I ს. ძეგლებადაც თვლის (გაგოშიძე 1982: 12-17).

20. ამავე სამაროვანზე აღმოჩნდა კიდევ ექვსი ანალოგიური მედალიონი, რომელთაგან ნაწილი გამოსახავს გორგონას თავს, ნაწილი ორმხრივ ცხენებშებმულ ეტლზე ამხედრებულ ნიკეს, ნაწილზე კი გრიფონია წარმოდგენილი (ჩიხლაძე 1999: 110-111).

21. აღნიშნულ საკიდთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ლ. ჭილაშვილს, რომელმაც ხაიშის საკიდში ტაძრის მოდელი დაინახა და ზოგადად მითოეუმის არქიტექტურულ მოდელზე დაყრდნობით, რასთანაც დააკავშირა საკიდის კარგად გამოკვეთილი კრიპტა, ის მითოეუმად მიიჩნია (ჭილაშვილი 2000: 44-59).

22. აღნიშნული IV-V სს. №273 ქვასამარხი დამხრობილი იყო SO-NW დერძზე, დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, რომლის პოზა სამარხის გაძარცვულობის გამო არ დაფიქსირდა (უგრელიძე 1967: 108-109). სამარხში აღმოჩნდა მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; საკინძის თავი მარჯნისა, ბროწეულის მსგავსი; ბრინჯაოს ფიბულის, ქინძისთავის, ბეჭდის ნატეხები; რკინის სამაჯურის, საკინძის, ფიბულის ნატეხები; რკინის პატარა დანის ნატეხები (უგრალიძე 1951: 309).

23. ორმოსამარხი №24 (1938 წ.) დამხრობილი იყო O-W დერძზე, მიცვალებული ესვენა გულაღმა, თავით აღმოსავლეთისკენ, სამარხში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლე, ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს უთვლო ბეჭედი-ინტალიო სფინქსის გამოსახულებით, ბრინჯაოს სამი საკინძი, და სხვა (უგრელიძე 1951: 312-314; უგრელიძე 1967: 94-95).

24. საინტერესოა, რომ სასწაული სვეტის ისტორია დაცულია IV-V სს. ბიზანტიულ აკტორებთან რუფინუსთან, სოკრატესთან, სოზომენთან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ასახელებს, რომ ეს სვეტი, ისევე როგორც მასთან ერთად ეკლესიის შიგნით აღმართული სხვა სვეტები, ხის იყო (გეორგიკა 1961: 205-206,232-233,241).).

25. სანელსაცხებლე ინახება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში. იგი 2008 წ. შეწირეს მუზეუმს. სანელსაცხებლე ირიზებულია მოშავო-ისფრად. მისი ზომებია: სიმაღლე – 14სმ, პირის დმ – 2,5სმ, ყელის დმ – 1,6სმ, მუცლის უდიდესი დმ – 6,6×5,7სმ.

26. ორივე სამარხში მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე ნახევრადმოკრუნჩხულ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ ან სამხრეთ-დასავლეთისკენ (ბრაგვაძე. . . 2002: 99-101).

27. იგივე სამარხი მკვლევართა თანაავტორობით წარმოდგენილ 1976 წ. არქეოლოგიური ძიების ანგარიშებში, დათარიღებულია II-III სს. (აფაქიძე. . . 1978ბ: 127-128, სურ.545-546).

28. უნდა შევნიშნოთ, რომ მოდინახეს სამაროვნის ჯ. ნადირაძის ნაწილობრივ და ზ. ბრაგვაძესა და ქ. ჩიგოგიძის მიერ სრულად გამოქვეყნებული მოდინახეს სამაროვნის მონაცემები სხვა, გარკვეულ საკითხებშიც ერთმანეთისადმი აცდენადია. ზ. ბრაგვაძესა და ქ. ჩიგოგიძისეული სამარხების მონაცემები ხშირად არ ემთხვევა ჯ. ნადირაძისეულ იგივე ნომრის სამარხის მონაცემებს. სამაგიეროდ, ეს ნივთები სხვა სამარხის ინვენტარად არის მოხსენიებული და განხილული. ასეა მაგალითად, ჯ. ნადირაძისეული №18 სამარხის შემთხვევაში, რომელში აღმოჩენილ ნივთებად მკვლევარი ასახელებს ოქროს საყურებს, ოქროს ბეჭედს, ოქროს ფრაგმენტს ყურძნის მტევნის გამოსახულებით, მძივებს, ორ თიხის დოქს და სარდიონის მოხატულ თვალს. ზ. ბრაგვაძე და ქ. ჩიგოგიძე კი იგივე სამარხში აღმოჩენილად განიხილავენ ოქროს საყურებს (3ც.), ოქროს ბეჭედს (იგივეს, რასაც ნადირაძე ასახელებს) და ერთ თიხის დოქს. ამასთან, საყურები განსხვავებულია. ქ. ნადირაძის მიერ №18 სამარხის ინვენტარად მოცემული საყურები, ზ. ბრაგვაძესა და ქ. ჩიგოგიძესთან გვევლინება №17 სამარხის ინვენტარად, მაშინ, როცა იგივე №17 სამარხის მონაცემები ჯ. ნადირაძისეულ №17 სამარხის მონაცემებს ემთხვევა. ხოლო №18 სამარხის საყურები და სრულ კატალოგში მოცემულია სრულიად სხვა ნიმუშები,

რომელთაგან წყვილი ემთხვევა ჯ, ნადირაძისეულ №29 სამარხის მონაცემს (ნადირაძე 1975: 54-56; ბრაგვაძე. . . 2002: 96-97). ასეთი შეუსაბამობა, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებ სირთულეებს წარმოქმნის ამათუიმ ნივთის თანაინვენტარის გარკვევის დროს.

29. მხედველობაში გვაქვს როგორც XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში გადაღებული შავ-თეთრი ფოტო (ტაბ.XXV₅), ისე 2007 წ. გადაღებული ფოტოები (ტაბ.XXV₃₋₄).

30. აქ აღნიშნავთ, რომ არსებობს პეტრა-ციხისძირის აღმოჩენილი ფრაგმენტების კომპიუტერული რეკონსტრუქციის ცდა (ტაბ.XXVI₁), რომლის მიხედვით საქმე უნდა გვქონდა ბიჭვინთის მოზაიკის მსგავს, არანაკლებ ლამაზ და გრანდიოზულ მოზაიკასთან, რომლის ცენტრალური სიმბოლო ვაზი უნდა ყოფილიყო, როგორც სიცოცხლის ხის, ზიარების მთავარი ატრიბუტის გამოვლინება. რეკონსტრუქციის მიხედვით მცენარე წარმოდგენილია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის გამომსახველობით, როცა ნაყოფი სიმწიფეშია შესული, მაგრამ არც ფოთოლთა სიხასხასე აქვს დაკარგული. ასეთი სახე აღბათ ერთდროული ხაზგასმაა მისი, როგორც მარადიული სიცოცხლის ხისა და ზიარების ატრიბუტისა.

31. ანაკიტას კულტის გავრცელება უძველესი დროიდან იწყება. მისი ოფიციალური თაყვანცემა ძვ. წ. IV ს. არტაქსერქსე II-ს შემოუდია. სელევკიდურ და არშაკიდულ პერიოდში მისი კულტი ერთგვარად დაჩრდილულია სხვა კულტების მიერ და კვლავ აღორძინება სასანიანთა გამეფების დროიდან იწყება. ანაკიტას კულტი ძვ. წ. IV ს. შედის არმენიაში, კაპადოკიაში, პონტოსა და ლიდიაში. ლიდიაში მოხდა მისი ასიმილაცია კიბელასთან და არტემიდე ეფესელთან (Луконин 1969: 97; Луконин 1977: 102; აფხაზავა 1979: 88).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი 2000:

აბრამიშვილი გ. ირმების სიმბოლიკა ატენის სოონის ტიმპანის რელიეფზე. ჟ. ნარკვევები. საქართველოს ჟ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფრნალი. VI, 2000.

2. აბრამიშვილი 2001:

აბრამიშვილი გ. ადრეკრისტიანული ქართლის (იბერიის) ეროვნული იურიგრაფიის სათავეებთან. ჟ. ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „ტრიადა“. ჟ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფრნალი. VII, 2001.

3. აბრამიშვილი 2002:

აბრამიშვილი გ. ატენის უძველესი „დრომიკე“ ჟ. არქეოლოგიური უფრნალი ჟ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური უფრნალი, II, 2002.

4. აბუთიძე . . 1999:

აბუთიძე ა., ლლონტი ნ. გათხრები წიწამურზე. III სამეცნიერო სესიის კრებული. 1998 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 1999.

5. ამირანაშვილი 1961:

ამირანაშვილი ჟ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი: საქმთავარპოლიგრაფის გამომცემლობა, 1961.

6. ამირანაშვილი 1968:

ამირანაშვილი ჟ. ადრეფერდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები (ბოლნისის არქეოლოგიური მასალის მიხედვით). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

7. ანდლულაძე . . 1990:

ანდლულაძე ნ., ბოხოჩაძე ა., მამაიაშვილი ი. წილკნის დეპოსიტშობლის ტაძრის კომპლექსი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. თბილისი: ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, V, 1990.

8. აფაქიძე . . 1955:

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1955.

9. აფაქიძე. . . 1978:

აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი გ. მცხეთა 1975 წელი. მცხეთის არქეოლოგიური ექსპოზიციის 1975წ. მუშაობის ანგარიში. მცხეთა. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.

10. აფაქიძე. . . 1978:

აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი გ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., სადრაძე გ., ხეცურიანი ლ., ჯლარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ. მცხეთა 1976წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპოზიციის 1976წ. მუშაობის ანგარიში. მცხეთა. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.

11. აფაქიძე. . . 1982:

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე გ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭილაშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ქ., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., დლონიშვილი ნ. დიდი მცხეთა 1979. მცხეთა. VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

12. აფაქიძე. . . 1987:

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ. მცხეთის მუნიციპალიტეტი არქეოლოგიური ექსპოზიცია ახალმუშებლობებზე. ქ. ძეგლის მეგობარი. თბილისი, 4, 1987.

13. აფაქიძე 1999:

აფაქიძე ა. (რედაქტორი). მცხეთა 1998. ნარეკვავი I. თბილისი: მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, 1999.

14. აფაქიძე 2000:

აფაქიძე ა. (რედაქტორი). მცხეთა 1999. ნარეკვავი II. თბილისი: მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, 2000.

15. აფაქიძე. . . 2001:

აფაქიძე ა., ყიფიანი გ., მანჯგალაძე გ., გიუნაშვილი გ., ნიკოლაიშვილი გ., სიხარულიძე ა. არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 2000 წელს. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია. 2000 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბილისი, 2001.

16. აფაქიძე. . . 2003:

აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი გ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე გ. სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, მცხეთა 2001. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია. 2001 და 2002 წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშები. თბილისი, 2003.

17. აფაქიძე 1977:

აფაქიძე გ. ბიჭვინთის სამუშაოებლო კურამიკა. დიდი პიტიუნტი. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

18. აფხაზავა 1979:

აფხაზავა 6. ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

19. აფხაზავა 1988:

აფხაზავა 6. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. ქსნის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

20. ბარდაველიძე 1941:

ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბილისი: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემია, 1941.

21. ბერძენიშვილი 1979:

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

22. ბერძენიშვილი 2006:

ბერძენიშვილი ი. ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს.). საკანდიდატო დისერტაცია. თ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2006.

23. ბერძენიშვილი 2008:

ბერძენიშვილი ი. ადრე შუა საუკუნეთა ხანის რელიეფური სკულპტურის ძეგლები აფხაზეთიდან. ჟ. „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო – კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. მონრეალი-თბილისი, XX, 2008.

24. ბიბილური 1983:

ბიბილური თ. თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე, საკანდიდატო დისერტაცია. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პალეოს ცენტრი, 1983.

25. ბიბილური 1994:

ბიბილური თ. ქრისტიანობის შემოსვლა-გაერცელება ქართლის (იბერიის) სამეფოში და დიდი ძცხეთის ებრაული თემი. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია მიძღვნილი ადრექტისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი, 1994.

26. ბიბილური 2008:

ბიბილური თ. აპოლონის ტაძარი დიდ ძცხეთაში. ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში. ვ. ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი. თეზისები. თბილისი, 2008.

27. ბოლქვაძე 1984:

ბოლქვაძე გ. ადრეული შეახაუკუნების სამართვანი დმანისის რაიონიდან. კ. ძეგლის მეგობარი. თბილისი, №66, 1984.

28. ბოხოჩაძე 1963:

ბოხოჩაძე ა. მევენახობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963.

29. ბრაგვაძე . . 2002:

ბრაგვაძე ზ., ჩიგოგიძე ქ. მოდინახეს სამართვანი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ჟურნალი. II. თბილისი, 2002.

30. გაბუნია 2004:

გაბუნია გ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპლორაცია. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბილისი: ოთ. ლორთქიფანიის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2004.

31. გაგოშიძე 1982:

გაგოშიძე ი. თრიალეთის სამართვნები. კატალოგი. ანტიკური ხანის სამაროვნები. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

32. გუორგიკა 1961:

გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხეჩიშვილმა. I. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961.

33. გეორგიკა 1965:

გეორგიკა. ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხეჩიშვილმა. II. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1965.

34. გილგამეშის ეპოსი 1963:

გილგამეშის ეპოსი. აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ თ. გამყრელიძის რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963.

35. გიორგი მერჩულე 1963:

გიორგი მერჩულე „შრომა და მოღვაწება გრიგოლისი არქიმანდრიტისა და ხატბერდისა აღმშენებლისათ“. მველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ვ. I. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963.

36. გოილაძე 1990:

გოილაძე ვ. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონილოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.

37. დავლიანიძე 1967:

დავლიანიძე ვ. 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხოვარი. ქ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. XXVII-B. თბილისი, 1967.

38. დიდებულიძე 1977:

დიდებულიძე მ. ძველი გაგრის ეკლესია. ქ. ძეგლის მეგობარი. თბილისი. 45, 1977.

39. დიდმელაშვილი 2001:

დიდმელაშვილი ქ. თევზის სიმბოლოს საკითხისათვის. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა III რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2001.

40. დიდმელაშვილი 2002:

დიდმელაშვილი ქ. ქართულ-ბიზანტიურ კულტურულ ურთიერთობათა საკითხისათვის (აღრევრისტიანული ხანის მოხაივა). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2002.

41. დიდმელაშვილი 2005:

დიღმელაშვილი ქ. ირმის სიმბოლოს საკითხისათვის საქართველოში. ქ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXI. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005.

42. დიღმელაშვილი 2005ბ:

დიღმელაშვილი ქ. ხარის სიმბოლოს საკითხისათვის საქართველოში. ქ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXII. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005.

43. დიღმელაშვილი 2005გ:

დიღმელაშვილი ქ. ლომის სიმბოლოს საკითხისათვის საქართველოში. კრება: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო მაცნე. XV, 2005.

44. დიღმელაშვილი 2009:

დიღმელაშვილი ქ. ჯვრის გამოსახულებიანი უცნობი სტელა-რელიეფები ქვეშის ციხის გადასახლებისაზე. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009.

45. ვაჩნაძე 1982:

ვაჩნაძე ნ. ქრისტიანული მოზაოქის ისტორიიდან (პიტიუბების მოზაოქის მაგალითები). ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 227, 1982.

46. ვახუშტი 1973:

ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

47. ზაქარაია 1965:

ზაქარაია პ. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.

48. ზაქარაია 1981:

ზაქარაია პ. ნოქალაქევი 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

49. ზაქარაია 1987:

ზაქარაია პ. ნოქალაქევი 1978-82 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978-82 წწ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.

50. ზაქარაია. . . 2002:

ზაქარაია პ., ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., კოლგინი ი., არმური ნ. ახლად აღმოჩენილი გვიანანტიური ხანის ბერძნულწარწერიანი ქვაჯვარი ნოქალაქევი – არქოპოლისიდან. ქ. ხელოვნებათმცოდნეობა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა. 4, 2002.

51. თამარაშვილი 1995:

თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუქეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“, 1995.

52. იაკობ ცურტაველი 1963:

იაკობ ცურტაველი. „წამება წმიდისა შუშანიკის დედოფლისათ“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ჯიქიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963.

53. ინაიშვილი 1971:

ინაიშვილი ა. პეტრას ხაგისხომოსო კათედრის ხაյთხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.

54. ინაიშვილი 1974:

ინაიშვილი ა. პეტრა-ციხისძირის 1962-1965 წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

55. ინაიშვილი 1993:

ინაიშვილი ნ. ციხისძირის ა.წ. I-VI სა. არქეოლოგიური ძეგლები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XXI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993.

56. ინაძე 1986:

ინაძე მ. ხატაძე ცენტრები ძეგლ კოლექტში. ქ. მაცნე. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. 4, 1986.

57. კავლელაშვილი. . . 1997:

კავლელაშვილი ქ., ჩიხლაძე გ. საბუჭობავი უინგალიდან. ქ. ნარკვევები. საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უკრნალი. III, 1997.

58. კალანდაძე 1949:

კალანდაძე ა. ახლად აღმოჩენილი სამართვანი მცხვარი ქ. მიმომხილველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის უკრნალი. I, 1949.

59. კახიძე 1965:

კახიძე ა. მახალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები). მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. IV, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.

60. კახიძე. . . 2004:

კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი I, ხაქართველო ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპოციის შედეგები (1998-2002 წწ.). ბათუმი-ოქსფორდი: გამომცემლობა „კოლეგია“, 2004.

61. კვიტაშვილი 1990:

კვიტაშვილი რ. თელათგორის ნაქალაქარი. ქ. ძეგლის მეგობარი. თბილისი, 1, 1990.

62. კვიციანი 2008:

კვიციანი ზ. რელიეფურჯვრიანი კრამიტები პეტრა-ციხისძირიდან. ხელნაწერი, 2008.

63. კიკვიძე 1976:

კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

64. კოპალიანი 2001:

კოპალიანი ჯ. ქვის ხარჯოფაგი დმანისიდან. დმანისი. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2001.

65. კოპალიანი 1999:

კოპალიანი ჯ. ქვეშის ციხე (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1999.

66. კოშორიძე 1996:

კოშორიძე ი. ხვევიცხოვლის ხარის ნიღბების სიმბოლიკა. ქ. ნარკვევები. საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ურნალი. II, 1996.

67. ლეთოდიანი 1998:

ლეთოდიანი დ. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგრადარეობა VI ს. I ნახევარში. 532 წლის „უკადო ზავის“ შედეგები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

68. ლეონტი მროველი 1955:

ლეონტი მროველი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

69. ლომთათიძე 1957:

ლომთათიძე გ. კლდეკოს სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა. თბილისი: საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1957.

70. ლომიტაშვილი 2003:

ლომიტაშვილი დ. ნაქალაქევის ძ.წ. VIII-VII ს. საუკლიტო კომპლექსის ერთი ჯგუფის შეხწავლისათვის. ჟ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ურნალი. XVII, 2003.

71. ლორთქიფანიძე 1991:

ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991.

72. ლორთქიფანიძე 1979:

ლორთქიფანიძე მ. ქართლი V საუკუნის ძეორე ნახევარში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

73. ლორთქიფანიძე 1954:

ლორთქიფანიძე მ. სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი (1940-41 და 1946-48 წწ.). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. I. თბილისი: საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა და სტამბა, 1954.

74. ლორთქიფანიძე 1958:

ლორთქიფანიძე მ. არმაზისხევა და ბაგინეთხე აღმოჩენილი გლიცერინური ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. II. თბილისი: საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1958.

75. ლორთქიფანიძე 1961:

ლორთქიფანიძე გ. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიკოგენი
ძეგლების კატალოგი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III.
თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961.

76. ლორთქიფანიძე 1967:

ლორთქიფანიძე გ. საქართველოს ხახლმწიფო მუზეუმის გემები. IV. თბილისი:
